თავი V
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1.1. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;

- უზრუნველყოფილია მოქალაქეთათვის საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზება, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;
- საპენსიო ასაკის პირთა (ქალებისა – 60 წლიდან, მამაკაცებისა – 65 წლიდან) პენსიით და პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვათა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა; „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირობებით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის შესაბამისად სახელმწიფო პენსიის ოდენობის დაანგარიშება;
- სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის საარსებო შემწეობის, მიზნობრივი ჯგუფებისთვის „სოციალური პაკეტის“, დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა შემწეობების, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოფილია შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- უზრუნველყოფილია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის/„სოციალური პაკეტის“ მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/„სოციალური პაკეტის“ 20 პროცენტის ოდენობით; დანამატების დაფინანსება სამედიცინო პერსონალისთვის: ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის) მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის (არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა) ანაზღაურება;
- უზრუნველყოფილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, /დაზარალებულთა დაცვისა და დახმარებისას სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა; საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვა

სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა; მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის ხელშეწყობა;

- პროგრამის ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფებისთვის გათვალისწინებული ფულადი გასაცემლები ხელს შეუწყობს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნებით (SDG) განსაზღვრული 1.3.1 ინდიკატორის შესრულებას.

1.1.1 მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2022 წლის იანვრიდან გაიზარდა პენსიის ოდენობა და 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის განისაზღვრა 260 ლარით, 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერისათვის – 300 ლარით. შესაბამისად გადაანგარიშდა სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა;
- სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში - 793.1 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 794.4 ათასზე მეტი პირი, მარტში - 795.0 ათასზე მეტი პირი, აპრილში-796.4 ათასამდე პირი, მაისში - 788.3 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 790. 0 ათასამდე პირი, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია იანვარ-აპრილში ყოველთვიურად გაიცა სულ 22.1 ათასზე მეტ პირზე, ხოლო მაისსა და ივნისში- 22,0 ათასზე მეტ პირზე.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 1 400.4 მლნ ლარზე მეტი.

1.1.2. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

- საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 648.1 ათასზე მეტი, თებერვალში – 650.5 ათასზე მეტი, მარტში – 652.0 ათასზე მეტი, აპრილში – 652.1 ათასზე მეტი, მაისში – 656.6 ათასამდე, ხოლო ივნისში – 661.1 ათასამდე. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული წესის თანახმად, 2022 წლის 1 ივნისიდან 100 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახებში მცხოვრები ბავშვის ბენეფიტის ოდენობა, ხოლო ამ ბენეფიტის მისაღები ზღვრული ქულა 100 000-ის ნაცვლად 120 001 ერთეულით განისაზღვრა. შესაბამისად, გაიზარდა ბავშვის ბენეფიტის მიმღები ოჯახების რაოდენობაც;
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია იანვარში 1251 პირს, თებერვალში - 736 პირს, მარტში – 1213 პირს, აპრილში - 1268 პირს, მაისში - 1086 პირს, ხოლო ივნისში - 1109 პირს;

- დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იანვარში შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა 203.0 ათასზე მეტი პირი, თებერვალში 212.8 ათასზე მეტი პირი, მარტში – 208.6 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 208.3 ათასზე მეტი პირი, მაისში - 205.9 ათასზე მეტი პირი, ხოლო ივნისში - 207.1 ათასზე მეტი პირი;
- სოციალური პაკეტი იანვარში გაიცა 172.5 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 172.9 ათასზე მეტ პირზე, მარტში - 173.5 ათასზე მეტ პირზე, აპრილში - 174.1 ათასზე მეტ პირზე, მაისში - 168.1 ათასზე მეტ პირზე, ხოლო ივნისში - 168.9 ათასზე მეტ პირზე;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ მიმდინარე წლის იანვარში შეადგინა 21.2 ათასზე მეტი, თებერვალში და მარტში – 21.1 ათასზე მეტი, აპრილში - 21.0 ათასზე მეტ პირზე, მაისში - 20.8 ათასამდე პირზე, ხოლო ივნისში - 20.8 ათასზე მეტი პირზე;
- შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სოციალური დახმარება იანვარში მიიღო - 674 პირმა, თებერვალში - 669 პირმა, მარტში - 662 პირმა, აპრილში - 655 პირმა, მაისში - 653 პირმა, ხოლო ივნისში - 647 პირმა;
- „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ფულადი სოციალური დახმარება მიიღო იანვარში 13 731 პირმა, თებერვალში - 13 631 პირმა, მარტში - 13 580 პირმა, აპრილში - 12 973 პირმა, მაისში - 12 931 პირმა, ხოლო ივნისში - 12 798 პირმა. ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 70000-ზე) ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფის სუბსიდირება, აგრეთვე 2019 წლის ივლისიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,,მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების“ შესაბამისად, განხორციელდა მრავალშვილიანი მშობლების ელექტროენერგიის სუბსიდირება, კერძოდ, იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და მინიჭებული სარეიტინგი ქულა ნაკლებია 300 000-ზე. ოთხშვილიანი ოჯახებისთვის დახმარების ოდენობა შეადგენს 20 ლარს, ხოლო ყოველ მომდევნო ბავშვზე დამატებით 10 ლარს;
- „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ზოგიერთი კომუნალური მომსახურების ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, იანვრის თვეში გაიცა- 150 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე 2 956 ოჯახზე, თებერვლის თვეში - 2 990 ოჯახზე, მარტის თვეში - 3 038 ოჯახზე, აპრილის თვეში - 3 098 ოჯახზე, მაისის თვეში - 3 154 ოჯახზე, ხოლო ივნისის თვეში - 3 194 ოჯახზე, წყლის სუბსიდირებით იანვრის და თებერვლის თვეში ისარგებლა სულ 13 ათასზე მეტმა ოჯახმა, მარტის და აპრილის თვეში ისარგებლა სულ 70 ათასზე მეტმა ოჯახმა, ხოლო მაისის და ივნისის თვეში ისარგებლა სულ 46.0 ათასზე მეტმა ოჯახმა;
- „მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დამატებითი სოციალური გარანტიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ყოველთვიური სოციალური დახმარება გაიცა იანვარში - 144 პირზე, თებერვალში - 139 პირზე, მარტში - 132 პირზე, აპრილში - 129 პირზე, მაისში - 120 პირზე, ხოლო ივნისში - 114 პირზე;
- „9 მაისისადმი - ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის (88 პირი) გაიცა ფულადი დახმარება 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრთათვის (151 პირი) - 500 ლარის ოდენობით.

სულ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 538.6 მლნ ლარზე მეტი.

1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 27 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;

- „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის'' ფარგლებში იანვარში მომსახურება გაეწია - 1 140 ბენეფიციარს (ხელოვნური კვების ვაუჩერი), თებერვალში - 1 135 ბენეფიციარს (ხელოვნური კვების ვაუჩერი), მარტში - 1 122 ბენეფიციარს (ხელოვნური კვების ვაუჩერი) და 132 ბენეფიციარს (საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კომპონენტი), აპრილში - 3 316 ბენეფიციარს (1 137 ხელოვნური კვების ვაუჩერი და 2 179 - საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კომპონენტი), მაისში - 2 716 ბენეფიციარს (1 231 ხელოვნური კვების ვაუჩერი და 1 485 - საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კომპონენტი), ივნისში - 1 882 ბენეფიციარს (1 242 ხელოვნური კვების ვაუჩერი და 640 - საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კომპონენტი);
- „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის" ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში - 2 195 ბენეფიციარს, თებერვალში - 2 201 ბენეფიციარს, მარტში - 2 216 ბენეფიციარს, აპრილში - 2 241 ბენეფიციარს, მაისში - 2 488 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში, მომსახურება გაეწია იანვარში - არ განხორციელებულა, თებერვალში - 2 032 ბენეფიციარს, მარტში - 2 142 ბენეფიციარს, აპრილში - 2 569 ბენეფიციარს, მაისში - 2 753 ბენეფიციარს;
- „დღის ცენტრებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში - 1 912 ბენეფიციარს, თებერვალში - 2 072 ბენეფიციარს, მარტში - 1 959 ბენეფიციარს, აპრილში - 2 025 ბენეფიციარს, მაისში - 1 984 ბენეფიციარს,მათ შორის:
  - ✓ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შემთხვევაში: იანვარში - 490 ბენეფიციარს, თებერვალში - 515 ბენეფიციარს, მარტში - 503 ბენეფიციარს, აპრილში - 490 ბენეფიციარს, მაისში - 446 ბენეფიციარს;
  - ✓ შშმ ბავშვების შემთხვევაში: იანვარში - 755 ბენეფიციარს, თებერვალში - 828 ბენეფიციარს, მარტში - 794 ბენეფიციარს, აპრილში - 804 ბენეფიციარს, მაისში - 807 ბენეფიციარს;
  - ✓ 18 წლისა და მეტი ასაკის შშმ პირების შემთხვევაში: იანვარში - 641 ბენეფიციარს, თებერვალში - 689 ბენეფიციარს, მარტში - 626 ბენეფიციარს, აპრილში - 697 ბენეფიციარს, მაისში - 696 ბენეფიციარს;
  - ✓ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების შემთხვევაში: იანვარში - 26 ბენეფიციარს, თებერვალში - 40 ბენეფიციარს, მარტში - 36 ბენეფიციარს, აპრილში - 34 ბენეფიციარს, მაისში - 35 ბენეფიციარს;
- „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში გათვალისწინებულ მომსახურებათა შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა: იანვარში - 53 შემთხვევა, თებერვალში - 303 შემთხვევა, მარტში - 448 შემთხვევა, აპრილში - 553 შემთხვევა, მაისში - 491 შემთხვევა, მათ შორის:
  - ✓ სავარძელ–ეტლებით (მექანიკური) უზუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარში - 20 შემთხვევა, თებერვალში - 75 შემთხვევა, მარტში - 46 შემთხვევა, აპრილში - 20 შემთხვევა, მაისში - 97 შემთხვევა;
  - ✓ სავარძელ–ეტლებით (ელექტრო) უზუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტიის ფარგლებში შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარში

სავარძელ-ეტლი არ გაცემულა, თებერვალში - 79 შემთხვევა, მარტში - 13 შემთხვევა, აპრილში - 1 შემთხვევა, მაისში - 33 შემთხვევა;

- ✓ სავარძელ–ეტლები (პედიატრიული) უზუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტიის ფარგლებში იანვარში სავარძელ-ეტლი არ გაცემულა, თებერვალში - 5 შემთხვევა, მარტში - 24 შემთხვევა, აპრილში - 8 შემთხვევა, მაისში - 2 შემთხვევა;
- ✓ საპროთეზო–ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარში - 33 შემთხვევა, თებერვალში - 140 შემთხვევა, მარტში - 107 შემთხვევა, აპრილში - 64 შემთხვევა, მაისში - 104 შემთხვევა;
- ✓ ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარში არ გაცემულა, თებერვალში - 4 შემთხვევა, მარტში - 6 შემთხვევა, აპრილში - 10 შემთხვევა, მაისში - მომსახურება არ განხორციელებულა,
- ✓ სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარი-თებერვალში აპარატი არ გაცემულა, მარტში - 218 შემთხვევა, აპრილში - 432 შემთხვევა, მაისში - 252 შემთხვევა;
- ✓ სმენის აპარატებით (პედიატრიული) უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარი-თებერვალში აპარატი არ მარტში - 16 შემთხვევა, აპრილში - 7 შემთხვევა, მაისში - 2 შემთხვევა;
- ✓ „ყრუ და სმენისარმქონე შშმ პირთა ვიდეო კონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში იანვარი-თებერვალში სმარტფონი არ გაცემულა, მარტში - 18 შემთხვევა, აპრილში - 11 შემთხვევა, მაისში - მომსახურება არ განხორციელებულა;

- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში - 264 ბენეფიციარს, თებერვალში - 260 ბენეფიციარს, მარტში - 255 ბენეფიციარს, აპრილში - 261 ბენეფიციარს, მაისში - 268 ბენეფიციარს;
- „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში - 388 ბენეფიციარს, მათ შორის 219 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში - 33 ბენეფიციარს, თებერვალში - 384 ბენეფიციარს, მათ შორის 216 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში - 33 ბენეფიციარს, მარტში - 407 ბენეფიციარს, მათ შორის 223 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში - 33 ბენეფიციარს, აპრილში - 409 ბენეფიციარს, მათ შორის 225 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში - 35 ბენეფიციარს, მაისში - 428 ბენეფიციარს, მათ შორის 228 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირს და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში - 42 ბენეფიციარს;
- „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში - მომსახურება არ განხორციელებულა, თებერვალში - 135 ბენეფიციარს, ბენეფიციარს, მარტში - 147 ბენეფიციარს, აპრილში - 129 ბენეფიციარს, მაისში - 146 ბენეფიციარს;
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში - 88 ბენეფიციარს, თებერვალში - 80 ბენეფიციარს, მარტში - 83 ბენეფიციარს, აპრილში - 63 ბენეფიციარს, მაისში - 84 ბენეფიციარს;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში - 175 ბენეფიციარს (მათ შორის 58 თავშესაფრის ბენეფიციარი), თებერვალში - 168

ბენეფიციარს (მათ შორის 58 თავშესაფრის ბენეფიციარი), მარტში - 177 ბენეფიციარს (მათ შორის 58 თავშესაფრის ბენეფიციარი), აპრილში - 168 ბენეფიციარს (მათ შორის 60 თავშესაფრის ბენეფიციარი), მაისში - 168 ბენეფიციარს (მათ შორის 60 თავშესაფრის ბენეფიციარი);

- „მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში - 1 483 ბენეფიციარს, თებერვალში - 1 480 ბენეფიციარს, მარტში - 1 478 ბენეფიციარს, აპრილში - 1 471 ბენეფიციარს, მაისში - 1 478 ბენეფიციარს, ივნისში - 1 489 ბენეფიციარს;
- „ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში - მომსახურება მიიღო 4 ბენეფიციარმა, თებერვალში - 3 ბენეფიციარმა, მარტში - 3 ბენეფიციარმა, აპრილ-მაისში მომსახურება არ განხორციელებულა;
- „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარ-ივნისში მომსახურება გაეწია 27-27 ბენეფიციარს;
- „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია: იანვარში - 51 ბენეფიციარს, თებერვალში - 50 ბენეფიციარს, მარტში - 50 ბენეფიციარს, აპრილში - 50 ბენეფიციარს, მაისში - 55 ბენეფიციარს;
- „მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში რეინტეგრაციის შემწეობა გაიცა იანვარში 510 ბავშვზე, თებერვალში – 506 ბავშვზე, მარტში - 506 ბენეფიციარს, აპრილში - 505 ბენეფიციარს, მაისში - 511 ბენეფიციარს, ივნისში - 510 ბენეფიციარს;
- „სახელმწიფო ზრუნვიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში იანვარ-თებერვალში მომსახურება გაეწია 8-8 ბენეფიციარს, მარტში - 7 ბენეფიციარს, აპრილში - 8 ბენეფიციარს, მაისში - 7 ბენეფიციარს, ივნისში - 11 ბენეფიციარს;
- „სახელმწიფო ზრუნვიდან გასული 18-21 წლამდე ახალგაზრდების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ფარგლებში იანვარ-ივნისში მომსახურება არ განხორციელებულა;
- „ხანგრძლივი პედიატრიული მოვლის სამედიცინო-სოციალური ცენტრის მომსახურების“ ქვეპროგრამის ფარგლებში იანვარ-ივნისში მომსახურება არ განხორციელებულა.

1.1.4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 27 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

- სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა პენსიის დანამატი იანვარში მიიღო - 78.3 ათასამდე პირმა, თებერვალში - 78.5 ათასამდე პირმა, მარტში - 78.7 ათასამდე პირმა, აპრილში-78.8 ათასზე მეტმა პირმა, მაისში-78.5 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო ივნისში-78.5 ათასამდე პირმა;
- სოციალური პაკეტის დანამატი იანვარში, თებერვალში და მარტში მიიღო 14.6 ათასზე მეტმა პირმა, აპრილში-14.7 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო მაისსა და ივნისში-14.4 ათასზე მეტმა პირმა;
- ელექტროენერგიის შეღავათით ისარგებლა იანვარში - 85.4 ათასზე მეტმა აბონენტმა, თებერვალში - 83.3 ათასზე მეტმა აბონენტმა, მარტში - 83.1 ათასზე მეტმა აბონენტმა, აპრილში-83.6 ათასზე მეტმა აბონენტმა, მაისში-86.9 ათასზე მეტმა აბონენტმა, ხოლო ივნისში-87.8 ათასზე მეტმა აბონენტმა;
- სამედიცინო პერსონალის დანამატი იანვარში მიიღო 1 642 ექიმმა და ექთანმა, თებერვალში - 1 608 ექიმმა და ექთანმა, მარტში - 1 629 ექიმმა და ექთანმა, აპრილში-1 626 ექიმმა და ექთანმა, მაისში-1 641 ექიმმა და ექთანმა, ხოლო ივნისში-1 643 ექიმმა და ექთანმა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 39.8 მლნ ლარი.

1.1.5. სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;

- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მომსახურებით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა სულ 209 ბენეფიციარმა. (თბილისის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - 66; ბათუმის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - 21; გორის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - 50; სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - 33; ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი - 39;) მათ შორის, სრულწლოვანი პირი - 85 (მდედრობითი სქესისი 81 და მამრობითი სქესის 4); არასრულწლოვანი პირი - 34 (მდედრობითი სქესის 28, მამრობითი სქესის-6); დამოკიდებული პირი: 90 (მდედრობითი სქესის - 44 პირი; მამრობითი სქესის - 46);
  - ✓ სამედიცინო მომსახურება გაეწია სულ 93 პირს; მათ შორის მდედრობითი სქესის 74 ხოლო მამრობითი სქესის - 19 პირს;
  - ✓ სამართლებრივი კონსულტაციით ისარგებლა - 112-მა ბენეფიციარმა, მათ შორის, მდედრობითი სქესის -104, ხოლო მამრობითი სქესის - 8;
  - ✓ სამართლებრივი მომსახურება გაეწია სულ - 22 ბენეფიციარს (მდედრობითი სქესის -21-ს, ხოლო მამრობითი სქესის-1 ბენეფიციარს);
  - ✓ ფსიქოლოგიური მომსახურება გაეწია - 148 ბენეფიციარს, მათ შორის მდედრობითი სქესის -124, ხოლო მამრობითი სქესის - 24 ბენეფიციარს;
- ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების მომსახურებით სულ ისარგებლა - 109 ბენეფიციარმა (თბილისის კრიზისული ცენტრი - 34, გორის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი - 14; მარნეულის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი - 39; ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი - 8; ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისუილი ცენტრი - 14) მათ შორის, სრულწლოვანი პირი - 65 (მდედრობითი სქესი - 61 და მამრობითი სქესის-4); არასრულწლოვანი პირი - 19 (მდედრობითი სქესის-18 და მამრობითი სქესის-1); დამოკიდებული პირი - 25 (მდედრობითი სქესის - 14 პირ და მამრობითი სქესის - 11);
  - ✓ სოციალური მომსახურება გაეწია 37 ბენეფიციარს (მდედრობითი სქესის 34 და მამრობითი სქესის - 3);
  - ✓ სამართლებრივი მომსახურება გაეწია 12 ბენეფიციარს (მდედრობითი);
  - ✓ სამართლებრივი კონსულტაცია - 38 ბენეფიციარს (მდედრობითი სქესი - 35, მამრობითი სქესი - 3);
  - ✓ ფსიქოლოგიური მომსახურება გაეწია - 66 ბენეფიციარს, (მდედრობითი სქესის 56, მამრობითი სქესის - 10);
- თბილისის ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი მომსახურებები:
  - ✓ იურიდიული მომსახურება/კონსულტაცია - 162 პირი;
  - ✓ ფსიქოლოგიური მომსახურება - 480 პირი;
  - ✓ სოციალური მომსახურება - 33 პირი (სახელმწიფოში არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება/ჩართვა);
  - ✓ სამედიცინო მომსახურება -3 პირს;

- ✓ თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის სადღეღამისო მომსახურებით (24/7) ისარგებლა 6-მა პირმა;

- ტრეფიკინგის თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სულ 4-მა სრულწლოვანმა მამრობითი სქესის დაზარალებულმა. 1 ბენეფიციარას გაეწია ფსიქო/სოციალური დახმარება და მიიღო ფულადი კომპენსაცია;
- სახელმწიფო ზრუნვის ინსტიტუციურ ფორმებში მყოფი ბავშვებიდან 1 ბენეფიციარი გადაყვანილ იქნა ალტერნატიულ ფორმებში.

1.1.6. ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მოსახლეობის სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის სოციალური მხარდაჭერის ფარგლებში, 50 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც 2021 წლის 8 ნოემბრიდან COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით პირველადად აიცრებოდა ავტომატურად ხდებოდა ერთჯერადი სოციალური დახმარების (200 ლარის) მიმღები, ხოლო ვაქცინის დამატებითი ბუსტერ დოზით აცრის შემთხვევაში - (100 ლარის) მიმღები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული დახმარება გაიცა პირველადად აცრის შემთხვევაში იანვარში 37 701 პირზე, თებერვალში - 23 437 პირზე, მარში - 4 959 პირზე, აპრილში - 2 352 პირზე, მაისში - 813 პირზე, ივნისში - 36 პირზე, ხოლო ბუსტერ დოზისთვის თებერვალში - 54 090 პირზე, მარტში - 21 993 პირზე, აპრილში - 14 263 პირზე, მაისში - 4 509 პირზე და ივნისში - 194 პირზე. სულ ამ მიზნით მიიმართა 23.4 მლნ ლარი;

1.2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.
- ✓ ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი;
- ✓ ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი;

- გაზრდილია მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისთვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფილია გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო-, ჰორმონო- და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება; ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვათა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა სტაციონარული სამედიცინო დახმარება;

- მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა; ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი; C ჰეპატიტის ელიმინაციის ხელშეწყობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურებებით უზრუნველყოფა;
- ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და მართვა;
- უზრუნველყოფილია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის ამბულატორიული, სტაციონარული და სათემო მომსახურებებით, საცხოვრებლით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და ტკივილის მართვის მიზნით მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა; ინდივიდუალური რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; საქართველოს მოქალაქეების ორგანოთა ტრანსპლანტაცია;
- დონორების მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროგრამების ეტაპობრივად სახელმწიფოს ვალდებულებებში ასახვა;
- მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისთვის, აგრეთვე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტებისთვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება, დიპლომისშემდგომი განათლების რეგულირების მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდა;
- განხორციელდა სამედიცინო სფეროში მრავალპროფილიანი კლინიკების განვითარების ხელშეწყობა.

1.2.1. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების 261.5 ათასზე მეტი შემთხვევა, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების - 113.3 ათასზე მეტი შემთხვევა, კარდიოქირურგიის - 1565, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის 14.2 ათასამდე, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურების 1314, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის - 42.1 ათასზე მეტი შემთხვევა, გეგმური ამბულატორიის 4425 შემთხვევა, გეგმური ქირურგიული მომსახურება (გარდა

კარდიოქირურგიისა) – 41.1 ათასამდე, ინფექციური დაავადებების მართვა - 8 886 შემთხვევა და სხვა;

- ქრონიკული მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში სულ დარეგისტრირებულია 347.1 ათასზე მეტი ბენეფიციარი, ხოლო სააფთიაქო ქსელს მიაკითხა 239.7 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 410.3 მლნ ლარი.

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 27 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- უზრუნველყოფილია მოსახლეობაში ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების (დაავადებათა პროფილაქტიკისკენ მიმართული პროგრამების განხორციელებით), ასევე, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს ისეთი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს გადამდებ და ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციას. მათი ადრეული გამოვლენა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების დაცულობის გაზრდას, მეორე მხრივ, სახელმწიფო დანახარჯების ოპტიმიზაციას; ასევე, მოსახლეობის იმუნიზაციას, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობას, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორებიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია/შიდსი, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელებას საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის.

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 27 03 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

- „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში სხვადასხვა სახის სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 22.5 ათასზე მეტ ბენეფიციარს, მათ შორის: ძუძუს კიბოს სკრინინგი - 9.0 ათასზე მეტ ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (Pap–ტესტი) – 7.7 ათასამდე ბენეფიციარს, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 1.6 ათასზე მეტ ბენეფიციარს, პროსტატის კიბოს სკრინინგი - 3,9 ათასზე მეტ ბენეფიციარს, კოლონოსკოპიური სკრინინგი - 267 ბენეფიციარს და კოლონოსკოპიური სკრინინგი მორფოლოგიით - 16 ბენეფიციარს;
- „1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია 1-6 წლის ასაკის 589 ბავშვს; მათ შორის ჩატარდა ნევროლოგის კონსულტაცია, ძილის დარღვევების კვლევა - 589, ნეიროფსიქოლოგიური კვლევები - 585, ელექტროფიზიოლოგიური კვლევები - 54;

- „ეპილეფსიის დიაგნოსტიკის და ზედამხედველობის“ კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ კონსულტირებული იქნა 1079 პაციენტი, პირველადი ეპილეფტოლოგიური სკრინინგი ჩაუტარდა - 1079 პაციენტს, მეორადი (ეპილეფტოლოგიური) სკრინინგი - 1040 პაციენტს, 868 ელექტროენცეფალოგრაფიული სკრინინგი, 870 - ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, ხოლო 870 ეპილეპტოლოგიური დასკვნითი დიაგნოსტიკა.
- „დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტის“ კომპონენტის ფარგლებში პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 265 ბენეფიციარს; დაფიქსირდა განმეორებითი კვლევის 1515 შემთხვევა.
- „სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგის“ კომპონენტის ფარგლებში:
- საანგარიშგებო პერიოდში 7 წლამდე ასაკის ბავშვებში სულ ჩატარდა 3857 პირველადი და 881 განმეორებითი დიაგნოსტიკური კვლევა; 18 წლამდე ასაკის ოჯახის წევრებში ჩატარდა 701 პირველადი დიაგნოსტიკური კვლევა და 5 მკგ/დლ ან მეტი სისხლში ტყვიის შემცველობა გამოუვლინდა 203 ბენეფიციარს (29%). გამოკვლეული 7 წლამდე ასაკის 3857 ბენეფიციარიდან 496-ს (13%) აღმოაჩნდა ტყვია 5 მკგ/დლ-ზე მეტი მოცულობით და ესაჭიროება შემდგომი მეთვალყურეობა. ამასთან, გამოკვლეული ბავშვებიდან 105-ს (3%) აღმოაჩნდა ტყვია 10 მკგ/დლ-ზე მეტი მოცულობით. ასევე საჭიროა გარემოს შესწავლაც;
- გამოკვლეულ იქნა 189 ოჯახის წევრი, მათ შორის ტყვიის მომატებული შემცვლობა გამოუვლინდა 95 ბენეფიციარს (50%).

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 27 03 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

- რუტინული ვაქცინაციის კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარებულია:
  - ✓ ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ (სამშობიარო + 1 წლამდე ასაკი) 15967 აცრა, დაიხარჯა 44887 დოზა ბცჟ ვაქცინა, ვაქცინის დანაკარგის კოეფიციენტია 2,8;
  - ✓ ჰეპატიტი B საწინააღმდეგოდ (სამშობიარო) 16 450 აცრა, დაიხარჯა 17 555 დოზა ჰეპატიტი B მონოვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.07;
  - ✓ ჰექსა ვაქცინით (2 თვე – 2 წლამდე ბავშვები) 48 421 აცრა, დაიხარჯა 48 798 დოზა დყტ+ჰეპB+ჰიბ +იპვ, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.01;
  - ✓ დიფთერია-ყვანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო ვაქცინით (1–13 წელი) ჩატარებულია 30 393 აცრა – დაიხარჯა 31 003 დოზა დყტ ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.02;
  - ✓ ტეტანუსი–დიფთერიის საწინააღმდეგოდ (14 წელი და მეტი) 12 906 აცრა, დაიხარჯა 19 296 დოზა ტდ ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.5;
  - ✓ წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგოდ (1–14 წელი და უფროსი) ჩატარებულია 31 140 აცრა, დაიხარჯა 37 961 დოზა წწყ ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1,2;
  - ✓ როტა ინფექციის საწინააღმდეგოდ (12–24 კვირა) ჩატარებულია 26 144 აცრა, დაიხარჯა 27 899 დოზა როტა ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.07;
  - ✓ პნევმოკოკის საწინააღმდეგოდ (2 თვე–2 წლამდე ბავშვები) ჩატარებულია 44 599 აცრა, დაიხარჯა 46 126 დოზა პნევმოკოკური ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელია 1.03;
  - ✓ ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგოდ (10-11-12 წ) ჩატარებულია 6 619 აცრა, რაზედაც გაიხარჯა 8 942 დოზა ვაქცინა, ვაქცინის ხარჯვის მაჩვენებელი - 1.35;
- სპეციფიკური შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია და დაიხარჯა:

- ✓ ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი (ადამიანის) დაიხარჯა 36 ფლაკონი. 2 შემთხვევა დაფიქსირდა;
- ✓ გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი 6 ფლაკონი;
- ✓ ანტიბოტულინური შრატი: A ტიპი – 5, B ტიპი – 5, E ტიპი - 5 კომპლექტი. აღირიცხა ბოტულიზმის 5 შემთხვევა;
- ✓ ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა - 362 დოზა, აცრა ჩაუტარდა 356 ბენეფიციარს;

- ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში:
  - ✓ ანტირაბიული იმუნოგლობულინი მოხმარდა 3 301 ბენეფიციარს, რაზეც დაიხარჯა 8 172 ფლაკონი;
  - ✓ ანტირაბიული ვაქცინით აცრა ჩაუტარდა 19 972 ბენეფიციარს, გაიხარჯა 68 510 დოზა ვაქცინა; ცოფით დაავადების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირეულა;
- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მიღებული მედიკამენტების, შპრიცების, ვაქცინებისა და შრატების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობა (პროგრამული კოდი 27 03 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

- მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესების კომპონენტის ფარგლებში:
  - ✓ მალარიოგენულ ტერიტორიებზე მოფუნქციონირე 13 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის მიერ, მალარიაზე საეჭვო 542 პირს ჩაუტარდა სისხლის სქელი წვეთის სკრინინგი (წლიური სამიზნე მაჩვენებლის 36,7%);
  - ✓ მალარიისა და სხვა ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების გავრცელების, ინსექტიციდით დაგეგმილი/დასამუშავებული ტერიტორიაა - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი 6 970 000კვ.მ, დაიგეგმა საბონოფიკაციო სამუშაოების განხორციელება ორ ეტაპად, გაზაფხული-ზაფხული და ზაფხული-ადრე შემოდგომა პერიოდში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, განხორციელდა საბონიფიკაციო საშუალებების შესყიდვა; 2022 წელს სსიპ - ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შეძენილ იქნა 3560 კგ. მალარიის გავრცელების საწინააღმდეგო პრეპარატი „სოლფაკი“. განხორციელდა სადეზინსექციო სამუშაოები;
  - ✓ განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) შედეგების გადამოწმება ცენტრის ლაბორატორიაში და აგრეთვე, პრეპარატების ხარისხის კონტროლი. სულ შემოსულია 110 პრეპარატი, მათგან ყველა უარყოფითია;
- ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 157 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა, რაც დასახული მიზნის 10.5%–ს შეადგენს;
- ვირუსული დიარეების კვლევის კომპონენტის ფარგლებში სულ განხორციელდა მწვავე დიარეის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ 0-5 წლის ბავშვთა შემთხვევის ლაბორატორიული გამოკვლევა არ განხორციელებულა, საპროგნოზო წლიური მაჩვენებლის (480 კვლევა) 0%–ს შეადგენს.

შესაბამისად, კვლევის შედეგად ადენოვირუსზე, როტავირუსსა და ნოროვირუსზე არცერთი დადებითი შემთხვევა არ გამოვლენილა;

- გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნებისა და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირების კომპონენტის ფარგლებში ლაბორატორიულად გამოკვლეულ იქნა საყრდენი ბაზებიდან მოწოდებული 2 573 კლინიკური ნიმუში (გრიპი, გრიპისმაგვარი დაავადებები, მძიმე მწვავე რესპირაციული დაავადებები), მათგან 315 შემთხვევაში დადასტურდა გრიპის ვირუსი. A ტიპის გრიპის ვირუსი დაფიქსირდა სულ - 314, ხოლო რაც შეეხება B ტიპის გრიპის ვირუსს, სულ აღირიცხა 1 შემთხვევა.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 27 03 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

- პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში განხორციელდა 39.1 ათასზე მეტი დონაცია, მათგან 16.7 ათასამდე (42%) იყო კადრის დონორი, 8.1 ათასამდე (21 %) - ნათესავი და 14.4 ათასამდე (37 %) - უანგარო დონორი. დონორული სისხლის ნიმუშების კვლევისას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა აივ-ინფექცია/შიდსზე სავარაუდო დადებითი 22 შემთხვევა, C ჰეპატიტზე სავარაუდო - 152, B ჰეპატიტზე - 270, ხოლო სიფილისზე კვლევისას 196 სავარაუდო შემთხვევა.

1.2.2.5 საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 03 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

- პროგრამის ფარგლებში 3 საწარმოში ჩატარდა ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური კვლევები.

1.2.2.6 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 20,0 ათასზე მეტი ამბულატორიული მომსახურების შემთხვევა, მომსახურება გაეწია 12.7 ათასზე მეტ პაციენტს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია 603 პირს და დაფიქსირდა 18.6 ათასამდე შემთხვევა;
  - ✓ ლაბორატორიული კონტროლის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა:

- ✓ ბაქტერიოსკოპული კვლევა - 7861;
- ✓ სადიაგნოსტიკო კვლევა - 2365;
- ✓ ქიმიოკონტროლი - 5496;
- ✓ ჩატარებული ბაქტერიოლოგიური კვლევა - 5852;
- ✓ ანტიბიოტიკომგრძნობელობა I რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ - 1148;
- ✓ ანტიბიოტიკომგრძნობელობა II რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ -340;
- ✓ GeneXpert აპარატით ჩატარებული კვლევების რაოდენობა - 9504;
- ✓ FAST სტრატეგიის ფარგლებში GeneXpert აპარატით ჩატარებული კვლევების რაოდენობა - 1 686;
- ✓ ფილტვგარეშე ტუბერკულოზის კვლევა - 607;
- ✓ განხორციელდა 2041 ამანათის ტრანსპორტირება;

- პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობაში ჩაერთო 722 ტბ პაციენტი;
- მეორე რიგის მედიკამენტებით მკურნალობაში ჩაერთო 87 ტბ. პაციენტი;
- 204 MDR პაციენტმა მიიღო ფულადი წახალისება მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის;
- 576 სენსიტიურმა პაციენტმა მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის მიიღო ფულადი წახალისება გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამიდან.

1.2.2.7 აივ ინფექციის/შიდსის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების 24.1 ათასზე მეტი შემთხვევა. ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 3.9 ათასზე მეტმა პირმა;
- ქვეყნის მასშტაბით აივ ინფექციაზე ჩატარდა 176.1 ათასამდე სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა 645 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 252. ასევე ჩატარდა 13.3 ათასზე მეტი ტესტის წინა და 13.9 ათასამდე ტესტის შემდგომი კონსულტაცია, 73 კონფირმაციული კვლევა იმუნობლოტინგის მეთოდით და 30 კონფირმაციული კვლევა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რექციის (პჯრ) მეთოდით;
- აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობა ჩაუტარდა 4 894 შიდსით დაავადებულ პაციენტს, ხოლო მეორე რიგის მედიკამენტებით მკურნალობა - 945 პაციენტს;
- დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების 260 შემთხვევა. სტაციონარული მკურნალობით ისარგებლა 221 ბენეფიციარმა.

1.2.2.8 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 02 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- „B“ ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით გამოკვლეულ იქნა 19.9 ათასი ორსული, აქედან გამოვლინდა 181 სკრინინგით დადებითი შემთხვევა (მათ შორის, კონფირმაციით დადასტურებული შემთხვევების რაოდენობაა - 147);
- სიფილისზე სკრინინგული კვლევით გამოკვლეულ იქნა 20.1 ათასზე მეტი ორსული, მათ შორის ანტისხეულებზე დადებითი შედეგი დაფიქსირდა 55 სისხლის ნიმუშში (საიდანაც, კონფირმაციით დადასტურებული შემთხვევების რაოდენობაა - 42);
- აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 19.7 ათასამდე ორსულს, საეჭვო შემთხვევის რაოდენობა - 43, დადასტურდა 4 და იმყოფება მკურნალობის ქვეშ;
- C ჰეპატიტზე სკრინინგი გაიარა 19.9 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა საეჭვო შემთხვევების რაოდენობაა - 112, მათგან კონფირმაცია ჩაუტარდა 65 ბენეფიციარს, აქედან ინფექცია დადასტურდა 50 შემთხვევაში, მათგან მკურნალობაში ჩასართველად დიაგნოსტიკური კვლევა ჩაიტარა 37-მა ბენეფიციარმა, მკურნალობა დაიწყო 33 პაციენტი;
- B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი გაუკეთდა 172 ბენეფიციარს (მათ შორის B ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი გადაეცა იმ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც არ მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამაში).
- ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში სამშობიარო სახლებში საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 19.1 ათასზე მეტი ახალშობილი. გამოვლენილ იქნა დაუნის სინდრომი - 6; ექსუდატი შუაყურში - 1; მგლის სასა - არ დაფიქსირებულა; ატრეზია - არ დაფიქსირებულა; IV ხარისხის სმენაჩლუნგობის - 2 შემთხვევა, III ხარისხის სმენაჩლუნგობის - შემთხვევა არ დაფიქსირებულა, II ხარისხის სმენაჩლუნგობის - 10 შემთხვევა, I ხარისხის სმენაჩლუნგობის-1 შემთხვევა.
- ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა ორსულთა ვიზიტების 93.6 ათასზე მეტი შემთხვევა;
- გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის 1.9 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 19.5 ათასამდე ბენეფიციარი;
- სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის დროს კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 28 ბენეფიციარს, დაფიქსირდა 37 შემთხვევა.

1.2.2.9 ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 27 03 02 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- ჩანაცვლებითი თერაპიით მომსახურება გაეწია 14.5 ათასზე მეტ ბენეფიციარს, ხოლო სტაციონარული დეტოქსიკაციითა და რეაბილიტაციით ისარგებლა 624 პაციენტმა;
- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურებით ისარგებლა 152-მა პირმა;
- N2 და N8 პენიტენიურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 474 პირს, დაფიქსირდა 22.9 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.2.10 ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 03 02 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

- განხორციელდა თამბაქოს კონტროლის კომპონენტით განსაზღვრული აქტივობები: გაფორმდა ხელშეკრულებები კომპონენტის ფარგლებში თამბაქოსათვის თავის დანებების ცხელი ხაზის საკონსულტაციო სერვისისა და თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის განხორციელების მიზნით; რუტინულ რეჟიმში განხორციელდა თამბაქოსათვის თავის დანებების ცხელი ხაზის (116001) ფუნქციონირება;
- განხორციელდა სამუშაო შეხვედრები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი ცენტრების წარმომადგენელთათვის, რომლებიც ჩართულნი არიან თამბაქოს კონტროლის ობსერვაციის პროცესში; განხორციელდა მოწევის აკრძალვის მონიტორინგი; განხორციელდა ფსიქოლოგიური დახმარების პროფესიული სატელეფონო სერვისი; კომპონენტის ფარგლებში შპს სტუდია „პულსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მომზადდა და სატელემაუწყებლო ბადეში განთავსდა სხვადასხვა სახის სატელევიზიო პროდუქცია; საანგარიშო პერიოდი განხორციელდა მონიტორინგი სატრანსპორტო ერთეულებში თბილისში და რეგიონებში; უზრუნველყოფილია საგანმანათლებო და სოციალური მედიის ფორმატის მასალებზე მუშაობა ჯანმრთელეობის ხელშეწყობის სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხებზე.

1.2.2.11 C ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 02 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 5.0 ათასზე მეტმა პირმა;
- C ჰეპატიტის სკრინინგის ელექტრონულ ბაზაში, აღნიშნული და სხვა პროგრამებით C ჰეპატიტზე დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა სულ შეადგენს 366.4 ათასამდე ბენეფიციარს, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 3 879 (1,06%), მათ შორის:
  - ✓ C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში: ცენტრის ლაბორატორიებისა და გამსვლელი ბრიგადებით - 368 ბენეფიციარი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 8 (2,17 %); ამბულატორიული დაწესებულებების მიერ - 119.3 ათასზე მეტი ბენეფიციარი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 1647 (1,38%);
  - ✓ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამით - 19.9 ათასზე მეტი ორსული, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 112 (0,56%);
  - ✓ „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით - 48.2 ათასზე მეტი დონორი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 182 (0,38%);
  - ✓ სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 178.5 ათასზე მეტ ჰოსპიტალიზებულ პაციენტს, მათ შორის საეჭვო დადებითი შედეგი გამოვლინდა 1 930 შემთხვევაში (1,08%).

1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 27 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.
- ✓ ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი;
- ✓ ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი ??

- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია ინტეგრირებული სამედიცინო სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ღონისძიებები, სამედიცინო მომსახურების შედეგიანობისა და ხარჯთ-ეფექტურობის გაზრდა; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; ძვირადღირებული სამედიცინო დანახარჯების ფინანსური რისკებისგან მოსახლეობის დაცვა; გადამდები და არაგადამდები დაავადებების ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება; მოსახლეობის სპეციფიკური სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ახალი კორონავირუსული დაავადების – COVID-19-ის მართვა.

1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 27 03 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- სათემო ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 19.8 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა;
- ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა 54 ბენეფიციარს;
- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ფარგლებში მომსახურება გაიარა 168 ბენეფიციარმა;
- ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია განხორციელდა 272 ბენეფიციართან;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურებით ისარგებლა - 1 190 ბენეფიციარმა;
- ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურების კომპონენტით ისარგებლა - 3.7 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა;
- ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 137 ბენეფიციარს.

1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით ისარგებლა 1.3 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა, ხოლო სპეციალიზებული აბულატორიული დახმარების კომპონენტით - 1.4 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა.

1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 27 03 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 4.0 ათასზე მეტი შემთხვევა და პროგრამით ისარგებლა 100-მა ბენეფიციარმა.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 27 03 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო 3.2 ათასამდე პაციენტი; სულ დაფიქსირდა ჰემოდიალიზის 193.3 ათასზე მეტი შემთხვევა (3 004 ბენეფიციარი), პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფის 427 შემთხვევა (84 ბენეფიციარი);
- ჩატარდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 11 შემთხვევა.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 27 03 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 5.2 ათასზე მეტი შემთხვევა, 276 პაციენტს გაეწია შესაბამისი მომსახურება;
- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 17.4 ათასზე მეტი საწოლ-დღე, მომსახურება გაეწია 936 პაციენტს.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 27 03 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

- ამბულატორიული მომსახურება გაეწია 118 ბავშვს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 320 ბავშვს (335 შემთხვევა);
- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 227 პაციენტს, დაფიქსირდა 1 235 შემთხვევა.

1.2.3.7 პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 03 03 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო;
- ✓ ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

- მთელი საქართველოს მასშტაბით, ცენტრის მართვაში არსებული 316 ბრიგადის მეშვეობით განხორციელდა 576.0 ათასამდე გამოძახების შესრულება;
- სამთო-სათხილამურო სეზონთან დაკავშირებით მოხდა დაბა ყაზბეგში (გუდაური)- 2 ბრიგადის, ბორჯომში (ბაკურიანი) -2 ბრიგადის, მესტიაში (თეთნულდი) - 1 ბრიგადის, ხოლო ხულოში (კურორტი გოდერძი) კი -1 ბრიგადის დამატება;
- ცენტრის მართვაში არსებულ, ეროვნულ სასწავლო ცენტრში გადამზადება გაიარა 239 მსმენელმა (აქედან 229 ცენტრის თანამშრომელი), საიდანაც გადამზადებულ ექიმთა რაოდენობამ 70, ექთნების 70, ხოლო მძღოლების 99 ერთეული შეადგინა;
- საანგარიშო პერიოდში გამოძახებათა რაოდენობამ შეადგინა 10 740-მდე, აქედან ცენტრის მართვაში არსებული მუდმივი 21 (1 რეზერვი) ბრიგადის მეშვეობით განხორციელდა 5 854 - მდე გამოძახება;
- 1205 სოფლის ექიმისა და 1440 სოფლის ექთნის მიერ სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, რიგი ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა);
- სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდების კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 15.5 ათასზე მეტი შემთხვევა;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება (ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო სამედიცინო დახმარება) გაეწია 3 565 პირს.

1.2.3.8 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 27 03 03 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო
- ✓ ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 7.9 ათასზე მეტი შემთხვევა, მომსახურება გაეწია 6.4 ათასზე მეტ პაციენტს.

1.2.3.9 თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 27 03 03 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

- პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 5.3 ათასზე მეტი გამოკვლევა. მათ შორის, ამბულატორიული კომპონენტით ისარგებლა 5.3 ათასამდე ბენეფიციარმა, ხოლო დამატებითი კვლევების კომპონენტით 326 პირმა.

1.2.3.10 ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა (პროგრამული კოდი 27 03 03 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.
- ✓ ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი;

- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის სპეცაღჭურვილობის, სხვადასხვა სამედიცინო სახარჯი მასალის, კარტრიჯების, ტესტსისტემებისა და სამედიცინო დანიშნულების/ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვა, ასევე, საკოორდინაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის საჭირო საშუალებების (მ.შ. სწრაფი მარტივი ტესტები) და/ან მომსახურების შესყიდვა. აგრეთვე ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის ცენტრის მიერ შესყიდული ან/და გადაცემული/მიღებული საქონლის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, კერძოდ, ტესტების (მათ შორის, ცენტრალიზებულად შესყიდული) შესაბამის დაწესებულებებზე გადაცემა და განაწილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებზე;
- საანგარიშგებო პერიოდში სულ ჩატარებულია 1.4 მლნამდე PCR კვლევა და 3.4 მლნზე მეტი სწრაფი-მარტივი ტესტირება ანტიგენით. დადებითობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 15%-ს;
- საკარანტინე სივრცეების სასტუმრო მომსახურება გაეწია 10 669 ბენეფიციარს;
- განხორციელდა COVID-19-ის სამკურნალო ანტივირუსული მედიკამენტი „პაქსლოვიდის“ შესყიდვა;
- შესყიდული და გადაცემული იქნა სხვადასხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 27 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

- განხორციელდა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებისა და მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში საექიმო სპეციალობების მაძიებელთა დიპლომისშემდგომი განათლების დაფინანსება. აღნიშნულ კომპონენტში ჩართულია 17 მაძიებელი;

- პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში („პათოლოგიური ანატომია (კლინიკური პათოლოგია)“, „ფსიქიატრია“, „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“, „ბავშვთა ფთიზიატრია-პულმონოლოგია“) საექიმო სპეციალობის 19 მაძიებელი დაფინანსდა.

1.3. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- ✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;
- ✓ სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო;
- ✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ-ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო.

- უზრუნველყოფილია მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე, დევნილთა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტთა) სოციალური დაცვისა და განსახლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია;
- მომზადდა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელი აქტები და მიმდინარეობდა მათი ზედამხედველობა;
- ხგანხორციელდა სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი და სამკურნალო საშუალებების ხარისხსა და მიმოქცევაზე და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა;
- უზრუნველყოფილია სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების გასაუმჯობესებლად განხორციელდა სერვისების განვითარება/სრულყოფა;
- უზრუნველყოფილია საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება;
- უზრუნველყოფილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა და დახმარება/მხარდაჭერა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა/ბავშვთა მოვლა-პატრონობა გრძელვადიან პერიოდში;
- უზრუნველყოფილია საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა;

- უზრუნველყოფილია ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების მართვა, შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის თაობაზე შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება;
- უზრუნველყოფილია ქვეყანაში შრომის ბაზრის პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების მართვა;
- განხორციელდა საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა;
- უზრუნველყოფილია შრომის კანონმდებლობის, შრომის უსაფრთხოების ნორმების, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის(ტრეფიკინგი) გამოვლენის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტური აღსრულების ზედამხედველობა და მენეჯმენტი;
- განხორციელდა შრომითი კოდექსის შესაბამისად შრომითი უფლებების, მ.შ. დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების აკრძალვის, გენდერული თანასწორობის და იძულებითი შრომითი ექსპლუატაციის პრევენცია;
- უზრუნველყოფილია იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- განხორციელდა სამინისტროს სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო საინფორმაციო სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი საიმედო და ეფექტური მუშაობის და განვითარების უზრუნველყოფა.

1.3.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

- უზრუნველყოფილია მოსახლეობის შრომისა და დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია, შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების მართვა, აგრეთვე დევნილთა, ეკომიგრანტთა სოციალური დაცვისა და განსახლების, საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის ხელშეწყობისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- უზრუნველყოფილი ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების მართვა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება.

1.3.2 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 27 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო;

- მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან, შემოსულია 729 წერილი/კორესპონდენცია, მათ შორის 135 - პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესასწავლად. საანგარიშო პერიოდში დასრულდა 173 საკითხის შესწავლა/განხილვა. ზემოაღნიშნული 173 საკითხიდან, 68 არის პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა;
- 12 სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა სახელმწიფო პროგრამების შემოწმება (რევიზია/კონტროლი);
- 42 სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტირებასთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული საერთო მოთხოვნების შესრულების, ასევე, ბიოლოგიური მასალის ნიმუშების სხვა დაწესებულებაში გაგზავნის მიზნით აღება/ჩაბარების და ადგილზე „იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკის“ სერვისის მიწოდების შემთხვევაში ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შემოწმება;
- 55 სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა მოთხოვნების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება (სანებართვო პირობების დანართი 21-ის 22-ე პუნქტის მოთხოვნების დარღვევა);
- 23 სტომატოლოგიურ დაწესებულებაში, გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურების დაწყების თაობაზე შემოსული შეტყობინებების საფუძველზე, განხორციელდა ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების დაცვის მდგომარეობის მონიტორინგი;
- 1 სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შემოწმება;
- 53 სამედიცინო დაწესებულებაში - ნოზოკომიური ინფექციების აღრიცხვის, მართვის, ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი, საერთო და დამატებითი სანებართვო პირობების შემოწმება;
- 3 სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარდა სანებართვო პირობების შემოწმება;
- 57 სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარდა ფუნქციონირების ჰიბრიდულ რეჟიმში გადასვლასთან დაკავშირებით აუცილებელი პირობების დაცვის მდგომარეობის შემოწმება;
- 1 შემთხვევაში განხორციელდა ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით აცრის მომსახურების მისაწოდებლად აუცილებელი, შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული, პირობების დაცვის მდგომარეობის მონიტორინგი;
- 6 სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა მაღალი რისკის შემცველი საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის პირობების დაცვის მდგომარეობის შემოწმება (აქედან, 3-ლაბორატორია, 3-სტომატოლოგიური დაწესებულება);
- 3 სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელდა მაღალი რისკის შემცველი საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის პირობების დაცვის მდგომარეობის გადამოწმება (აქედან, 2 - ამბულატორიული და 1-სტომატოლოგიური დაწესებულება);
- სასამართლო პროცესი ჩატარდა 666 საქმეზე (მათ შორის: დასრულებული - 612, მიმდინარე - 54).
- გაიცა - სტაციონარული დაწესებულების ნებართვა - 2 დაწესებულებაზე, სტაციონარული დაწესებულების ნებართვის დანართები - 30 დაწესებულებაზე, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია - 3 დაწესებულებაზე, სტაციონარული დაწესებულების დროებითი საქმიანობის ნებართვა - 4 დაწესებულებაზე, სანებართვო მოწმობის და სენებართვო მოწმობის დანართის დუბლიკატი 1 დაწესებულებაზე;
- უარი ეთქვა: სტაციონარული დაწესებულების ნებართვისა და ნებართვის დანართების გაცემაზე - 3 დაწესებულებას, ნებართვის დანართების გაცემაზე - 9 დაწესებულებას,

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის დანართის გაცემაზე - 1 დაწესებულებას, დოკუმენტური უარი ეთქვა პერინატალური რეგიონალიზაციის დონის მინიჭებაზე - 3 დაწესებულებას;

- ძალადაკარგულად გამოცხადდა: 1 დაწესებულების ნებართვის დანართები, 3 დაწესებულების ნებართვის დანართები, 4 დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია;
- დარეგისტრირდა 1732 (სულ შემოსულია 2145) შეტყობინება ამბულატორიული ტიპის დაწესებულებების მაღალი რისკის შემცველი საქმიანობების განხორციელების თაობაზე;
- 24 სასწავლებელს/დაწესებულებას მიენიჭა აკრედიტაცია დიპლომისშემდგომ მზადებაზე 28 სარეზიდენტო პროგრამაში; 6 სასწავლებელს/დაწესებულებას მიენიჭა აკრედიტაცია 6 სუბსპეციალობის პროგრამაში; 2 დაწესებულებას მიენიჭა აკრედიტაცია 2 გადამზადების პროგრამაში; 6 აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში განხორციელდა კვოტის ცვლილება 8 სარეზიდენტო პროგრამაში;
- უარი ეთქვა: 1 აკრედიტებულ დაწესებულებას აფილირებული დაწესებულების დამატებაზე 2 სუბსპეციალობის პროგრამაში;
- ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვებულ იქნა 1208 და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე 839 მაძიებელი.
- კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, უგამოცდოდ, სახელმწიფო სერტიფიკატი მიენიჭა 22 ექიმს. სუბსპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება მიენიჭა 147 სპეციალისტს, სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოწვეულ - 77 უცხო ქვეყნის სპეციალისტს;
- აკრედიტაცია მიენიჭა, უწყვეტი სამედიცინო განათლების 32 პროგრამას და 6 კონფერენციას;
- განხორციელდა ფარმაცევტული საქმიანობის კონტროლის 1122 ღონისძიება, მათ შორის: 1028 შემთხვევაში გამოვლინდა სამართალდარღვევის ფაქტები, რაზედაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, 94 შემთხვევაში სამართალდარღვევის ფაქტები არ დაფიქსირებულა;
- ,,სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროგრამით“, საცალო რეალიზაციის რგოლის 67 დაწესებულებაში შესყიდულ იქნა 68 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი;
- განხორციელდა 13 საბითუმო რეალიზატორისა (საბითუმო დისტრიბუტორის) და 1 ფარმაცევტული წარმოების GMP/GDP ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგების საფუძველზე გაიცა 1 ნაციონალურ GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატი, 8 საბითუმო დისტრიბუტორის GDP (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატი და 5 ნაციონალურ GDP (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სტანდარტთან შეუსაბამობის გადაწყვეტილების ფორმა;
- საანგარიშო პერიოდში, მომზადდა და გაიცა 283 წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი, მათ შორის ნარკოტიკულ საშუალებების იმპორტზე - 43, ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე - 89, ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე - 4, პრეკურსორების იმპორტზე - 147. 10 ქვეყნის (გერმანია, საბერძნეთი, ესპანეთი, პოლონეთი, ლიეტუვა, შვეიცარია, თურქეთი, თურქმენეთი, ლატვია, უნგრეთი) კომპეტენტურ ორგანოს გადაეგზავნა 67 დადასტურების დოკუმენტი, ფაქტობრივად იმპორტირებული და ექსპორტირებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სახეობისა და რაოდენობის შესახებ;
- პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ბრუნვის სფეროში სავალდებულო ინფორმაციის მოუწოდებლობასთან დაკავშირებით, გაფორმდა 73 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის, პირველი ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოდან გატანის მიზნით გაიცა 193 დოკუმენტი, „პრეკურსორების იმპორტის ან ექსპორტის განმახორციელებელ პირთა რეესტრში“ დარეგისტრიდა 2 იურიდიული პირი;
- აღიარებითი რეჟიმით უწყებრივ რეესტრში პროაქტიულად შეტანილია 296 ფარმაცევტული პროდუქტი;

- აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაცია: ფარმაცევტული პროდუქტები - 156, სტომატოლოგიური მასალები - 100, სადიაგნოსტიკო საშუალებები - 217;
- ეროვნული რეჟიმით (შერჩევითი წინასწარი კონტროლი) რეგისტრაცია: ფარმაცევტული პროდუქტები - 5;
- ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვა: ინოვაციური პროდუქტები - 18, ფარმაცევტული პროდუქტები - 214, პარასამკურნალო საშუალებები - 2, ბად-ები - 5, სტომატოლოგიური მასალები - 21, სადიაგნოსტიკო საშუალებები - 24;
- ეროვნული რეჟიმით ხელახალი რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვა: ინოვაციური პროდუქტები - 49, ფარმაცევტული პროდუქტები - 647, სისხლის პრეპარატები - 1, იმუნობიოლოგიური პრეპარატები - 5, რადიოფარმაცევტული საშუალებები - 5, პარასამკურნალო საშუალებები - 15, ბად-ები - 2, სტომატოლოგიური მასალები - 6, სადიაგნოსტიკო საშუალებები - 4;
- ეროვნული რეჟიმით II და I რიგის ნომრიანი ცვლილების რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვა: ინოვაციური პროდუქტები - 7, ფარმაცევტული პროდუქტები - 124, იმუნობიოლოგიური პრეპარატები - 6, პარასამკურნალო საშუალებები - 1, ბად-ები-2;
- ეროვნული რეჟიმით II და I რიგის უნომრო ცვლილების რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვა: ინოვაციური პროდუქტები - 144, ფარმაცევტული პროდუქტები - 791, იმუნობიოლოგიური პრეპარატები - 17, პარასამკურნალო საშუალებები - 4, ბად-ები-2, ჰომეოპათიური (კომპლემენტარული) საშუალებები - 4, სტომატოლოგიური მასალები - 20, სადიაგნოსტიკო საშუალებები - 1;
- განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით პირველად შემოტანის შეტყობინება: ფარმაცევტული პროდუქტები - 389, სტომატოლოგიური მასალები - 727, სადიაგნოსტიკო საშუალება - 3;
- უარი ეთქვა აღიარებითი რეჟიმით რეგისტრაციაზე: ფარმაცევტული პროდუქტები - 12, სტომატოლოგიური მასალები - 2, სადიაგნოსტიკო საშუალებები - 4;
- უარი ეთქვა ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვაზე: ინოვაციური პროდუქტები - 12, ფარმაცევტული პროდუქტები - 65, პარასამკურნალო საშუალებები - 3, სტომატოლოგიური მასალები - 1, სადიაგნოსტიკო საშუალებები - 2;
- უარი ეთქვა ეროვნული რეჟიმით ხელახალ რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვაზე: ფარმაცევტული პროდუქტები - 10, ინოვაციური პროდუქტები - 2;
- შეჩერებულია ფარმაცევტული პროდუქტების რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვა, შეჩერების მიზეზის აღმოფხვრამდე: ფარმაცევტული პროდუქტები - 15, პარასამკურნალო საშუალებები - 16;
- გაუქმებულია ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია/რეგისტრაცია-აღნუსხვა: ინოვაციური პროდუქტები - 3, ფარმაცევტული პროდუქტები - 3, იმუნობიოლოგიური პრეპარატები - 1;
- გაცემულია გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია (Emergency Use Authorization) – 2;
- გაცემულია იმპორტის ნებართვა (Import Permit) – 2;
- იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენების (იშგამ-ები) შესახებ შეტყობინება - 325;
- სამკურნალო საშუალების გვერდითი მოვლენების შესახებ შეტყობინება - 15;
- ავტორიზებულ აფთიაქზე და ფარმაცევტულ წარმოებაზე გაცემულია სულ 6 სანებართვო მოწმობა, აქედან: ფარმაცევტული წარმოების საქმიანობის შეიმცირება - 1; ავტორიზებული აფთიაქის საქმიანობის შეიმცირება - 1; ავტორიზებული აფთიაქის მისამართის შეცვლა - 2; ავტორიზებული აფთიაქის ახალი ნებართვა - 1; ავტორიზებული აფთიაქის სახელწოდების შეცვლა - 1;
- გაუქმდა 25 ფარმაცევტული დაწესებულება, აქედან: ავტორიზებული აფთიაქი - 22; ფარმაცევტული წარმოება - 3;

- შეტყობინების საფუძველზე რეალიზაციის უფლება მიეცა 262 აფთიაქს, აქედან: აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი) – 231; საბითუმო რეალიზაცია - 18; საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი - 13;
- შეტყობინების საფუძველზე რეალიზაცია შეწყვიტა 284 ფარმაცევტულმა დაწესებულებამ, აქედან: აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი) – 241; საბითუმო რეალიზაცია - 31; საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი - 12;
- გაუქმდა 8 ფარმაცევტული დაწესებულება, აქედან: ავტორიზებული აფთიაქი - 8; ფარმაცევტული წარმოება - 0;
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტზე გაცემულია 113 ნებართვა;
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტზე გაცემულია 3 ნებართვა;
- უარი ეთქვა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის 1 ნებართვის გაცემას;
- გაიცა ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის ნებართვა (საერთაშორისო კვლევებზე) – 21;
- ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის ნებართვის დანართის ცვლილება (საერთაშორისო კვლევებზე) - 45;
- უარი ეთქვა, ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის, 6 ნებართვის გაცემას.
- სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებში, 493 ფარმაცევტულ დაწესებულებაში განხორციელდა 500 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა.

1.3.3 დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 27 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;

- განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- მიმდინარეობდა ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- განხორციელდა ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მიმდინარეობდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;
- ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის, შესაბამისი ბიოლოგიური მასალის აღების, შენახვისა და ტრანსპორტირების, ასევე, COVID 19-ის დასადგენად ტესტირების ჩატარების ადმინისტრირება.

1.3.4 სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

- მიმდინარეობდა მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, უფრო მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანა;
- სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი და არაფულადი სახელმწიფო ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა და აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;
- „COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესის სოციალური მხარდაჭერის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 ნოემბრის N1960 განკარგულების შესაბამისად, 50 წლის და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეების COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრების დაფინანსებით უზრუნველყოფის ადმინისტრირება.

1.3.5 სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;

- მიმდინარეობდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ხელშეწყობა;
- მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების უზრუნველყოფა, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში გაშვილების მიზნებისათვის ცენტრალური მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციის უზრუნველყოფა;
- მიმდინარეობდა მეურვეობის, მზრუნველობის, მხარდაჭერის, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- ხორციელდებოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
  - მიმდინარეობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა.

1.3.6 საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;

- მიმდინარეობდა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობისათვის ყოველდღიურ რეჟიმში, ასევე სხვადასხვა სახის კატასტროფის, მათ შორის ეპიდემიისა და პანდემიების, საომარი მდგომარეობის დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისას სწრაფი და ხარისხიანი გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო და რეფერალური დახმარებისა და მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა/კოორდინირება;

- ხორციელდებოდა პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო ან/და სატრენინგო მომსახურების მიწოდების ადმინისტრირება, ცენტრის მართვაში არსებულ ეროვნულ სასწავლო ცენტრში გადამზადება წარმატებით გაიარა 239-მა მსმენელმა (აქედან 229 ცენტრის თანამშრომელია), საიდანაც გადამზადებულია 70 ექიმი, 70 ექთანი და 99 მძღოლი;
- მიმდინარეობდა ცენტრის მართვაში მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული რაიონული სამსახურების ბრიგადების მიერ მიღებული და შესრულებული გამოძახებების აღრიცხვა, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;
- განხორციელდა სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების აღრიცხვა და ანალიზი;
- 98 თანამშრომელს აუნაზღაურდა სადაზღვევო პრემია (საბაზისო პაკეტი).

1.3.7 დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 01 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

- განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემის ღონისძიებების ადმინისტრირება;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ოჯახების გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილი იქნა საცხოვრებელი სახლები და მენაშენეებისაგან ახლადაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ბინები;
- იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ ფულადი დახმარება;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა;
- მიმდინარეობდა სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა განსახლების ობიექტების შესწავლა/რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით - დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;
- 30 809 დევნილ მოქალაქეს გაეწია პირადი კონსულტაცია, გაიცა 2144 დევნილის მოწმობა/ბარათი და 933 ცნობა;
- დევნილის სტატუსი მიენიჭა 2 409 პირს (167 სრულწლოვანი, 2 242 არასრულწლოვანი) და სტატუსი აღუდგა 247 პირს. ამასთანავე, დევნილის სტატუსი შეუწყდა 1 503 პირს გარდაცვალების გამო და 42 პირს მოქალაქეობის შეწყვეტა/გასვლის გამო, ხოლო ჩამოერთვა და უარი ეთქვა 64 პირს;
- დევნილთა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მიერ შევსებული განაცხადების მონიტორინგის მიზნით განხორციელდა 4 468 ვიზიტი;
- განხორციელდა მიღებული 5 806 განაცხადების შეფასება/გადაფასება;
- 320 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა;
- ,,სოფლად სახლი”-ს პროგრამის ფარგლებში შეძენილია 1 195 საცხოვრებელი სახლი, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში შეძენილ იქნა 213 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის შეძენილ იქნა 176 საცხოვრებელი სახლი;
- 179 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით ახალაშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში;

- 400 დევნილ ოჯახს გაეწია საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარება, ხოლო 9 031 დევნილ ოჯახს ფულადი დახმარება;
- დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტში სარემონტო სამუშაოების შესყიდვა.

1.3.8 დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (პროგრამული კოდი 27 01 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო;

- მიმდინარეობდა უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიზნით შრომის ბაზრის სიღრმისეული ანალიზი როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის კუთხით; სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის მჭიდრო კოორდინაციის ხელშეწყობა; ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა კარიერული დაგეგმვის, მომზადებისა და გადამზადების კუთხით; პროფესიული გადამზადების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა; სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობა;
- განხორციელდა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება, შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე; საშუამავლო მომსახურების გაწევა/განვითარება; პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების დანერგვა და გაწევა მუნიციპალურ დონეზე; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობაში მონაწილეობა;
- მიმდინარეობდა სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის გზით.

1.3.9 ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 27 01 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო.

- განხორციელდა მოსახლეობის ჯანმრთლობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა; სერვისების განვითარება/სრულყოფა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების გასაუმჯობესებლად; ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) მართვის მიზნით, კლინიკებისა და მედპერსონალის შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფა.

1.3.10 ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფილი იქნა საინფორმაციო

სისტემების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინტეგრირებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა;

- განხორციელდა ონლაინ კლინიკების (1522) მიგრაცია და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. კოვიდ რეგულაციებიდან გამომდინარე ონლაინ ვიდეო კონფერენფიების ტექნიკური უზრუნველყოფა.“MoLHSA„ დომეინიდან თანამშრომლების “MOH“ დომეინში მიგრაცია, არსებულ სისტემებსა და მოდულებში განხორციელდა 400 - ზე მეტი ცვლილება;
- გაეშვა ახალი მოდული სისხლის დონორად მსურველ ბენეფიციართა რეგისტრაციისათვის; მოხდა პირველ და მეორე ჯგუფს დაქვემდებარებული ფორმა N3 და ფორმა N2 მედიკამენტების ელექტრონულ რეცეპტებზე გადასვლა; ასევე, ელექტრონული რეცეპტების გამოწერა ნაცვლად სავაჭრო დასახელებისა შეიცვალა და ხდება საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელებით, ე.წ.„ჯენერიკი“;
- გეგმიური ამბულატორიის მოდულში დაემატა Covid 19 შემთხვევების დისტანციურად მართვის აღრიცხვის მოდული; შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დროებითი მიზნობრივი დასაქმებისათვის შეიქმნა „საზოგადოებრივი სამუშაოების“ მოდული; გაეშვა თბილისის მერიის 500 ლარიანი მედიკამენტებით დაფინანსების მოდული;
- შესრულდა 19 000 - ზე მეტი მხარდაჭერის ამოცანა;
- შეიქმნა 20- ზე მეტი ახალი სერვისი;
- 30-მდე სერვერი გადავიდა ახალ სერვერულ გარემოში და გაუმჯობესდა მათი სერვერული მონაცემები და მდგრადობა;
- რეალურ რეჟიმში გაეშვა ახალი დოკუმენტ ბრუნვის სისტემა;
- მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზების მიგრაცია ძველი ინსტანსებიდან ახალზე, სრულად მიგრირებულია 80 ბაზა.

1.4. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 27 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;

- განხორციელდა წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის აღჭურვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის კორპუსის სარემონტო სამუშაოები;
- დასრულებულია შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ - ო. ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულების (ქუთაისი) ჟანგბადის ბალონების სასაწყობო ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
- დასრულებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის კორპუსის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
- განხორციელდა სს „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ საიჯარო, მიწია და ქონების გადასახადის გადახდა.

1.5 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 27 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო
- ✓ სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური.

- განხორციელდა www.worknet.gov.ge-დან სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, მონაცემთა ბაზების ფორმირება და ანგარიშის დამუშავება;
- საანგარიშო პერიოდში სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 3 145-მა სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის: თბილისი - 947, აჭარა - 105, გურია - 73, იმერეთი - 620, კახეთი - 295, მცხეთა-მთიანეთი - 154, რაჭა–ლეჩხუმი - 72, სამეგრელო–ზემო სვანეთი - 208, სამცხე–ჯავახეთი - 230, ქვემო–ქართლი - 243, შიდა–ქართლი -190, სხვა (მისამართის გარეშე) – 8;
- სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 1 912-მა სამუშაოს მაძიებელმა. (ქ. თბილისი - 767, აჭარა - 53, გურია - 74, იმერეთი - 368, კახეთი - 158, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 120, სამცხე-ჯავახეთი - 14, ქვემო ქართლი -128, შიდა ქართლი - 177, რაჭა-ლეჩხუმი - 36, მცხეთა-მთიანეთი - 17);
- 202-მა დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 5 291 თავისუფალი სამუშაო ადგილი;
- დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ 5 291 თავისუფალ სამუშაო ადგილზე საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 1 218 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, თბილისი - 573, აჭარა - 53, გურია - 49, იმერეთი - 272, კახეთი - 73, სამეგრელო ზემო სვანეთი - 26, სამცხე-ჯავახეთი - 6, ქვემო-ქართლი - 43, შიდა ქართლი - 90, რაჭა-ლეჩხუმი-15, მცხეთა-მთიანეთი - 18;
- მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა 148 შშმ პირს (მათ შორის ქალი-68) გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება. აქედან, თბილისი - 82, აჭარა - 12, იმერეთი - 18, კახეთი - 20, სამეგრელო ზემო სვანეთი -11, ქვემო ქართლი-3 და შიდა ქართლი - 2;
- დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებული იქნა 49 ვაკანსია;
- სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 1 დამსაქმებელი და 1 შშმ სამუშაოს მაძიებელი;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 5 დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 100-მდე დამსაქმებელმა და 700-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა;
- სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ განხორციელდა 1 657 (პირველადი და შემდგომი, დარღვევების აღმოფხვრამდე) ინსპექტირება 1 120 ობიექტზე;
- განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად სამსახურის მიერ ყველა ობიექტზე გაცემულ იქნა 9 088 მითითება. გაცემული მითითებები სრულად გაითვალისწინა 109 ობიექტმა. განხორციელებული ინსპექტირებები კი შეეხო 9 4253 დასაქმებულ პირს;
- განხორციელებული ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებულ იქნა - 82 ოქმი, ხოლო სასამართლოში გასაჩივრებულ იქნა - 15 ოქმი;
- სამსახურის ინიციატივით მომზადებულ და წარდგენილ იქნა 8 ნორმატიული აქტი;
- სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 2 024 სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის ქალი-1 386 (ქ. თბილისი - 769, აჭარა - 44, გურია - 38, იმერეთი - 379, კახეთი -141, სამეგრელო-ზემო-სვანეთი - 185, სამცხე-ჯავახეთი - 16, ქვემო ქართლი - 161, შიდა ქართლი - 227, რაჭა-ლეჩხუმი - 47, მცხეთა-მთიანეთი - 17);
- საკვანძო კომპეტენციების სასწავლო ქვეპროგრამებში სულ ჩაერთო 642 ბენეფიციარი (ქ. თბილისი - 215, აჭარა - 23, გურია - 25, იმერეთი - 170, კახეთი - 46, სამეგრელო-ზემო-სვანეთი - 31, ქვემო ქართლი-54 , შიდა ქართლი - 54, რაჭა–ლეჩხუმ–ქვემო სვანეთი -9). დაასრულა კურსი 96-მა მაძიებელმა (ქ. თბილისი - 28, აჭარა-7, გურია-5, იმერეთი - 22, კახეთი -4, სამეგრელო-ზემო-სვანეთი-6, ქვემო ქართლი-10 , შიდა ქართლი - 14);

- საანგარიშო პერიოდში, ხელშეკრულება გაუფორმდა 27 ორგანიზაციას, 10 სახელმწიფო და 17 კერძო სასწავლებელი (თბილისი14, რეგიონი-13);
- სასწავლო პროცესში, 52 მოთხოვნად პროფესიაზე, ჩაერთო 1 264 მოსარგებლე. მათ შორის, ქალი - 863. (ქ. თბილისი - 659, გურია - 40, იმერეთი - 130, კახეთი - 141, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 138, ქვემო ქართლი - 121, შიდა ქართლი - 35). მათ შორის 863 ქალი;
- საანგარიშო პერიოდში, სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 18 დამსაქმებელი (თბილისი - 1 და რეგიონები - 17) და 159 სტაჟიორი. მათ შორის, ქალი - 140 (ქ. თბილისი - 1, გურია - 6, იმერეთი - 124, კახეთი - 3, რაჭა-ლეჩხუმი - 20, ქვემო ქართლი - 1, შიდა ქართლი - 4);
- დასაქმების პროგრამაში ჩართულ დამსაქმებელ ორგანიზაციებს 11 პოზიციაზე წარმოდგენილი აქვთ 56 ვაკანტური ადგილი;
- საანგარიშო პერიოდში დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე) რეგისტრირებულია 393 მომწოდებლის მიერ მოწოდებული 23 702 ვაკანტური ადგილი. საქართველოს მასშტაბით, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამასთან დაკავშირებით, დასაქმების სააგენტოს მიმართა 42 906-მა მოქალაქემ, საიდანაც 18 340 გადამისამართდა კონკრეტულ ვაკანსიაზე, სოციალური ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 12 52 პროგრამის მოსარგებლესთან, მათ შორის: 922 ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-ებშია გაფორმებული, ხოლო 11 630 ხელშეკრულება, ადგილობრივ თვითმმართველობებში გაფორმდა. (თბილისი - 130, იმერეთი - 1948, კახეთი -1852, ქვემო ქართლი - 441, შიდა ქართლი - 260, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 2060, აჭარა - 1023, სამცხე-ჯავახეთი - 659, მცხეთა-მთიანეთი - 496, გურია - 1731, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 1030).

1.6 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა, სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა - 33 288 ვიზიტი, სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია - 2 792 პაციენტს, ჩატარდა - 6 448 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა - 1 863 პროცედურა, ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა - 7 939 პროცედურა, რენტგენოლოგიის კაბინეტში - 7 714 პროცედურა, ჩატარდა - 50 028 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი, საინექციო კაბინეტში განხორციელდა - 575 პროცედურა, მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა - 734 სამკურნალო პროცედურა, ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა - 2 020 პირმა, 390 წვევამდელმა და 81 სამოქალაქო პირმა;

- ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებში ჩართული სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა შესაბამისი სამედიცინო სახარჯი მასალა (ერთჯერადი სამედიცინო პირბადე - 2 800 000 ცალი; ერთჯერადი ხელთათმანი - 450 000 ცალი, კომბინიზონი 5 000 ცალი).

1.7 ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 39 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი

- სოლიდარობის ფონდმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ონკოლოგიური და სისხლმბადი სისტემის დაავადების მქონე 22 წლამდე ასაკის 62 ახალგაზრდას და ბავშვს (მათ შორის 15 ახალი ბენეფიციარი). სულ დაფინანსდა 106 სამედიცინო სერვისი.
- განხორციელდა 400-ზე მეტი საჯარო უწყების 100 000-ზე მეტი თანამშრომლის ყოველთვიური ინდივიდუალური დონაცია და ასევე კერძო სექტორთან თანამშრომლობითი მემორანდუმების ფარგლებში დონაციები.

1.8 ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 24 20)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

- სავალდებულო კარანტინის ფარგლებში განახორციელდა 10 669 პირის განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან, დასუფთავებასთან, უსაფრთხოებასა და საკარანტინო პერიოდში შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები;
- „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულების საფუძველზე, განახორციელდა 2022 წლის 1 თებერვლიდან - 23 თებერვლის ჩათვლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული 555 უკრაინელი მოქალაქის განთავსებასთან, ტრანსპორტირებასთან და კვებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.1 საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები

- საანგარიშო პერიოდში თბილისის პოლიციის დეპარტამენტში თანამდებობაზე დაინიშნა 78 მართლწესრიგის ოფიცერი, განხორციელდა 41 მართლწესრიგის ოფიცრის თანამდებობრივი დაწინაურება და მართლწესრიგის უფროსი ოფიცრების თანამდებობაზე დანიშვნა

(მართლწესრიგის ოფიცრის და მართლწესრიგის უფროსი ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 350-ს, რომელთაგან 223 არის მართლწესრიგის ოფიცერი, ხოლო 127 - მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი);

- დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: დროებითი მოთავსების იზოლატორებისთვის შესყიდულ იქნა 5 ერთეული კომპიუტერი;
- დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ 2 უცხოელს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გაეწია სამედიცინო მომსახურება.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, 2 უცხოელისთვის განხორციელდა სამგზავრო ავია-ბილეთის შეძენა და მისი წარმოშობის ქვეყანაში იძულებითი დაბრუნება;
- საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა აკრედიტაციის ყოველწლიური შეფასება და შეინარჩუნა ექსპერტიზის ლაბორატორიების აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მიხედვით. კერძოდ, აკრედიტაცია შეინარჩუნა შემდეგმა 8 ლაბორატორიამ: თბილისის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია, ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია, დოკუმენტების ტექნიკური და გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორია, ბალისტიკური ექსპერტიზის ლაბორატორია, გორის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია, ახალციხის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია, ბათუმის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია და დოკუმენტების ტექნიკური და გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორია;
- 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამინისტროს მასშტაბით კავშირგაბმულობის სისტემის „Dimetra”-ს განახლების და მხარდაჭერის მომსახურების (ვადაგაგრძელებული საგარანტიო მომსახურება) პროცესი;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის შეხვედრები და ვიზიტები;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა:
    - ✓ თბილისში, ქიზიყის ქ. N5-ში მდებარე შენობა N15(1)-ის და N28(1) სადემონტაჟო და ახალი სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოები;
    - ✓ ბათუმში, ადლიას ქუჩა N112-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულების სამუშაოები;
    - ✓ კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა:
    - ✓ თბილისში, პოლიციის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა (ყაზარმა) N2(3) და შენობა (სპორტდარბაზი) N6(2)-ს სარემონტო სამუშაოები;
    - ✓ გორში, მშვიდობის გამზირზე მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობა N 01-ის საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის მოწყობის სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.
    - ✓ თბილისში, გახოკიძის ქ.N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობა N01(2)-ის და სოფელ მარტყოფში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობა N02(2)-ის სარემონტო სამუშაოები;
    - ✓ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები, ტერიტორიის კეთილმოწყობის და თბილისში ავჭალის

ქუჩა N7-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის შენობის მოწყობის სამუშაოები;

- ✓ ადიგენის რ/ნი სოფელ აბასთუმანში მდებარე მიწის ნაკვეთზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ადმინისტრაციული შენობის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის დასრულების სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ გარდაბანში, სოფელ კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფისთვის: ყაზარმის, სასადილოს, სპორტდარბაზის, გამშვები პუნქტის, ავტოფარდულის, სამი ცალი ცალკე მდგომი სველი წერტილის შენობის, საქვაბის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის დასრულების სამუშაოები;
- ✓ ახმეტის რაიონის სოფელ ძიბახევში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის შესასვლელის ლითონის კარკასზე ლამექსის მინის გადახურვის მოწყობის და შიდა ტერიტორიაზე შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტისთვის ორი ერთეული საგუშაგო ჯიხურის სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები და მუხაესტატეს პოლიციის განყოფილების შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- ✓ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები, ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ✓ სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ზესტაფონის რ/ს და თერჯოლის რ/ს ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ✓ იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის რაიონული სამმართველოსა და ქუთაისის სამმართველოს N3 და N6 პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ✓ გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:
  - ✓ თბილისში, ავჭალის ქუჩა N7-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის ტერიტორიაზე ავტოსამრეცხაოს მშენებლობის, არსებული შენობა N02(2) მიმდებარედ მიწისქვეშა დრენაჟის მოწყობის და ტერიტორიაზე არსებული მინის ჯიხურის გადატანის სამუშაოები;
  - ✓ თბილისში, პოლიციის ქ. N10-ში შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა N2(3)-ის სარემონტო სამუშაოები;
  - ✓ თბილისში, გულუას ქ. N10-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა N01(10)-ის სარემონტო სამუშაოები;
  - ✓ თბილისში, პოლიციის ქ. N10-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შსს განსაკუთრებულ დავალებთა დეპარტამენტის I სამმართველოს ტერიტორიაზე შენობა N25(1)-ს, N15(1)-ს და N2(3)-ს სარემონტო სამუშაოები;

- ✓ თბილისში, გულუას ქ. N10-ში მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა N01(10)-ში არსებული სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები;
- ✓ თბილისში, ქიზიყის ქ. N1-ში მდებარე, შენობა-ნაგებობა N24(1)-ის საფეხბურთო მოედანის, თბილისში პოლიციის ქ. N10-ში მდებარე შენობა N46(1)-ის საფეხბურთო მოედანის და გორის მუნიციპალიტეტის კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საფეხბურთო მოედნის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადნინისტრაციული შენობის ღია დეკორაციული აუზის და ავტომობილის პანდუსის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილების ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- ✓ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რ/ს ჩაქვის პოლიციის განყოფილების შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- ✓ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს
- ✓ პოლიციის I, V სამმართველოს და ისანი სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის VIII სამმართველოს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები;
- ✓ მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მუხრანის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ ქვემო-ქართლის პოლიციის დეპარტამენტის შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (რუსთავის რ/ს 2-ე განყოფილება, გარდაბნის რ/ს თელეთის განყოფილება, გარდაბნის რ/ს გაჩიანის განყოფილება, ბოლნისის რ/ს თამარისის განყოფილება, ბოლნისის რ/ს კაზრეთის განყოფილება, თეთრიწყაროს რ/ს კოდის განყოფილება);
- ✓ შიდა-ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხიდისთავის და ტყვიავის პოლიციის განყოფილების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ✓ კახეთის პოლიციის დეპარტამენტის იორმუღანლოს პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ კახეთის პოლიციის დეპარტამენტის წნორის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს სუფსის პოლიციის განყოფილების შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2 თავდაცვის მართვა (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა შემდეგი დოკუმენტები: „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2022-2025“; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა 2023-2026“; „თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის“ და „თავდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და საჭიროებების უზრუნველყოფის თაობაზე“;

- „10-წლიანი ეროვნული განვითარების სტრატეგიის“ შემუშავების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, დაიხვეწა ლოგიკური ჩარჩო და სიტუაციური ანალიზის დოკუმენტები;
- „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ განახლებული პროექტი გადაეგზავნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატს;
- აშშ-ის მხარესთან თანამშრომლობით დამტკიცდა „საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივის (GDDEI) ორმხრივი კონცეფცია 2022-2027“;
- ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოსთან თანამშრომლობით (DTRA), განხორციელდა აღჭურვილობის გადმოცემა და ტრენინგების ჩატარება;
- თავდაცვის რესურსების მართვის საკითხებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ-ების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „თავდაცვის რესურსების მართვა“;
- ჩატარდა სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისთვის გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის შესახებ ცნობიერების ამაღლების სემინარები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები; ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (European Union CSDP Military Training Mission in the Central African Republic - EUTM RCA) გადასროლისწინა მომზადების ფარგლებში მონაწილე ეროვნული გვარდიის 35 სამხედრო მოსამსახურე გადამზადდა თემაზე „გენდერი სამშვიდობო ოპერაციებში“ და „ტრეფიკინგი სამშვიდობო ოპერაციებში“; ასევე, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში, სერჟანტთა საწყის სამეთაურო მომზადების პროგრამაზე, გენდერული თანასწორობის თემატიკაზე გადამზადდა 112 სერჟანტი;
- საანაგარიშო პერიოდში, ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მაღალი დონის 6 ვიზიტი საზღვარგარეთ და 8 ვიზიტი საქართველოში;
- ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მაღალი დონის 2 ვიზიტი საზღვარგარეთ და 3 ვიზიტი საქართველოში;
- პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა 8 მაღალი დონის ვიზიტი საზღვარგარეთ და 10 მაღალი დონის ვიზიტი საქართველოში;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით სამხედრო თემებზე და ჯარში არსებულ მიმდინარე მოვლენებზე მომზადდა და მედიასაშუალებებით გაშუქდა სხვადასხვა მასალა.

2.3 ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული პროცედურები, გაფორმდა ხელშეკრულებები (საწვავ-საპოხი მასალები, სანივთე ქონება და აღჭურვილობა, სამეურნეო საქონელი, კვებითი უზრუნველყოფა, ტექნიკური და სხვადასხვა მომსახურებები, ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და სხვა), ქვედანაყოფების ლოჯისტიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;

2.4 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახური

- პენიტენციური სისტემის სრულყოფისათვის და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით გაგრძელდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

2.4.1 პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახური

- პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით შემთხვევის მართვის მეთოდოლოგიით მუშაობა მიმდინარეობდა 710 ბენეფიციართან;
- პენიტენციურ სისტემაში შენარჩუნებული იქნა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კვებითი მომსახურება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და იმ სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა და პენიტენციურის სისტემის თანამშრომელთა 100%-თვის, რომელთაც ეკუთვნით სასურსათო უზრუნველყოფა;
- პენიტენციურ სისტემაში თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% (რომელთაც ეკუთვნით კანონის გათვალისწინებით) უზრუნველყოფილი იქნა სამედიცინო დაზღვევით მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით;
- ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციის მიზნით შეძენილი იქნა ერთჯერადი პირბადეები, ხალათები და ქუდები, სამედიცინო ხელთათმანები, ასევე, დეზობარიერების სადეზინფექციო ხალიჩები.

2.4.2 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახური

- მიმდინარეობდა პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო პუნქტების/ნაწილების მომარაგება მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით;
- ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა 21 268 სკრინინგი;
- „DOTS“ და „DOTS+“ მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 12 ახალი პაციენტი;
- აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა 5 529 სკრინინგი, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია. აივ-ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში 6 ახალი პაციენტი ჩაერთო;
- C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ჩაუტარდათ 5 454 სკრინინგი. მკურნალობაში ჩაერთო 153 პირი;
- სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მიერ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს გაეწიათ 17 977 კონსულტაცია;
- ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა 2 309-ჯერ ისარგებლეს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით სამოქალაქო სექტორის კლინიკებში. პენიტენციური სისტემის სამკურნალო დაწესებულებებში, ჯამში, განხორციელდა 956 რეფერალი.

2.4.3 პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სპეციალური პენიტენციური სამსახური

- პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით მიმდინარეობდა:
  - ✓ დაბა ლაითურის პენიტენციური დაწესებულების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები;
  - ✓ დაბა ლაითურში მშენებარე პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ჯიხურების და ტრანსფორმატორების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ერთი დაწესებულების ტერიტორიაზე 27 სასეირნო სივრცის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
  - ✓ 7 ერთეული მსუბუქი, 21 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი და 1 სატვირთო ავტომობილის შესყიდვა;
  - ✓ ვიდეო-სამეთვალყურეო აპარატურის, 3 ცალი ადამიანის სხეულის შესამოწმებელი სკანერის, სპეციალური ავეჯის, ხელის მეტალოდეტექტორებისა და მონიტორების შესყიდვა.

2.5 თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (პროგრამული კოდი 29 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობების განვითარების და პროგრამით გათვალისწინებული გეგმების განხორციელების მიზნით მიმდინარეობდა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2.7 სახელმწიფო საზღვრის დაცვა (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის სამმართველოების მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლინდა და აღიკვეთა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (462 ფაქტი, დაკავებულია 804 პიროვნება) - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 138 ფაქტი (138 პირი), სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის 172 ფაქტი (338 პირი), წარმოებაშია სისხლის სამართლის 127 საქმე, დაკავებულია 83 პირი; ჩატარდა 25 სამაშველო ოპერაცია (12 - საჰაერო, 11 - საზღვაო, 2 - სახმელეთო), რის შედეგადაც დახმარება გაეწია 245 ადამიანს.
- ავიაციის მთავარმა სამმართველომ შეასრულა 53 დავალება, მათ შორის: სამაშველო - 9 დავალება; ლიტერული - 1 დავალება; სასაზღვრო - 5 დავალება; ტექნიკური - 7 დავალება; როტაცია - 27 დავალება; სამოქალაქო - 4 დავალება.
- საანგარიშო პერიოდში სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების ზღვაში ყოფნის საერთო დრომ შეადგინა – 6 137:57 სთ, მათ შორის: პატრულირება – 5 639:50 სთ; ძებნა-გადარჩენა და დახმარების ოპერაცია – 40:20; კონტროლი – 322:40 სთ; სწავლება – 00:37 სთ; სხვა - 134:30 სთ;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ შემოწმდა 53 არასამხედრო გემი;

- სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფების მიერ გამოვლინდა სამართალდარღვევის ფაქტები. ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 750 484 ლარი;
- საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განხორციელდა სასწავლო ღონისძიებები, ვიზიტები და სამუშაო შეხვედრები, მათ შორის:
    - ✓ ვიზიტებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო სასაზღვრო პოლიციის 27-მა მოსამსახურემ (საქართველოში 23 მოსამსახურე, საზღვარგარეთ - 4 მოსამსახურე);
    - ✓ სწავლებები გაიარა სასაზღვრო პოლიციის 83 მოსამსახურემ (საქართველოში 65 მოსამსახურე, საზღვარგარეთ - 18 მოსამსახურე);
    - ✓ გრძელვადიან სასწავლო კურსს გადის სასაზღვრო პოლიციის 17 მოსამსახურე (საქართველოში - 12 მოსამსახურე, საზღვარგარეთ - 5 მოსამსახურე);
    - ✓ ლილოს ბაზაზე არსებულ პოლიგონზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის „სწავლება საცეცხლე მომზადებაში“ გაიარა - 82 მოსამსახურემ;
    - ✓ „სნაიპერული შაშხანის 7,62X51 მმ-იანი (308) მომზადების სასწავლო კურსის პროგრამა" გაიარა - 3 მოსამსახურემ;
    - ✓ ინგლისური ენის სასწავლო კურსი - გაიარა 18 მოსამსახურემ;
    - ✓ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს სწავლება ტაქტიკური მომზადებაში (ლილოს ბაზაზე არსებულ პოლიგონზე და დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე) - გაიარა 19-მა მოსამსახურემ;
- სანაპირო დაცვის ოპერაციული შესაძლებლობებისა და საზღვაო – საინჟინრო მომსახურეობის პოტენციალის გაზრდის მიმართულებით ჩატარდა სადოკე-სარემონტო სამუშაოები. სადოკე-სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით დოკზე ამოღებულ იქნა 3 საპატრულო კატარღა;
- საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს ვერტმფრენებისათვის 2 კომპლექტი კუდა ხრახნი ლოპოტებით;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულ იქნა სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) N13 სასაზღვრო სექტორი (ჩიჩხიტური) და სულ ქსელში ჩართულ იქნა - 59 სექტორი (91%).
- საანგარიშო პერიოდში ელექტროფიცირებულ იქნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) N13 სასაზღვრო სექტორი (ჩიჩხიტური);
- მოწყობილ იქნა სასაზღვრო პოლიციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მატერიალური მარაგების სამსახურის (ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N1) ტერიტორიაზე საკონტროლო გამშვები პუნქტი;
- განხორციელდა გაზიფიცირება (შიდა ქსელის მოწყობა) 13 სამმართველოს (წითელი ხიდი) 11 სექტორის (ირგანჩაი) და 14 სამმართველოს (დედოფლისწყარო) 18 სექტორის (სამთაწყარო);
- სასაზღვრო ზოლში დამონტაჟდა 253 სასაზღვრო ზოლის აღმნიშვნელი აბრა.

2.8 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში 36 917 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების

საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის დანაყოფების პორტატული და საბაზისო რადიოსადგურის არხების დაპროგრამება-გამართვა, ასევე, თბილისის დანაყოფებში არსებული საკომუნიკაციო ქსელის სისტემებს ჩაუტარდათ სადიაგნოსტიკო-პროფილაქტიკური სამუშაოები;
- ცნობიერების ამაღლების კუთხით და ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამსახურის მოსამსახურეების კოორდინაციით:
    - ✓ ნატო-საქართველოს ინიციატივის (SNGP CM) ფარგლებში, ქ. სენაკში ჩატარდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის რეზერვისტთა მომზადება. ტრენინგი მოიცავდა ერთობლივი სიმულაციური საველე სწავლებებსაც;
    - ✓ აშშ-ს საელჩოს რეგიონალური უსაფრთხოების სამსახურის მომართვის საფუძველზე, ამერიკის საელჩოს პერსონალისთვის ჩატარდა დაგეგმილი სასწავლო ვარჯიები;
    - ✓ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;
    - ✓ 10 საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩაუტარდა თეორიული და სიმულაციური სწავლებები;
- საანგარიშო პერიოდში სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში, კერძოდ:
    - ✓ ნატოს თანამედროვე სტანდარტებისა და პროცედურების გაცნობის მიზნით გერმანიაში, ქალაქ ობერამერგაუში ნატოს ორგანიზებით ჩატარებულ ნატოს კრიზისების მართვის კურსში;
    - ✓ ბელორუსიაში, კერძოდ მინსკში, ბელორუსიის საგანგებო სიტუაციების მართვის უწყების ორგანიზებით გამართულ მაშველთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაში;
    - ✓ გერმანიაში, კერძოდ ქალაქ ობერამერგაუში ქბრბ ანალიზის ოპერატორების კურსში;
    - ✓ აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების (DTRA) სააგენტოს მიერ ჩატარებულ სწავლებებში, კერძოდ: „ქბრბ ახალი აღჭურვილობის შესახებ“, „ქიმიური მასობრივი განადგურების აგენეტების გამოვლენა, იდენტიფიკაცია და მათი განეიტრალების საშუალებები“ და „ქბრბ დაზვერვის და მასობრივი დეკონტამინაციის აღჭურვილობის გამოყენების შესახებ“;
    - ✓ ინტერპოლის ეგიდით გამართულ საერთაშორისო სწავლების „სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება“ დამაგეგმარებელ შეხვედრაში;
    - ✓ სანაპირო დაცვის მიმართულებით საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (JMOC) ორგანიზებით გამართულ მრავალ უწყებრივი სწავლების „JMOC TTX 2022’’ ჩატარების შესახებ შეხვედრაში;
    - ✓ ესტონეთში, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) ექსპერტთა მიერ ჩატარებულ თოკზე სამაშველო საკითხებზე ტრენინგში;
    - ✓ ბულგარეთში, ნატო-ს ორგანიზებით გამართულ "კრიზისის მართვისა და კატასტროფაზე რეაგირების კურსში", რომლის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის ნატოს საბაზისო მოთხოვნების მიხედვით, ნატოს კრიზისზე რეაგირების საფუძვლების, სისტემის (NCRS), პროცესისა (NCRP) და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის გაცნობა და ცნობიერების ამაღლება;
    - ✓ შვედეთში, ევროკავშირის ორგანიზებით გამართულ მოდელირებული სავარჯიშო EU MODEX-ის დამგეგმარებელ შეხვედრაში;

- ✓ ევროკავშირის UCPM-ის ექსპერტთა გაცვლის პროგრამის ფარგლებში ავსტრიის რესპუბლიკაში ჩატარებული სამთო და წყალზე სამაშველო საკითხებზე სწავლებაში;
- ✓ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში კერძოდ ნატოს სკოლაში ობერამერგაუში (NSO) ჩატარებულ სასწავლო კურსში თემაზე: ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული თავდაცვის ნატოს ოპერაციები და სავარჯიშები;
- ✓ სამსახურსა და პოლონეთის სახელმწიფო სახანძრო სამსახურს შორის ერთობლივი პროექტის "სამაშველო ერთეულების ქსელის ანალიზი და განვითარება საქართველოში კრიზისების მართვის მიმართულებით" ფარგლებში, ქ. ვარშავაში, პოლონეთის სახანძრო და სამაშველო სტრუქტურის გაცნობის, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება/დანერგვისა და სამომავლო პროექტების დასაგეგმად გამართულ ღონისძიებებში;
- ✓ ტიროლში (ავსტრიის რესპუბლიკა), ავსტრიული სახანძრო და სამაშველო სისტემის გაცნობისა და ერთობლივი სწავლებებისა და პროექტების დაგეგმვის ღონისძიებებში;

- საზღვაო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ოპერატიული და გამართული რადიოკავშირის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა მთლიან სანაპირო ზოლზე სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტში Mototurbo ტიპის რეპიტერის შემოწმება, სამუშაო სიხშირეების ჩაწერა, Motorola CM-160 ტიპის საბაზო რადიოსადგურისა და Motorola MOTOTURBO ტიპის რეპიტერის დამონტაჟება, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ხმამაღლა მოლაპარაკე მოწყობილობების დინამიკების შემოწმება/შეკეთება;
- საანგარიშო პერიოდში სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა 1 331 ობიექტს, კერძოდ:
  - ✓ დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 791 ობიექტს;
  - ✓ მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 286 ობიექტს;
  - ✓ საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 7 ობიექტს;
  - ✓ სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა (შეუსაბამობა) დაუდგინდა 113 ობიექტს;
  - ✓ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა 114 ობიექტზე;
  - ✓ შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების ზომების მომზადების მიზნით განხორციელდა 20 ობიექტზე;
- სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა შეხვედრების ორგანიზება და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის/ორგანიზაციებისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 262 ზარი. ასევე, გაიმართა 124 საკონსულტაციო შეხვედრა;
- გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მიღების მიზნით, შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR), რომელსაც მენტორობას უწევდა გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW). საანგარიშო პერიოდში მენტორმა ჩაატარა 2 სწავლება:
  - ✓ სტანდარტული პროცედურების შემუშავების შესახებ, რომლშიც სამსახურის მხრიდან 17 თანამშრომელი დაესწრო. სწავლება დაეთმო ისეთ საკითხებს როგორიცაა SOP-ების განვითარება USAR-ის გუნდთან ერთად და ასევე განხორციელდა USAR სასწავლო პროგრამის განახლება;
  - ✓ EXCON სწავლება, რომელიც დაეთმო INSARAG კოორდინაციისა და მენეჯმენტის სისტემის მიმოხილვას მეკავშირე ოფიცრების დონეზე, ასევე, სამუშაო ტერიტორიის მოწყობას და სტანდარტულ ოპერატიულ პროცედურების შემუშავებას.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამუშაოები სატესტო რეჟიმში გაშვებული საგანგებო სიტუაციების/ინციდენტების აღრიცხვის სისტემის (efris.es.gov.ge) ფუნქციონალის განვითარების და აღმოჩენილი ხარვეზების შესწორების მიზნით. სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალი:
    - ✓ ინციდენტების მოდული - ხანძრის ფორმის დამატება;
    - ✓ ლოჯისტიკის მოდული - მონაცემების განახლება/ჩასწორება;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტერაქტიული რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალის დახვეწა/განვითარების სამუშაოები. რუკას დაემატა:
    - ✓ ახალი ლეირების (შრეები) დატანა;
    - ✓ მანქანების მენეჯმენტი efris.es.gov.ge -დან;
    - ✓ რუკაზე განახლდა მონაცემები;
    - ✓ შემუშავდა საძიებო-სამაშველო ღონისძიებების მართვა/ მონიტორინგის ინსტრუმენტი;
    - ✓ Widget-ები, კერძოდ: ამინდი, კარუსელი და კალენდარი;
- სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ადმინისტრირების მთავარი სამმართველოს ოპერატიული მართვის სამმართველოს ახალ შენობაში (ცენტრი1) ოპერატორთა სამუშაო მაგიდებზე მოეწყო კომპიუტერული ტექნიკა, კომპიუტერებში დაინსტალირდა და გაიმართა ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. მიმდინარეობდა მათი გამართული მუშაობის მუდმივი კონტროლი;
- შემუშავდა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს სამსახურის ახალი ვებ-გვერდები:
    - ✓ გახდი ინსტრუქტორი - http://instructor.es.gov.ge
    - ✓ გახდი მენტორი - http://mentor.es.gov.ge
- მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, კერძოდ:
    - ✓ ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციების დროს შემთხვევის ადგილზე მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში გამოცხადების მიზნით, შესყიდულ იქნა და შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟდა ციმციმები და ხმამაღლა მოლაპარაკეები;
    - ✓ სახანძრო საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების დროს გამოსაყენებლად შეძენილ იქნა სამხრე კამერები;
    - ✓ შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის ზამთრის უნიფორმა და მაღალყელიანი ფეხსაცმელი, საწვიმარი ლაბადები, ოპერატორების მაისურები, მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური უნიფორმა და რეზინის ჩექმები; ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, საჭირო სამაშველო აღჭურვილობა, ზღვაზე სამაშველო თოკები, ზღვაზე მაშველებისათვის სანაპიროზე სასიარულო ფეხსაცმელი და ფორმები, ასევე სამაშველო ჟილეტი და ჩანთები;
- ზამთრის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შეძენილ იქნა კვადროციკლის მუხლუხოების სისტემა (შალგები);
- ზაფხულის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აღდგენილ იქნა კატარღის დაზიანებული ძრავი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახანძრო-სამაშველო ობიექტების ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაცია, კერძოდ:
    - ✓ 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ხულოს და კასპის სახანძრო-სამაშველო ობიექტების მშენებლობა და დაბა ქედის სახანძრო-სამაშველო ობიექტის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
    - ✓ თბილისის სამ დანაყოფში მოეწყო სამორიგეო ჯიხურები;
    - ✓ თბილისში, ჯავახიშვილის ქ. N106-ში მდებარე სახანძრო-სამაშველო ობიექტში განხორციელდა სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები;
    - ✓ განხორციელდა საგარეჯოს, ზუგდიდის და კასპის სახანძრო-სამაშველო ობიექტის კომუნალურებზე დაერთების სამუშაოები;

- შემუშავდა და შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში შესათანხმებლად გაიგზავნა „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „საქართველოს სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის და დაგროვების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები, ასევე, სახელმწიფო რეზერვების ხედვის პროექტი;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება.

2.9 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- ინფრასტრუქტურული განვითარებისა და უზრუნველყოფის კუთხით სარემონტო და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა 48 ობიექტზე, ხოლო სამშენებლო სამუშაოები - 20 ობიექტზე.

2.10 პროფესიული სამხედრო განათლება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ✓ სსიპ - ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა

- კადეტთა სამხედრო ლიცეუმში დასრულდა აბიტურიენტების ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაცია; ლიცეუმის მიერ გაწეული იქნა სასწავლო პროცესების მხარდამჭერი ღონისძიებების და სხვადასხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენის ხარჯები; გატარდა ტრანსპორტის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის და მიმდინარე სარემონტო ღონისძიებები.
- ეროვნული თავდაცვის აკადემიაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 29 სასწავლო სროლის სავარჯიშო, 11 საველე გასვლა, 27 ადმინისტრაციული მარში, 1 სახელმწიფო საშუალო სპეციალური წოდების - თავდაცვის ლეიტენანტის მისანიჭებელი კურსი. აკადემიამ მონაწილეობა მიიღო 4 სპორტულ ღონისძიებაში, 4 კონფერენციაში, 4 საერთაშორისო კვირეულში და 2 ტრენინგში;
- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში განხორციელდა 20 სასწავლო ღონისძიება: 8 კურსი, 4 ტრენინგი, 4 ვორქშოფი, 2 ლექცია, 1 სემინარი და 1 კონფერენცია. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 391-მა პირმა.
- წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მიერ განხორციელდა სამხედრო სპეციალისტთა მომზადების 81 პროგრამა; უფროს ოფიცერთა მომზადების 1 საკარიერო პროგრამა

(სამეთაურო-საშტაბო პროგრამა), უმცროს ოფიცერთა მომზადების 11 საკარიერო პროგრამა, სერჟანტთა მომზადების 21 საკარიერო პროგრამა; საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) 5 კურსი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გადასროლისწინა 1 მომზადება და უცხო ენის 4 კურსი. ასევე, 2-ჯერ განხორციელდა ქვედანაყოფის წვრთნა და შეფასება.

- საერთაშორისო პარტნიორების მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების პროგრამებში, მონაწილეობა მიიღო 27-მა სამოქალაქო პირმა.
- საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყანაში სულ ჩატარდა 106 კურსი, რომლებშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 120-მა სამხედრო მოსამსახურემ. აქედან, 93 კურსი გაიმართა დასწრებულ ფორმატში, სადაც მონაწილეობდა 106 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო, 13 კურსი - დისტანციური სწავლების რეჟიმში და ჩართული იყო 14 სამხედრო მოსამსახურე.
- საქართველოში ჩატარდა 29 კურსი, რომელშიც მონაწილეობდა 299 სამხედრო მოსამსახურე; პროფესიული განვითარების პროგრამებში დისტანციური სწავლების რეჟიმში, მონაწილეობა მიიღო 136-მა სამოქალაქო პირმა.

2.11 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა მათი ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; მოსამსახურეების საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; ტარდებოდა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი, ასევე შასაბამისი ღონისძიებები ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის მიერ გაწეულ იქნა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, კერძოდ ამბულატორული მომსახურება - 9 290 პაციენტი, ხოლო სტაციონალური მომსახურება - 805 პაციენტი;
- სამედიცინო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დახმარება გაეწია - 245 სამხედრო და 86 სამოქალაქო მოსამსახურეს; კონტრაქტის დახმარებით უზრუნველყოფილია თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის 148 მოსამსახურე; ნაკლებად მძიმე ტრავმის ანაზღაურება მიიღო 8 მოსამსახურემ. შვილის შეძენასთან დაკავშირებული დახმარება გაიცა 581 მოსამსახურეზე; მინისტრის ინდივიდუალური აქტით დახმარება მიიღო 183-მა მოსამსახურემ და 42-მა სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრმა;
- გაფორმდა გაუმჯობესებული ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასთან, რომლითაც უკვე სარგებლობენ თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა და მათი ოჯახის წევრები;
- თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების საჭიროებებიდან გამომდინარე, შესყიდულ იქნა სამედიცინო ხარჯვადი და არახარჯვადი ქონება.
- მარო მაყაშვილის სარეაბილიტაციო ცენტრში ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი გაიარა 81-მა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ და 26-მა ოჯახის წევრმა (ჯამში 107 ადამიანი);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეძენილ იქნა გადაადგილებისათვის

საჭირო დამხმარე საშუალებები (ეტლი და 9 ხელჯოხი) და ასევე, 11 სამხედრო მოსამსახურეს გაეწია 14 საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება;

- სამხედრო სამსახურში, აქტიურ სარეზერვო სამსახურში, სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფებში მისაღები კანდიდატების, მისიაში წამსვლელი, მისიიდან დაბრუნებული პირადი შემადგენლობისთვის ჩატარდა ფსიქოლოგიური შერჩევა/მონიტორინგი, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სუიციდის პრევენციის ფარგლებში ფსიქოლოგიური შემოწმება და ფსიქოგანათლება, დაჭრილ/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია (ჯამში 1 495 ადამიანი).

2.13 საქართველოს პროკურატურა (პროგრამული კოდი 21 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პროკურატურა

- სასჯელს განრიდებულ იქნა 1 794 პირი, მათ შორის: 303 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე ასაკის პირი), 18-დან 21 წლამდე ასაკის 334 პირი და 1 157 სრულწლოვანი (21 წლიდან ზემოთ ასაკის) პირი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 2 696 მოქალაქემ, მათ შორის: დაზარალებული 1 436, მოწმე 595, არასრულწლოვანი დაზარალებული 75, არასრულწლოვანი მოწმე 23, ბრალდებული (ოჯახის წევრი, ადვოკატი) 117, განმცხადებელი 297, სხვა პირი 153;
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა:
  - ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებების და ინსტრუქციების კრებული (რეკომენდაციების ნაწილი მომზადდა, ხოლო ნაწილი განახლდა);
  - ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების 2021 წლის შედეგების ანალიზი;
  - ✓ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა (2021 წლის მონაცემების მიხედვით);
  - ✓ პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემაში შესატანი ცვლილებები, რაც წარედგინა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს - სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს;
  - ✓ 2021 წელს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების ანალიზი;
  - ✓ საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების 2021 წლის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ანალიზი;
  - ✓ 2021 წელს გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოვლენილი გამოძიების ხარვეზების ანალიზი;
  - ✓ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ სახელმძღვანელო მითითების შესრულების 2021 წლის შედეგების ანალიზი (აღნიშნული ნორმა გულისხმობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან 111 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებით სარგებლობამდე, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან

კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა);

- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ანალიზი;
- ✓ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლზე საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეწყვეტილ საქმეთა ანალიზი;
- ✓ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარე და შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი;
- ✓ შრომის უსაფრთხოების დარღვევის ფაქტებზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი;
- ✓ აღკვეთის ღონისძიების სახით ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე;
- ✓ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლების შესახებ საერთაშორისო კვლევა;
- ✓ ხანდაზმულობით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი;
- ✓ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რომლებზეც გადაწყვეტილება მიიღეს ნაფიცმა მსაჯულებმა;
- ✓ 2022-2027 წლების სტრატეგია.

- განხორციელდა სასწავლო აქტივობები სხვადასხვა მიმართულებებით:
  - ✓ საქართველოს პროკურატურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა 2 ტრენინგი თემაზე გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობები (ფემიციდი), მენეჯერებისა და პროკურორებისთვის - ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სპეციალიზაციის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსი;
  - ✓ ქალთა ლიდერობის უნარების განვითარების ტრენინგი გაიმართა აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობით, საქართველოს პროკურატურისა და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისთვის;
  - ✓ ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე;
  - ✓ ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა 2 თვიანი სასწავლო კურსი თემაზე ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე;
  - ✓ უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში ჩატარდა ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის თემაზე მენტორინგის ტრენერთა ტრენინგი.
  - ✓ საქართველოს პროკურატურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის მიმდინარეობდა ტრენინგების ციკლი თემაზე - სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე: პრევენცია და რეაგირების მექანიზმები;
  - ✓ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, 4 ჯგუფისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგი თემაზე ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის კონცეფციითა და სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით გათვალისწინებული საკითხები;
  - ✓ გაეროს ბავშვთა ფონდსა(UNICEF) და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტთან (GCRT) თანამშრომლობის ფარგლებში კახეთის რეგიონში გაიმართა უწყებათაშორისი 2 სამუშაო შეხვედრა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე;

- ✓ უწყებათა თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა სიმულაციური ტრენინგი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, OSCE ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო) თანამშრომლობით;
- ✓ ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბავშვთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა - სამართალდამცავი ორგანოების პერსპექტივა“;
- ✓ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით (INL) ჩატარდა ტრენინგი თემაზე საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში უკანონოდ დარჩენის ხელშეწყობასთან ბრძოლის საკითებზე;
- ✓ საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ფინანსური გამოძიება, კრიპტოვალუტა და დარქნეტი“. განიხილული იქნა: ვირტუალური ვალუტის კატეგორიები, თემასთან დაკავშირებული საერთო ცნებები (ბლოკჩეინი, ბიტკოინი, ალტკოინი, ეთერიუმი, კრიპტოფერმერობა), კრიპტოვალუტების რეგულაცია, კრიპტოვალუტის დანაშაულებები (დარქნეტი, გამოძალვა, თაღლითობა, ფინანსური პირამიდა (პონცის სქემა) და კრიპტოვალუტის ამოღების პრაქტიკა;
- ✓ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის CyberEast ფარგლებში, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე „ელექტრონული მტკიცებულებები“;
- ✓ CRYSTAL-ის წარმომადგენლების მიერ გაიმართა სწავლება თემაზე "კრისტალ ბლოკჩეინის კრიპტოს მიდევნების ტრენინგი" (CRYSTAL BLOCKCHAIN CRYPRO COMPLIANCE TRAINING PROGRAM);
- ✓ კიბერუსაფრთხოების/კიბერდანაშაულის გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების საჭიროების საპასუხოდ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი CyberEast პროექტისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CyberSecurity EAST პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე - “კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და კიბერდანაშაულის საკითხები“;
- ✓ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს ორგანიზებით ევროკავშირის ტვინინგის პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი მავნე კოდისა და ლოგების ანალიზის შესახებ;
- ✓ აშშ-ის საელჩოსა და ბუდაპეშტის სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში უნგრეთის დედაქალაქში, ბუდაპეშტში ჩატარდა 5 დღიანი კურსი თემაზე - კიბერდანაშაულის გამოძიება;
- ✓ აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) კონტრპროლიფერაციის საერთაშორისო პროგრამის (Counter-proliferation Program - ICP) ფარგლებში ჩატარდა მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) გამოყენების შემთხვევების გამოძიებებისა და ოპერაციების კურსი (WIO);
- ✓ სხვადასხვა უწყებებისთვის ფულის გათეთრების თემაზე გაიმართა ერთი ტრენინგი ფინანსურ დანაშაულთან და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა;
- ✓ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “TOPCOP" ფარგლებში გაიმართა ონლაინ ვებინარი ნარკოტრეფიკინგის გამოძიებაზე და CEPOL-თან თანამშრომლობით, საერთაშორისო ონლაინ ტრენინგი თემაზე „ქურდული სამყაროს მსგავსი ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებები და ქმედებები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში“;
- ✓ ჩატარდა ონლაინ შეხვედრა თემაზე აღდგენითი მართლმსაჯულება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კანონმდებლობა საქართველოში;
- ✓ კახეთის რეგიონში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე - „შრომის უსაფრთხოების საკითხები“;
- ✓ ევროპის საბჭოს HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და HELP-ის კურსის ტუტორობისთვის გადამზადდნენ; ასევე,

ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, განხორციელდა 2 სამუშაო შეხვედრა თემაზე საპროცესო გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში და დაზარალებულთა უფლებები;

- ✓ აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა 2 ჯგუფის ტრენინგი თემაზე - დაკითხვის და გამოკითხვის ტექნიკები;
- ✓ ჩატარდა სპიკერების მოსამზადებელი 3 ტრენინგი სახელწოდებით „სპიკერების მომზადება - მედია ტრენინგი“;
- ✓ საქართველოს პროკურატურის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სავალდებულო პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი. შეხვედრები 2 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში. მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი თემები: ადმინისტრაციული წარმოება; ეთიკა საჯარო სამსახურში; ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა; საქმიანი კომუნიკაცია; დროის მართვა და გუნდური მუშაობა.

- პროკურატურის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, ზოგადი და იურიდიული ინგლისურის მიმართულებით სწავლებას გადიოდა 5 ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყო პროკურატურის 49 თანამშრომელი;
- საქართველოს პროკურატურისა და აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ეროვნულ აკადემიაში საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებისთვის 2 სამთვიანი სასწავლო ვიზიტი განხორციელდა;
- სტაჟიორად დაინიშნა 38 პირი, რომლებმაც დანიშვნამდე 2 თვიანი მოსამზადებელი კურსი გაიარეს; სტაჟიორთა მოსამზადებლი კურსის ფარგლებში ინტეგრირებულია შემდეგი თემები: ოჯახში ძალადობა და ოჯახური დანაშაული, სიძლვილით მოტივირებული დანაშაული და დისკრიმინაცია, ნარკოტიკული დანაშაული, ფულის გათეთრება, კორუფცია, კიბერდანაშაული, ქონების ჩამორთმევა, სამართლებრივი წერა, ეთიკის და პერსონალური მონაცემების დაცვა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარები, ეფექტიანი კომუნიკაციის ტექნიკები და სხვა;
- საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე აღკვეთის ღონისძიების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რომელსაც 12 პროკურორი დაესწრო;
- საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის, შიდა რესურსის გამოყენებითა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სულ განხორციელდა 88 სასწავლო აქტივობა, რომელშიც 1 057 მსმენელი (პროკურატურის თანამშრომელი) მონაწილეობდა.

2.14 სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი 29 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა";
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

- სსიპ - სსსტც „დელტა-ს“ მიერ გარემონტდა 42 ერთეული სეტყვა საწინააღმდეგო სისტემის დანადგარს და დამონტაჟდა სხვადასხვა ტერიტორიაზე. ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა 30 ახალი დანადგარის წარმოებაზე, გაიწერა ახალი ოპერაციული სისტემა 87 დანადგარზე;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილია 5 000 ერთეული სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტა;
- სეტყვისსაწინააღმდეგო სისტემის დასამონტაჟებლად კახეთის რეგიონში მიმდინარეობდა 6 ახალი საცეცხლე წერტილის მოწყობის საორგანიზაციო სამუშაოები. სეტყვის დანადგარებთან უკეთესი რადიო კავშირის დასამყარებლად დამონტაჟდა 4 ახალი რადიო ანტენა, ტექნიკური მომსახურება ჩაუტარდა სიღნაღში განთავსებულ რადარს;
- სსიპ - სსსტც „დელტა-ს“ და საერთაშორისო ორგანიზაცია ITF-ს შორის მიმდინარე პროექტის „ფიზიკური უსაფრთხოება, საბრძოლო მასალების მარაგების და კონვენციური შეიარაღების განადგურების მართვა საქართველოში“ ფარგლებში, უტილიზებულია 392 086 კგ საბრძოლო მასალა; საუტილიზაციო ბაზიდან გატანილ იქნა 48 343 ცალი უტილიზირებული საბრძოლო მასალა; ბაზაზე დამუშავდა ტროტილის დნობის უბანზე წარმოშობილი ნარჩენი წყლების ნეიტრალიზაციის უბნის (მინი-ქარხნის) პროექტი; განხორციელდა განაღმვითი სამუშაოების ხარისხის კონტროლი; შემოწმებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 17 549 კვ. მ-ს.
- მოდიფიცირება ჩაუტარდა 1 ერთეულ M2 კატეგორიის მიკროავტობუსს; ცენტრის და აეროდრომის ტერიტორიაზე განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშოები (განათების, გზების, ადმინისტრაციული და დამხმარე შენობა-ნაგებობის სახურავების რეაბილიტაცია, სკვერის, სასადილოს მოწყობა და სხვა.) საწარმოში დამონტაჟდა ინფრაწითელი გაზის გამათბობლები; თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით დამზადდა 1225 ცალი უწყებრივი მედალი და ქოინი;
- მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები სახვადასხვა სფეროში: გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში, მანქანათმშენებლობის სფეროში, გამოყენებითი ოპტიკის სფეროში, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში, მიკრო და ნანოელექტრონულ ტექნოლოგიაში;

2.15 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (ორგანიზაციული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური საგამოძიებო სამსახური

- საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა 1663 სამართალდარღვევათა საერთო რაოდენობა (წინა წლის შესაბამის პერიოდში - 853 საქმე), აქედან ყველა ამ საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება;
- იმ პირთა რაოდენობამ, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა შეადგინა 733 ერთეული, ხოლო აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 347 პირის მიმართ, ამავე დროს საქმეთა რაოდენობამ, რომელთა მიმართ შეწყდა გამოძიება, შეადგინა 91 ერთეული.
- მიღებული იქნა მონაწილეობა შემდეგი სახის ონლაინ სემინარებსა და ტრენინგებში: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში განხილული იქნა უკანონოდ მიღებული აქტივების მოძიების, დაყადაღების და კონფისკაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები; „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები; ღია წყაროების მეშვეობით ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება საგადასახადო დანაშაულების გამოძიებისთვის; ბლოკჩეინის ინსტრუმენტების გამოყენება გამოძიების პროცესში; რისკის კრიტერიუმები ფიზიკური და იურიდიული

პირებისათვის, სამართალდარღვევების გამოვლენა და გადასახადებისაგან თავის არიდების სქემებთან მიმართებაში და ა.შ.

- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის - კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მოქმედი ერთობლივი უწყებათაშორისი დანაყოფებისათვის, თბილისში და ფოთში105 დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა - რომლის მიზანია მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზრდა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ტვირთის გადაზიდვის რისკი სხვადასხვა უკანონო საქონლის ვაჭრობისთვის, როგორიცაა: ნარკოტიკები, ქიმიური ნივთიერებები, ცეცხლსასროლი იარაღი, ორგანიზებული დანაშაულის სხვა ფორმები და ა.შ.
- ევროპოლის მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის AP Copy დანაყოფის მიწვევით შედგა საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლის ვიზიტი საფრანგეთში, რომელიც შეეხებოდა პროდუქციის ფალსიფიკაციასა და არალეგალურ გადაზიდვებთან დაკავშირებით დაგეგმილ ოპერატიულ შეხვედრას სახელწოდებით "SHIELD III", რომლის კოორდინაცია/ორგანიზება განახორციელა AP Copy დანაყოფმა საფრანგეთთან (OCLAESP), იტალიასა (NAS Carabinieri) და საბერძნეთთან (Astynomia – Financial Police) ერთად.
- ევროკავშირის/ევროპის საბჭოს CyberEast-ისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CyberSecurity EAST-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, კიბერდანაშაულისა და კიბერუსაფრთხოების ექსპერტთა რეგიონალური თანამშრომლობის ფორუმში მონაწილეობის მისაღებად შედგა საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლის ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში - SOP-ების პრაქტიკული გამოყენების შემთხვევები (Regional Cooperation Forum of cybercrime and cybersecurity experts - Practical use cases for SOPs). აღნიშნული რეგიონული შეხვედრა მიზნად ისახავდა CSIRT-სა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის რეგიონულად მოქმედი სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავებასა და თითოეულ ქვეყანაში განსახორციელებელი ეროვნული SOP-ების გამოყენების შემთხვევების იდენტიფიცირებას.
- კონკრეტული სს საქმის ფარგლებში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, შედგა ბელორუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტისა და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ერთობლივი დელეგაციის ვიზიტი საგამოძიებო სამსახურში.
- საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 2022 წლის 10-14 აპრილის პერიოდში, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ტრენინგში თემაზე: „ფულის გათეთრება და ფინანსური გამოძიება";
- 2022 წლის მაისში, საფრანგეთის ქალაქ ლიონში, მიღებულ იქნა მონაწილეობა გამართულ „AMON"-ის ყოველწლიურ შეხვედრაში.
- ივნისში, ნიდერლანდების ქალაქ ჰააგაში, ევროპოლის მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის „AP Copy"-ის დანაყოფის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საგამოძიებო სამსახური წარმოდგენილი იქნა ევროპოლის ინტელექტუალური საკუთრების ყოველწლიურ შეხვედრაზე (Europol Intellectual Property Crime (IPC) Units Network).

2.17 ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა - 82 861 გასვლა;
- მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა - გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- გარემონტდა დიპლომატიური მისიების, მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო - 26 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 15 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი (ფურგუნის ტიპის) მიკროავტობუსის შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ღირებულების 70%-ის ავანსის სახით გადარიცხვა;
- დაიწყო და მიმდინარეობდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ანგარის ტიპის სასაწყობო კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები;
- ყოველდღიურად დაგროვილი ინფორმაციის, მონაცემების დაარქივებისა და საიმედოდ შენახვის უზრუნველსაყოფად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მყისიერად აღდგენის შესაძლებლობის მიზნით შეძენილ იქნა მონაცემთა შემნახველი სისტემა (NAS Appliance);
- არსებული დაცვის სისტემის რადიო-გადამცემების აღდგენისა და დაცვაში არსებული პრობლემური ობიექტებიდან (ქეშბოქსები, საცავები და ა.შ.) სიგნალების დროული მოსვლის უზრუნველსაყოფად განხორციელდა (AES) ცენტრალური გარდამქმნელების და რადიო მოდულების შესყიდვა;
- თბილისის აეროპორტის ვიდეო-მონიტორინგის სისტემის გამართული მუშაობისათვის შეძენილ იქნა ტექნიკა (10 ცალი სადისპეჩერო სადგური, 10 ცალი მონიტორი, 1 ცალი HDMI KVM სვიჩი, 5 ცალი კომპაქტური ვიდეო ჩამწერი, 18 ცალი HDMI დამაგრძელებელი);
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დაცული ობიექტების რაოდენობის ზრდის დინამიკიდან და მათი გეოლოკაციიდან გამომდინარე, სისტემის დაფარვის ზონის და გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, შეძენილ იქნა 8 ცალი AES IP-Link მიმღები;
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 500 ცალი საკონტროლო პანელი, რომლის ფუნქციაა დასაცავ ობიექტზე დამონტაჟებული ყველა მაუწყებლიდან შემოსული ინფორმაციის დამუშავება და რადიოგადამცემის მეშვეობით ცენტრალური მართვის პულტზე გადაცემა, ასევე, დასაცავი ობიექტის ზონებად დაყოფა, რათა განგაშის შემთხვევაში ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის მიწოდებული იყოს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დაცული ფართის რომელ ზონაში მოხდა არასანქცირებული შეღწევა.

2.18 ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 24 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მიმდინარეობდა სამუშაოები საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების, კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული

საქმიანობის ხელშეწყობის, ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების, აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწოფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიმართულებით;

- „საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში მგზავრთა გადაყვანისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ავიარეისების ორგანიზებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე განხორციელდა მგზავრთა საჰაერო გადაყვანა (მესტია, ამბროლაური, ბათუმი და ქუთაისი) რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.

2.19 სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 37 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური;
- ✓ ა(ა)იპ სპორტული კლუბი „არმია“.

- სამსახურის ორგანიზებით, უწყების ბენეფიციართათვის საქართველოს მასშტაბით ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის, კლინიკა თბილისის გულის ცენტრის, კლინიკა ვივამედის და შპს ვ.სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალის ექიმების მიერ.
- 3 006 ბენეფიციარს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო დაზღვევით.
- 314 გარდაცვილი ვეტერანის ოჯახზე გაიცა ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება 600 ლარის ოდენობით. ასევე, ბენეფიციარებს გაეწიათ შუამდგომლობა სხვადასხვა რაიონის მუნიციპალიტეტებში ვეტერანების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით;
- 20 ვეტერანის შვილს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში დაუფინანსდა სწავლის გადასახადი;
- საანგარიშო პერიოდში ვეტერანის სტატუსი მიენიჭა 1399 პირს;
- იურიდიული კონსულტაცია გაეწია 550 ბენეფიციარს;
- სამსახურის ორგანიზებით, გურიის რეგიონში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ვეტერანებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მეფუტკრეობის ბიზნესის წარმოებით;
- საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ვეტერან სპორტსმენს დაუფინანსდა პოლონეთის რესპუბლიკაში, ქალაქ რუმიაში, მკლავჭიდში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები;
- სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები;
- გაიმართა პარაპლანით ფრენის ღონისძიება, სადაც მონაწილეობა მიიღეს შშმ ვეტერანებმა;
- ვეტერანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანის, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის, მარჩენალდაკარგულის სტატუსის მინიჭების წესისა და პროცედურების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მიზნით მომზადდა სამართლებრივი აქტები;
- გრძელდება შპს „ვ. სანიკიძის სახელობის ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი”-ს შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა;

- რაგბის გუნდი ასპარეზობს საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატში. გუნდმა გამართა 6 მატჩი, რომელთაგანაც 5 მოგებით და 1 წაგებით დაასრულა. აღნიშნულ ჩემპიონატში გუნდმა დაიკავა 1 ადგილი;
- რაგბის ასაკობრივ გუნდებში მიმდინარეობს საქართველოს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის ჩემპიონატი. მიმდინარე პერიოდში გაიმართა 9 მატჩი, რომელთაგანაც 3 მოგებით და 6 წაგებით დამთავრდა. გუნდი იმყოფება ოქროს ლიგაში და დაიკავა მე-8 ადგილი.

2.20 დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

- მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
  - ✓ მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI) კვლევაში „პანდემიის ზეგავლენა პრობაციის სისტემაზე“;
  - ✓ მიმდინარეობდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმების პილოტირება;
  - ✓ ქალაქ ქუთაისში გაიხსნა მედიაციის კონცეფციის შესაბამისი სივრცე.
- იურისტის კონსულტაციით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა, სოციალური მუშაკის კონსულტაციით – 10-მა, ხოლო ფსიქოლოგის კონკულტაციით – 7 ბენეფიციარმა. ამასთან, სოციალური მუშაკის მხარდაჭერით სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა, ინგლისური ენის შემსწავლელ კურსში ჩაერთო 5 ბენეფიციარი, მცირე ბიზნესის განვითარების ტრენინგი გაიარა 1 ბენეფიციარმა;
- არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის მიერ მომზადდა 40 არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში; 11 არასრულწლოვანთან გაგრძელდა ხელშეკრულების ვადა;
- არასრულწლოვანი ბენეფიციარების საგანმანათლებლო, მატერიალური და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით:
  - ✓ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებულ სესიებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით ჩაერთო 6 ბენეფიციარი;
  - ✓ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, გაერო-ს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის პარტნიორობით, მიმდინარეობდა პროექტი „ბავშვთა დაცვის სისტემებისა და მომსახურებების გაძლიერება საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი მხარდაჭერას მიიღებს პრიორიტეტულად საჭირო სხვადასხვა მიმართულებაში.
- განრიდებისა და მედიაციის მიმართულებით მოემსახურება გაეწია 637 პირს, რომელთაგან 377 მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაციის კომპონენტი და შედგა მედიაციის 270 კონფერენცია, განრიდების პროცესი დაიწყო 296 პირის მიმართ;
- განახლდა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ელექტრონული პლატფორმა RSDsupport (შიდა გამოყენებისათვის);
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით დასაქმდა 802 ბენეფიციარი, თბილისისა და რეგიონების პრობაციის ბიუროში შედგა 1 290 ვიდეოპაემანი.

2.21 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- არსებული კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების რესურსების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით, შესყიდულ იქნა არატაქტიკური რადიოსადგურების აქსესუარები და საოფისე ტექნიკა, სხვადასხვა სახის კარტრიჯები და კომპიუტერული ტექნიკის მაკომპლექტებელი ნაწილები;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების ინტერნეტის უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდულ იქნა 30 ცალი 4.5G Wifi როუტერი;
- საერთაშორისო სწავლება NATO-GEO 2022-ის კომპიუტერული ქსელის უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდულ იქნა ქსელის კაბელი;
- განხორციელდა ბიუროსთვის საჭირო ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა;
- სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს წამომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ნატოს მრავალეროვნულ სწავლებაში CWIX 2022;
- სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს წარმომადგენლები კიბერუსაფრთხოების საკითხების განხილვისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მივლინებულნი იყვნენ 5 ქვეყანაში სხვადასხვა კიბერსწავლებებში.

2.22 საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- 2022 წლის მარტში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA) მონაწილე ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეული (გაემგზავრა-სექტემბერი, 2021 წ.) როტაციის პრინციპით ჩაანაცვლა ეროვნული გვარდიის სხვა ნაკრებმა ოცეულმა (სტატუსი მიმდინარე); ხოლო როტაციის პრინციპით, მისიაში დისლოცირებული ოცეულის ჩასანაცვლებლად მიმდინარეობდა ეროვნული გვარდიის ოცეულის გადასროლისწინა მოსამზადებელი სამუშაოები.
- 2022 წლის იანვარში, მალის რესპუბლიკაში, ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali) საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენელი დაბრუნდა საქართველოში.

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- მიმდინარეობდა საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ჩქაროსნული ავტომაგისტრალების და საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა, საქართველოს საგზაო ქსელის საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში ინტეგრირება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სახიდე გადასასვლელების, მუნიციპალიტეტებთან, საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია-მშენებლობა. ასევე, საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში. ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება. საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.

3.1.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი - 25 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- მიმდინარეობდა საკანონმდებლო აქტების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების და საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტების შემუშავება;
- კომპეტენციის ფარგლებში, მიმდინარეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვა;
- კომპეტენციის ფარგლებში, მიმდინარეობდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და განხორციელება;
- მიმდინარეობდა ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული 29 ღონისძიების ადმინისტრირება და მონიტორინგი.

3.1.2 საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი - 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- „საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის“ ღონისძიების ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 103 გარდამავალ ობიექტზე (2021-2022 წლები), საიდანაც საანგარიში პერიოდში დასრულდა 12 ობიექტი, ხოლო 5 ობიექტზე შეწყვეტილია ხელშეკრულება კონტრაქტორ ორგანიზაციასთან;
  - ✓ 2022 წლის გეგმით გათვალისწინებული ახალი ობიექტების ნაწილზე გაფორმდა ხელშეკრულებები და ნაწილზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები;
  - ✓ მიმდინარეობდა საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე პერიოდული შეკეთების სამუშაოები. ასევე, ახალი ასფალტობეტონის საფარების მოწყობის, სახიდე გადასასვლელების და სხვა ხელოვნური ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- „საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში“ ღონისძიების ფარგლებში:

- ✓ მიმდინარეობდა 2022 წლის გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე შეკეთების სამუშაოები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე;
- ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, საავტომობილო გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და საავტომობილო გზის კუთვნილების კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ✓ 6 000 კმ-მდე საავტომობილო გზაზე მიმდინარეობდა ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.

- „სხვა ხარჯები“ ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ელექტროენერგიის მოხმარებასთან დაკავშირებული და ხიდების გამოკვლევა/გამოცდის ხარჯების ანაზღაურება.
- „წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა“ ფარგლებში მიმდინარეობდა კონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების ანაზღაურება.
- „სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების“ ფარგლებში:
  - ✓ 11 გარდამავალ ობიექტზე (2021-2022 წლები) მიმდინარეობდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები, საიდანაც საანგარიში პერიოდში დასრულდა 3 ობიექტი;
  - ✓ 2022 წლის გეგმით გათვალისწინებულ 10 ახალ ობიექტზე გაფორმდა ხელშეკრულებები.

- „კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები“ ღონისძიების ფარგლებში მიმდინარეობდა საფოსტო მომსახურებით, უცხოური სახსრებით შეძენილი სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მოწყობილობების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება.
- „სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოების“ ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები 18 გარდამავალ ობიექტზე (2021-2022 წლები), საიდანაც საანგარიშო პერიოდში დასრულდა 9 ობიექტი;
  - ✓ 2022 წლის გეგმით გათვალისწინებულ 10 ახალ ობიექტზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.
- „ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის“ ფარგლებში:
  - ✓ ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში, კაკასხიდი-ზეკარის კმ1-კმ10 მონაკვეთზე მიმდინარეობდა ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში, კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთზე მიმდინარეობდა ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-14) ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ81-კმ87 მონაკვეთის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, კონტრაქტორ ორგანიზაციებთან მიღწეული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სამუშაოები არ დაწყებულა;
  - ✓ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კაკასხიდი-ზეკარის საავტომობილო გზის კმ17-კმ26 მონაკვეთის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, მიმდინარეობდა მიწის სამუშაოები და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები;

- ✓ აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ0+000-კმ7+075 მონაკვეთის (ლოტი 1) სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, მიმდინარეობდა მიწის სამუშაოები, ხელოვნური ნაგებობების მოწყობის და გვირაბის გაჭრის სამუშაოები;
- ✓ აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ7+075-კმ11+610 მონაკვეთზე (ლოტი 2) და კმ11+610-კმ15+944 მონაკვეთზე (ლოტი 3) სამშენებლო სამუშაოები, დაიწყება მხოლოდ აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის კმ0+000-კმ7+075 მონაკვეთის (ლოტი 1) სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში, გვირაბის გაჭრის სამუშაოების დასრულების შემდგომ.

- „ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობის“ ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-16) ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილის 107-ე კმ საავტომობილო გზის და საჩხერე-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მიერთების გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობდა მიწის სამუშაოები, დროებითი კუნძულების, მისასვლელი საავტომობილო გზების და კედლის ხიმინჯოვანი საძირკვლების მოწყობის სამუშაოები.
- „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB)“ შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში:
  - ✓ ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ16+00-კმ25.5 მონაკვეთზე (ლოტი 1), დასრულდა მიწის სამუშოები, მოწყობილი ხელოვნური ნაგებობები, წყალგამტარი მილები, რკინა-ბეტონის არხები და საყრდენი კედლები. რეაბილიტირებულია სახიდე გადასასვლელი. მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ25.5-კმ32 მონაკვეთზე (ლოტი 2), მიმდინარეობდა ფერდიდან ქვათაცვენისგან დამცავი ბადის მოწყობის სამუშაოები. დასრულდა მიწის სამუშოები, რეაბილიტირებულია სახიდე გადასასვლელი და მოწყობილი ხელოვნური ნაგებობები;
  - ✓ თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზის კმ1-კმ30 მონაკვეთზე, დაიწყო მიერთებების, რკინა-ბეტონის კიუვეტების, მონოლითური ბეტონის ღარების და გაბიონების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ჭრებალო-ნიკორწმინდის საავტომობილო გზის კმ1+00-კმ14+600 რეაბილიტირებულ 4 კმ-იან მონაკვეთზე (ლოტი 1), მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ ხიდისთავი-ატენი-ბოშურის საავტომობილო გზის კმ12.4-კმ22.5 რეაბილიტირებულ მონაკვეთზე, მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.
- „ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund)“ ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა გაბიონების, საყრდენი კედლების და წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები და ფერდობების ექსკავაციის სამუშაოები (ლოტი 1);
  - ✓ მიმდინარეობდა გაბიონების, წყალგამტარი მილების და N3 ხიდზე ბურჯების მოწყობის სამუშაოები და ფერდობების ექსკავაციის სამუშაოები (ლოტი 2);
  - ✓ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის ხულო-გოდერძის უღელტეხილის კმ0+000-კმ4+007 მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში (ლოტი 1.1), მიმდინარეობდა ხელოვნური ნაგებობების და საფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.

- „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB)“ ფარგლებში:
    - ✓ საავტომობილო გზის კმ0-კმ24.6 მონაკვეთი (ლოტი 1):
        - ➢ მიმდინარეობდა ჩამონაშალი გრუნტებისგან საავტომობილო გზის გაწმენდის სამუშაოები;
        - ➢ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.
    - ✓ საავტომობილო გზის კმ24.6-კმ50 მონაკვეთი (ლოტი 2):
        - ➢ კონტრაქტორ ორგანიზაციასთან შეწყვეტილია ხელშეკრულება. მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
- „მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა (EBRD)“:
    - ✓ დასრულდა ხიდის შუალედური ბურჯების და მონოლითური ფილის მოწყობის სამუშაოები, ასევე დასრულდა მიწისქვეშა გასასვლელის კედლების მოწყობის სამუშაოები;
    - ✓ დასრულდა ხიდის სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორება და დაიწყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.
- „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის (WB)“ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის (გურჯაანი-ბაკურციხის შემოვლითი) საავტომობილო გზის მონაკვეთზე, მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი - 25 02 03).

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) (EIB, WB)“:
    - ✓ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ0+000-კმ5+800 მონაკვეთზე (ლოტი 1) დასრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
    - ✓ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ7+700+800-კმ14+050 მონაკვეთი (ლოტი 2):
        - ➢ მიმდინარეობდა 8 სახიდე გადასასვლელზე რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯების, ხიმინჯების გამაერთიანებელი ფილის (როსტვერკი), განაპირა და შუალედური ბურჯების მოწყობის სამუშოები;
        - ➢ მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის, მცენარეული ფენის მოხსნისა და დასაწყობების სამუშაოები;
        - ➢ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები;
        - ➢ მიმდინარეობდა წინასწარდაძაბული რკინა-ბეტონის კოჭების დამზადება, ტრანსპორტირება და მონტაჟი;
        - ➢ მიმდინარეობდა მალის ნაშენის გამაერთიანებელი რკინა-ბეტონის ფილის (როსტვერკი) მოწყობის სამუშოები;
        - ➢ მიმდინარეობდა 5 გვირაბზე პორტალების სამშენებლო სამუშაოები;
        - ➢ მიმდინარეობდა 5 გვირაბის გაჭრის, დროებითი თაღისა და უკუთაღის გამაგრების სამუშაოები.

- ✓ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ5+800-კმ7+700 მონაკვეთზე (ლოტი 2ა) დასრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

- „ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, AIIB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
  - ✓ მიმდინარეობდა წყალგამტარი მილების, საყრდენი კედლებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N1 - დასრულდა ბურჯების მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობდა კოჭების მონტაჟის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N2 - მიმდინარეობდა ბურჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N3.2 - მიმდინარეობდა ბურჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N5 - მიმდინარეობდა კომუნიკაციების გადატანის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N6C - მიმდინარეობდა განაპირა ბურჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N10 - დაიწყო ბეტონის ბარიერების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N11 - დაიწყო ბეტონის ბარიერების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N12-13A - დასრულდა ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სახიდე გადასასვლელი N14 - მიმდინარეობდა ბურჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა პირველი გვირაბის გაჭრის სამუშაოები და დროებითი სამაგრის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა მე-2 გვირაბის გაჭრის სამუშაოები და დროებითი სამაგრის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა მე-3 გვირაბის მოპირკეთების სამუშაოები. მიმდინარეობდა საავარიო გვირაბის გაჭრის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა მე-4 გვირაბის მოპირკეთების სამუშაოები. მიმდინარეობდა საავარიო გვირაბის გაჭრის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა მე-5 გვირაბის კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა საკომუნიკაციო ქსელების გადატანის სამუშაოები.

- „სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU)“:
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის კმ0-კმ11.5 მონაკვეთი (ლოტი 1):
    - ➢ დასრულდა ცხენისწყალზე ხიდის კოჭების მონტაჟის სამუშაოები;
    - ➢ მიმდინარეობდა რკინიგზის ვიადუკზე რკინა-ბეტონის კოჭების მონტაჟის სამუშაოები;
    - ➢ მიმდინარეობდა ხიდების ვაკისის მოწყობის სამუშოები;
    - ➢ მიმდინარეობდა ხიდებზე კოჭების გამაერთიანებელი ფილის მოწყობის სამუშოები;
    - ➢ დაიწყო რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილის და მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები;
    - ➢ დაიწყო საავტომობილო გზის ქვედა ფენის მოწყობის სამუშაოები;
    - ➢ საავტომობილო გზის გამყოფ ზოლზე დაიწყო „ნიუ-ჯერსის“ ტიპის ბეტონის ბარიერების მოწყობის სამუშაოები;
    - ➢ დაიწყო კომუნიკაციების გადალაგების (გაზის მილები და ელექტრო ხაზები) სამუშაოები;
    - ➢ მიმდინარეობდა საავტომობილო გზის საფარის მოწყობის სამუშაოები.
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის კმ11.5-კმ30 მონაკვეთზე (ლოტი 2) დასრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე, დასრულდა საბოლოო ანგარიშსწორება;
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის კმ30-კმ42 მონაკვეთი (ლოტი 3):
    - ➢ მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.

- ✓ სამტრედია-გრიგოლეთის კმ42-კმ51.6 მონაკვეთი (ლოტი 4):
  - ➢ მიწისქვეშა გასასვლელებზე და წყალგამტარ მილებზე დასრულდა ჯდენებით გამოწვეული დაზიანებების აღმოფხვრა;
  - ➢ სატრანსპორტო კვანძის არეალში მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშოები;
  - ➢ მიმდინარეობდა საავტომობილო გზის „ნიუ-ჯერსის“ ტიპის სპეცპროფილის ბეტონის პარაპეტებით შემოფარგვლის სამუშაოები;
  - ➢ მიმდინარეობდა საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები.

- „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB, WB)“:
  - ✓ დასრულდა განსახლების პროცედურები;
  - ✓ მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 12 სახიდე გადასასვლელზე რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯებისა და ხიმინჯების გამაერთიანებელი კონსტრუქციის (როსტვერკი) განაპირა და შუალედური ბურჯების სამშენებლო სამუშოები;
  - ✓ მიმდინარეობდა წინასწარდაძაბული რკინა-ბეტონის კოჭების დამზადება, ობიექტზე ტრანსპორტირება და მონტაჟი;
  - ✓ მიმდინარეობდა 3 გვირაბზე პორტალების სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 3 გვირაბის გაჭრის, დროებითი თაღისა და უკუთაღის გამაგრების სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 3 გვირაბში მუდმივი რკინა-ბეტონის უკუთაღისა და თაღის სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები.

- „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი უბისას მონაკვეთის რეკონსტრუქცია - მშენებლობა (ADB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 30 სახიდე გადასასვლელზე რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯების, ხიმინჯების გამაერთიანებელი კონსტრუქციის (როსტვერკი) განაპირა და შუალედური ბურჯების სამშენებლო სამუშოები;
  - ✓ მიმდინარეობდა წინასწარდაძაბული რკინა-ბეტონის და ლითონის კოჭების დამზადება, ობიექტზე ტრანსპორტირება და მონტაჟი;
  - ✓ მიმდინარეობდა სახიდე გადასასვლელებზე მალის ნაშენის რკინა-ბეტონის გამაერთიანებელი ფილის (როსტვერკი) მოწყობის სამუშოები;
  - ✓ მიმდინარეობდა სახიდე გადასასვლელებზე „ნიუ-ჯერსის“ ტიპის რკინა-ბეტონის უსაფრთხოების ბარიერების მოწყობის სამუშოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 17 გვირაბზე პორტალების მოწყობის, დროებითი თაღისა და უკუთაღის გამაგრების, რკინა-ბეტონის მუდმივი თაღისა და უკუთაღის სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა გვირაბების გაჭრის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.

- „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა შორაპანის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციისა და მიწის ვაკის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის საყრდენი კედლების სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები;

- ✓ მიმდინარეობდა 27 სახიდე გადასასვლელზე რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯების, ხიმინჯების გამაერთიანებელი კონსტრუქციის (როსტვერკი) განაპირა და შუალედური ბურჯების სამშენებლო სამუშოები;
- ✓ მიმდინარეობდა წინასწარდაძაბული რკინა-ბეტონის კოჭების დამზადება, ობიექტზე ტრანსპორტირება და მონტაჟი;
- ✓ მიმდინარეობდა სახიდე გადასასვლელებზე მალის ნაშენის რკინა-ბეტონის გამაერთიანებელი ფილის (როსტვერკი) მოწყობის სამუშოები;
- ✓ მიმდინარეობდა ლითონის კოჭების დამზადება, ობიექტზე ტრანსპორტირება და მონტაჟი;
- ✓ მიმდინარეობდა 18 გვირაბზე პორტალების მოწყობის, დროებითი თაღისა და უკუთაღის გამაგრების, რკინა-ბეტონის მუდმივი თაღისა და უკუთაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა გვირაბების გაჭრის სამუშაოები (18 გვირაბიდან გაჭრილია 12 გვირაბი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში დასრულდა 8 გვირაბის გაჭრის სამუშაოები);
- ✓ გვირაბებში დაიწყო ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.

- „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის შორაპანი არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (ADB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
  - ✓ დასრულდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები;
  - ✓ განთვისების ზოლის ფარგლებში, მიმდინარეობდა ხეების მოჭრისა და დასაწყობების სამუშაოები, არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;
  - ✓ მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 10 გვირაბზე პორტალების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 10 გვირაბის გაჭრის სამუშაოები, დროებითი თაღისა და უკუთაღის გამაგრების სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 14 სახიდე გადასასვლელზე ფუნდამენტების ექსკავაციის, რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯების და ხიმინჯების გამაერთიანებელი კონსტრუქციის (როსტვერკი) განაპირა და შუალედური ბურჯების სამშენებლო სამუშოები;
  - ✓ დაიწყო წინასწარდაძაბული რკინა-ბეტონის კოჭების დამზადება.

- „სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ48-კმ64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა ყრილის, ქვესაგები ფენის და საფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ქვის სვეტების საშუალებით, მიმდინარეობდა სუსტი გრუნტების გამაგრების სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა სახიდე გადასასვლელებზე რკინა-ბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯების და განაპირა ბურჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიწის ზედა გადასასვლელებზე და სატრანსპორტო კვანძებზე მიმდინარეობა ბურჯების და რიგელების მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის კოჭების დამონტაჟების სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა კომუნიკაციების გადატანის სამუშაოები (წყლის და წყალარინების მილები, ელექტრო ხაზები);
  - ✓ მიმდინარეობდა წყალგამტარი მილებისა და სადრენაჟო არხების მოწყობის სამუშაოები.

- „მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB, EBRD)“:
  - ✓ მიმდინარეობდა მე-2 სახიდე გადასასვლელის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები (ლოტი 2);
  - ✓ მიმდინარეობდა მე-3 სახიდე გადასასვლელის განაპირა ბურჯის მოწყობის სამუშოები (ლოტი 2);

- ✓ პირველ გვირაბზე მიმდინარეობდა გაჭრის სამუშაოები და დროებითი სამაგრის მოწყობის სამუშაოები (ლოტი 2);
- ✓ მიმდინარეობდა ყრილის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა მე-3 გვირაბზე შესასვლელი პორტალის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ დასრულდა წყალგამტარი მილის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები (ლოტი 1 და ლოტი 2);
- ✓ მიმდინარეობდა საავარიო გვირაბის გაჭრის სამუშაოები (ლოტი 1);
- ✓ გვირაბგამყვანი მანქანის (TBM) საშუალებით, მიმდინარეობდა მთავარი გვირაბის გაჭრის სამუშაოები (ლოტი 1);
- ✓ მიმდინარეობდა გვირაბის რკინა-ბეტონის სეგმენტების დამზადების სამუშაოები.

- „თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ბაკურციხე-წნორის მონაკვეთის მშენებლობა (ADB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
  - ✓ მიმდინარეობდა სამობილიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები;
  - ✓ დაიწყო კომუნიკაციების გადატანის სამუშაოები (ელექტრო ხაზები);
  - ✓ განთვისების ზოლის ფარგლებში, დაიწყო ხეების მოჭრისა და დასაწყობების სამუშაოები.
- „მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა (ADB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
  - ✓ დაიწყო სამობილიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები.
- „თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ22-კმ57 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)“ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.
- „ალგეთი-სადახლოს საავტომობილო გზის მშენებლობა-მოდერნიზაცია (EIB)“ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.
- „თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის ლოჭინი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა“:
  - ✓ ვაზიანის შემოსავლელი საავტომობილო გზის მონაკვეთის (კმ0+310-კმ4+040) მშენებლობის ფარგლებში (ლოტი 0):
    - ➢ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
    - ➢ მიმდინარეობდა მიწის სამუშოები;
    - ➢ დასრულდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები;
    - ➢ დაიწყო მიწის ვაკისის მოწყობის სამუშოები;
    - ➢ დაიწყო სახიდე გადასასვლელების რკინა-ბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები;
    - ➢ დაიწყო რკინა-ბეტონის წყალგამტარი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები.
  - ✓ ვაზიანი საგარეჯის საავტომობილო გზის მონაკვეთის (კმ4+040-კმ27+840) მშენებლობის ფარგლებში (ლოტი 1):
    - ➢ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
    - ➢ მიმდინარეობდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები;
    - ➢ დაიწყო მიწის სამუშოები.
  - ✓ საგარეჯოს შემოვლითი საავტომობილო გზის (კმ27+840-კმ35+500) მშენებლობის ფარგლებში (ლოტი 2):
    - ➢ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
    - ➢ მიმდინარეობდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები;
    - ➢ დაიწყო მიწის და ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- „თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის საგარეჯო-ბადიაურის მონაკვეთის მშენებლობა (WB)“ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.

3.2 რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა 2022 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომლებიც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა მუნიციპალური და კულტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას, კერძოდ: საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, კულტურული, ტურისტული და საყოფაცხოვრებო ობიექტები და სხვა. ასევე, სივრცითი დაგეგმარების და ურბანული განვითარების კუთხით, მიმდინარეობდა განაშენიანების რეგულირების გეგმების განხილვა. აღნიშნული პროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის (WB), აზიის განვითარების ბანკის (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი თანამშრომლობის ფონდის (E5P), ჩრთილოეთის ქვეყნების გარემოსდაცვითი საფინანსო კორპორაციის (NEFCO) საკრედიტო და საგრანტო რესურსებიდან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3.2.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი - 25 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა ყვარელში, აღმაშენებლის ქუჩაზე სტადიონის (უეფას მეორე კატეგორიის დონე) მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დართლოსა და სოფელ კესელოში მდებარე ციხე კოშკების რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის და სოფელ დართლოს ეკლესიის კონსერვაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. რუსთავში სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. ახალციხეში სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. მცხეთაში ანტიოქიის მონასტრის მიმდებარედ, მდინარე მტკვრისა და მდინარე არაგვის შესართავთან საყოველთაო სანათლავის, ხოლო მდინარე არაგვზე საფეხმავლო ხიდის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტის მომზადება;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში, დასრულდა ბულვარის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- ქ. ქუთაისში, მიმდინარეობდა რიონის სანაპიროს ურბანული განახლების გეგმის შემუშავება;
- ქ. ონში აშენებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობა (Design Build);

- მესტიის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ბეჩოს თემის სოფელ მაზერში, მულახის თემის სოფელ ჭოლაში, დაბა მესტიის N2 საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების (50 ბავშვზე გათვლილი) სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემის სოფელ ლახამში, ჭუბერის თემის ცენტრში და სოფელ მულახში აშენებულია საბავშვო ბაღები (50 ბავშვზე გათვლილი) (Design Build);
- მესტიის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილების შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, მიმდინარეობდა არსებული საფეხბურთო სტადიონის (უეფას მესამე კატეგორიის დონე) დასრულების და ახალი სათადარიგო სტადიონის (ხელოვნურსაფარიანი) სამშენებლო სამუშაოები;
- მარტვილის მუნიციპალიტეტში დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, მიმდინარეობდა მამულის უბანში, სოფელ ონოღიაშის და სოფელ ქვედა ხუნწში საბავშვო ბაღების (50 ბავშვზე გათვლილი) სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მესტიის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა მესტიის ლაღამის უბანში და უშგულის თემის სოფლებში არსებული სვანური კოშკების რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა შავი ზღვის აუზის მდინარეებზე, დასავლეთ საქართველოში, სოფელ ანაკლიიდან ქობულეთამდე ნატანდამჭერების მოწყობისათვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომოკური კვლევის მომზადება;
- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე შეწყვეტილია ხელშეკრულება კონტრაქტორ ორგანიზაციასთან. მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აფენის ადმინისტრაციულ ერთეულში, მიმდინარეობდა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილიო გზების (საერთო სიგრძით - 12 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუმში მისასვლელი 7 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N52-ში მიმდინარეობდა ახალი საფეხბურთო სტადიონის (2 000 მაყურებელზე გათვლილი) მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- დუშეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა როშკა-არხოტის უღელტეხილი-სოფელ ამღას საავტომობილო გზის (კმ 0+000 კმ 11+000) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ცაგერის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ლაილაშსა და სოფელ თაბორში მისასვლელი 8.2 კმ საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ბახმაროში, მიმდინარეობდა დასასვენებელი პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა შავი ზღვის აუზის მდინარეებზე, დასავლეთ საქართველოში, სოფელ ანაკლიიდან ქობულეთამდე ნატანდამჭერების მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის პარკის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილების შენობის მცირე სარეაბილიტაციო და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში, მიმდინარეობდა სახიდე გადასასვლელის, ავტოსადგურისა და ღია ავტოსადგომის სამშენებლო სამუშაოები;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ქალაქ წნორში მიმდინარეობდა ქიზიყის ქუჩის 3.5 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- სიღნაღის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ქალაქ წნორში მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- საჩხერის მუნიციპალიტეტში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიმდინარეობდა წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები (ფაზა 2);
- გორის მუნიციპალიტეტში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიმდინარეობდა წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები (ფაზა 2);
- ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ქალაქ ბოლნისში მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზიანისა და სოფელ კრწანისის, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოს, ქ. გორის მუნიციპალიტეტის, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (საერთო სიგრძით - 10.9 კმ) რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- დაიწყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- დაიწყო ქ. თბილისში მდებარე მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სათადარიგო სტადიონის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- დაიწყო ქ. თბილისში მდებარე მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- დაიწყო ქ. ქუთაისში მდებარე რამაზ შენგელიას სახელობის საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- დაიწყო ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე არსებული სასადილო შენობის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულებულ პროექტებზე მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
- მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფინანსება.

3.2.2 განახლებული რეგიონების პროგრამა (პროგრამული კოდი - 25 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- 63 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა არსებული სკვერების, დასასვენებელი პარკების, ქუჩებისა და შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული საზედამხედველო და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფინანსება;

3.2.3 რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დაბა სტეფანწმინდაში მიმდინარეობდა ალ. ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ფაზა 2);
- ადიგენის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა აბასთუმნის მწვანე და ლურჯი კორიდორის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტირება და მშენებლობა);
- მიმდინარეობდა ზარზმის სამონასტრო კომპლექსის გადაუდებელი რესტავრაციისათვის და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ზარზმის სამონასტრო კომპლექსზე გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ბაკურიანის რეკრეაციული პარკის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ბორჯომის კავალერიის შენობის სარესტავრაციო და მუზეუმად ადაპტაციასთან დაკავშირებული სამუშაოები;
- ქ. დუშეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ისტორიული ქუჩების ურბანული განახლების სამუშაოები (ფაზა 2) და (ფაზა 3);
- მიმდინარეობდა სტეფანწმინდის მუზეუმის მუზეოგრაფიის, მართვის გეგმის და საგამოფენო სივრცის დიზაინის მომზადება;
- მიმდინარეობდა მცხეთის მუზეუმის მუზეოგრაფიის, მართვის გეგმის და საგამოფენო სივრცის დიზაინის მომზადება;
- მიმდინარეობდა მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის ლაბორატორიისათვის ინვენტარის და სხვადასხვა აღჭურვილობების შეძენა და სარგებლობაში გადაცემის პროცედურები (II ეტაპი);
- მიმდინარეობდა თრუსოს დაცული ლანდშაფტის მდგრადი კონსერვაციისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხედვის, კონცეფციის, დეტალური დიზაინის სამშენებლო პროექტების მომზადება და მშენებლობის ზედამხედველობა;
- მიმდინარეობდა მდგრადი ვიზიტორთა ბილიკების და მთის ქოხების განვითარების და ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის დაცული ლანდშაფტების დაკავშირების მიზნით, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
- დასრულდა დაბა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისთვის თოვლსაწმენდი სატრანსპორტო საშუალების მოდელთან თავსებადი დამტებითი აღჭურვილობის შეძენა და სარგებლობაში გადაცემის პროცედურები;
- დაიწყო დაბა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისთვის ტელესკოპის და გუმბათის მიწოდებისა და მონტაჟის პროცედურები;
- მიმდინარეობდა დაბა აბასთუმნის ისტორიული ხის სახლების დეტალური დიზაინის დოკუმენტაციის მომზადება (ფაზა 2);
- მიმდინარეობდა ქ. ქუთაისში დავით კაკაბაძის სახელობის ხელოვნების გალერიის რეაბილიტაციისათვის და ადაპტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში მიმდინარეობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოები;

- მიმდინარეობდა ბაკურიანში ცენტრალური სატრანსპორტო ჰაბის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- „რეგიონალური განვითარების პროექტი III“ - ის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებზე, მიმდინარეობდა საზედამხედველო მომსახურება;
- მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული საოპერაციო და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფინანსება.

3.2.4 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) (პროგრამული კოდი - 25 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ქ. ხაშურში დასრულდა საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგების სისტემის (რეზერვუარები, მილსადენები 52.1 კმ, საქლორატორო, სატუმბო სადგური, ჭები და სხვა) მოწყობის სამუშაოები (ფაზა 2);
- მუნიციპალური სერვისების ელექტრონული პლატფორმის განვითარებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურება;
- მიმდინარეობდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში შპს „ვილა გოდოლი“ -ს სასტუმროსთან წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთაში, მიმდინარეობდა საავტომობილო გზების (საერთო სიგრძით - 8.9 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. გორის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა „ახალბაღის“ პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ობჩის „საბუკიას“ და „ჭყეპნარას“ საუბნო საავტომობილო გზების (საერთო სიგრძით - 8.5 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ფახულანის და სოფელ ჭალეს დამაკავშირებელი 7.6 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ახალაბასთუმანის და სოფელ რუხის 3.8 კმ საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა 3 სოფლის (მაღლაკი, ფარცხანაყანევი და ზედა მესხეთი) საუბნო გზების (საერთო სიგრძით - 32.1 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. დმანისისა და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ფაზა I);
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა 5 სოფლის (ნორიო, ვაზიანი, ახალსამგორი, მარტყოფი და ახალსოფელი) წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ფაზა III);
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II“ -ის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებზე, მიმდინარეობდა საზედამხედველო მომსახურება;
- მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული საოპერაციო და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფინანსება.

3.2.5 საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) (პროგრამული კოდი - 25 03 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა გურჯაანის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ხობის მუნიციპალიტეტში, „თუთარჩელა“-ს შენობაში მიმდინარეობდა მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მოწყობისათვის დარჩენილი სამუშაოები;
- საჩხერის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულ გორისა-ჯალაურთას 5.9 კმ-იანი საავტომობილო გზაზე, დასრულდა აღმოჩენილი ხარვეზების ექსპერტიზა. კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრა;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, ქ. გორის მუნიციპლაიტეტში და ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეღვრეკისი-ერგნეთში, მიმდინარეობდა 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულებულ პროექტებზე მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის“ ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებზე, მიმდინარეობდა საზედამხედველო მომსახურება.

3.2.6 საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი-ალტერნატიული ენერგიის გამოყენება (E5P, NEFCO) (პროგრამული კოდი - 25 03 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა სსიპ - იუსტიციის სახლის, ოზურგეთის, თელავის და ახალციხის ფილიალების შენობებში ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაძლიერებისთვის დიზაინი და მშენებლობა;
- საბავშვო ბაღებში და საჯარო სკოლებში გამძლე ქსელთან დაკავშირებული PV სისტემის დაყენებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა პროექტირების, დანადგარის შეძენის და ინსტალაციის მომსახურების შესყიდვა;
- დასრულებულ პროექტებზე მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

3.2.7 საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (პროგრამული კოდი - 25 03 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ქ. ახალციხეში, ქ. ზუგდიდში და ქ. რუსთავში მიმდინარეობდა სპორტული კომპლექსების სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, მიმდინარეობდა ოლიმპიური საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ანაგში, მიმდინარეობდა 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში და სოფელ ხაჯალიაში, მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოდბეში, მიმდინარეობდა 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაბუკიანში, მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურში, მიმდინარეობდა 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში, მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში, მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, „ავტოქარხნის“ დასახლებაში მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყაროში, მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში, მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონაში, მიმდინარეობდა 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში, მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონში, მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. ფოთში მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. სენაკში მიმდინარეობდა 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში, მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხისში, მიმდინარეობდა 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ველისციხის ცენტრალური ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში, დაწყებული 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები;
- აზიის განვითარების ბანკის საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული საოპერაციო, ადმინისტრაციული, საზედამხედველო და სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფინანსება.
- მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფინანსება.

3.2.8 ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკაში, დასრულდა ფარავნის ტბის ჯებირისა და წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერთან ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ კობში ავტოსადგომის სამშენებლო სამუშაოები (Design Build).

3.2.9 მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (პროგრამული კოდი - 25 03 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- აზიის განვითარების ბანკის საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული ზედამხედველობის ხარჯების ანაზღაურება და დასრულებულ ობიექტზე საბოლოო ანგარიშსწორება.

3.2.10 ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი (Government of France) (პროგრამული კოდი - 25 03 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ჭიათურის მუნიციპალიტეტში, დამონტაჟებულ ახალ რევერსიულ გონდოლებიან საბაგიროზე და აშენებულ შესაბამის ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, დასრულდა საბოლოო ანგარიშსწორება;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტში, რეკონსტრუირებულ-რეაბილიტირებულ 4 რევერსიულ გონდოლებიან საბაგირო გზაზე და „მუხაძის“ ხაზის საბაგირო გზაზე, დასრულდა საბოლოო ანგარიშსწორება.

3.2.11 სივრცითი დაგეგმარება და ურბანული განვითარება (პროგრამული კოდი - 25 03 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:[1]

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი.

- ჩატარდა დასახლებათა ტერიტორიების (გარდა სარეკრეაციო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებისა) გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 21 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე განხილულ იქნა 429 პროექტი (გუდაურის, ბაკურიანის, ბახმაროსა და ურეკის სარეკრეაციო ტერიტორიებზე ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტები, არქიტექტურული პროექტები და ა.შ), საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განაშენიანების რეგულირების გეგმები, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2 კოეფიციენტი) განსაზღვრისა და ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხები;

---

[1] **შენიშვნა:** „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილების შედეგად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი მიმდინარე წლის 11 ივნისიდან გადავიდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო.

- გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე განხილული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის 1 კორექტირებული პროექტი;
- ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე განხილული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის 1 კორექტირებული პროექტი;
- განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირებისათვის გამოიცა მინისტრის 1 ბრძანება - მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილზე;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის ტერიტორიაზე განხილული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ლოჯისტიკური პარკის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია;
- დაიწყო კურორტ წყალტუბოს ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის შემუშავება (I ეტაპი).

3.2.12 ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (EBRD) (პროგრამული კოდი - 25 03 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურება (კორპორატიული განვითარების პროგრამა და სატრანსპორტო რეფორმის კვლევა).

3.3 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- მიმდინარეობდა 2022 წლამდე დაწყებული და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება და დასრულებულ ობიექტებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. პროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW), საკრედიტო და საგრანტო რესურსებიდან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3.3.1 ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) (პროგრამული კოდი - 25 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- პროექტი ABA-01 ფარგლებში (აბაშის მუნიციპალიტეტი), მიმდინარეობდა სერვისცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოები და მე-11 ჭის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- პროექტი REG-02 ფარგლებში, მიმდინარეობდა ანაკლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის და მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობის დეფექტების აღმოფხვრა და წინასატესტო პროცედურები;

- პროექტი URE-02 ფარგლებში (ურეკის მუნიციპალიტეტი), მიმდინარეობდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დეფექტების აღმოფხვრა და წინასატესტო პროცედურები;
- პროექტი ZUG-02 ფარგლებში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), მოწყობილ წყალარინების ქსელებზე (175 კმ-იანი წყალარინების ქსელი) დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
- პროექტი POT-01 ფარგლებში (ფოთის მუნიციპალიტეტი), წყალარინების სისტემის (156.5 კმ-იანი წყალარინების ქსელიდან მოეწყო 90.2 კმ ქსელი) და მაგისტრალური ჭების (2 740 მაგისტრალური ჭიდან მოეწყო 1 163 მაგისტრალური ჭა) მოწყობის სამუშაოებზე და სახლების დაერთების სამუშაოებზე (3 030 სახლიდან დასრულდა 2 554 სახლის დაერთება) შეწყვეტილია ხელშეკრულება კონტრაქტორ ორგანიზაციასთან. დაიწყო სატენდერო პროცედურები;
- პროექტი POT-02 ფარგლებში (ფოთის მუნიციპალიტეტი), შეჩერებულია წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები. კონტრაქტორ ორგანიზაციასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სამუშაოების განახლებაზე;
- პროექტი JVARI-01 ფარგლებში, ჯვარში მიმდინარეობდა რეზერვუარის სარეაბილიტაციო და სატუმბი სადგურის სამშენებლო სამუშაოები;
- პროექტი REG-03a ფარგლებში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), აშენებულ წყალარინების გამწმენდ ნაგებობაზე მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
- პროექტი OFFICE-01 ფარგლებში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სათაო ოფისის სამშენებლო სამუშაოებზე (დასრულდა XVI სართულის სამშენებლო სამუშაოები), მიმდინარეობდა კონტრაქტორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურები;
- პროექტი CHI-01 ფარგლებში (ჭიათურის მუნიციპალიტეტი), განახლდა ახალი რეზერვუარის და ახალი სატუმბი სადგურის სამშენებლო სამუშაოები, წყალმომარაგების ქსელის (7.3 კმ-იანი წყალმომარაგების ქსელიდან მოეწყო 5.0 კმ ქსელი) და აღრიცხვის კვანძის (364 აღრიცხვის კვანძიდან მოეწყო 165 კვანძი) მოწყობის სამუშაოები (II სექცია). დასრულებულ ობიექტებზე მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი (I სექცია);
- პროექტი GUD-02 ფარგლებში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), გუდაურში მოწყობილ 22 კმ-იან წყალარინების ქსელზე და I ჭაბურღილზე, აშენებულ რეზერვუარზე მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. ასევე, განახლდა II და III ჭაბურღილების ბურღვითი სამუშაოები;
- პროექტი GUD-03 ფარგლებში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), გუდაურში წყალარინების 4 გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. დასრულდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები. დაიწყო წყალარინების 4 გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები;
- პროექტი MAR-01 ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის (191.5 კმ-იანი ქსელიდან მოეწყო 112.6 კმ ქსელი) და წყალარინების ქსელის (150.5 კმ-იანი ქსელიდან მოეწყო 68.4 კმ ქსელი) მოწყობის სამუშაოებზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემკრები კოლექტორის (22 კმ-იანი მილიდან მოეწყო 8.2 კმ მილი) და წყალარინების ქსელის (61.1 კმ-იანი ქსელიდან მოეწყო 8.3 კმ ქსელი) მოწყობის სამუშაოებზე შეწყვეტილია ხელშეკრულება კონტრაქტორ ორგანიზაციასთან. დაიწყო სატენდერო პროცედურები;
- პროექტი MAR-02 ფარგლებში (მარნეულის მუნიციპალიტეტი), მომზადებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მიმდინარეობდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები;

- პროექტი MES-03 ფარგლებში (მესტიის მუნიციპალიტეტი), მიმდინარეობდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.3.2 მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარული სექტორის განვითარების პროგრამა (ADB) (პროგრამული კოდი - 25 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- პროექტი TEL-01 ფარგლებში (თელავის მუნიციპალიტეტი), მიმდინარეობდა წყალმომარაგების ქსელის მოწყობის (79 კმ-იანი წყალმომარაგების ქსელიდან მოეწყო 25 კმ-იანი ქსელი, საანგარიშო პერიოდში მოეწყო 17 კმ ქსელი) და 4 რეზერვუარი სამშენებლო სამუშაოები. აშენებულია 1 რეზერვუარი. დასრულდა 3 ჭაბურღილის ბურღვითი სამუშაოები და დაიწყო ტესტირება.

3.3.3 იმერეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კომუნალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (KfW) (პროგრამული კოდი - 25 04 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- საკონსულტაციო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება (ლოტი 2 - იმერეთი (სამტრედია, ბაღდათი, ვანი));
- დაიწყო სატენდერო პროცედურები (ლოტი 1 - ყაზბეგი).

3.3.4 ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების გაუმჯობესება (AFD, EU) (პროგრამული კოდი - 25 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- დაიწყო სატენდერო პროცედურები.

3.3.6 რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 04 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- მიმდინარეობდა ქ. საგარეჯოს წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);
- მიმდინარეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების: ყანდაურის, ბადიაურის, მანავის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (Design Build);

- მიმდინარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების: ანაგის, ვაქირის, ბოდბისხევის, ჯუგაანის, ტიბაანის, ქვემო მაღაროს, ქვემო ბოდბის და საქობოს წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების: ქვემო მაჩხაანის, ფანიანის, ილიაწმინდას, ხირსას, ყარაღაჯის და ხორნაბუჯის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ გურჯაანის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- ქ. თელავში, მიმდინარეობდა „წიწმატიანი“-ს სათავე ნაგებობის, სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- ახმეტის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ მატანის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების (ფიროსმანი, სამთაწყარო, თავწყარო, ჭოეთი, საბათლო და არბოშიკი) წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების (ხორნაბუჯი და სამრეკლო) წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სათავე ნაგებობისა და სატუმბი სადგურის ელექტრო მომარაგების სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების (ვეჯინი, კოლაგი, ჭანდარი და ძირკოკი) წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების (კაჭრეთი და ზემო კაჭრეთი) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. გურჯაანის წყალარინების სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. სიღნაღის და ქ. წნორის წყალარინების სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების (ნუკრიანი, ზემო მაღარო და ზემო ბოდბე) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- დასრულდა ქ. სიღნაღის და ქ. დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის შენობების რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების (ბაკურციხე და კარდენახი) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის წყალმომარაგების სისტემის დამატებითი სამუშაოებისათვის, ქ. წნორში სერვის ცენტრის შენობის მშენებლობისათვის და ქ. გურჯაანის სერვის ცენტრის შენობის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);

- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების (ჯიმითი და ნანიანი) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების (არაშენდა, დარჩეთი და ქოდალო) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- დუშეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა ფასანაურის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა სიონის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- თიანეთის მუნიციპალიტეტის დაბა თიანეთში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის, მიმდინარეობდა მაგისტრალური მილის მოწყობის სამუშაოები;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში 1 სასმელ-სამეურნეო ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე (Design Build), დაიწყო კონტრაქტორ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურები;
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში 3 სასმელ-სამეურნეო ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის წყალმომარაგების სისტემის წყალმიმღები და გამწმენდი ნაგებობების მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ბახვი-ვაკიჯვარის და სოფელ ცხემლისხიდის წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ზემო ნატანების წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ცხემლისხიდის, დვაბზუს და მშვიდობაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის („წვერმაღალას“, „წერეთლის“ და „სანერგეს“ უბნები და მე-13 ქუჩა) წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- დასრულდა ქ. ტყიბულის წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. ტყიბულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის და სერვის-ცენტრის შენობის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის უბნებში მოწყობილი წყალმომარაგების სისტემა;
- ადიგენის მუნიციპალიტეტში, აშენებულია დაბა აბასთუმნის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა (Design Build);
- ადიგენის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა აბასთუმნის მოსახლეობის წყალარინების ქსელზე დაერთების, არსებული საფილტრი სადგურის ოპტიმიზაციისა და წყალმომარაგების სათავე ნაგებობისთვის სალექარის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა დაბა ხარაგაულის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები (II ეტაპი);
- მიმდინარეობდა დაბა ხარაგაულის წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);

- სენაკის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ გოლასკურის წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. ახალციხის ცენტრალური უბნების და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის და „აბის დასახლების“ წყალარინების სისტემის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანების და სოფელ მუხიანის წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯას წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის რეზერვუარის, დამწნეხი კოლექტორის და სამტრედიის წყალარინების სატუმბი სადგურის რეაბილიტაციისათვის/მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- ხობის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ძველი ხიბულას წყალმომარაგების ქსელის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. ზუგდიდის (არარეაბილიტირებული უბნები) წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა დაბა ასპინძის და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების (იდუმალა, ოშორა და ოთა) წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოს წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწყობისათვის და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლების (ცხვარიჭამია, თეზამი, კევლიანი) წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბულაჩაურის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახატანის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ზემო მაჩხაანისა და სოფელ მირზაანის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის წყალარინების სისტემის და წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ პატარძეულის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფლების (თოხლიაური, დიდი ჩაილური და პატარა ჩაილური) წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფლების (ნინოწმინდა და წყაროსთავი) წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფლების (ზემო ქედი, ქვემო ქედი, არხილოსკალო და გამარჯვება) წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ზემო თელეთი, ქვემო თელეთი, ახალწყალი, წალასყური, მუხრან-თელეთი და კუმისი) მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები და გამრიცხველიანება (Design Build);
- მიმდინარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 15 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში რეაბილიტირებულია წყალმომარაგების სისტემა;
- კასპის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ხიდისყურისა და სოფელ საქადაგიანოს წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. ზესტაფონის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. სამტრედიის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. ზუგდიდში წყალსადენის ქსელზე ინდივიდუალური განშტოებებისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბუმეს წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების (ნაწილობრივი) სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის წყალმომარაგების სისტემის ოპტიმიზაციის სამუშაოები (Design Build);
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში მიმდინარეობდა წყალმომარაგების აღრიცხვის კვანძის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ონის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა „ჟიჟორეთის“ სათავე ნაგებობიდან მომავალი მაგისტრალური წყალსადენის დაახლოებით 350 მეტრიანი მონაკვეთის ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ მუღანლოს წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტების წყალმომარაგების სისტემების (ნაწილობრივი) სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლების (რუფოთი და ტელეფა) წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდოგანის და მიმდებარე ცენტრალური უბნის წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ქ. სენაკის ცალკეული ქუჩებისა და სოფელ მენჯის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა დაბა მესტიის წყალმომარაგების ახალი სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში (კირბალა და ბეშუეთი) 2 ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯურუყვეთის თემის სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);

- მიმდინარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის თემის სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელეს თემის სოფლებისა და სოფელ წიაღობნის წყალმომარაგების სისტემების მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- მიმდინარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური წყალსადენის მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- ქ. ახალქალაქში, მიმდინარეობდა ჯავახეთის ქუჩის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. ბოლნისის „ყარაბულახის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისათვის და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- ხაშურის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა სურამის ბაიანთხევისა და გვერდისუბნის დასახლების წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. წყალტუბოს წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. მარტვილის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. ყვარელის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. გორში, მიმდინარეობდა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კურორტ გუდაურში წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მშენებლობისათვის და მაგისტრალური მილის მოწყობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში, დაიწყო წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- დაიწყო ქ. ფოთის წყალარინების N9 სატუმბ სადგურში შემავალი მილის სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- ქ. ახალციხეში, გამსახურდიას ქუჩაზე და „ფიჭვების“ დასახლებაში დაიწყო წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. ჭიათურაში ფანცულაიას ქუჩის, სოფელ პერევისას (30 ოჯახი) და საჩხერის გზატკეცილზე N20 და N24 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები (Design Build);
- დაიწყო ქ. ვალეს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის (II ფაზა) საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (Design Build);
- ქ. კასპში, კოსტავას ქუჩაზე მიმდინარეობდა წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა ლესელიძის ქუჩაზე და მიმდებარე უბნებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- დასრულებულ ობიექტებზე მიმდინარეობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

3.5 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 24 14)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- 220კვ „ახალციხე-ბათუმი" ხაზის პროექტის ფარგლებში გადაწყდა სადავო საკითხები და გაფორმდა სამშენებლო ხელშეკრულება სხალთის მონაკვეთთან დაკავშირებით;
- გამოსწორდა 500 კვ ეგხ-ის „ქსანი-სტეფანწმინდას" მშენებლობის შემდეგ დარჩენილი ხარვეზები;
- ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-ხორგას“ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები;
- რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, შეირჩა მშენებელი კონტრაქტორი გურიის ელექტროგადამცემი ხაზებისა და 220/110 ლაჯანურის, 220/110 ოზურგეთისა და 550/400 ახალციხის ქვესადგურების გაფართოებასთან დაკავშირებით, მოხდა საავანსო გადახდები და მიმდინარეობდა მუშაობა დეტალურ დიზაინზე;
- „ჯვარი-წყალტუბოს“ პროექტზე მიმდინარეობდა დეტალურ დიზაინზე მუშაობა, დასრულდა ქვესადგური წყალტუბოს დეტალური პროექტირება;

3.5.1. ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ახალციხე-ბათუმის 220კვ ეგხ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობა მუშაობა სხალთის მონაკვეთის დეტალურ დიზაინზე.

3.5.2. საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (პროგრამული კოდი 24 14 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ჩაირთო 500 კვ „ქსანი–სტეფანწმინდას“ ელექტროგადამცემი ხაზი და მიმდინარეობდა ენერგიის გადაცემა. კონტრაქტორი კომპანიის მიერ აღმოიფხვრა მშენებლობის შემდეგ დარჩენილი ყველა ხარვეზი;
- „ჯვარი-ხორგას“ პროექტის ფარგლებში სამუშაოები დასრულდა სრულად, წარმატებით განხორციელდა ხაზის ტესტირება და 2022 წლის 15 მარტიდან განხორციელდა ხაზის ჩართვა.

3.5.2.1 500 კვ ეგხ-ის „ქსანი-სტეფანწმინდა“ მშენებლობა (EBRD, EU, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ხაზი ჩართულია და მიმდინარეობს ენერგიის გადაცემა. კონტრაქტორი კომპანიის მიერ აღმოფხვრილია ყველა დარჩენილი ხარვეზი;
- კონტრაქტორთან სადავო საკითხების გადასაწყვეტად მიმდინერეობდა შესაბამისი სამუშაოები.

3.5.2.2 ელექტროგადამცემი ხაზი „ჯვარი-ხორგა“ (EBRD, EU, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-ხორგას“ პროექტის ფარგლებში სამუშაოები დასრულდა სრულად, წარმატებით განხორციელდა ხაზის ტესტირება და 2022 წლის 15 მარტიდან განხორციელდა ხაზის ჩართვა. კონტრაქტორის მიერ დაიწყო დარჩენილი სამუშაოების შესრულება, რომელიც არ უშლის ხელს ხაზის ფუნქციონირებას.

3.5.3 რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მიმდინარეობდა: ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, მშენებლობა-რეაბილიტაცია; ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა;

3.5.3.1 500 კვ ეგხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- 2022 წლის 18 თებერვალს გაფორმდა სამშენებლო ხელშეკრულება „წყალტუბო - ახალციხე - თორთუმის“ გადამცემ ხაზთან დაკავშირებით (კონტრაქტორი კესი (ინდოეთი)). კონტრაქტორს გადაეხადა ავანსი 2022 წლის 27 აპრილს, რის შემდეგაც ხელშეკრულება შევიდა ძალაში და დაიწყო მუშაობა დეტალურ დიზაინზე. კონტრაქტორის მიერ ჩატარდა წინასწარი გეოლოგიური კვლევის პირველი ეტაპი;

- 500/400 კვ ქვესადგური ახალციხის გაფართოების პროექტთან დაკავშირებით მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები I ეტაპის სამშენებლო ნებართვის მოსაპოვებლად.

3.5.3.2 „ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EBRD, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- „საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში ხელი მოეწერა სამშენებლო ხელშეკრულებას სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ (სსე) და ინდურ სამშენებლო კომპანიას „Larsen & Toubro Limited“-ს შორის. სამშენებლო ხელშეკრულება ითვალისწინებს იმერეთისა და რაჭის რეგიონებში შემდეგი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას: 500 კვ ლაჯანური-წყალტუბო (დაახლოებით 49 კმ); 220კვ ნამახვანი-წყალტუბო და ნამახვანი-ტვიში-ლაჯანური (დაახლოებით 58 კმ) და 220კვ ახალი ლაჯანური-ლაჯანური ჰესი (დაახლოებით 5 კმ). ხაზების მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2025 წელს. პროექტის მიზანია რაჭა-ლეჩხუმის პერსპექტიული ჰესების ინტეგრაცია ქსელში, გადამცემი ქსელის გაუმჯობესება და საიმედოობის ამაღლება.

3.5.3.3 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB) (პროგრამული კოდი 24 14 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- 2022 წლის 10 მაისს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ გასცა 500კვ ქვესადგური წყალტუბოს მშენებლობის ნებართვა. კონტრაქტორმა დაიწყო ქვესადგურის ტერიტორიის მიწისა და საძირკვლების სამუშაოები და მისასვლელი გზის მოწყობა. პარალელურად მიმდინარეობდა ძირითადი მოწყობილობების მოწოდება;
- 500კვ „ჯვარი-წყალტუბოს“ პროექტის ფარგლებში კონტრაქტორის მიერ მიმდინარეობდა ეგხ-ის პირველი ნაწილის (წყალტუბო-მარტვილი) დეტალური პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო ეგხ-ის დანარჩენ ნაწილზე - საპროექტო-კვლევითი სამუშაოები.

3.5.3.4 გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მიმდინარეობდა 220 კვ პალიასტომის შეჭრისა და 110 კვ ოზურგეთი-ზოტის დეტალური პროექტირება და გეოლოგიური სამუშაოები. ხაზის მშენებლობის ნებართვის ასაღებად მიმდინარეობდა დოკუმენტაციის შეგროვება;
- 220/110 კვ ქვესადგურის მშენებლობის ნებართვის ასაღებად დოკუმენტაცია გაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ქვესადგურის დეტალურ პროექტზე.

3.5.3.5 კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- საერთაშორისო კონსულტანტის მიერ მიმდინარეობდა გადამცემი ხაზის შეცვლილი მარშუტების ალტერნატიული ანალიზი და ტექნიკურ - ეკონომიკურ კვლევაზე მუშაობა.

3.5.3.6 ხელედულა-ლაჯანური-ონი (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მიმდინარეობდა 220/110 კვ ქვესადგური ლაჯანურის დეტალური პროექტირების მომზადების ბოლო ეტაპი.

3.6 მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 24 15)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მიმდინარეობდა მონიტორინგი საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების გეგმის შესრულებაზე. გრძელდებოდა 2021 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში გაზსადენების მშენებლობა დასრულდა 61 დასახლებულ პუნქტში (17 165 პოტენციურ აბონენტს მიეცა ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა) და 25 დასახლებულ პუნქტში გრძელდებოდა სამშენებლო სამუშაოები;
- განხორციელდა რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე გორის, საჩხერისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების სოფლებში (ზემოარცევი, ახმაჯი, ქარძმანი, სინაგური და თედელეთი) არსებული აბონენტების მიერ, 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის მაისის ჩათვლით მოხმარებული (1.4 მლნ კვტ/სთ) ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება 426.7 ათასი ლარის ოდენობით;
- „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებაზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ბუნებრივი აირის მომხმარებლად რეგისტრირებულ

მუდმივად მცხოვრები ოჯახების ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფისათვის თითოეული აბონენტის პირად ბარათებზე 200 ლარის ოდენობით თანხის დარიცხვის მიზნით, განხორციელდა ფულადი რესურსის მიმართვა.

3.7 საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- ✓ ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი

- დასრულდა მუშაობა EU4Business და Euro Chambres მიერ გამოცხადებულ პროექტზე PLAT4FOOD (პარტნიორები: ვენეტოს რეგიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ვრატსას სავაჭრო-სამრეწველო პალატა, მოლდოვის მცირე და საშუალო საწარმოთა გაერთიანება); PLAT4FOOD პროექტის ფარგლებში თბილისის ტექნოპარკში გაიმართა ღონისძიება და ორმხრივი შეხვედრები პარტიორი ორგანიზაციების და კომპანიების წარმომადგენლებთან;
- მომზადდა და ხელი მოეწერა: ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ევროპული ინოვაციების აკადემიას შორის; ურთიერთგაგების მემორანდუმს სააგენტოსა და და კომპანია Quantori-ს (ბიოტექნოლოგიების მეცნიერებისა და ციფრული გადაწყვეტილებების ამერიკული კომპანია) შორის;
- მომზადდა ინფორმაცია მეცნიერების და ტექნოლოგიების ევროპული ასოციაციისათვის (COST) საქართველოს სრულუფლებიან წევრობასთან დაკავშირებით;
- გაიმართა ევროკავშირი - საქართველოს კონფერენცია „საქართველოს სრული ჩართულობა პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა““, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სესია „Missions of the Programme and the European Innovation Council“;
- პროექტის „STEM Study Visit to Italy”-ის ფარგლებში თბილისის ტექნოპარკში გაიმართა ღონისძიება „Italian Innovation and Research Day“ და პროექტის გამარჯვებულები მონაწილეების დაჯილდოების ცერემონია;
- სააგენტოსთან პარტიორობით უნგრული ორგანიზაცია MeOut-ის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჰაკათონი;
- გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების ორგანიზებით და სააგენტოს მხარდაჭერით მომზადდა და ჩატარდა კონკურსი „Start. up!, Germany Tour 2022”;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში დასრულდა მუშაობა: პოლონეთის მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან (PARP) ერთობლივი პროექტის მეორე რაუნდზე; იტალიის საელჩო საქართველოში და იტალიის ტექნოლოგიური ინოვაციების ასოციაცია COTEC - თან ერთად პროექტზე „STEM Study Visit to Italy”. გამარჯვებული სტარტაპები გაემგზავრნენ უფასო სტაჟირების პროგრამაზე იტალიაში;
- გაიმართა აქსელერაციის კურსების დემო დღეები საქართველოს 4 საპილოტე რეგიონში, რომლებზეც მონაწილეებმა წარადგინეს საკუთარი ფინალური ბიზნეს იდეების პრეზენტაციები. 100-ზე მეტმა მონაწილემ დაასრულა პროგრამა წარმატებით, წარადგინა Startup იდეის პრეზენტაცია Demo დღეზე და მიიღო სერტიფიკატი;
- ქ. ტალინში გაიმართა მოსწავლეთა სამეწარმეო კომპანიების საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა;
- გუდაურში გაიმართა ღონისძიება „Summit Talks", სააგენტოს, „The Crossroads“-ისა და „Women in Tech“-ის თანაორგანიზებით. პროექტი სტარტს იღებს საქართველოში და გაგრძელდება დუბაისა და საფრანგეთში. ღონისძიებაზე განიხილულ იქნა შემდეგი თემები: „10 მიზეზი, რის გამოც

სტარტაპები ვერ აღწევენ წარმატებას"; „რატომ უნდა ყავდეს ყველა სტარტაპს თუნდაც ერთი ქალი თანადამფუძნებელი"; „როგორ მიყიდოთ ინვესტორს თქვენი იდეა"; „როგორ პოულობენ ინვესტორები „მარგალიტს" სტარტაპების ოკეანეში";

- მონაწილეობა იქნა მიღებული პანელურ დისკუსიაში „Meet The Caucasus Startup ecosystem investors&more", რომლის ფარგლებში განხილული იყო საქართველოში არსებული სტარტაპ პროგრამები, შესაძლებლობები და დაფინანსების მექანიზმები;
- საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში (სრიგპ) განხორციელდა პრე-აქსელერაციის პროგრამა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ამბროლაურში კურსი წარმატებით გაიარა 40-მდე ბენეფიციარმა და შეიქმნა 10 სტარტაპ გუნდი, ქ. ქუთაისში 4 კვირიანი ინტენსიური კურსი - რეგიონში მცხოვრებმა 35-მა ახალგაზრდამ და შეიქმნა 12 სტარტაპ გუნდი, ოზურგეთის ინოვაციურ ცენტრში - 30-ზე მეტამა სტარტაპერმა და შეიქმნა 11 სტარტაპ გუნდი, თელავის ტექნოპარკში 6 კვირიანი კურსი - 40-მდე ახალგაზრდამ და შეიქმნა 12 სტარტაპ გუნდი. შექმნილი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას რეგიონულ საგრანტო პროგრამაში;
- ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, უნგრული ორგანიზაცია „Me out"-ის პარტნიორობით და საერთაშორისო Visegrad-ის ფონდის დაფინანსებით, გაიმართა საერთაშორისო ჰაკათონი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 70-მდე ახალგაზრდამ, ვიშეგრადის ქვეყნებიდან (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი) და ასევე, საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და მოლდოვადან;
- საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო ქოუჩინგის კვირეულის ფარგლებში, ტექნოპარკში გაიმართა სტარტაპებისთვის ბიზნეს ქოუჩინგის დღე და ICF საქართველოს ქოუჩების მასტერკლასები სხვადასხვა თემებზე (სტრატეგიული აზროვნება, ლიდერობა, ემოციური ინტელექტი, კრეატიულობა);
- Globalize კალიფორნიაში, სილიკონის ველზე გაიმართა პირველი კონფერენცია, რომელიც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და „საქართველოს ბანკის" მხარდაჭერით განხორციელდა. „Ge Us Globalize Silicon Valley Conference"-მ თავი მოუყარა ამერიკაში მცხოვრებ წარმატებულ ქართველებს სხვადასხვა შტატებიდან. გარდა ამისა, ქ. პარიზში, ჩატარდა ევროპის მასშტაბით პირველი კონფერენცია „Globalize EU Conference", რომლის ფარგლებში ევროპის კონტინენტზე მცხოვრები წარმატებული ქართველები, ტექნოლოგიებში მოღვაწე პროფესიონალები, ინვესტორები და წარმატებული ქართული სტარტაპები შეიკრიბნენ. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავდა სამომავლოდ მათ შორის ცოდნის, გამოცდილებისა და ტექნოლოგიების გაზიარებას და ა.შ.
- განახლდა განაცხადების მიღება პროტოტიპის 15000 ლარამდე საგრანტო პროგრამაზე, ჩატარდა 18 პროტოტიპის საგრანტო კომისია, დაფინანსდა 13 პროექტი და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა პროტოტიპის გრანტის შესახებ ალტეს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;
- „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის" ფარგლებში კომერციალიზაციისთვის შერჩეულ 9 პროექტზე გაგრძელდა მოლაპარაკების პროცესი სხვადასხვა პოტენციურ ინდუსტრიულ პარტნიორებთან როგორც საქართველოს, აგერთვე საერთაშორისო მასშტაბით. პოტენციური ინდუსტრიული პარტნიორების ინტერესიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული 9 პროექტიდან 3 პროექტზე შედარებით აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებების პროცესი. აღნიშნული 3 პროექტიდან, სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტზე „Ti-B-N-C სისტემის ფუძეზე მრავალფუნქციური კერამიკული მასალებისა და მათგან საჯავშნე ელემენტების მიღების ტექნოლოგია" მიღწეულ იქნა შეთანხმება. ინდუსტრიულ პარტნიორთან საფრანგეთში, სააგენტოსა და მასალების, მეტალურგიისა და პროცესების ტექნოლოგიურ კვლევით ინსტიტუტს (The Technological Research

Institute for Materials, Metallurgy and Processes (IRT M2P)) შორის ხელი მოეწერა „ერთობლივი კვლევისა და ლიცენზირების ხელშეკრულებას“;

- განახლდა თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისათვის - პროგრამის სახელმძღვანელო. გამოცხადდა კონკურსის მე-8 რაუნდი, ჩატარდა 5 საინფორმაციო დღე, 230 განაცხადებიდან გამოვლინდა 51 ფინალისტი აპლიკანტი, რომელთაც ჩაუტარდათ 7 დღიანი ქოუჩინგი, რის შედეგად გამოვლინდა 20 გამარჯვებული აპლიკანტი;
- ტექნოპარკის ბაზაზე ჩატარდა 27 ღონისძიება ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგაენტოს ორგანიზებითა და თანაორგანიზებით (დაესწრო 1200-მდე ადამიანი);
- საქართველოს მასშტაბით, დაიწყო ტექნოლოგიური სტარტაპების ხელშემწყობი პროგრამა „HARDWARE StartUP ინკუბატორი“, რომლის ფარგლებში პარალელურად, თბილისსა და რეგიონულ ტექნოპარკებში 7 ჯგუფისათვის ტარდება ელექტრონიკის მიმართულებით ARDUINO-ს ტრენინგები და თბილისში დამატებით „IoT with Raspberry Pi“-ის კურსები. ამასთან, პროექტის ყველა მონაწილისთვის ტარდება ბიზნეს მენტორშიპის სესიები სტარტაპ იდეების გენერირებისა და ფორმირებისთვის;
- 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ტექნოპარკის ფაბლაბი წარმოდგენილი იყო ღონისძიებაზე სხვადასხვა აქტივობებით (3D მოდელირება & ბეჭდვა, 3D სკანირება, Lego Robotics-ის, LittleBits-ისა და Arduino-ის ვორქშოფი, ციფრული ხატვის კუთხე);
- რეგიონული ტექნოპარკებისა და ახმეტის ინოვაციების ცენტრის კოორდინაციით, პროექტის ფარგლებში შერჩეულ სკოლებში ხორციელდებოდა პროგრამა „Youth Tech Club Network“;
- თბილისისა და რეგიონების ტექნოპარკებსა და ინოვაციების ცენტრში ჩატარდა 30-მდე ტრენინგი სკოლის მოსწავლეებისთვის, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ტექნოპარკის სივრცეს, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას და მის შესაძლებლობებს. აგრეთვე, მათთვის ჩატარდა 3D მოდელირებისა და 3D ბეჭდვის ვორქშოპები, რაც იდეების პროტოტიპირების ხელშეწყობას ემსახურება;
- რეგიონულ ტექნოპარკებსა და ინოვაციების ცენტრში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: CorelDraw, „როგორ მუშაობს ფაბლაბი”, 3D მოდელირება, littleBits, Tinkercard, Arduino, Lego Robotics;
- ბათუმისა და გურჯაანის ტექნოპარკებისა და ახმეტის ინოვაციების ცენტრის რეგიონულმა გუნდებმა ფაბლაბის მენეჯერების მენტორობით მონაწილოება მიიღეს მსოფლიოს რობოტიკის 2022 წლის ოლიმპიადაზე;
- ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოსა და ფაბლაბ ტექნოპარკის ორგანიზებით გაიმართა „სამეწარმეო განათლების კონფერენცია", რომლის ფარგლებშიც ჟიურის წინაშე წარსდგა 5 საუკეთესო მოსწავლეთა გუნდი;
- ტექნოპარკისა და ალტე უნივერსიტეტის ორგანიზებით, ჩატარდა პროექტი „თამაშოპოლია”. DEMO დღეზე წარმოდგენილი იყო 5 თამაშის პროტოტიპი. ღონისძიების მონაწილეები ადგილზე აძლევდნენ უკუკავშირს თამაშის შემქმნელებს. ასევე, ალტე უნივერსიტეტთან თანამშრომლობით რეგიონულ ტექნოპარკებში მიმდინარეობდა „Start Up Marathon“;
- ფაბლაბ ტექნოპარკის ელექტრონიკის ლაბორატორიაში შეიქმნა პროექტი „ბურთულას თავგადასავალი“, რომელიც სწავლებისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომას ემყარება;
- ფაბლაბ ტექნოპარკში გაიმართა ახალგაზრდა ფიზიკოსთა ტურნირი და გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების სახით რუმინეთსა და ავსტრიაში ქვეყნის სახელით იასპარეზებენ;
- ბათუმის ტექნოპარკის ორგანიზებით ჩატარდა პროექტი „შექმენი შენი პროტოტიპი ფაბლაბში”, რომელიც მოიცავდა მიკროელექტრონიკისა და 2D მოდელირება/CorelDraw-ის ინტენსიურ კურსებს, პროექტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენებით. ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: „პირველი ნაბიჯები ბლოკურ კოდირებაში”, „ხელოვნური ინტელექტის ეთიკა”, ბიზნესისა და მეწარმეობის ტრენინგი და ბიზნეს გეგმის შედგენა;

- ბათუმის ტექნოპარკში ჩატარდა ღონისძიება „აჭარის სტარტ აპ საზოგადოების შეკრება", რომლის ფარგლებშიც გაფორმდა სამმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი UNDP საქართველოს, ბათუმის მუნიციპალურ მერიასა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ბათუმის ტექნოპარკს შორის. პროექტის მიზანია აჭარაში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება;
- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ - ახალგაზრდული რეგიონული ცენტრისა და ბათუმის ტექნოპარკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა სტარტაპებისა და ახალი მეწარმეების დაფინანსების საგრანტო პროექტი. თელავის, კასპის და ოზურგეთის ტექნოპარკებსა და ახმეტის ინოვაციების ცენტრში, ორგანიზაცია „Save the Children-ის" ინიციატივით, ჩატარდა იდეათონი ახალგაზრდული ინოვაციური ლაბორატორიის პროექტის ფარგლებში. თელავის ტექნოპარკის ორმა მონაწილემ მიიღო 5000 ლარიანი ფულადი ჯილდო;
- თელავის ტექნოპარკში ჩატარდა: ტრენინგები თემებზე - „გრაფიკული დიზაინი" (ToT წარჩინებული სტუდენტებისთვის), „სოციალური მედია მარკეტინგი" (წარმატებული კანდიდატებისთვის დასაქმების ხელშეწყობა), ინტელექტუალური კონკურსები („სასკოლო მარათონი - Littlebits", რა? სად? როდის? კონკრეტულად ტექნოლოგიების თემაზე); კამპანიები - „როგორ ავირჩიოთ პროფესია" და „იდეიდან წარმატებამდე", რომელთა მიზანია წარმატებული ადამიანებისა და სტარტაპების გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის; მეწარმეების ხელშეწყობის მიზნით - სტარტაპ მარკეტი; პროექტი „გრინოთონი" ნარჩენების მართვის კონცეფციის თემაზე;
- თელავის ტექნოპარკში მიმდინარეობდა პროგრამა „ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა" სოფელ შალაურისა და კისისხევის მაცხოვრებელი ქალი მეწარმეებისთვის და „როგორ შევქმნათ ინოვაციური პროდუქტი", გურჯაანის ტექნოპარკში ჩატარდა ტრენინგები „როგორ სწავლობენ კომპიუტერები-ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება" და ვორქშოპ-ტრენინგი „დაიწყე სტარტაპი გურჯაანის ტექნოპარკთან ერთად";
- გურჯაანის ტექნოპარკში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: „საზაფხულო სკოლა", რომლის ფარგლებში შერჩეულმა 30-მა ახალგაზრდამ გაიარა კომპიუტერული მეცნიერებების, გრაფიკული დიზაინისა და ციფრული მარკეტინგის მოდულები; „ინოვაციური მეწარმეობის ფესტივალი", რომელიც მიზნად ისახავდა სრიგპ-ს ფარგლებში გამარჯვებული და მონაწილე მეწარმეების პოპულარიზაციას. „ახალგაზრდული ფორუმი მეწარმეობის შესახებ", რომელიც მოიცავდა წარმატებული სტარტაპერების გამოცდილების გაზიარებას;
- გურჯაანის ტექნოპარკში ჩატარდა: საჯარო შეხვედრა ანდრო დგებუაძესათან თემაზე „როგორ ავირჩიოთ პროფესია" და საჯარო შეხვედრა თემაზე „როგორ გავხდე პროგრამისტი"; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საჯარო ღონისძიებები (ARDUINO-ს მასტერკლასი და შეხვედრა სტარტაპ მარათონის გამარჯვებულ გუნდთან „რობობუქი");
- ახმეტის ინოვაციების ცენტრში, ფონდი „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ" და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით (STEAM) უნარ-ჩვევების განვითარება" ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები: Littlebits, LEGO Robotics, CorelDraw, mBot simulator and mBlock, Front-end Development. Animation and Programming, Arduino, Social media and Copywriting;
- ახმეტის ინოვაციების ცენტრში მინდინარეობდა ტრენინგ-ვორქშოფები: პროგრამირება „Calliope Mini"-ის გამოყენებით და კოდირება Python ენაზე, ტრენინგ-ვორქშოფი „ელექტრონული კომერციის სტრატეგიული მართვა და ბიზნესის გაციფრულება". პროგრამირების მიმართულებით გურჯაანის ტექნოპარკში ჩატარდა 4 დღიანი „wordpress"-ის ტრენინგი „no-code web Development - როგორ შევქმნათ ვებ გვერდი Cloud სისტემების გამოყენებით";

- ზუგდიდის ტექნოპარკის ორგანიზებით ჩატარდა ვებინარები თემებზე „გზა ლონდონამდე” და ,,ტექნოლოგიების სწავლების მნიშვნელობა და მისი ბმა ბიზნესთან", ხოლო კასპის ტექნოპარკში - ონლაინ ვებინარები „ბიზნესის მოდელირება და ინვესტორებთან კომუნიკაცია“ და „გზები მაიკროსოფტამდე”.
- ზუგდიდის ტექნოპარკში ჩატარდა: ტრენინგი „იდეიდან სტარტაპამდე“, სადაც მონაწილეებმა საკუთარი იდეები შესაბამის ინდუსტრიაში მოღვაწე ორგანიზაციებს, პოტენციურ პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს წარუდგინეს. ტრენინგი „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი” შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით სამეგრელოში მცხოვრები 18-დან 40 წლამდე დამწყები მეწარმეებისთვის;
- ზუგდიდის ტექნოპარკის ორგანიზებით: ჩატარდა Lego Robotics მუნიციპალური ჰაკათონი. ღონისძიების ფარგლებში, გუნდებმა შექმნეს რობოტის მოდელი და პროგრამული კოდის დახმარებით შეასრულეს წინასწარ განსაზღვრული დავალებები; დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა მანქანა-დანადგარების საწარმოში ტექნოლოგიური კლუბის წევრი ახალგაზრდებისთვის შეხვედრა. ახალგაზრდები ტექნოლოგიების სფეროში არსებულ დასაქმების შესაძლებლობებს ეცნობიან ტექნოპარკის დახმარებით.
- ოზურგეთის ტექნოპარკში ჩატარდა: ტრენინგები და ვორქშოფები („ბიზნეს იდეიდან - პროდუქტამდე; „როგორ გავყიდო პროდუქტი Etsy, Ebay, Amazon-ზე?”, „რა არის Web3: NFT, P2E თამაშები, კრიპტო ბაზარი და სხვა); „კრიპტო დღეები", რომლის ფარგლებში 4 სატრენინგო შეხვედრა გაიმართა 3 კრიპტო თემატიკაზე: NFT, Crypto, Crypto უსაფრთხოება;
- ოზურგეთის ტექნოპარკში ჩატარდა ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის მიერ ორგანიზებული იდეათონი, სადაც მეწარმეობის სკოლის მონაწილეებმა თავიანთი ბიზნეს-იდეები წარმოადგინეს, ჟიურიმ კი საუკეთესო იდეების ავტორები გამოავლინა;
- კასპის ტექნოპარკის ორგანიზებით გაიმართა ტექნოპარკის ბაზაზე შექმნილი სტარტაპების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა; კასპის ტექნოპარკი „MERCY CORPS“-ის პარტნიორი ორგანიზაცია გახდა. კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეწარმეებს ჩაუტარდებათ აქტიური ტრენინგ კურსი სამეწარმეო განათლების მიმართულებით;
- კასპის ტექნოპარკში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: „მეწარმეობა და ინოვაციური უპირატესობა”, WIX პროგრამის ტრენინგ კურსი (მონაწილეებმა შექმნეს საკუთარი ვებ გვერდები). UI/UX დიზაინის ტრენინგ კურსი, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებმა შექმნეს საკუთარი სტარტაპისთვის საიტის ინტერფეისი;
- კასპის, ბათუმისა და ოზურგეთის ტექნოპარკების ხელშეწყობით და ორგანიზაცია „ჯუნიორ ეჩივმენტ”-ის ორგანიზებით ჩატარდა რეგიონული სამეწარმეო განათლების კონფერენცია;
- სსიპ - ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიცირებითა და ორგანიზებით 4 საპილოტე რეგიონებისთვის (კახეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია) გამოცხადდა განაცხადების მიღება მცირე გრანტებისა (30 000 ლარიანი) და ინოვაციური მეწარმეობის გრანტების (100 000 ლარიანი) მიმართულებით (ოთხი საპილოტე რეგიონიდან მიღებულ იქნა სულ 175 განაცხადი, საიდანაც დაფინსდება 25 პროექტი);
- პროექტ Login Georgia-ს ფარგლებში:
    - ✓ რაჭა, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ასაშენებელი ინფრასტრუქტურის პროცესის ზედამხედველობის მიზნით, შეირჩა საერთაშორისო კომპანია და გაფორმდა ხელშეკრულება;
    - ✓ დასრულდა ინტერესთა გამოხატვის ეტაპი ინფრსტრუქტურის მშენებლობის პროცესში „ინჟინრის“ შესარჩევად (სამტრედია-ჩოხატაური და ქობულეთი-ხელვაჩაურის მიმართულებებზე) და დაიწყო წინადადებების მიღება დაინტერესებული კომპანიების მხრიდან;

- ✓ გამოცხადდა ტენდერი პირველი ფაზით გათვალისწინებული პასიური ინფრასტრუქტურისთვის საჭირო ფართოზოლოვანი ქსელის აპარატურის შეძენა-მონტაჟზე;
- ✓ პროექტის მეორე ქვე-კომპონენტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებას, უნივერსალური მომსახურების რეგულაციების შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან;
- ✓ დასრულდა ინტერესთა გამოხატვა საკონსულტაციო მომსახურებაზე „ფართოზოლოვანი ქსელის ხარჯების შესამცირებლად იურიდიული და ტექნიკური ჩარჩოდოკუმენტის შემუშავების“ მიზნით;
- ✓ საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ევროპის საინვესტიციო ბანკის სასესხო ხელშეკრულების რატიფიცირება „ბოჭკოვანი ქსელი საქართველოს სოფლებისთვის (EIB)“ პროგრამის განსახორციელებლად;
- ✓ სახელმწიფო პროგრამის საპილოტე პროექტის ფარგლებში დასრულდა ქობულეთის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში ქსელის სამშენებლო სამუშაოები და ადგილობრივი სატელეკომუნიკაციო ოპერატორი ჩართულია სატესტო რეჟიმში;
- ✓ ოუფენ ნეტის მიერ აშენებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით, ადგილობრივი კერძო სატელეკომუნიკაციო ოპერატორის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა რეგისტრაციები და მოსახლეობის ქსელში ჩართვა.

3.8 მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი - 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არსებული ნაგავსაყრელების და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების ექსპლუატაციაში შენარჩუნება, რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა და მართვა. ასევე, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელი) დეტალური დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტების მომზადება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდებოდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) საკრედიტო და საგრანტო რესურსებიდან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3.8.1 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი - 25 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- რეაბილიტირებული-კეთილმოწყობილი ქ. ამბროლაურის, ქ. ცაგერის, ქ. ონის და ქ. ქუთაისის ნაგავსაყრელები;
- ქ. საგარეჯოს ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობაზე, შეწყვეტილია სატენდერო პროცედურები;

- ქ. დედოფლისწყაროს, ქ. საჩხერის, ქ. თერჯოლის და ქ. ფოთის ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობაზე, დაიწყო სატენდერო პროცედურები;
- სტანდარტების შესაბამისად, მიმდინარეობდა არსებული 29 ნაგავსაყრელის და 5 ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის ექსპლუატაციაში შენარჩუნების სამუშაოები.

3.8.2 ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- მიმდინარეობდა კონცეპტუალური დიზაინის მომზადება;
- დასრულდა შერჩეული ასაშენებელი ტერიტორიის სკოპინგის ანგარიშის მომზადება;
- მიმდინარეობდა საინფორმაციო სისტემის (MIS) შემუშავება და მისი დანერგვის პროცედურა;
- გაიმართა რეგიონული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და ჩამოყალიბდა მონიტორინგის კომიტეტი. ასევე, გაიმართა მონიტორინგის კომიტეტის შეხვედრა.

3.8.3 ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA) (პროგრამული კოდი - 25 05 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- დასრულდა ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) დეტალური დიზაინის მომზადება;
- მიმდინარეობდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის მომზადება;
- ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობაზე, მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.

3.8.4 მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II (კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) (KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- მიმდინარეობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) დეტალური დიზაინის მომზადება;
- დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის მომზადება და წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობაზე, 2 არსებული ნაგავსაყრელის (ქ. ფოთი და ქ. ზუგდიდი)

დახურვაზე და 3 ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მშენებლობაზე, მიმდინარეობდა საერთაშორისო ტენდერის წინასაკვალიფიკაციო პროცედურები;

- მიმდინარეობდა კახეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) ასაშენებელი ტერიტორიის შერჩევის პროცედურები და შესაბამისი საბოლოო ანგარიშის მომზადება;
- ტექნიკური აღჭურვილობის (ნარჩენების შეგროვება და დასუფთავება) შეძენაზე დასრულდა სატენდერო პროცედურები და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

3.9 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

- საანგარიშო პერიოდში მოეწყო 28 საერთაშორისო პრეს-ტური 189 ჟურნალისტის მონაწილეობით. გაიმართა პრეს-ტური აჭარის რეგიონში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „პრაიმ შუს“ შემოქმედებითმა ჯგუფმა;
- ზამთრის კურორტების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სვანეთში გაიმართა 3 დღიანი პრეს-ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართული მედიის 15-მა წარმომადგენელმა;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, კურორტ თეთნულდზე მიმდინარეობდა ფრირაიდის მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო (FWQ) ეტაპები. შეჯიბრებაში იასპარეზა 20 ქვეყნის 120-მდე სპორტსმენმა; მესტიაში ზურულდის ქედზე გაიმართა გიგანტურ სლალომში მოყვარული მოთხილამურეების ტურნირი;
- გაიმართა: 2 დღიანი პრეს-ტური იმერეთის რეგიონში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული მედიის წარმომადგენლებმა; 4 დღიანი ინფო ტური ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში; GIZ ერთად 4 დღიანი ინფო ტური გურიაში; 3 დღიანი პრეს-ტური სვანეთში; 5 დღიანი პრეს-ტური აჭარასა და გურიაში, 2 დღიანი პრეს-ტური რაჭაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ტურისტული კომპანიების წარმომადგენელმა, ფოტოგრაფებმა და მედიის წარმომადგენლებმა;
- FAO/EBRD „ელკანასთან“ ერთად გამართა ტური თუშეთში. ტურის ფარგლებში გაიმართა ვიზიტები აგროტურისტული სერვისების პროვაიდერებთან და ტრადიციული პროდუქტის მწარმოებლებთან;
- საქართველო წარმოდგენილი იყო 4 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე: „Fitur 2022“ (ქ. მადრიდი); „ITB Berlin 2022“ (Online, ქ. ბერლინი); „IMTM 2022“ (ქ. თელავივი); საერთაშორისო საავიაციო ფორუმი სახელწოდებით „Connect 2022“ (ქ. ტამპერე); „ATM Dubai“ (ქ. დუბაი);
- მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო ღონისძიებაში „MCE Central & Eastern Europe“ (ქ. ბუდაპეშტში);
- საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ ორგანიზება გაუწია ტრენინგს, რომელსაც დაესწრო 70-მდე კომპანიის წარმომადგენელი. განხილული იყო ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: საქმიანი ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა; „ბიდინგის“ (ღონისძიების ჩასატარებლად განაცხადის გაკეთება/ტენდერში მონაწილეობა) საფუძვლები; სტრატეგიული „ბიდინგი”; განაცხადის სტრუქტურა და შეთავაზება; პროექტების მენეჯმენტი; ასოციაციების მენეჯმენტი;

- საქართველოს საქმიანი ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ღონისძიებაში „MALT-Meetings Arabia & Luxury Travel Congress 2022“ (დუბაი); გაცნობითი ღონისძიება გამართა ქ. ტაშკენტში, სადაც შეინიშნება მზარდი ინტერესი საქართველოს როგორც ტურისტული მიმართულების მიმართ. ტურიზმის პოტენციალის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით გაიმართა ღონისძიება ქ. ალმათაში;
- გაიმართა როუდშოუ ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ქ. ვილნიუსი, ქ. ტალინი და ქ. რიგა), რომლის ფარგლებშიც ქართულ კერძო სექტორისა (ბიუროს წევრი 20-მდე კომპანია) და ადგილობრივი საქმიანი ტურიზმის სფეროში მოღვაწე წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ BB2B ფორმატში გაემართათ შეხვედრები ქვეყნებს შორის საქმიანი ტურიზმის თვალსაზრისით თანამშრომლობის გაღრმავებისათვის;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში არსებულ ყველა შემომყვან და გამყვან ტურისტულ კომპანიასთან, ავიაკომპანიასთან, გიდებთან, კვების და განთავსების ობიექტებთან მიმდინარეობდა ყოველდღიური საინფორმაციო ხასიათის წერილების გაგზავნა სხვადასხვა ონლაინ სემინარების, ვებინარების/კონფერენციებისა და ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეების (გამოფენები, ტრენინგები, ფესტივალები და სხვა სახის ღონისძიებები) შესახებ;
- ტურისტულ სექტორში მომუშავე ასოციაციებისა და კომპანიების ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა ქვეყნის ტურიზმის საექტორში არსებული გამოწვევები, დარგის განვითარების სამთავრობო ხედვა, სამომავლო გეგმები და პროფილურ ბიზნესთან უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის შესაძლებლობები;
- მიმდინარეობდა მუშაობა საინფორმაციო პროგრამა/აპლიკაციის შექმნაზე, რაც დაინტერესებულ საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტებს საშუალებას მისცემს ციფრულად, „touch-screen“-ების საშუალებით, მიიღონ ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე, სერვისებზე და ტურისტულ პროდუქტებზე;
- ქვეყნის მასშტაბით განახლდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მუშაობა. განხორციელდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრების საქმიანობის მონიტორინგი (შიდა ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონები) და აღნიშნული რეგიონების ტურისტული საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებს გადაეცა ახალი უნიფორმა. გარდა ამისა, განახლდა ტურისტული სააგენტოების მონაცემთა ბაზები ქვეყნის მასშტაბით;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მხარდაჭერით, UNWTO-ს აკადემიის მიერ ჩაატარდა საქართველოში კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის 2 თემატური სემინარი, რომელებსაც დაესწრნენ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წარმომადგენლები და ექსპერტები;
- საქართველოში გაიმართა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ეროვნული სტუდენტური ლიგა, რომელმიც წარმოადგენს ახალგაზრდების უნარების ეფექტური განვითარებისკენ მიმართულ ინიციატივას და აძლევს მათ საშუალებას შეიძინონ ცოდნა და გამოცდილება ტურიზმის სფეროს აქტუალური საკითხების შესახებ;
- მომზადდა „ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ბულგარეთის რესპუბლიკის ტურიზმის სამინისტროს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ და გადაეცა ბულგარეთის მხარეს;
- ტურიზმის სფეროში ორმხრიცვი თნამშრომლობის ინტენსიფიკაციის მიზნით ინიცირებულ იქნა შემდეგი მემორანდუმების გაფორმება: „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკის ტურიზმის სამინისტროს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და დომინიკის

რესპუბლიკის ტურიზმის სამინისტროს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი;

- მიღებულ იქნა მონაწილეობა ქ. თბილისში ონლაინ ფორმატში გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის 7-ე სხდომაში;
- განახლდა მუშაობა პრობლემების პორტალის ახალ ვერსიაზე, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს მასშტაბით არსებული ტურისტული პრობლემების აღმოსაფხვრელად, სხვადასხვა უწყებების დროულ და კოორდინირებულ მუშაობაზე;
- ქ. თბილისში, მარტვილის მუნიციპალიტეტში (სოფელ გაჭედილში) და კახეთში (სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნუკრიანში) ჩატარდა საინფორმაციო ტური გიდებისთვის, ტურისტული კომპანიის წარმომადგენლებისთვის, ტურიზმის ასოციაციაში გაწევრიანებული ტურისტული კომპანიებისთვის;
- ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა პრობლემების მიღება, ანალიზი და მათზე შემდგომი რეაგირება. შემოსული პრობლემები იგზავნებოდა შესაბამის უწყებებთან მაქსიმალურად კოორდინირებული და ეფექტური რეაგირებისათვის;
- განხორციელდა საქართველოს რეგიონების რუკების შესყიდვა (განახლება), მიმდინარეობდა ელექტრონული ფაილების გადამოწმება და ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტების ჩამატება;
- დაიგეგმა და გაშუქდა უხცოელი ჟურნალისტების პრესტურები, ითარგმნა და მედიით გავეცელდა არაერთი პოზიტიური უცხოენოვანი სტატია საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების შესახებ. მოხდა უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო საქართელოში დარჩენილი უკრაინის მოქალეების გადაღება, ჩაწერა და მედიით გავრცელება;
- განახლდა ინგლისურენოვანი საქმიანი ტურიზმის კატალოგი. არსებულ კატალოგს დაემატა ინფორმაცია ახალი წევრების შესახებ. ძველ წევრებს სურვილისამებრ, მიეცათ საშუალება შეეცვალათ/დაემატებინათ დეტალები მათი საქმიანობისა და შეთავაზებული მომსახურებების შესახებ;
- სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონში განხორციელდა 2 ქსელური და 5 ინდივიდუალური ბილიკის მონიშვნისა და თანმდები მცირე ინფრასტრუქტურის (საინფორმაციო დაფები, მიმართულების მანიშნებლები) სამონტაჟო სამუშაოები (ბილიკების ჯამური სიგრძე 104 კმ-ია);
- განხორციელდა ქ. თბილისში არსებული ლაითბოქსების დასუფთავება/ტექნიკური უზრუნველყოფა და ღვინის გზის ახალი ობიექტების საგზაო მანიშნებლების მონტაჟი;
- ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: „ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა“ (ქ.თბილისი, იმერეთის, სამეგრელოს, კახეთისა და შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, რაჭისა და გურიის რეგიონში; გადამზადდა 400-მდე ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანი); მასტერკლასი „სტრატეგიული მიდგომები მომსახურების ინდუსტრიაში“ (ქ. თბილისი, მოწვეული საერთაშორისო ტრენერის ჯონ შოული მიერ; გადამზადდა 300 ტურიზმის სექტორში დასაქმებული და დასაქმების მსურველი ადამიანი); „შრომითი ურთიერთობები დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის/მარეგულირებელი კანონმდებლობა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი უსაფრთხო სამუშაო გარემოსთვის (ქ.თბილისი, ქ. თელავი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი; გადამზადდა 120 ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანი).

3.10 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 24 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2021 წლის 1 დეკემბრიდან 2022 წლის 15 მაისამდე პერიოდში, მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება 9.5 მლნ ლარის ოდენობით (მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობა - 16.7 მლნ მ³).

3.11 საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (WB) (პროგრამული კოდი 24 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

- განხორციელდა „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ და „ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების“ პროგრამების ბენეფიციარების კვარტალური ანგარიშების შემოწმება და შემდგომი ტრანშის გადასარიცხად დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა მუშაობა გრანტების პორტალის განახლებასთან დაკავშირებით. პროცესების სრული ავტომატიზაციის და გაციფრულების მიზნით დაიწყო ციფრული ფინანსური მონიტორინგის დანერგვა დაფინანსებულ სტარტაპებში;
- 3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის ფარგლებში დასრულდა პროგრამის პირველი ფაზა. პროგრამის ფარგლებში კურსი წარმატებეით გაიარა 977-მა მონაწილემ და მოიპოვა „New Horizons“-ის სერთიფიკატი. მათგან 677-მა დამატებით მოიპოვა საერთაშორისო გამოცდის ვაუჩერი, საიდანაც 286-მა წარმატებით ჩააბარა საერთაშორისო გამოცდა და აიღო საერთაშორისო სერთიფიკატი. გარდა ამისა, გამოცხადდა მიღება პროგრამის ბოლო ნაკადზე, ჩატარდა მისაღები გამოცდები და მიმდინარეობდა მონაწილეთა შერჩევა.

3.12 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი - 25 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

- განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაფინანსებული იქნა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ: ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია-მოწყობა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-მშენებლობა და ა.შ.
- შემუშავებული იქნა საკანონმდებლო აქტები, საქართველოს მთავრობის დადგენილებების და საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები;
- განხილულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები/მემორანდუმები;

- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შემუშავდა წინადადებები;
- სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში მიმდინარეობდა დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
- საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები;
- კომპეტენციის ფარგლებში, მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის ხელშეწყობა;
- მიმდინარეობდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- განხორციელდა საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის ღონისძიებების კოორდინაცია;
- მიმდინარეობდა საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღება;
- უფლებამოსილების ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, განხორციელდა საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა.

3.13 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

- გრძელდებოდა მუშაობა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ზედამხედველობის ნორმატიული ბაზის გაუმჯობესების კუთხით. 2022 წელს პრიორიტეტად განისაზღვრა „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილებების შეტანა და დაიწყო მუშაობა აღნიშნულ ტექნიკური რეგლამენტის ცვლილებებზე;
- მშენებლობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის 43 ნებართვა;
  - ✓ მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა განხორციელდა 78 ობიექტზე, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 10 ობიექტი და არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 16 ობიექტი;
  - ✓ ელექტრონული ფორმით გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 14 ნებართვა;
  - ✓ შემოწმებულ იქნა 189 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი (კარიერი, მღვიმე, საამფეთქებლო სამუშაოები, ატრაქციონები, მაღარო, ლიფტი, ესკალატორი, საბაგირო გზა, საქვაბე დანადგარი, ნავთობბაზა, ამიაკზე მომუშავე სამაცივრე დანადგარი, ავტოგასამართ სადგურებზე/კომპლექსებზე დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო

სისტემები და სხვა) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მომართვის საფუძველზე - 25 იარაღით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტი;

- ✓ დოკუმენტური კონტროლი განხორციელდა 1555 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტის ინსპექტირების მასალებზე;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მომართვის საფუძველზე, პირველ და მეორე სტადიაზე, შეთანხმებულ იქნა 96 ობიექტის სამშენებლო დოკუმენტაცია;
- ✓ გეოინფორმაციულ სისტემებში აისახა 247 ობიექტის მონაცემები და განახლდა ზოგიერთი უკვე ასახული ობიექტების მონაცემები.

3.14 ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (პროგრამული კოდი 24 17)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

- ახალი ინვესტორის შესარჩევად განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის სრულმასშტაბიანი კვლევა ანაკლიის პორტის პოტენციური ტვირთბრუნვის შესწავლის მიზნით. მომზადებულ იქნა ახალი ინვესტორის შესარჩევად ინტერესთა გამოხატვის პირობების შემუშავებისა და გამოცხადების პროცესის დაწყების მიზნით საჭირო დოკუმენტაცია. მიმდინარეობდა შეხვედრები და წინასწარი კონსულტაციები პროექტით დაინტერესებულ პოტენციურ ინვესტორებთან.

3.15 ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

- განხორციელდა ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები „სამშენებლო პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ“, „მანქანა-დანადგარების შესახებ“, „წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების შესახებ“, „სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ“, „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ“ და „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით განთავსებულ პროდუქტებზე;
- ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული: 24 სამშენებლო პროდუქტი, 6 წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა, 46 მანქანა-დანადგარი, 46 სათამაშო, 29 ინდივიდუალური დაცვის საშუალება და 54 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობა;
  - ✓ შემოწმდა შემოსავლების სამსახურის საბაჟოს 7 გაფორმების ეკონომიკური ზონიდან შემოსული: 3131 სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება, 1286 მანქანა-დანადგარის იმპორტის წინასწარი შეტყობინება, 2575 სათამაშოს იმპორტის წინასწარი შეტყობინება, 565 ინდივიდუალური დაცვის საშუალების იმპორტის წინასწარი შეტყობინება, 1240 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინება;

- ✓ აღებულ იქნა: 17 სამშენებლო პროდუქტის ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში; 20 სათამაშოს ნიმუში და გადაგზავნილ იქნა შესაბამის აკრედიტებულ ლაბორატორიაში.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

4.1 სკოლამდელი და ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- ✓ სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

- ქვეყნის მასშტაბით დაფინანსებული იქნა არსებული 2 078 საჯარო და 216 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

- პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად'' ფარგლებში მონაწილეობდა 16 მოხალისე მასწავლებელი, მათ შორის: 7 ინგლისურენოვანი, 3 ფრანგულენოვანი და 6 ჩინურენოვანი. მოხალისე მასწავლებლები განაწილებულნი იყვნენ თბილისისა და საქართველოს 5 რეგიონის 22 საჯარო სკოლაში; ადგილობრივი და მოხალისე უცხოური ენის 21 მასწავლებლისთვის ჩატარდა შუალედური ონლაინ ტრენინგი.
- პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში ჩართული იყო 156 კონსულტანტ-მასწავლებელი 13 საგნობრივი მიმართულებით, რომელთანაც განხორციელდა სამუშაო შეხვედრები და ჩატარდა ონლაინტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, ქვეპროგრამამ მოიცვა 10 რეგიონის 26 მუნიციპალიტეტის 84 სკოლა და 6 869 მოსწავლე;

- განხორციელდა 100 კონსულტანტ-მასწავლებლის პირისპირ სწავლებისა და 120 დირექტორისა და კონსულტანტ-მასწავლებლის სატელეფონო მონიტორინგი;
- მასწავლებლობის მაძიებლობის აკადემიური კურსი წარმატებით დაასრულა 383-მა მაძიებელმა მასწავლებელმა, საანგარიშო პერიოდში დამატებით ჩაერთო 248 მასწავლებელი, ხოლო 24 მაძიებელ მასწავლებლებს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ამასთან, ქვეპროგრამის მონაწილეთათვის შეიქმნა 12 საგნობრივი მოდული;
- გადანაწილებული იყო საჯარო სკოლების 51 610 მასწავლებელი, მათ შორის: პრაქტიკოსი/მაძიებელი/უსტატუსო - 8 598 (16.7%) მასწავლებელი, უფროსი - 35 097 (68.0%), წამყვანი - 7 624 (14.8%), მენტორი - 291 (0.5%). ასევე, სქემის ფარგლებში გადანაწილებული საჯარო სკოლების 2 013 სპეციალური მასწავლებელი, მათ შორის: პრაქტიკოსი/უსტატუსო - 1 029 (51.1 %) მასწავლებელი, უფროსი - 982 (48.8%), წამყვანი - 2 (0.1%);
- პროგრამის „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების მხარდაჭერა“ ფარგლებში ჩატარდა 24 ონლიან STEAM გაკვეთილი 25 მოსწავლეებისთვის, 20 ონლაინ STEAM ტრენინგი 35 მასწავლებლებისთვის, ქართული ენის შემსწავლელი 24 ონლაინ გაკვეთილი 80 მოსწავლისთის, 24 ონლაინ ვებინარი 780 მასწავლებელთან, 8 ონლაინ თემატური შეხვედრა 80 მოსწავლესთან, 5 ონლაინ ტრენინგი საბავშო ბაღის 45 აღმზრდელთან;
- პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერა“ ფარგლებში სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლებისთვის დაასრულა 577-მა მსმენელმა (ა1 დონე-18 მასწავლებელი; ა2 დონე-223 მასწავლებელი; ბ1-336 მასწავლებელი), პროგრამის ფარგლებში დამხმარე მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ,,გრამატიკის სწავლების მეთოდიკა ქართულის, როგორც მეორე ენის ათვისების პროცესში“. საპილოტე ტრენინგით, მოსწავლთა წიგნიერების უნარების განვითარების ხელშესაწყობად გადამზადდა 21 მასწავლებელი, განხორციელდა სატელეფონო მონიტორინგი პროგრამაში ჩართული სკოლების 655 მასწავლებელთან და დირექტორთან. ასევე, პროგრამაში ჩართულ 38-მდე სკოლაში განხორციელდა მონიტორინგი;
- პროგრამის „საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერა“ ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სკოლების საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ონლაინტრენინგი „ციფრული ტექნოლოგიების და ელექტროინჟინერიის საფუძვლები STEM კლუბის ხელმძღვანელი მასწავლებლებისთვის“, ასევე ჩატარდა ონლაინ შეხვედრა რობოტი მანქანის შექმნის ტექნოლოგიით დაინტერესებული ქ. წალკისა და ქ. გორის სკოლების STEM კლუბ ჩხირკედელას მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან (20 მონაწილე), გალის რაიონის სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა STEAM გაკვეთილი ელექტროინჟინერული მოდელებზე მუშაობის მიმართულებით, საჯარო და კერძო სკოლის 248 მასწავლებელისთვის ჩატარდა ტრენინგი „ციფრული ტექნოლოგიების და ელექტროინჟინერიის საფუძვლები STEM კლუბის ხელმძღვანელი მასწავლებლებისთვის“, კლუბ „ჩხირკედელას“ შექმნის ხელშეწყობისთვის სამუშაო შეხვედრებს და დისატნციური ვებინარებს ესწრებოდა არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის 29 დამხმარე მასწავლებელი; საბუნებისმეტყველო კლუბ „ჩხირკედელას“ ფარგლებში 144 უკრაინელ მოსწავლეს ჩაუტარდა 6 პრაქტიკული მეცადინეობა ელექტროინჟინერიისა და პროგრამირების საფუძვლებში;
- პროგრამის ,,დემოკრატიული კულტურის, ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასკოლო ქსელების (eTwinning) გაძლიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში ონლაინ ფორმატით ჩატარდა კონფერენცია „eTwinning-ი მედიაწიგნიერებისთვის“, რომელსაც ესწრებოდა 150-მდე მასწავლებელი, „მედიაწიგნიერება მასწავლებლისთვის“ გადამზადდა 196 მასწავლებელი, „ციფრული თხრობა eTwinning-ის პროექტებში“ გადამზადდა 276 მასწავლებელი, „ბავშვთა უფლებების დაცვის აუცილებლობა სასწავლო პროცესში“ გადამზადდა 140 მასწავლებელი, დაჯილდოვდა 2 მასწავლებელი და 27 მოსწავლე ევროპის მასშტაბით eTwinning-

ის ფარგლებში გამარჯვებული პროექტებისთვის; 100 მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა“. 20-მდე მასწავლებელს ჩაუტარდა ვებინარი თემაზე „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები“.

- ინტერნეტგაზეთის http://mastsavlebeli.ge/ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 408 სტატია, გვერდს ჰყავდა 1.2 მლნ-ამდე უნიკალური მომხმარებელი და ვებგვერდიდან წაკითხული და ჩამოწერილი სტატიების რაოდენობამ შეადგინა 2 453 529.
- გამოიცა ჟურნალების: „მასწავლებლის“ სამი ნომერი და „სკოლის მართვის''ორი ნომერი, სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში jes.org.ge გამოქვეყნდა 4 სამეცნიერო სტატია;
- სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის 40 და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის 31 მსმენელისთვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგები: „ზოგადი პროფესიული უნარები“, „მოსწავლეთა შეფასება“;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლების, სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული და ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამებით დაინტერესებული პირებისათვის, ონლაინ და პირისპირ რეჟიმში განხორციელდა სხვადასხვა საგნობრივი და შინაარსობრივი მიმართულების 60 დასახელების, 445 ტრენინგი; ქართული ენის დისტანციური სკოლის ფარგლებში ჩატარდა 5 446 ონლაინ გაკვეთილი; შემუშავდა მოდული „Teams- ის პლატფორმის გამოყენებით სკოლამდელი განათლების სპეციალისტების ტექნიკური უნარების განვითარება“.
- კონკურსის „2021 წლის საუკეთესო სპეციალური მასწავლებელი“ ფარგლებში გამოვლინდა ერთი გამარჯვებული;
- პორტალზე educationhouse.ge შექმნილია 9 სხვადასხვა მიმართულება;
- ქართული ენა/ლიტერატურის, გეოგრაფიის, კომპიუტერულ ტექნოლოგიების, ფრანგული ენის, ფიზიკის მასწავლებლებისთვის ჩატარდა 13 ვებინარი, რომელსაც დაესწრო 1 350-ზე მეტი მასწავლებელი; თბილისისა და რეგიონების 9 მუნიციპალიტეტის 15 სკოლის 40 მოსწავლის მონაწილეობით განხორციელებულია 14 STEAM პროექტი.

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 607 საჯარო, 2 კერძო სკოლასა და 2 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 1 557 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური უზრუნველყოფდა;
- სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრები (თბილისი -2, თელავი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ახალციხე) ფსიქოსოციალურ მომსახურებას სთავაზობდა საგანმანათლებლო დაწესებულების ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეებს;
- ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრების 3 პროფესიული ზედამხედველი და 54 სოციალური მუშაკი, სოციალურ მუშაობას ახორციელებდა საქართველოს მასშტაბით 49 საჯარო სკოლაში.

4.1.3.1 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამის ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 32 02 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთა მონიტორინგის მიზნით შემოწმებული იქნა 604 საჯარო სკოლა, 2 კერძო სკოლა და 2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები დაესწრნენ მოსწავლეებთან გასაუბრების/გამოკითხვის 53 პროცესს;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა მთელი საქართველოს მასშტაბით, იმ საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, რომლებიც პანდემიის გამო სწავლებას დროებით ახორციელებდნენ დისტანციურად, პროგრამა teams-ის მეშვეობით, ჩაატარეს 260 შეხვედრა თემაზე: „ძალადობა, კიბერბულინგი, ბულინგი, განსხვავება ბულინგსა და უწყინარ ხუმრობას შორის“.
- ჩატარდა ტრენინგები თემაზე: „დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებები, სიძულვილის ენა“. აღნიშნული ტრენინგის კურსი გაიარა საგანმანათლებლო დაწესებულების 544 მანდატურმა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების ჩატარდა 245 შეხვედრა თემებზე: ადრეულ ასაკში ქორწინება, დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა, ძალადობა, კიბერბულინგი, ბულინგი უწყინარი ხუმრობა, ოჯახში ძალადობა, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, ბავშვის უფლებები და ბავშვის უფლებათა კონვენცია, ბავშვთა მიმართ ძალადობა, რომლებსაც დაესწრო 4 600 მოსწავლე;
- მანდატურის სამსახურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლებში, გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენერად გადამზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების 14 მანდატური, რომლებმაც თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის, აჭარა-გურიის და ქვემო ქართლის 590 მანდატურს ჩაუტარა ტრენინგი „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: ძალადობა გენდერული ნიშნით და ძალადობა ოჯახში“.
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა: „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ (WIC) და „საქართველოს გოგონა სკაუტთა ასოციაცია დიამ“ ტრენერად გადამზადებულ 11 მანდატურს ჩაუტარა ქალთა მიმართ და გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრა;
- არასამთავრობო ასოციაციამ „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ აჭარა-გურიის და კახეთის რეგიონში ჩაატარა შეხვედრები თემაზე ,,ბავშვთა მიმართ ძალადობა“, რომელსაც დაესწრო აჭარა-გურიის ცენტრის 2 მანდატური და კახეთის რეგიონის 1 მანდატური;
- აჭარა-გურიის რეგიონში ჩატარდა 1 323 შეხვედრა I-VIII კლასის მოსწავლეებთან საგზაო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით;
- მანდატურის სამსახურის ტრენერების მიერ დისტანციურ რეჟიმში გადამზადდა 1 247 მანდატური თემაზე „ბულინგი, განსხვავება ბულინგსა და უწყინარ ხუმრობას შორის“;
- ქვემო ქართლის რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან სპეციალურად გადამზადებულმა მანდატურმა უზრუნველყო 23 შეხვედრის ჩატარება თემაზე „ადრეულ ასაკში ქორწინება“, რომელსაც დაესწრო 451 (VII- XII კლასის) მოსწავლე;
- პროექტის „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ, ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის თემებზე, გადამზადდა 32 თანამშრომელი, ხოლო 15-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენერთა ტრენინგი იგივე თემატიკით;

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სახალხო დამცველის აპარატის მიერ ინიცირებულ ონლაინ კვლევაში, ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით, მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულების 123-მა მანდატურმა. მანდატურები, ასევე დაესწრნენ სახალხო დამცველის აპარატის, მიერ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგს თემაზე: „ბავშვის უფლებები, ბავშვთა მიმართ ძალადობა, ბავშვთა დაცვის მექანიზმები, პოზიტიური აღზრდის მეთოდები და სახალხო დამცველის როლი";
- ჩატარდა 27 ჯგუფური და 24 ინდივიდუალური სუპერვიზია (მათ შორის ინდივიდუალური მუშაობის მულტიდისციპლინარული მუშაობისა და სასკოლო მედიაციის მიმართულებით); ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტთა განგრძობითი განათლების უწყვეტი პროცესის შენარჩუნებისა და გაგრძელების მიზნით, ცენტრის თანამშრომლებისათვის GEV-B (მიჯაჭვულობის კვლევისათვის ისტორიების დასრულების მეთოდი) მეთოდის გაცნობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „მიჯაჭვულობის თეორია", რომელსაც დაესწრო ყველა ფსიქოლოგი, ჩატარდა ტრენინგი „შფოთვისა და სხვა ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა", რომელსაც დაესწრო 26 სოციალური მუშაკი, ასევე, ტრენინგი იურიდიულ საკითხებზე (ბავშვთა შრომა, სექსუალური ძალადობა და ა.შ.), რომელსაც დაესწრო 60 მონაწილე;
- ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, სოციალური მუშაობის ფარგლებში, საინფორმაციო, საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ, სადისკუსიო და საინტერვენციო აქტივებში ჩაერთო: 4 409 - მასწავლებელი, 639 - ადმინისტრაციის წარმომადგენელი, 39 720 - მოსწავლე, 6038 - მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი (პერსონათა რაოდენობა დათვლილია აქტივობებში მათი მონაწილეობის მიხედვით);
- პროგრამა „ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენცია მტკიცებულებითი მეთოდის (EU DAP Unplugged Program) გამოყენება" წარმატებით ჩატარდა 4 საჯარო სკოლის 8 კლასში. ასევე, აღნიშნული პროგრამა (13 წელს ზემოთ მოსწავლეებისთვის) წარმატებით განხორციელდა 30 საჯარო სკოლის 35 კლასში;
- მოზარდებისათვის ჩატარდა ჯგუფური თერაპია შემდეგი მოდულებით: „გაჯეტდამოკიდებულების პრევენცია" და „არტ თერაპია".
- ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ წარმატებით გადამზადდა 57 უფლებამოსილი პირი;
- ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი ფსიქოსოციალურ მომსახურებას და საკონსულტაციო სერვისს სთავაზობდა უკრაინაში მიმდინარე ომით დაზარალებულ ადამიანებს, შემუშავდა უკრაინაში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით მოხალისეობის მსურველ ადამიანებთა მოსამზადებელი ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ერთი სატრენინგო ჯგუფი და გადამზადდა 11 ადამიანი. ამავე საინიციატივო კამპანიის ფარგლებში შემუშავდა სიღრმიესული გაიდლაინი მოსწავლეებთან დაკავშირებული სუბიექტებისათვის, რომელიც გულისხმობს მათთვის რეკომენდაციების მიწოდებას, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ მოსწავლეებთან მატრამვირებელ მოვლენებზე საუბრის დროს;

4.1.3.2 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 607 საჯარო, 2 კერძო სკოლასა და 2 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უზრუნველყოფდა 1 557 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;
- სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მოსამზადებელი სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა 143-მა კანდიდატმა;
- ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში, შემოვიდა ახალი 1 459 შემთხვევა. აქედან, 1 023 გადმომისამართდა შიდა რეფერირების მექანიზმით მანდატურის მიერ, ხოლო 436 შემთხვევაში მომსახურების მიმღებმა და/ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა თვითდინებით მიმართა ცენტრს, ან მოსწავლე გადმომისამართდა სხვა უწყებიდან/სუბიექტის მიერ, ან ცენტრის სპეციალისტის მიერ აღმოჩენილი იქნა შემთხვევა.
- ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდების მიზნით, სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა 357 ვიზიტი;
- ცენტრის კომპეტენციის მიღმა არსებული მომსახურების მიღების მიზნით, სხვადასხვა მომსახურებაში გადამისამართდა 260 მოსწავლე;
- ფსიქოსოციალური მომსახურების ბაზაზე ფუნქციონირებდა 24 საათიანი ცხელი ხაზი და ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით, ფუნქციონირედა ონლაინ საკონსულტაციო ჩათი (befriend.mes.gov.ge).

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

- ქვეპროგრამის „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების'' ფარგლებში ჩატარდა 2021-2022 წლის სასწავლო ოლიმპიადის მეორე და მესამე ტურები. მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო 3 889 მოსწავლემ (5 060 მოსწავლე საგნების მიხედვით) და მესამე ტურში გადავიდა 650 მოსწავლე (736 რეგისტრირებული მოსწავლე საგნების მიხედვით), ხოლო მონაწილეობა მიიღო 528 მოსწავლემ (595 მოსწავლე რეგისტრირებული მოსწავლე საგნების მიხედვით), მესამე ტურის შედეგად გამოვლინდა 124 გამარჯვებული მოსწავლე, აქედან I ადგილი - 16 მოსწავლე, II - 14 მოსწავლე, III - 15 მოსწავლე, IV-X ადგილები - 79 მოსწავლე. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ 1000, 700, 500 და 200 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკის, აქსესუარების, სმარტფონების სასაჩუქრე ბარათებით და დიპლომებით. ასევე, ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილე სკოლებიდან 36 სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდა 29 სკოლა.
- ქვეპროგრამის „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების“ ფარგლეში, 2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებზე დელეგაციები წარდგენილი იქნა 5 დისციპლინაში: ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ინფორმატიკა და ქიმია. დაფინანსებული იქნა ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის საწევრო გადასახადი.

4.1.5 განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა

- სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის 105 მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნა სახელმწიფო სადღეღამისო მომსახურებით, სწავლისა და განვითარებისთვის აუცილებელი საცხოვრებელი პირობებით, ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული მომსახურებით. ამასთან, ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების რისკების პრევენციის მიზნით, პერიოდულად სკოლა-პანსიონი მომსახურებას ახორციელებდა დისტანციურად სკოლაში არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით დაწესებული წერტილოვანი შეზღუდვებით.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

- საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია შემდეგი ხელშეკრულებები: მე-8 და მე-9 კლასის გრიფირებული სახელმძღვანელოების აუდიოვერსიების შექმნის მიზნით (მოწოდებულია 9 გახმოვანებული სახელმძღვანელო და გადაცემულია თბილისის 202-ე საჯარო სკოლისთვის); V-VI (A1 დონე) და VII-VIII (A1/A2 დონე) კლასების მოსწავლეებისთვის განკუთვნილი 2 714 ერთეული ფრანგული ენის სასკოლო სახელმძღვანელოსა და რვეულის მიწოდების მიზნით;VIII კლასის სახელმძღვანელოების ბეჭდვისთვის, რომელიც ითარგმნა, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და I-XII კლასის რვეულებისა და VII კლასის სპორტის სახელმძღვანელოს ბეჭდვისთვის მიზნით სულ 2 053 028 ერთეული სახელმძღვანელო და რვეული. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების 673 ერთეული ბრაილის შრიფტითა და 19 ერთეული რელიეფურად დასაბეჭდი სახელმძღვანელოების შესყიდვის მიზნით (375 ერთეული ბრაილის შრიფტით და 7 ერთეული რელიეფურად დაბეჭდილი სახელმძღვანელო გადაცემულია ქალაქ თბილისის N202 და ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლებისთვის); VIII-IX კლასის ზოგიერთი სახელმძღვანელოს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნისა და მათი ავთენტურობის დადგენის მიზნით; XI-XII კლასის ინგლისურენოვანი, მაკმილანის 83 707 ერთეული სახელმძღვანელოს ბეჭდვის მიზნით; 27 528 ერთეული არაქართულენოვანი საჯარო სკოლების/სექტორების შესაბამისი საგნებისა და X-XII კლასების მოსწავლეების წიგნებით (დამხმარე ლიტერატურით) უზრუნველყოფის მიზნით; I-XII გარდა X კლასის 1 740 578 ერთეული მოსწავლეების და მასწავლებლების გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ბეჭდვისა და გადაცემის მომსახურების შესყიდვის მიზნით;
- 1 251 ერთეული უკრაინულენოვანი სახელმძღვანელო გადაცემულია სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის N41 საჯარო სკოლისთვის;
- უზრუნველყოფილი იქნა გრიფირების ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

- გრიფირების ელექტრონული სისტემის მოხმარებასთან და რეცენზირების პროცესის პირველ ეტაპთან დაკავშირებით რეცენზენტებთან ჩატარდა ონლაინ სამუშაო შეხვედრა, ხოლო შემდგომ ეტაპებთან დაკავშირებით, შემუშავდა შესაბამისი ინსტრუქციები;
- საჯაროდ განთავსდა სახელმძღვანელოს მაკეტები მათი განხილვის მიზნით;
- გამოვლენილი იქნენ ის განაცხადები, რომელთაც წარმატებით გადალახეს რეცენზირების პროცესის ყველა ეტაპი. ინფორმაცია სახელმძღვანელოების მაკეტებისათვის გრიფის მინიჭებისა და გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის მიზნით, მიეწოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ წვდომა ახალ გრიფმინიჭებულ სახელმძრვანელოებზე მათი შერჩევის მიზნით;
- მიმდინარეობს საბეჭდი ფაილების შემოწმების პროცესი და საქართველოს ისტორიისა და ისტორიის სახელმძღვანელოების მაკეტების საგნობრივი ჯგუფების შეხვედრები.

4.1.7 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

- განხორციელდა კონფლიქტის ზონებში მცხოვრები 813 პედაგოგისა და 267 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება.

4.1.8 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

- 50-მდე ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლისათვის უზრუნველყოფილი იქნა უწყვეტი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 27 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ და აღნიშნული გამოცდები დასძლია 20-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე.

4.1.9 ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

- გრძელდებოდა მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის დანერგვაზე, ასევე საშუალო საფეხურის არჩევით კურსებზე და შეიქმნა 5 მოკლე არჩევითი კურსი საშუალო საფეხურისთვის;
- ჩატარდა გრიფირების კონკურსი X კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებზე;
- მიმდინარეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სასწავლო გეგმების გადამუშავება;
- მომზადდა და დამტკიცდა საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ განახლებული სტანდარტი;
- ექსპერტულად შეფასდა ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციებიდან შემოსული დოკუმენტები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- მომზადდა ექსტერნატის გამოცდების ტესტური დავალებები XII კლასელებისთვის შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ინგლისური ენა, ისტორია;
- მიმდინარეობს საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებთან ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მექანიზმებთან დაკავშირებით, სკოლების და საგანმანათლებლო რესურსცენტრების კონსულტირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე, ინტეგრირებული კლასებისა და სპეციალიზებული სკოლა-პანსიონების ბენეფიციარების, მოსწავლეთა მშობლების, მასწავლებლების კონსულტირება სხვადასხვა საგანმანათლებლო საკითხთან დაკავშირებით;
- დამტკიცდა ალტერნატიული სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოწვევის საპასუხოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შემუშავდა 3 დოკუმენტი (სენსორული სასწავლო გეგმა უმძიმესი და მრავლობითი გონებრივი და ფიზიკური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის; გაფართოებული სასწავლო გეგმა მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის; ორიენტაცია და მობილობა);
- დასამტკიცებლად მომზადდა ჟესტური ენის სტანდარტი;
- განხორციელდა საპილოტე პროგრამა „ექიმის საათი", რომელშიც ჩართული იქნა 12 საპილოტე სკოლა.

4.1.10 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა თბილისის 38 საჯარო სკოლის 15 318 მოსწავლისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 30 საჯარო სკოლის 1 904 მოსწავლის ტრანსპორტირება, ასევე 7 სკოლის 383 შშმ და სსსმ სატატუსის მქონე, ეტლით მოსარგებლე მოსწავლის ტრანსპორტირებით მომსახურება.
- დაფინანსდა 56 მუნიციპალიტეტი საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით.

4.1.11 პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი'' (პროგრამული კოდი 32 02 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

- პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის'' ფარგლებში განხორციელდა 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, პირველკლასელებისა და მათი დამრიგებლებისთვის შეძენილი 60.0 ათასი ერთეული პორტაბელური კომპიუტერის/ბუქის ღირებულების ნაწილის ანაზღაურება. დარიგებულია 16 352 ერთეული.

4.1.12 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვიტარების ეროვნული ცენტრი.
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

- ქვეპროგრამის „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვის მქონე და შსს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებული არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის'' ფარგლებში საანარიშო პერიოდში ჩაირიცხა 2 ბენეფიციარი. ამასთან, აღნიშნული პორგრამის ფარგლებში სწავლას განაგრძობდა 2021-2022 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩარიცხული 25 ბენეფიციარი. განხორციელდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი დისტანციური ფორმატით;
- ქართული ენის შემსწავლელ ერთწლიანი კურსი დაამთავრა 23-მა ბენეფიციარმა, მათგან A1 დონე დაძლია ერთმა, ხოლო A2 დონე 22-მა ბენეფიციარმა;
- ქვეპროგრამის „ზოგად განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში დაფინანსდა 3 სკოლა-პანსიონი, სადაც 15 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იყო ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული სრული სადღეღამისო მომსახურებით;
- ქვეპროგრამის „COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა იმ საჯარო სკოლების პედაგოგების ფინანსური უზრუნველყოფა, რომლებმაც კლასში გაკვეთილების ჩატარების პარალელურად, სასწავლო პროცესი წარმართეს დისტანციურად (ონლაინ) რეჟიმში. სულ ქვეპროგრამაში ჩართული იყო 1 022 საჯარო სკოლა და 26 017 პედაგოგი, რომელთაგანაც 1 061 პედაგოგი დასაქმებულია სხვადასხვა სკოლაში. ამასთან, 329 სკოლა დაფინანსდა თვითტესტირებისთვის შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვისა და სკოლის ექიმების ანაზღაურების მიზნით;
- პროგრამის „თავდაცვა და უსაფრთხოება“ ფარგლებში განხორციელდა საპილოტედ შერჩეული 22 საჯარო სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა;
- ქვეპროგრამის ,,გალის რაიონის პედაგოგების გადამზადება და აბიტურიენტებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობა" ფარგლებში ჩატარდა ელექტრონული ტრეინინგები და გადამზადდა 46 პედაგოგი;
- ქვეპროგრამის ,,ტელესკოლა“ ფარგლებში გადაღებულია და დამონტაჟებულია რვა გადაცემა სწავლების მეთოდების შესახებ;
- ქვეპროგრამის „უკრაინულ ენაზე ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა“ ფარგლებში უკრაინული სექტორების ფუნქციონირების მიზნით, დაფინანსებული იქნა სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის N41 და სსიპ - ქალაქ ბათუმის N20 სააჯრო სკოლები და გარდა ფორმალური განათლებისა სსიპ-მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის N41

საჯარო სკოლის მიერ უზრუნველყოფილი იქნა არაფორმალური განათლების წრეების (სპორტი, ხელოვნება, ტექნოლოგიები) ორგანიზება. ასევე, უკრაინაში საომარი მოქმედებების გამო, საქართველოში გადმოსული უკრაინელი მოსწავლეებისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზების მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ - განათლების საერთაშორისო ლაბორატორია და აღნიშნულ აქტივობაში მონაწილეობდა 25 უკრაინელი და 15 ქართველი მოსწავლე;

4.1.13 ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

- ქვეპროგრამაში „ახალი სკოლის მოდელი“ ჩართულ 600-მდე საჯარო სკოლაში საანგარიშო პერიოდში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სკოლის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- ქვეპროგრამის „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში'' გაგრძელდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ბილინგვურად დანერგვა 9 სკოლამდელ დაწესებულებასა და 25 სკოლაში;
- მომზადდა და საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლას დაეგზავნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერი დოკუმენტების პაკეტი: ეროვნული სასწავლო გეგმის თეორიული საფუძვლები; საგნობრივი გზამკვლევები სასკოლო სასწავლო გეგმის ასაგებად; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები; კომპლექსური დავალებების ნიმუშები; დაწყებითი და საბაზო საფეხურის გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაფუძნებული ვიდეო-გზამკვლევები;
- შეიქმნა ტექნიკური დავალება, სისტემა eSchool-სა და ელექტრონულ ჟურნალს შორის მონაცემების მიმოცვლის მყისიერად უზრუნველყოფის მიზნით (ონლაინ რეჟიმში). ასევე, ჩამოყალიბდა ფუნქციონალის აღწერა, რაც გულისხმობს რესურსცენტრებისთვის შესაბამისი პლატფორმის უზრუნველყოფას ელ. ჟურნალის წარმოების მონიტორინგის მიზნით;
- ელექტრონული ჟურნალის წარმოების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა ყველა სკოლის წარმომადგენელთან შეხვედრა, შესაბამისი ინსტრუქციების შექმნა და მათთვის გაზიარება. ასევე, ტექნიკური ხარვეზების იდენტიფიცირება და გამოსწორება;
- საჯარო სკოლები უზრუნველყოფილი იყვნენ ინტერნეტით და მათ დიდ ნაწილს ინტერნეტი მიეწოდება ოპტიკურ ბოჭკოვანი არხით, ხოლო სადაც ამ ეტაპზე გარემო პირობების გამო არაა შესაძლებელი - მაქსიმალური სიჩქარის რადიო კავშირით. რეფორმაში ჩართული საჯარო სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია კორპორაციული ცენტრალიზებული უკაბელო ქსელით.
- ჩატარდა 16 შეხვედრა 6 წლამდე ასაკის ბავშვის 150 მშობელთან პოზიტიური მშობლობის, მშობლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობისა და ზოგადად სკოლამდელი განათლების მნიშვნელობაზე მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით. შეხვედრის მონაწილეებს გადაეცათ ბროშურა „პოზიტიური მშობლობა" და მიეწოდათ ინფორმაცია ელექტრონული რესურსის „რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლებს" შესახებ;

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით შეირჩა 5 მუნიციპალიტეტი (ბორჯომი, მარტვილი, ცაგერი, ტყიბული, ბოლნისი), სადაც მიმდინარეობდა რესურსის „კურიკულუმი თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო 2-5 წლის ასაკობრივი და შერეული ჯგუფებისთვის“ და პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის) დანერგვა;
- 11 მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების/სააგენტოს წარმომადგენელთათვის და სამინისტროს რესურსცენტრების სკოლამდელი განათლების სპეციალისტთათვის ჩატარდა ონლაინ ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე: „მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვა“, „მონიტორინგი და შეფასება“, „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტისა და ხარისხის სტანდარტის დანერგვის მხარდაჭერა“, „ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა“, „სკოლამდელი განათლება საგანგებო სიტუაციებში“, „ბილინგვური განათლება“;
- მუნიციპალიტეტებისთვის შექმნილი ტრენინგ-მოდულის თემატიკის შესაბამისად მუნიციპალიტეტებისთვის ჩატარდა 17 თემატური ვებინარი.

4.2 უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

4.2.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

- ჩატარდა 22 ღია კარის დღე (5 პირისპირ, დანარჩენი-ონლაინ), მომზადდა კრებულები, ცნობარი და საინფორმაციო მასალა გამოსაცდელთათვის;
- პროექტ „შეფასება განვითარებისთვის“ ფარგლებში შემუშავებული იქნა დასკვნა სერვერული ინფრასტრუქტურის გაძლიერებაზე, სადაც ასახულია „შეფასება განვითარებისთვის“ პროექტის საჭიროებები ტესტირებაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობის გასაზრდელად (10 000 მოსწავლემდე). მე-4 და მე-6 კლასელი მოსწავლეებისთვის შეფასებები მათემატიკაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში 4 სესიად ჩატარდა, თითოეულ სესიაში მონაწილეობა მიიღო 7000-მდე მოსწავლემ.
- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 41 265, საგრანტო გამოცდაზე - 2 503, საერთო სამაგისტრო გამოცდაზე - 9 589 და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე - 34 560 აპლიკანტი;
- „წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS - Progress in International Reading Literacy Study) - 2021“ ფარგლებში დასრულდა ბუკლეტების გასწორება, ტესტების და კითხვარების მონაცემების შეტანა ბაზებში, კვლევის ბაზების ატვირთვა სერვერზე;

- „მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA – Program for International Student Assessment) - 2022“ ფარგლებში დასრულდა ძირითადი კვლევის საველე სამუშაოების მომზადება, გამსწორებლების დატრენინგება.
- „მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TIMSS – Trends in International Mathematics and Science Study) – 2023“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საცდელი კვლევის საველე სამუშაოების მომზადება, გამსწორებლების დატრენინგება, მასალის გაგზავნა სკოლებში;
- დასრულდა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის, TIMSS 2019 საბოლოო ანგარიში;
- დასრულდა წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, PIRLS 2021-ის ენციკლოპედიის საქართველოსადმი მიძღვნილი თავის რედაქტირება;
- დასრულდა ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდების და მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების გამოცდების ყველა საგნის მონაცემების სტატისტიკური ანალიზის, ფსიქომეტრიკული ანალიზის და შედეგების ანგარიშების ავტომატური გენერირების პროგრამული უზრუნველყოფა.

4.2.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტების მფლობელი სტუდენტები, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და თანამემამულის სტატუსის მქონე პირები და მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ სწავლის დაფინანსებით.
- ქვეპროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს'' ფარგლებში სახელმწიფო სტიპენდია 150 ლარის ოდენობით, იანვრისა და თებერვლის თვეებში გამოეყო 3 029 სტუდენტს, ხოლო მარტი-ივლისში - 2 755 სტუდენტს;
- საანგარიშო პერიოდში „დიმიტრი გულიას და კოსტა ხეთაგუროვის“ სახელობის სტიპენდიები 300 ლარის ოდენობით გაიცა 5 სტუდენტზე;
- პროგრამის „ცოდნის კარი“ ფარგლებში დაფინანსდა უცხო ქვეყნის 24 მოქალაქე (მოზამბიკის, ტონგის სამეფოს, ჰონდურასის, ბჰუტანის, კოსტა-რიკის, სურინამის, მექსიკის, იორდანიის ჰამეშიტური სამეფოს, ლიბერიის, ესვატინის სამეფოს, სომხეთის და ჩეხეთის მოქალაქეები, ასევე ბელიზის - 2, ჩინეთის - 2, ვანუატუს - 3 და ფიჯის რესპუბლიკის - 5 მოქალაქე);
- პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო STEM პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის (ABET აკრედიტაციის და ACS ს ერტიფიცირების სტანდარტების შესაბამისად) პროცესის და ევროპული ინოვაციების აკადემიის ფინანსური მხარდაჭერა.

4.2.3 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა ევროსტუდენტის მეშვიდე ტალღის კვლევის შედეგების ამსახველი ბროშურა; ევროსტუდენტის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ მომზადებული ბროშურის „სტუდენტური ცხოვრების სოციალური განზომილება ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში" ქართულიენოვანი ვერსია.
- განხორიცლედა ევროსტუდენტის კვლევის მოსამზადებელი სამუშაო და ევროსტუდენტი VIII - ის საერთაშორისო სტანდარტული კითხვარის თარგმანი, ასევე საერთაშორისო შედარებითი შედეგების ამსახველი ბროშურის საბოლოო რედაქტირება და დიზაინი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით მომზადდა ეროვნული კითხვარის სამუშაო ვერსია;
- ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ქვეპროგრამის „ირბახი“ ფარგლებში დაიწყო საბავშვო სახელმძღვანელოს - „ჩვენი ეზო - ნაწილი II“ წერა (შესრულდა 2 თავი); „სიტუაციური გრამატიკა - ნაწილი II“, (შესრულდა 2 თავი); პროგრამები საბავშვო სახელმძღვანელოსთვის „ჩვენი ეზო (ნაწილი I)“ ეტაპობრივად იტვირთებოდა ვებგვერდზე geofl.ge სპეციალურად გამოყოფილ საბავშვო სივრცეში (ატვირთულია 3 თავი ტექსტებით, ილუსტრაციებით, ანიმაციებით, გახმოვანებით); მიმდინარეობდა სხვადასხვა ტიპის ონლაინ სავარჯიშოების (გრამატიკული, ორთოგრაფიული და ლექსიკური) წერა ენის ფლობის B1.2 დონის მოსმენის, კითხვის, წერის უნარების შესამოწმებლად (დაიწერა 90 სავარჯიშო), ასევე ორენოვანი ილუსტრირებული ბროშურის წერა „შოთა რუსთაველი XXI საუკუნეში“.

4.2.4 საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი

- საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა 2022-2023 წლების საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების 31, საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების 1, საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამების 1, საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის 11, აკადემიური პროგრამები იტალიაში 5 და აკადემიური წლის ფულბრაიტის სამაგისტრო სასტიპენდიო პროგრამის 3 გამარჯვებული.
- „სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum 2022-2023'' ფარგლებში 2022-2023 სასწავლო წლისათვის კონკურსის წესით გამოვლინდა გრანტზე ნომინირებული საქართველოს 70 მოქალაქე, ასევე რეზერვი - 17 მოქალაქე;
- „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2022-2023“ ფარგლებში 2022-2023 სასწავლო წლისათვის პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით გამოვლინდა გრანტზე ნომინირებული საქართველოს 10 მოქალაქე, ასევე რეზერვი - 4 მოქალაქე;
- საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, იტალიასა და ამერიკაში სწავლისა და საყოფაცხოვრებო ხარჯები დაუფინანსდა 2 სტუდენტს.

4.2.5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

- საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ იქნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის (მუსიკალური განათლების კომპონენტი) და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი), ასევე, 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 7 პროექტი.

4.3 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

4.3.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დასრულებულია 38 საჯარო სკოლის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო და ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ინაშაურის საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაიწყო ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმანში საჯარო სკოლისა და სსიპ - ქ. თბილისის N138 საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოების, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის, სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლის, სსიპ - ქ. თბილისის N171 საჯარო სკოლის, სსიპ - ქ.თბილისის N190-ე საჯარო სკოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების, სსიპ - გარდაბანის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლის პირველი და სოფელ სართიჭალის №2 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის სარეაბილიტაციო, გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორის და ვაკე-საბურთალოს რაიონებში მდებარე საჯარო სკოლების ნაწილობრივი რებილიტაციისთვის აუცილებელი სამუშაოები;
- მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 74 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით;
- დაიწყო პარტნიორობის ევროპული სკოლის ტერიტორიის მოწყობის, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იფარში ახალი 90 ბავშვზე გათვლილი სკოლის მშენებლობის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში ახალი სკოლის მშენებლობის, სსიპ - ქ.რუსთავის N18 და N22 საჯარო სკოლების და სხვა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის მიზნით სამუშაოები;
- დამონტაჟებულია ფარდა-ჟალუზები 86 საჯარო სკოლაში;
- გაფორმებულია ხელშეკრულება ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურების გაწევისთვის და 822 საჯარო სკოლისთვის სამედიცინო მოწყობილობების შეძენის მიზნით;

- დარიგებულია მერხები 155 საჯარო სკოლაში და 25 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია საოფისე ავეჯი; გაფორმებულია ხელშეკრულება 90 საჯარო სკოლისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების საოფისე ავეჯის და 117 საჯარო სკოლისთვის სამზარეულოს ავეჯის შესყიდვის მიზნით.
- დაფინანსებულია 56 საჯარო სკოლა ნაწილობრივ სარეაბილიტაციო და ინვენტარით აღჭურვის მიზნით;
- შესყიდულია 5 700 ერთეული დაფა საჯარო სკოლებისთვის გადასაცემად;
- შეძენილი და გადაცემულია სსიპ - ქალაქ წალკის N2 საჯარო სკოლის, სსიპ - წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტის საჯარო სკოლის, სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლისა და სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათის საჯარო სკოლისთვის საჭირო რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიები;
- შესყიდულია 230 ერთეული ცალი სტანდარტული პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპი) და გადაცემულია 210 ერთეული სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის N41 საჯარო სკოლისათვის;
- დაწყებულია საქართველოს საჯარო სკოლებისათვის საჭირო სადემონსტრაციო ჭადრაკის დაფების შეყიდვის ღონისძიებები.

4.3.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დასრულებულია სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ ავტოსახელოსნოს და საწყობის რეკონსტრუქციის მშენებლობა;
- დაწყებულია სამუშაოები სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“ სამშენებლო, ასევე სსიპ - კოლეჯი „აისის“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი შრომისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის ფილიალებში სახელოსნოების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით;
- განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 5 პროფესიული სასწავლებლის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით;
- მიმდინარეობდა ხაშურის, ბორჯომისა და წყალტუბოს პროფესიული სასწავლებლების სამშენებლო სამუშაოები. ასევე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობების სრული სარეაბილიტაციო და სსიპ - პროფესიული კოლეჯის „ლაკადა" ტერიტორიაზე შედუღების სახელოსნოს სამშენებლო სამუშაოები. გაფორმებულია ხელშეკრულება პროფესიული სასწავლებლების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურების გაწევისთვის;
- დაწყებულია სამუშაოები ქალაქ ბოლნისში ახალი კოლეჯის მშენებლობის, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ ანგარის სარეაბილიტაციო, სსიპ - კასპის კოლეჯის ტერიტორიაზე საყრდენი კედლის, ღობის და ჭიშკრის მოწყობის, ასევე გურჯაანის კულინარიული კოლეჯის მშენებლობა-პროექტირების შესყიდვის განსახორციელებლად;
- დაფინანსებულია ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღჭურვილობების შეძენისა და სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“ სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მიმღებ-მაკონტროლებელი მოწყობილობის დამოუკიდებელი კვების წყაროთი აღჭურვის მიზნით;

- დაფინანსებულია ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი მარნის სამშენებლო სამუშაოები და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი მოძველებული სასწავლო ტექნიკის და აქსესუარების განახლება;
- დაფინანსებულია აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია და ბათუმის საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი ინვენტარით აღჭურვა;
- 3 პროფესიული სასწავლებლისთვის გადაცემულია პერსონალური კომპიუტერი.

4.3.3 სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დასრულებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ახალი ოფისის ნაწილობრივი სარებილიტაციო და თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- განხორციელდა ქალაქ თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მისასვლელი გზისა და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები;

4.3.4 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- დასრულდა სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ძირითად შენობაში ორი სამგზავრო ლიფტის გამოცვლის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიონალური ინოვაციების ჰაბის სამშენებლო და სსიპ - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ვივარიუმისა და გერენტოლოგიის შენობების სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- დაფინანსებულია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. ქუთაისში XIV კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაფორმებულია დაფინანსების ხელშეკრულება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მე-6 სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაციის მიზნით;
- განხორციელდა საპროექტო სამუშაოები და გაფორმდა ხელშეკრულებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის და ეზოს ნაწილობრივი რებილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოების, ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანის, ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის სასტუმროების ნაწილობრივი რეაბილიტაციის, ღობის და აუზის მოწყობის

სამუშაოების, ასევე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობისა და შემოღობვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.

4.3.5 საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში შეძენილი და დარიგებულია 6.5 მლნ ერთეული პირბადე;
- შესყიდულია 4.9 მლნ ლიტრი სადეზინფექციო კონცენტრატი და გადაცემულია 1 829 საჯარო სკოლისთვის;
- შესყიდულია 850.6 ათასი ლიტრი ხელის სადეზინფექციო სხნარი და 425.4 ათასი ლიტრი გადაცემულია 2 081 საჯაო სკოლისთვის;
- შესყიდულია და 608 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია 2.4 ათასი ერთეული დისპენსერი;
- შესყიდული და დარიგებულია 500 ცალი დეზობარიერი;

4.4 ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობდა საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო-სამშენებლო და ენერგოეფექტურობის გაზრდის კუთხით სამუშაოები, რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება ხორციელდებოდა ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის (CEB), აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოსდაცვის თანამშრომლობის ფონდის (E5P), მსოფლიო ბანკის (WB) საკრედიტო და საგრანტო რესურსებიდან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

4.4.1 საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 07 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარში აშენებულია საჯარო სკოლა (150 მოსწავლეზე გათვლილი) (Design Build);
- მიმდინარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანში საჯარო სკოლის (90 მოსწავლეზე გათვლილი) სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიკვთაში აშენებულია საჯარო სკოლა (60 ბავშვზე გათვლილი) (Design Build);

- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოფში (150 მოსწავლეზე გათვლილი) და სოფელ ჩანახჩში (60 მოსწავლეზე გათვლილი) აშენებულია საჯარო სკოლები (Design Build);
- მიმდინარეობდა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საბირკენდში საჯარო სკოლის (450 მოსწავლეზე გათვლილი) სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთში საჯარო სკოლის (240 მოსწავლეზე გათვლილი) სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- აშენებულია ქ. ტყიბულის N2 საჯარო სკოლა (150 მოსწავლეზე გათვლილი) (Design Build);
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში აშენებულია საჯარო სკოლა (240 მოსწავლეზე გათვლილი) (Design Build);
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში აშენებულია საჯარო სკოლა (150 მოსწავლეზე გათვლილი) (Design Build);
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში აშენებულია საჯარო სკოლა (90 მოსწავლეზე გათვლილი) (Design Build);
- ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქინძათში ასენებულია საჯარო სკოლა (150 მოსწავლეზე გათვლილი) (Design Build);
- მიმდინარეობდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურში საჯარო სკოლის (60 მოსწავლეზე გათვლილი) სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა ურეკის საჯარო სკოლის (450 მოსწავლეზე გათვლილი) სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის და სოფელ მერიას საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭუბერში საჯარო სკოლის (150 მოსწავლეზე გათვლილი) და სოფელ ყარსგურიში საჯარო სკოლის (150 მოსწავლეზე გათვლილი) მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე და სამშენებლო სამუშაოებზე (Design Build) შეწყვეტილია ხელშეკრულება კონტრაქტორ ორგანიზაციასთან;
- მიმდინარეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დუშეთის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ პირმისაანთკარის საჯარო სკოლა;
- დუშეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, მიმდინარეობდა N9 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ვანის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ბზვანის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ რუფოთის და ქვედა სიმონეთის საჯარო სკოლები;
- ქ. სამტრედიის N4 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შეწყვეტილია ხელშეკრულება კონტრაქტორ ორგანიზაციასთან;
- ხონის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ გორდის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, მიმდინარეობდა აკაკი წერეთლის სახელობის N1 და N12 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ხობის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ბუკისციხის, სოფელ ზომლეთის და სოფელ სამების საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქარელის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ ურბნისის საჯარო სკოლა;
- ხაშურის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ ქემფერის საჯარო სკოლა;
- გორის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ ბნავისის საჯარო სკოლა;

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ გოლთეთის და სოფელ დიდგორის საჯარო სკოლები;
- წალკის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ ხაჩკოვის საჯარო სკოლა;
- დმანისის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ ამამლოს საჯარო სკოლა;
- ქ. ბოლნისში, მიმდინარეობდა N1 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ კუმისის საჯარო სკოლა;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ჯანდარის და სოფელ ნორიოს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მარნეულის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ყულარის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მარნეულის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ ყიზილ-აჯლოს და სოფელ კაპანახჩის საჯარო სკოლები;
- ქ. რუსთავში, მიმდინარეობდა N25 და N26 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ახალციხის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია ქ. ვალეს საჯარო სკოლა;
- ქარელის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა შორაპანის, სოფელ მეორე სვირის, სოფელ ქვედა საზანოს და სოფელ ცხრაწყაროს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მარტვილის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ნაგვაზაოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ასპინძის მუნიციპალიტეტში, რეაბილიტირებულია სოფელ ოთის საჯარო სკოლა;
- ასპინძის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა დაბა ასპინძის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ტყიბულის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ხრესილის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, მიმდინარეობდა N14 საჯარო სკოლის (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. სამტრედიაში, მიმდინარეობდა N12 საჯარო სკოლის (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მესტიის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მარტვილის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ კიწიის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქარელის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ აბისის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დმანისის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრელში საჯარო სკოლის (60 მოსწავლეზე გათვლილი) მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- მიმდინარეობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელში საჯარო სკოლის (90 მოსწავლეზე გათვლილი) მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (Design Build);
- ქ. ბორჯომში, მიმდინარეობდა N4 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება და დასრულებულ ობიექტებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

4.4.2 თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ენერგოეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P) (პროგრამული კოდი - 25 07 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა ქ. თბილისის N4 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის და ენერგოეფექტურობის გაზრდისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. თბილისის N102-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ახალი სკოლის მშენებლობისათვის და ენერგოეფექტურობის გაზრდისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. თბილისის N36-ე, N43-ე, N85-ე, N165-ე, N169-ე და N181-ე საჯარო სკოლების სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო და ენერგოეფექტურობის გაზრდის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. თბილისის N114-ე საჯარო სკოლის სარეკონსტრუქციო და ენერგოეფექტურობის გაზრდის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. თბილისის N62-ე, N67-ე, N76-ე და N89-ე საჯარო სკოლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის და ენერგოეფექტურობის გაზრდისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. თბილისის N123-ე საჯარო სკოლის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო და ენერგოეფექტურობის გაზრდის სამუშაოები;
- საჯარო სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, მიმდინარეობდა ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება;
- მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული საოპერაციო და სხვადასხვა საკონულტაციო ხარჯების დაფინანსება.

4.4.3 ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB) (პროგრამული კოდი - 25 07 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა გურიის რეგიონში 2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა აჭარის რეგიონში 2 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა იმერეთის რეგიონში 5 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებში 4 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

- მიმდინარეობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 7 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში 6 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა მესტიის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში 5 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში 6 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (მე-2 პაკეტი);
- მიმდინარეობდა აჭარის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში 15 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა თბილისის მუნიციპალიტეტში 8 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- საჯარო სკოლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე, დაიწყო ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება;
- მიმდინარეობდა პროექტის მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკონსულტაციო ხარჯების დაფინანსება.

4.4.5 ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - მუნიციპალიტეტებში (პროგრამული კოდი - 25 07 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- დაიწყო მუნიციპალიტეტებზე „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერების ჩარიცხვა.

4.5 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
✓ პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმნახორციელებელი დაწესებულებები;
✓ ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო
✓ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

4.5.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;
- ✓ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

- საანგარიშო პერიოდისათვის პროფესიული კოლეჯები და პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით;
- საანგარიშო პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხმახორციელებელ დაწესებულებებში სწავლას განაგრძოს 13 177 სტუდენტი;
- ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების უზრუნველყოფისათვის დაფინანსებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 27 დაწესებულება;
- საანგარიშო პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, მიღება გამოაცხადა 75 საგანმანათლებლო დაწესებულებამ, 665 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო გამოცხადებული თავისუფალი ადგილების რაოდენობამ შეადგენდა - 17 183;
- სამმა კოლეჯმა (სახელმწიფო) დაიმატა 3 ინტეგრირებული პროგრამა (დღეისათვის სისტემაში 81 ინტეგრირებული პროგრამაა (მათ შორის 5 პროგრამა კერძო კოლეჯებში).
- სსიპ - კოლეჯმა „ბლექსი“ მოიპოვა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება;

4.5.2 პროფესიული უნარების განვითარება (პროგრამული კოდი 32 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტო

- საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციარ სკოლებთან და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კომუნიკაცია იმ კურსების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც განხორციელდება მიმდინარე წელს;
- სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრირების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული განათლების საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შერჩევის პოლიტიკა;
- მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებასა და განხორციელების წესზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა გზამკვლევზე, პროფესიული განათლების საფეხურზე გენდერული მეინსტრიმინგის საკითხების ინტეგრირების სამოქმედო გეგმაზე, პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტზე, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდულებზე, ტურიზმის დარგობრივ რუკაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით დარგობრივ რუკაზე და ჯანდაცვის მიმართულებით დარგობრივ რუკაზე, შემუშავდა რეკომენდაციები გენდერული საკითხების ინტეგრირების მიმართულებით;

- სტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში დასრულდა მუშაობა პროფესიული განათლების საფეხურზე ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და არაფორმალური განათლების სერვისების განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე;
- ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისების განვითარების მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა ფსიქო-სოციალური განვითარების კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაზე.
- დასრულდა მუშაობა განათლების სამივე საფეხურისთვის კარიერის მართვის სერვისების განვითარების კონცეფციაზე;
- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 22 სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების 41 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა. მიმდინარე ეტაპზე, ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობა აღემატება 500 ერთეულს.
- ,,პროფესიული დარგობრივი ქსელების გაძლიერება პროფესიული მასწავლებლებისთვის" კომპონენტის ფარგლებში შეიქმნა 8 დარგობრივი მიმართულების მასწავლებელთა ქსელი, სადაც ყოველთვიური გაფართოებული და მიზნობრივი შეხვედრებით კონსულტირებას იღებენ მასწავლებლები დარგის ექსპერტებისგან;
- პროფესიული მასწავლებლების პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულაციის შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამოქმედო გეგმა.

4.5.3 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

- სკოლის 12 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს 3 რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, ასევე, თბილისსა და სამხედრო ბაზებზე, სწავლა დაასრულა 2021 და 2022 წელს ჩარიცხულმა 245 ჯგუფის 2 724-მაბენეფიციარმა;
- ალგეთის, ახალქალაქისა და კრწანისის სამხედრო ბაზებზე ენის ფლობის A1 დონის ფარგლებში პროგრამით ისარგებლა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა 148 რეკრუტმა;
- სახელმწიფო ენას A1 დონეზე ეუფლებოდა უცხო ქვეყნის 58 მოქალაქე, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად ცხოვრების უფლება;
- დაკომპლექტდა 239 სასწავლო ჯგუფი, მათგან: 16 - მობილური და 223 დისტანციური სწავლების, სულ ჩაირიცხა ეროვნული უმცირესობის 3 059 წარმომადგენელი;
- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ენას ეუფლებოდა 178 ჯგუფის 2 135 ბენეფიციარი (2021 წელს ჩარიცხული - 15 ჯგუფის 154 ბენეფიციარი, 2022 წლის 163 ჯგუფის 1 981 ბენეფიციარი);
- ჩატარდა ესეების კონკურსი თემაზე „მე ვარ საქართველოს მომავალი“, რომელშიც მონაწილოება მიიღო 22-მა ბენეფიციარმა და გამოვლინდა 7 გამარჯვებული;
- პროგრამის „სკოლის შენობისა და მისი ინფრასტრუქტურის მოვლა/პატრონობა“ ფარგლებში გადამზადდა 11 ბენეფიციარი;
- პროგრამების „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“ და „მოხელის მენეჯერული უნარების განვითარება“ ფარგლებში გადამზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის 44 თანამშრომელი;
- კურსს თემაზე „ეთიკა საჯარო სამსახურში“ დაესწრო სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 18 თანამშრომელი;

- განხორციელდა ტრენინგი თემაზე: „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“, რომელშიც მონაწილეობდა სკოლის 14 თანამშრომელი;
- კურსის „სამოქალაქო შენობების ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის“ ფარგლებში გადამზადდა 12 საჯარო მოხელე სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან.

4.6 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

4.6.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

- საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული იქნა „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში“ 2018 - 2019 წლებში გამარჯვებული 2-2 პროექტი;
- „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ ფარგლებში გადაირიცხა 2016 წლის კონკურსის გამარჯვებული - 1, 2017 წლის კონკურსის გამარჯვებული - 8, 2018 წლის კონკურსის გამარჯვებული 1 და 2019 წლის კონკურსის გამარჯვებული 52 პროექტის მორიგი ტრანშები. ასევე, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა და პირველი ტრანშის თანხები გადაერიცხა 2021 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 123 პროექტის მონაწილეს;
- ,,საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის'' ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა 2022 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 პროექტი;
- ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის'' ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა 2022 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 5 პროექტი;
- ,,კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის'' ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა 2022 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 პროექტი;
- „მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში გადარიცხულია 2019 წლის საგრანტო კონკურში გამარჯვებული ერთი პროექტის თანხა, ასევე

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა და დაფინანსდაა 2022 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 12 პროექტი;

- დაფინანსებული იქნა „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსში“ 2019 წელს გამარჯვებული 3 პროექტის ტრანშები, ასევე 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტის და 2021 წლის კონკურსში გამარჯვებული 15 პროექტის თანხები;
- „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო გრანტების“ ფარგლებში გადაირიცხა 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტის, 2019 წლის კონკურსში გამარჯვებული 2 პროექტის და 2021 წლის კონკურსში გამარჯვებული 64 პროექტის მორიგი ტრანშები;
- „სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში დაფინანსებული იქნა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტის თანხა;
- კონკურისის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსება“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა და დაფინანსდა 2021 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 38 მაგისტრანტი;
- ,,ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტის'' ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გადაირიცხა 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტის და 2019 წლის კონკურსში გამარჯვებული 3 პროექტის თანხა. ასევე გადარიცხული 2021 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 54 პროექტის მორიგი ტრანშები.
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი “Rustaveli-DAAD”-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2022 წლის კონკურსში გამარჯვებული 27 ახალგაზრდა მეცნიერი;
- ერთობლივი კონკურსი ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში - საანგარიშო პერიოდში გადაირიცხა იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსთან 2019 წლის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტის, გერმანიის იულიხის (JÜLICH) კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ერთობლივ საგრანტო კონკურსებში (2019-2022 წწ) გამარჯვებული 2 ახალგაზრდა მეცნიერის და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის (GFI) ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის 2022 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 პროექტის მორიგი ტრანშები;
- საანგარიშო პერიოდში გადახდილია საერთაშორისო ელექტრონული გამომცემლობა ELSEVIER BV-სა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ELSEVIER BV-ის ბაზებზე წვდომის გადასახადი, ასევე გადახდილ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის საწევრო გადასახადები: ევროპის ბირთვული კვლევების ორგანიზაციასა (CERN); ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტში - JINR DUBNA;

4.6.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია;

- სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 21 სტატია უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში და 3 სტატია ადგილობრივ

ჟურნალში, ასევე 10 სამეცნიერო თეზისი უცხოეთში და 10 თეზისი საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობისთვის. ამასთან, ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო მულტიდისციპლინური სკოლა-კონფერენცია ბიომედიცინაში და ღონისძიების ფარგლებში გამოქვეყნდა სამეცნიერო მოხსენებების კრებული, ასევე ჩატარდა შემეცნიებითი ტრენინგ-ბლოკი:

- სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოიცა აფხაზურენოვანი „ვეფხისტყაოსანი“, მიმდინარეობდა ქართველოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, არმენოლოგია - კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევები, ასევე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის გამოსაცემად მომზადება, ტექსტების გადმოწერა, რედაქტირება და სხვა ტიპის წყაროთმცოდნეობითი კვლევების ჩატარება, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დაუმუშავებელი არქივების დამუშავება, ძველი სტანდარტების მიხედვით დამუშავებული არქივების თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გადამუშავება, ფონდების სისტემატიზაცია - კატალოგიზაცია, ახალი ფონდებით შევსება, ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის დამუშავება, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი წიგნების მინიატიურათა სამეცნიერო შესწავლა, წიგნის ხელოვნებასთან დაკავშირებული საკითხების სამეცნიერო კვლევა, ხელოვნებათმცოდნეობითი საცნობარო კატალოგების მომზადება;
- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერების მიერ გამოქვეუბენულ იქნა 4 სტატია იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალები, ასევე გამოსაცემად გაგზავნილია 2 სტატია, მეცნიერ-თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში და წარადგინეს 5 თეზისი;
- სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ იქნა 40 სტატია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და 8 ასტროტელეგრამა, ჩატარდა 8 სემინარი და დაიწყო სამუშაოები 1.5 მეტრი აპერტურის ტელესკოპისა და ახალი გუმბათის შეძენა-ინსტალირების მიზნით, ასევე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ე.წ. გლაზენაპის კოშკის ობსერვატორიის საექსკურსიო სივრცეში ჩართვის მიზნით.

4.6.3 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

- საანგარიშო პერიოდში გაიმართა სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების 36 და პრეზიდიუმის 6 სხდომა, 2 სემინარი, 1 სამეცნიერო კრება, 1 მრგვალი მაგის სხდომა, 2 სამეცნიერო კონფერენცია, 2 შრომათა კრებული, 1 სამეცნიერო ექსპედიცია, მომზადებული იქნა და გამოიცა 7 რეკომენდაცია.

4.6.4 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

- პროგრამის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის 42 პროექტი.

4.6.5 მეცნიერების პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 32 05 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული იქნა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ცნობილი მეცნიერების/ექიმების ბიუსტების დამზადებისა და განთავსების მიზნით. ასევე, სხვადასხვა სამეცნირო ღონისძიებებისა და კონფერენციების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით დაფინანსდა 3 უმაღლსესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 1 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სამეცნიერო-პოპულარული და შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი.

4.7 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანთლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

- მიმდინარეობდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილ იქნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობებით; საერთაშორისო სივრცეში ქვეყნის ცნობადობის ამაღლების, მისი საერთაშორისო პოპულარიზაციის, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების მიზნით გადახდილი იქნა 6 საერთაშორისო ორგანიზაციაში/პროგრამაში საწევრო გადასახადი (სამხრეთ კავკასიაში ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის (EPLO) რეგიონული ოფისი, CERN-ის სასწავლო-საგანმანათლებლო კოლაბორაცია IPPOG, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), Horizon Europe - ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა, ევროპაში ისტორიის სწავლების ობსერვატორი (HOPE), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE));

- კლასტერული აკრედიტაციის გეგმის შესაბამისად შეიქმნა 7 მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო (მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების, აუდიოვიზუალური ხელოვნების, სახვითი ხელოვნების, მედიახელოვნება/ციფრული მედიის, დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის და ტექსტილის დიზაინის, სათეატრო ხელოვნების, თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) თეატრმცოდნეობის, სამსახიობო ხელოვნების, ქორეოგრაფიის და ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიის ისტორია და თეორია, განათლების ინტერდისციპლინური), ასევე შეიქმნა კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლებისა და განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოები;
- დამტკიცდა მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი და ჩატარდა 6 საკონსულტაციო შეხვედრა უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრებთან;
- განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 500-მდე მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დადასტურება;
- ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 9 სხდომა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 1 სხდომა;
- ჩატარდა 5 გაფართოებული საკონსულტაციო-საინფორმაციო შეხვედრა იმ 120-მდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, რომლებსაც 2022 წელს უწევთ რეავტორიზაცია;
- შემუშავდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2022 წლის გეგმიური მონიტორინგის გეგმა;
- დასრულდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შემდეგი ადმინისტრაციული წარმოებები: ავტორიზაცია - 27; ავტორიზაციის პირობების შემოწმება (მონიტორინგი) - 5; მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა - 1; ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია - 4. მიმდინარეობს 72 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება.
- თვითშეფასების სპეციალისტების მხარდაჭერით, თვითშეფასება განახორციელდა 312 საჯარო სკოლაში, ასევე ელექტრონულ პლატფორმაზე.
- სრული ავტორიზაცია გაიარა სამმა კერძო პროფესიულმა დაწესებულებამ 10 პროგრამით, ასევე დამატებულ იქნა 28 პროგრამა 12 დაწესებულების მიერ;
- პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვის მიმართულებით 75 ადმინისტრაციული წარმოება წარიმართა, აქედან 47 რეგისტრაციის განაცხადია და 28 - უფლების მოპოვების, ჩატარდა უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 8 სხდომა, მიღებულ იქნა 49 გადაწყვეტილება;
- ჩატარდა ავტორიზაციის საბჭოს 12 სხდომა და მიღებულ იქნა 97 გადაწყვეტილება, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 224 საკითხი;
- ESG-2015-თან თავსებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად დასრულდა 108 განაცხადთან დაკავშირებული წარმოება, გამოიცა 82 მაძიებლობის ბრძანება, ჩატარდა 62 სააკრედიტაციო ვიზიტი და 2 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგი;
- ჩატარდა ავტორიზაციის საბჭოს 4 სხდომა;
- მომზადდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფერედაციის (WFME) ყოველწლიური ანგარიში;
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თურქეთის მასწავლებელთა განათლების პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის ასოციაციასთან (EPDAD) და ხორვატიის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სააგენტოსთან (ASHE);
- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაცია მიეწოდა 7 417 დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაციასთან დაკავშირებით;

- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მიიღებული იქნა 5 635 გადაწყვეტილება, აქედან 5 506 დადებითი, ხოლო 129 უარყოფითი;
- მომზადდა ცნობა 165 უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ;
- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების საკითხის თაობაზე მიღებულ იქნა 1 690 გადაწყვეტილება, აქედან 1 560 დადებითი, ხოლო 130 უარყოფითი;
- ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების საკითხის თაობაზე მიღებულ იქნა 18 გადაწყვეტილება, აქედან 17 დადებითი, ხოლო 1 უარყოფითი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების საკითხის თაობაზე 12 გადაწყვეტილება მიიღეს, აქედან 7 დადებითი, ხოლო 5 უარყოფითი;
- ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობა შეწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების საკითხის თაობაზე 156 გადაწყვეტილება მიიღეს, აქედან 99 დადებითი, ხოლო 57 უარყოფითი;
- მომზადდა უმაღლესი განათლების 24 და პროფესიული განათლების დამადასტურებელი 13 დიპლომი;
- ენობრივი სისწორის თვალსაზრისით, ცენტრის მიერ დამუშავდა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის 79 პროექტი, დადებითი დასკვნა გაიცა 43 ფორმის პროექტთან დაკავშირებით, ხოლო 36 ფორმის პროექტთან დაკავშირებით დადგინდა ხარვეზი;
- საანგარიშო პერიოდში ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და კომპანია Microsoft-ის თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საჯარო სკოლები სრულად იყვნენ უზრუნველყოფილი Microsoft 365-ის სერვისებით;
- 2 078 საჯარო სკოლა და 60 საგანმანათლებლო რესურსცენტრი უზრუნველყოფილი იყო 250 IT სპეციალისტის მომსახურებით;
- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვაუჩერული დაფინანსების, პროფესიული განათლების ვაუჩერული/მოდულის ვაუჩერული დაფინანსების, უმაღლესი განათლების საგრანტო და სოციალური პროგრამების ფარგლებში დაფინანსების გაანგარიშება და ინფორმაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მიწოდება დადგენილი წესით;
- განისაზღვრა საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით დადგენილი სტატუსის დანამატის ოდენობები მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის თვეების მდგომარეობით და შესაბამისი მონაცემები მიეწოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- დადგენილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობდა განათლების სფეროში სახელმწიფო სოციალური პროგრამების ბენეფიციართა მონაცემების განახლება და ინფორმაციის შესაბამისი სტრუქტურებისთვის მიწოდება;
- განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის საანგარიშო პერიოდში მოქმედებდა მონაცემთა ანგარიშგებისა და ვიზუალიზაციის სისტემა - QlickSense, რაც უზრუნველყოფდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ, მათ შორის, დისტანციური სწავლების და ასევე, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ანალიტიკურ მონაცემებს;

- განათლების სისტემაში ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით გრძელდებოდა მუშაობა სივრცითი ანალიზის კომპლექსურ ინსტრუმენტებზე და განათლების სისტემის ერთიანი გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) ფორმირებაზე;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, მიღება გამოაცხადა 75 საგანმანათლებლო დაწესებულებამ და 665 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილ იქნა Vet.emis.ge - აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაციისთვის საჭირო ღონისძიებები. მიმდინარეობდა პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოები E-vet-სა და vet.emis.ge-ზე, დაწესებულების მიერ, არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში, მისაღები ადგილების გაზრდის და შემდგომ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის პროცესის, რეიტინგული სიების ფორმირებისა და საბოლოო შედეგების ფორმირებისთვის;
- შემუშავდა ტექნიკური დავალება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის, მისაღები ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდისა და სხვა ცვლილებების სისტემაში უზურველსაყოფად;
- უზრუნველყოფილი იქნა ავტორიზაცია/აკრედიტაციის გადაწყვეტილებების მართვის სისტემაში ასახვა, შესაბამისად განხორციელდა ინფორმაციის განახლება/დასუფთავება საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული პროფილებისა და მათ მიერ განხორციელებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში. უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი პროცესების ეფექტური ადმინისტრირებისათვის განხორციელდა პირველი გეგმიური მონიტორინგი.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ახალი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUni) შექმნის მხარდაჭერა;
- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის პროცესის ადმინისტრირება და მობილობის ელექტრონული პორტალის მომსახურებით ისარგებლა 1 930-მა მობილობის მსურველმა სტუდენტმა;
- საანგარიშო პერიოდში 60-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ განახლებული და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი ელექტრონული ანკეტა-კითხვარით უზრუნველყო 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღებისთვის 782 საგანმანათლებლო პროგრამებზე საჭირო მონაცემების წარმოდგენა და მართვის სისტემის მიერ უზრუნველყოფილი იქნა ანკეტა-კითხვარის დადასტურება და დადასტურებული მონაცემების სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის მიწოდება;
- მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხვის მსურველთა ინფორმირებისა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, დადასტურებული იქნა 48 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 498 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია;
- საანგარიშო პერიოში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისათვის, სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარის შექმნის მიზნით, განხორციელდა ბიზნეს-პროცესების აღწერა, სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას დაემატა შესაბამისი მოდული, სადაც განთავსდა სწავლების მეორე საფეხურზე სტუდენტთა დაფინანსების ისტორია, აეწყო დაფინანსების ავტომატური გაანგარიშების ალგორითმი, დაწესებულებებისათვის შეიქმნა შესაძლებლობა გაანგარიშებულ მონაცემებსა და დასაფინანსებელ სტუდენტთა სახელობით სიებზე წვდომისა და კორექტირების მოთხოვნისათვის;

- სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა საჯაროს სკოლების, პროფესიული სასწავლებლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტის საპროექტო/ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ამასთან, საანგარიშო პერიოდში მიმდინარე პროექტებზე ხორციელდებოდა საზედამხედველო და სამშენებლო მონიტორინგის ღონისძიებები.

4.8 ინკლუზიური განათლება (პროგრამული კოდი 32 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;

- თბილისისა და რეგიონების საჯარო, ასევე, კერძო სკოლები უზრუნველყოფილი იქნა მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურებით, იდენტიფიცირდა 1 000-მდე სსსმ მოსწავლე;
- რესურს-სკოლებს ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესში გაეწიათ კვალიფიციური დახმარება;
- საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იქნა სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლაში სენსორული (სმენა) დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თბილისის №166 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში, სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლაში, სსიპ - თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, სსიპ - ქალაქ ბათუმის №13 საჯარო სკოლაში, სსიპ - დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №61 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №55 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლასა და სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლაში აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირება;
- უზრუნველყოფილი იქნა სსიპ - ქალაქ თბილისის №147 საჯარო სკოლის მიერ ქრონიკული დაავადების მქონე ჰოსპიტალიზირებული ბავშვებისათვის, ასევე ააიპ - ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელების ქვეყანა“ ბენეფიციარებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება;
- განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის მიმართულებით ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების განათლების და სოციალიზაციის უზრუნველყოფისთვის ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი - „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა'', რომლის ბენეფიციარები არიან ქვეყანაში არსებული სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან არსებულ მიუსაფარი ბავშვების 7 დღის ცენტრში მყოფი ბავშვები (ქ.თბილისი, ქ.ქუთაისი, ქ.რუსთავი, ქ. ბათუმი), საანგარიშო პერიოდისთვის პროგრამაში ჩართული იყო 102 ბავშვი). ასევე, მიმდინარეობდა ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამის“ საბაზო საფეხურის ასაკის მქონე ბენეფიციარებისთვის პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის ღონისძიებები;
- სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის მიმართულებით 17 სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი;
- მიმდინარეობს მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განმავითარებელი აქტივობების კრებულის, ადრეული და სკოლამდელი ინკლუზიური განათლების გზამკვლევის, ნიჭიერ მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიების გზამკვლევისა და მძიმე და მრავლობითი გონებრივი დარღვევების და აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის საბაზო საფეხურის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავებაზე;
- მიმდინარეობს უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების რევიზიის პროცესი;

- სპეციალურ საგანმანთლებლო 7 დაწესებულებაში იმყოფებოდა და ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სრული სახელმწიფო მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნა 511 ბენეფიციარი. მათ შორის მყოფი 115 ბენეფიციარი დამატებით უზრუნველყოფილია სახელმწიფო სადღეღამისო მომსახურებით;
- ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების რისკების პრევენციის მიზნით, პერიოდულად სკოლა-პანსიონები მომსახურებას ახორციელებდა დისტანციურად, სკოლაში არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით დაწესებული წერტილოვანი შეზღუდვებით.
- ქვეპროგრამის „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში საჯარო სკოლებს გამოეყოთ დამატებით დაფინანსება 10 900 - მდე სსსმპ მოსწავლის სწავლების ხელშესაწყობად.
- ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით გაიარა 1 300-მდე სპეციალურმა მასწავლებელმა, 68 სხვადასხვა საგნის მასწავლებელმა, 10 - მა ქართული ჟესტური ენის თარჯიმანმა, სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის მომზადება გაიარა 357-მა ინდივიდუალურმა ასისტენტმა, 22 საჯარო სკოლაში განხორციელდა სპეციალური მასწავლებელთა პორტფოლიოს პილოტირება და 22 სპეციალური მასწავლებლის ინდივიდუალური კონსულტირება;
- ადრეული ინკლუზიური განათლების მოდული დისტანციური სწავლებისათვის გაიარა საბავშვო ბაღის 229 აღმზრდელ-პედაგოგმა;
- შემუშავებული იქნა ფსიქოლოგების კურსი - ,,ქცევის პოზიტიური მართვა სკოლაში“;
- ინდივიდუალური ასისტენტის ტრენინგი, ასევე ინკლუზიური განათლების ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროგრამა ჩაუტარდა 5-5 ჯგუფს;
- მიმდინარეობდა სურდოთარჯიმნების სერტიფიცირების პროგრამა (ქართული ჟესტური ენის თარჯიმნების სერტიფიცირება), სადაც მონაწილეობდა 10 - მდე ქართული ჟესტური ენის სპეციალისტი;
- განხორციელდა ინდივიდუალური კონსულტირება სხვადსხვა სკოლის 18 სსსმ მოსწავლისათვის;

4.9 ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD) (პროგრამულო კოდი 32 08)

პროგრამის განმახროციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- დასრულდა მუშაობა კონკურენტული ინოვაციების ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის სრული პაკეტის მომზადების მიმართულებით;
- უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების შესასყიდად შემუშავდა ტექნიკური დავალება და მიმდინარეობდა შესაბამისი შესყიდვის პროცედურები;
- ქვეყნის მასშტაბით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და პროგრამების ხარისხის ამაღლების მიზნით, მიმდინარეობდა შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის პროცედურები;
- დასრულდა სკოლამდელი განათლების სისტემური სადიაგნოსტიკო კვლევა, რომელიც გულისხმობს ამ სფეროში არსებული პროფესიონალური განვითარების, მონიტორინგისა და ანგარიშგების, მართვისა და კოორდინაციის სისტემების ანალიზს, არსებული სასკოლო მზაობის ჯგუფების კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე, სასკოლო მზაობის პროგრამის გადახედვას და არსებული ხარვეზების შემთხვევაში, მათ აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავებას;

- განხორციელდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მონაცემთა ბაზის სადიაგნოსტიკო კვლევა, ასევე მიმდინარეობდა მუშაობა EMIS-ის შესაძლებლობების განვითარების, LMS და EMS სისტემების დანერგვის მიმართულებით;
- დასრულდა ზოგადი განათლების სისტემური შეფასების/ მრავალკომპონენტიანი სადიაგნოსტიკო კვლევა, რომლის ფარგლებში გაანალიზდა ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელებული რეფორმები და მის კვალდაკვალ მომზადდა რეკომენდაციები შემდგომი ინტერვენციების დასაგეგმად;
- დასრულდა მუშაობა ზოგადი განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების, ასევე ზოგადი განათლების მიმართულებით ეროვნული შეფასების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების კუთხით;
- მიმდინარეობდა მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (სკოლებისთვის) ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს სტანდარტების პროექტის შემუშავების მიმართულებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით 121 სკოლაში Wi-Fi ქსელების მოწყობის სამუშაოები;
- მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხარისხის ამაღლების მიზნით მიმდინარეობდა შესყიდვის პროცედურები;
- დასრულდა მუშაობა სტუდენტთა მოძრაობის პლატფორმის ტექნიკური დავალების შემუშავების მიმართულებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა სამინისტროსთვის 5 წლიანი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და 24-თვიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე;
- სკოლამდელი მზაობის ჯგუფების განვითარებისა და შემდგომში თანამედროვე, ბავშვზე ორიენტირებული სასკოლო მზაობის პროგრამის წარმატებით დანარგვის მიზნით შერჩეულ 150 სამიზნე და 279 სარეზერვო სკოლებში განხორციელდა ვიზიტები სივრცეების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესწავლა/შეფასებაზე;
- სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ არაუმეტეს 19 ახალი მოდელის სასკოლო შენობის შერჩევის კრიტერიუმები და ასაშენებელი სკოლების სია;
- დაიწყო მუშაობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მას დაქვემდებარებული უწყებებისთვის ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მრავალკომპონენტიანი აქტივობის - „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა“ განსახორციელებელი მომსახურების შესყიდვის მიზნით, შემუშავდა ტექნიკური დავალება და გამოცხადდა ტენდერი; მიმდინარეობდა მუშაობა საგანმანათლებლო რესურსცენტრების კონცეფციისა და სკოლის დირექტორების სტანდარტის შემუშავებაზე;
- დაიწყო მუშაობა შერჩეული პლატფორმების საშუალებით დისტანციური სწავლებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით სკოლებისათვის საგანმანათლებლო სახელმძღვანელოს და ონლაინ ტრენინგ მოდულის შემუშავების, ასევე, ტრენერთა ტრენინგის განხორციელების მიმართულებით;
- მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული პროექტის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის შესაბამისად, დაწყებულია მუშაობა პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორის ფარგლებში საბაზისო მაჩვენებლის მონაცემთა მოგროვებისა და ანალიზის მიმართულებით, კერძოდ, ხორციელდება მოსწავლეთა სწავლის შედეგების კვლევა შერჩეულ სკოლებში;

- ეფექტურობის კვლევის განხორციელების მიზნით, შემუშავდა ტექნიკური დავალება და დაიწყო შესყიდვის პროცედურები შესაბამისი მომსახურების შესყიდვის მიზნით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნისა და მსოფლიო ბანკის თანხმობის საფუძველზე, შესრულებული/მიმდინარე/დაგეგმილი დამატებითი აქტივობების ასახვის მიზნით, განხორციელდა პროგრამის მართვის სახელმძღვანელოს (POM) ცვლილება.

4.10 პროფესიული განათლება I (KfW) (პროგრამული კოდი 32 09)

პროგრამის განმახროციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული პროექტის TVET Program I-ის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურეიის შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საკონსულტაციო კომპანიის PEM-ის მიერ წარმოდგენილი იქნა პირველი კვარტლის ანგარიში. ანგარიშის ფარგლებში საკონსულტაციო კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა განახლებული შესიდვების პროექტის განხორციელების სახელმძღვანელო, სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის წინასწარი შეფასება დათვალიერების და არსებული ინფორმაციის საფუძველზე, პროექტის განხორციელების დროს ანაზღაურების მოთხოვნის პროცედურების შესახებ ინფორმაცია, განახლებული სამუშაოების შესრულების გეგმა გრაფიკი, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

4.11 სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოში ავტორიზებული სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის, უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების, საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების, საზოგადოების ინფორმირებულობისა და მხარდაჭერის მიზნით დაფინანსდა 5 სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის იუნესკოს ეგიდით სამხატვრო აკადემიის 100 წლის იუბილეს ფარგლებში გაიმართა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის არქიტექტურის ფაკულტეტის ღვაწლმოსილი პროფესორის გიგა ბათიაშვილის გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრების გამოფენის გახსნა სახელწოდებით „მეორე სიცოცხლე“; UNESCO-საქმეთა ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებული, 2020-2021 წლების მონაწილეობის პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტის - „ტრადიციული ლურჯი სუფრა შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის“ დასკვნითი კონფერენცია; ბრიტანეთის საბჭოს პროგრამის - „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ ფარგლებში გაიხსნა ერთკვირიანი იდეათონი. ხორციელდება როგორც სტუდენტების, ასევე ლექტორების მობილობა ესტონეთში, ესპანეთში, რუმინეთში, ავსტრიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებში.

- სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრების ციკლი - საუბრები ქორეოგრაფიაზე. ციკლის თემა იყო „კლასიკური ბალეტების თანამედროვე ინტერპრეტაცია“ მე-20 საუკუნის ქორეოგრაფიული შედევრების ვიდეო ჩვენებით. ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის ფარგლებში, ევროპელი პარტნიორების მონაწილეობით ჩატარდა საერთაშორისო ტრენინგში DIGITAL TEACHING IN UNIVERSITY ENVIRONMENT - პედაგოგებისთვის. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ ,,ეროვნული ცეკვების ფედერაციას“ შორის გააფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანია ქორეოგრაფიული, ქორეოლოგიური, თეატრალური და სხვ. ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, საშემსრულებლო მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვა, სტუდენტების (მოცეკვავეების, მსახიობების, ქორეოგრაფ-ქორეოლოგების) კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ეტიუდების ეროვნული XII ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დრამის ფაკულტეტის სარეჟისორო და სამსახიობო მიმართულების I, II და III კურსის სტუდენტებმა. წარმოდგენილი იქნა 11 ეტიუდი: 5 სარეჟისორო და 6 სამსახიობო. გაიმართა უნივერსიტეტის XV სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მოხსენებების თემატიკა უკავშირდება სახელოვნებო მეცნიერებების მიმართულებებს, ასევე მედიის, კულტურული ტურიზმისა და ხელოვნების მენეჯმენტის სფეროებს და სხვა ჰუმანიტარულ დარგებსაც. უნივერსიტეტსა და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. „TISFF ფიჩინგ-ფორუმი 2022”-ში მონაწილეობდნენ და გამარჯვება მოიპოვეს: I ადგილი - „მეგრეტა“ - რეჟისორი: მირანდა ნამიჭეიშვილი (მაგისტრანტი), პროდიუსერი: ანა კვიჭიძე II ადგილი - “Disposable” - რეჟისორი: ლუკა ბერაძე, პროდიუსერი: ანა ხაზარაძე, ნინო ჩიჩუა III ადგილი - „მკვდვრების ზღვა“ - რეჟისორი: ანა კვიჭიძე, პროდიუსერი: მარიამ ბიწაძე.
- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა, მონაწილეობა მიიღო აჭარის ხელოვნების მუზეუმში განხორციელებულ პროექტში - „სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა-პერფორმანსი - თეატრი მუზეუმში“. გამოიფინა 50-მდე სტუდენტის ნამუშევარი, ასევე ნაჩვენები იყო ნაწყვეტი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან - ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“. გაიმართა „ქართული სიტყვისა და ქართული მუსიკის საღამო“ რომელიც „დედაენის“ დღეს მიეძღვნა. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა სამეცნიერო ნახატების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აჭარის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.
- სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ, საანგარიშო პერიოდში შეიმუშავა კონსერვატორიის ეთიკის კოდექსის განახლებული პროექტი, მონაწილეობა მიიღო კონსერვატორიის წესდების განახლების ყოველკვირეულ სამუშაო შეხვედრებში. მონაწილეობა მიიღო გამოცდების კრიტერიუმების დოკუმენტების შემუშავებაში. გაიმართა დიდი დარბაზის გახსნიდან 80 წლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტი. სიღნაღში მდებარე თემში - ქედელი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ცხოვრობენ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების მიერ პედაგოგიკის კურსის ფარგლებში განხორციელდა სოციალური პროექტი. დასრულდა ევროკავშირის პროგრამის ERASMUS+ მიერ დაფინანსებული პროექტის - CBHE (ERASMUS+) Raising Research Capacity of Georgian HEIs through developing R&Dunits / HERD 598207-EPP-1-2018-1-GE-EPPKA2-CBHE-SP პროექტი, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის ანგარიშებზე. „Erasmus +“-ის პროგრამის ფარგლებში, პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობა გააგრძელა 30-მა სტუდენტმა; ხოლო ახალ ეტაპზე შეირჩა 28 სტუდენტი. საქართველოს გაცვლითი პროგრამით ეწვევა 2 სტუდენტი. რაც შეეხება პერსონალის მობილობას, საანგარიშო პერიოდში მონაწილეთა რაოდენობაა 9, ხოლო საქართველოს ეწვია 18

პედაგოგი. კონსერვატორიის ინსტიტუციური განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების მიზნით ფინელი კოლეგების Critical Friend-ის ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა, რომლის განხილვაც, ფინელ კოლეგებთან და კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად.

4.12 საბიბლიოთეკო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მონაცემთა ბაზების შექმნა და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის დარგებში; საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვის ხელშეწყობა;
- მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;
- მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ციფრული მემკვიდრეობის არქივის შექმნა;
- საბიბლიოთეკო პროცესებსა და მკითხველთა მომსახურებაში გამოყენებულ იქნა ინტერნეტი;
- მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებგვერდის სრულყოფა და მხარდაჭერა.
- შეძენილ იქნა საერთაშორისო საბიბლიოთეკო კომპანია EBSCO-ს ელექტრონული მონაცემთა ბაზები, რომლებიც საკუთარ თავში აერთიანებს ასი ათასობით ელექტრონულ წიგნსა და წამყვანი კვლევითი ორგანიზაციების პუბლიკაციებს; განხორციელდა საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამა SIERRA-ს მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული წიგნების აღრიცხვასა და მოძრაობას;
- შეძენილ იქნა XIX-XX საუკუნეების უნიკალური ფოტო არქივები.

4.13 სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს შსს-ს და ასევე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება/მომზადების კურსები და პროგრამები:
  - ✓ პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (6 ჯგუფი-132 კურსანტი);
  - ✓ მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო კურსი (2 ჯგუფი-32 კურსანტი);

- ✓ გამომძიებელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა (1 ჯგუფი-18 კურსანტი);
- ✓ მეხანძრე-მაშველთა საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (1 ჯგუფი-20 კურსანტი);
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა თანამდებობრივი დაწინაურების საგანმანათლებლო პროგრამა (1 ჯგუფი-22 კურსანტი);
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამა (3 ჯგუფი-40 კურსანტი);
- ✓ პატრულ-ინსპექტორის პოზიციის დასაკავებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სპეციალური გადამზადების კურსი (2 ჯგუფი-22 კურსანტი);
- ✓ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (10 ჯგუფი-185 კურსანტი);
- ✓ კრიმინალური პოლიციის მოსამსახურეთა საცეცხლე მომზადების ტრენინგი (11 ჯგუფი-218 კურსანტი);
- ✓ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის კონტროლის ღონისძიებების სწავლება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსხურის საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორთათვის (5 ჯგუფი-101 კურსანტი);
- ✓ ტრენინგი ,,დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოსათავსებელ/მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების და ფოტომასალის შენახვის წესი" (2 ჯგუფი-17 კურსანტი);
- ✓ ტრენინგი „Microsoft Excel - საბაზისო კურსი" (3 ჯგუფი-28 კურსანტი);
- ✓ ტრენინგი „დანაშაულის ადგილის შესწავლა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით" (1 ჯგუფი-9 კურსანტი);
- ✓ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური მოკლევადიანი საბაზისო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (6 ჯგუფი-113 კურსანტი);
- ✓ ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი (7 ჯგუფი-126 კურსანტი);
- ✓ ელექტრონული კურსი „სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება" (2 ჯგუფი-26 კურსანტი);
- ✓ პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების ელექტრონული პროგრამა (21 ჯგუფი-1 255 კურსანტი);
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის გარეშე, 2021 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (8 ჯგუფი-581 კურსანტი);
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის გარეშე, 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დანიშნულ მოსამსახურეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (4 ჯგუფი-140 კურსანტი);
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მენეჯერულ პოზიციაზე, 2021 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით გამონაკლისი წესით, დანიშნულ მოსამსახურეთა სპეციალური გადამზადების კურსი (3 ჯგუფი-193 კურსანტი);

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მენეჯერულ პოზიციაზე, 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გამონაკლისი წესით, დანიშნულ მოსამსახურეთა სპეციალური გადამზადების კურსი (1 ჯგუფი-36 კურსანტი);
- ✓ ელექტრონული კურსი „რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში“ (2 ჯგუფი - 474 კურსანტი);
- ✓ პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადების ელექტრონული პროგრამა (14 ჯგუფი - 71 კურსანტი);
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ნახევრად ელექტრონული) (6 ჯგუფი - 143 კურსანტი);
- ✓ საბანკო მომსახურეობის საინკასაციო სამსახურის თანამშრომელთა სპეციალური მომზადების კურსი (3 ჯგუფი - 21 კურსანტი);
- ✓ საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა სსიპ შსს აკადემიის საცურაო აუზის სარემონტო სამუშაოები.

4.14 სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- ✓ სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო სასწავლებლები;

- დაფინანსდა 11 სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების ხელშეწყობისა და სტუდენტთა/მოსწავლეთა ზრდა-დაოსტატების მიზნით.
- საანგარიშო პერიოდში ე.მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების მე–5 კლასის მოსწავლემ თამარ კვიციანმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ონლაინ ფესტივალში WINTER STORY 2022, (რუმინეთი) და მოიპოვა გრან–პრიდაჟიურის სპეციალური ფულადი პრიზი; საერთაშორისო ონლაინ კონკურსში DE TALENTO VALENCIA ART FEST 2022 მონაწილეობა მიიღო და პირველი პრემია დაიმსახურა მე–5 კლასის მოსწავლემ თამარ კვიციანმა. პარიზში - l'Hôtel Marcel Dassault, მიშელსონის ფონდის, „SOS ტალანტების“ 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში, ფონდის სხვა სტიპენდიატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საფორტეპიანო განყოფილების მე–9 კლასის მოსწავლემ, ანა ჰიტსტელმაშოვამ. კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა სასწავლებლის მოსწავლეთა საჩვენებელი-საიუბილეო კონცერტი „100 წელი თბილისის მე–9 მუსიკალური სკოლიდან – სასწავლებლამდე“. სსიპ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლაში „ნიჭიერთა ათწლედი“ მასტერკლასები ჩაატარეს, არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა და აშშ-ში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, Yamaha-ს არტისტმა და University of Alabama School of Music-ის ასოცირებულმა პროფეორმა - ედიშერ სავიცკიმ და გრემის ნომინანტმა, ლიუცერნის კონსერვატორიის პროფესორმა - კონსტანტინე ლიფშიცმა. ქალაქ ვენაში Bank Austria Salon im Alten Rathaus-ში სოლო კონცერტი გამართა „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლემ, შმაგი სიხარულიშვილმა. კონცერტი განხორციელდა ავსტრიაში მოღვაწე ქართველი პიანისტის, ქეთევან სეფაშვილის ხელშეწყობით, რომლის ინიციატივითაც “Young Georgian Master’s in Vienna” პროექტის ფარგლებში, რეგულარულად მოხდება ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების წარდგენა ევროპელი მსმენლის წინაშე. სსიპ - გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯმა ჩაატარა მოსწავლეთა დახურული და ღია კონცერტები, კონკურსები და სხვა სახის ღონისძიებები. გარდა ამისა, კოლეჯი აქტიურადაა ჩართული სახელოვნებო განათლების

რეფორმის განხორციელების მომზადების პროცესში. სსიპ - ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის პედაგოგმა ჩაატარა ლექცია - სემინარი თემაზე შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ. სსიპ - რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი, ნიჭიერი ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის მიზნით, სასწავლებელი ატარებს კლასიკური მუსიკის ნორჩ შემსრულებელთა კონკურსს რუსთავისა და ქვემო ქართლის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებისათვის. სასწავლებელმა გამართა გასვლითი ღონისძიება შშმ პირთა დღის ცენტრში „კესანე". ორგანიზაციის 15 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლეებმა გამართეს კონცერტიცენტრის აღსაზრდელების ჩართულობით.

- სსიპ - თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელმა, ჩაატარა კონცერტი, რომელიც მიეძღვნა იაპონიისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავს, ასევე საქართველოსა და აშშ-ს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართა ამერიკის როკ-ანსამბლის და სამუსიკო სასწავლებლის ერთობლივი კონცერტი.
- სსიპ - თბილისის სამხატვრო სასწავლებლის 120 მოსწავლისთვის დაიწყო ორკვირიანი სასწავლო კურსი, თბილისის ზოოპარკსა და ძველ თბილისში, სადაც ისინი უფრო ღრმად შეისწავლიან პლენერზე მუშაობას, არქიტექტურული ძეგლების შესწავლასა და ჩანახატების შექმნას.

4.15 თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 32 10)

პროგრამის განმახროციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- საანგარიშო პერიოდში შეფასდა ელექტრონული სწავლების განვითარების მიზნით სატენდერო წინადადებები და წარედგინა ბანკს;
- გაფორმდა კონტრაქტი არქიტექტურული და მშენებლობის ზედამხედველ ფირმასთან;
- აუდიტორულმა ფირმა BDO-მ წარმოადგინა აუდიტორული დასკვნა და მენეჯმენტის წერილი, რომელიც ბანკის მიერ დადებითად შეფასდა;
- მიმდინარეობდა უნარების ჰაბების კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ხუთ სექტორთან (ტურიზმი/ღვინის ტურიზმი/აგროტურიზმი; სტუმართმასპინძლობა და გასტრონომია; აიტი/აისიტი; ავეჯის წარმოება, კრეატიული წარმოება/კრაფტი; ინჟინერია/სამშენებლო/სამშენებლო მასალები) ჩატარდა დარგობრივი უნარების ორგანიზაციების (დუო) ფუნქციების პილოტირება;
- გაფორმდა მემორანდუმი ტურიზმის დუო-ს სტარტაპთან და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებით მიმდინარეობდა მუშაობა დუო-ების დაფინანსების და მართვის მოდელზე;
- დაიწყო მუშობა დარგობრივი რუკების შესაქმნელად სექტორულ საინიციატივო ჯგუფებთან;
- GCCI-სთან და მსხვილ ბიზნეს ფედერაციებთან შედგა კონსულტაციები და განისაზღვრა თანამშრომლობის ფორმატები.

4.16 სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (პროგრამული კოდი 48 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

- მიმდინარეობდა სამუშაოები მეცნიერების ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობის მიმართულებებით, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებების პროგნოზირების და რეკომენდაციების შემუშავებაზე, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისათვის;
- მიმდინარეობდა: უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების სამეცნიერო მუშაობის ექსპერტიზა; ქართული ენის თესაურუსის დოკუმენტირებული ისტორიული ლექსიკონის შექმნა; ქართული წერილობითი წყაროების ლექსიკური ბაზის შექმნა და მისი უზრუნველყოფა სპეციალური პროგრამული სისტემით; მრავალტომეული ენციკლოპედიების „საქართველო“ (მე-5 ტომი) და „ქართული კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ (მე-4 ტომი) გამოცემისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება; ბიბლიის სიმფონია ლექსიკონის შექმნა; უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ 2021 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების ექსპერტიზა;
- გამოიცა: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2021 წლის ანგარიში; „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ 3 ნომერი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს ისტორიის სერიის ერთი ნომერი; 6 სამეცნიერო წიგნი (საერთო ტირაჟით 1200 ეგზემპლარი).

4.17 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
- ✓ სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი

- ჩატარდა სოციალური უნარების, იურიდიული და ფინანსური ტრენინგები, სადაც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 2 615 წარმომადგენელი;
- საანგარიშო პერიოდში პროექტების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა აქტივობები, ჩართული იყო 598 მონაწილე:
  - ✓ ესეების კონკურსი თემაზე „სტამბოლის კონვენცია – საუკეთესო სტანდარტი თუ იდეოლოგია – საქართველოს მაგალითი“;
  - ✓ ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი;
  - ✓ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული შეჯიბრი;
  - ✓ გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი.
- განხორციელდა 3 ღონისძიების ადმინისტრირება (ნარკოვითარების მონიტორინგის ცენტრის შეხვედრა), რომელშიც ჩართული იყო 25 მონაწილე;
- ტესტირების კოორდინაციის სამსახურის სერვისით ისარგებლეს როგორც იუსტიციის სამინისტრომ, ისე მისი მმართველობის სფეროში მოქმედმა უწყებებმა და კერძო თუ საჯარო დაწესებულებებმა, ტესტირება გაიარა 3 789 პირმა;
- ტესტის შექმნის სამსახურმა შეასრულა 53 აქტივობა, რისთვისაც შემუშავდა 840 ტესტური დავალება; შემოწმდა და განახლდა 956 ტესტური დავალება; შეფასდა წერითი დავალების მონაწილება 25 პირისა და ქართული ენის ტესტირების მონაწილე 158 პირის ნაშრომი; ტესტური დავალებების შექმნასა და შემოწმებაზე, ასევე, აპლიკანტთა წერითი ნაშრომების შეფასებაზე იმუშავა შესაბამისი სფეროს 15 ექსპერტმა;
- ყვარელში განხორციელდა 21 პროექტი, რომლებშიც მონაწილეობდა 663 პირი;

- მსჯავრდებულთა დასაქმების მიზნით გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო და დიგიტალიზაციის პროექტები, დასაქმებული იყო 19 მსჯავრდებული; №5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ ყვავილების სათბურსა (200 კვ. მეტრი) და სამკაულების დამზადების მიზნით მოწყობილ სივრცეში დასაქმებული იყო 22 მსჯავრდებული; №16 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ ყვავილების სათბურსა (200 კვ. მეტრი) და სასოფლო-სამეურნეო პროექტის ფარგლებში დასაქმდა 5 მსჯავრდებული; გადამზადების ცენტრის მფლობელობაში არსებულ შენობაში გაიხსნა მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების მაღაზია, სადაც 60 მსჯავრდებულის მიერ დამზადებული ნივთი იქნა წარმოდგენილი; კომპანია „სოკარში“ დასაქმდა 3 მსჯავრდებული; ხის პროდუქციის საწარმოში „კოდალა“ დასაქმდა 1 მსჯავრდებული;
- მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების მიზნით:
    - ✓ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან“ თანამშრომლობით ჩატარდა აგრარული განათლების კურსები, დაესწრო 6 მსჯავრდებული, რომელთაც გადაეცათ სერტიფიკატები;
    - ✓ №2 პენიტენციური დაწესებულების 3 მსჯავრდებულს ჩაუტარდა ვეტერინარიის ტრენინგი;
    - ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით №6 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა 1 უვადო მსჯავრდებულმა გაიარა IT მომზადების ზოგადი კურსი;
    - ✓ №5, №6, №8 და №11 პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარეობდა მოხალისე მასწავლებლების პროექტი, სადაც ქართული, ინგლისური, იტალიური, რუსული და ფრანგული ენების შესწავლის, აგრეთვე, ზოგადი უნარების კურსებში ჩართული იყო 54 მსჯავრდებული;
    - ✓ სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით 75 მსჯავრდებულთან განხორციელდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის შეხვედრები შემდგომი პროფესიული კურსების დაგეგმვის მიზნით, ასევე, №16 პენიტენციური დაწესებულების 10 მსჯავრდებული ჩართული იყო ინგლისური ენის შემსწავლელ კურსში;
    - ✓ ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით №16 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ინგლისური ენის კურსი გაიარა 12 მონაწილემ;
    - ✓ კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსებში ჩართული იყო 8 მსჯავრდებული;
    - ✓ N17 პენიტენციურ დაწესებულებაში 10 მსჯავრდებულს ჩაუტარდა ტრენინგი თემაზე „მეწარმეობა - სოციალური მეწარმეობა“;
- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებს დაემატა 5 330 ერთეული წიგნი, 7 450 ერთეული ჟურნალი და 2 000 ერთეული გაზეთი.

4.18 მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 19 ტრეინინგი მოსამართლეებისთვის (237 მონაწილე), ხოლო სასამართლოს სხვა მოსამსახურეთათვის 9 ტრენინგი (161 მონაწილე);

- მოქმედი მოსამართლეებისთვის და სასამართლოს სხვა მოხელეთათვის განხორციელდა 9 გაერთიანებული ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 60 მოსამართლემ და 89 სასამართლოს მოხელემ;

4.20 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

- სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარდა 32 უნიკალური სასწავლო თუ ტრენინგ კურსი და გადამზადდა 793 მონაწილე.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე და აკადემიის სასწავლო კურსზე შესარჩევ კონკურსზე პროფესიული მიმართულების ტესტირება, ტესტირება ზოგადი უნარებში და ინგლისური ენის ტესტირება/გასაუბრება ჩაუტარდათ კანდიდატებს (სულ 214 კანდიდატი, 4 ტესტირება).
- აჭარის ავ/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპლიკანტებს სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე ჩაუტარდა პროფესიული მიმართულების ტესტირება (სულ 89 კანდიდატი, 5 ტესტირება).
- სახელმწიფო ფინანსების მართვისა და საჯარო სექტორში აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად IPSAS აღრიცხვა/ანგარიშგების საერთაშორისო სტანდატრების საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგვის მიზნით საჯარო დაწესებულებების ფინანსური განყოფილების თანამშრომლებს უტარდებათ სწავლო და ტრენინგკურსები, ამ ეტაპისთვის გადამზადდა - 423 მონაწილე.
- 2020-21 წლებში სკოლებსა და რესურსცენტრებში განხორციუელებული რეფორმის ფარგლებში გამოვლინდა ბუღალტრების ახალი საჭიროებები და შეიქმნა სპეციალიზებული პროგრამები, კერძოდ: „სახელმწიფო შესყიდვები საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საგადასახადო კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინვენტარიზაციის ჩატარების და ქონების ჩამოწერის პროცედურები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“. გადამზადდა - 1 832 მონაწილე.
- კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის განხორციელდა 32 დასახელების სამუშაო შეხვედრა, საჯარო ლექცია სასწავლო თუ ტრენინგ კურსი, და გადამზადდა 1 779 მონაწილე.
- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ტარდება საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ტრენინგკურსი: გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება, როგორც კარგი ბიუჯეტირების პოლიტიკა” ამ ეტაპისთვის გადამზადდა 8 ჯგუფი, 143 მონაწილე. საერთაშორისო მიმართილებით ჩატარდა 4 პროექტი 54 მონაწილისთვის. სტუდენტური პროექტების ფარგლებში გადამზადდა 40 მონაწილე.
- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შემუშავდა ონლაინ კურსი „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება“, რომელიც განთავსდა სპეციალურად ამ პროექტის ფარგლებში შექმნილ ონლაინ პლატფორმაზე.

4.21 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი

- დასრულდა უცხო ენის კურსები: ფრანგული, ესპანური, თურქული და მიმდინარეობდა გერმანული ენის კურსი ონლაინ რეჟიმში. უცხო ენის კურსებში მონაწილეობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს 50-ზე მეტი თანამშრომელი. ასევე, მიმდინარეობდა ქართული ენის კურსი უცხოელი დიპლომატებისა და საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელიც 11-მა მონაწილემ დაასრულა;
- დასრულდა გრძელვადიანი სავალდებულო - „დიპლომატიურ სამსახურში დამწყები პროფესიული საჯარო მოხელეების პროგრამა“, მონაწილეები სასწავლო ვიზიტით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიას ეწვივნენ;
- ჩატარდა საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასერტიფიკატო გამოცდა. გამოცდის მინიმალური ზღვარი 18 მონაწილიდან 9-მ გადალახა, რომლებსაც გადაეცემათ პროგრამის გავლის სერტიფიკატი;
- სკოლა პანსიონი „აიბი მთიების“ და UG სკოლის VIII – XII კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ლექციები თემებზე „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის პრინციპები” (20 მონაწილე);
- მიმდინარეობდა საზაფხულო დიპლომატიური სკოლის სპეციალური კურსი - „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები“, რომლის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობებითა და საქართველოს საგარეო პოლიტიკით დაინტერესებული სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და ანალიტიკური ნაშრომების გაზიარება, მონაწილეობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის 63 სტუდენტი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო პოლიტიკა და დიპლომატიის აკადემიის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ შეხვედრა დიპლომატის პროფესიასთან დაკავშირებით (160 მონაწილე);
- გაიმართა შეხვედრა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ჩატარდა ლექცია თემაზე „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები“.

4.22 ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (პროგრამული კოდი 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო;

- დადებითი დასკვნა გაიცა და დამტკიცდა: სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დროშა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დროშა, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ემბლემა და დროშა;
- დადებითი დასკვნა გაიცა და სამსახურმა გამოსცა ბრძანება სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცების შესახებ;

- დასრულდა მუშაობა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან სამსახურის ემბლემის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით.
- დამტკიცდა ბიუროს მოსამსახურეთა უნიფორმების პროექტები და თანამშრომელთა საშვების პროექტები.
- დასრულდა მუშაობა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციასთან სამსახურის ლოგოს შემუშავების თაობაზე.
- გრძელდება მუშაობა სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთან მოსამსახურეთა უნიფორმების და ატრიბუტიკის შემუშავების საკითხებზე. მთავრობის ადმინისტრაციასთან მათი ინიციატივის - უმაღლესი სამთავრობო დაწესებულების წარმომდგენი სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებისათვის ერთიანი მხატვრულ-შინაარსობრივი სახის შემუშავების შესახებ;
- გრძელდება მუშაობა საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დაზუსტება, დადარება უწყებებთან და რეესტრის შექმნაზე თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად.
- მიმდინარეობს სამუშაო პროცესი შსს-ს იურიდიულ დეპარტამენტთან სამინისტროს უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის (გენერალი) ფორმა-ტანსაცმლის საბოლოო სახის შემუშავების მიზნით.
- დაიწყო ურთიერთთანამშრომლობა საზოგადოებრივ მაუწყებელთან ქვეყანაში სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების პოპულარიზაციისათვის; ამ მიზნით მომზადდება ერთობლივი სატელევიზიო პროდუქცია, კერძოდ: დოკუმენტური ფილმები სახელმწიფო დროშის და სახელმწიფო გერბის შესახებ; სარეკლამო რგოლები სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესების შესახებ და სხვა.
- გრძელდება თანამშრომლობა საქართველოს ეროვნულ ბანკთან ლარის ბანკნოტების, საკოლექციო ფულის ნიშნების თემატიკაზე.

4.23 საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 16)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

- წარმატებით დასრულდა აკადემიაში ევროპის საზღვაო უსაფრთხოების (EMSA) სააგენტოს მონიტორინგი. აღნიშნულის შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიაში არსებული მეზღვაურთა განათლების სისტემა სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან და ქართველ მეზღვაურებს აქვთ უფლება გააგრძელონ საქმიანობა ევროკავშირის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე;
- დასრულდა მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ცენტრს დაემატა საგამოცდო ოთახი და აუდიტორია, კეთილმოეწყო მოსაცდელი სივრცე და ფრონტ-ოფისი, განახლდა ავეჯი, ინვენტარი, შეძენილ იქნა პრაქტიკული სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობისათვის საჭირო ხელსაწყოები და აღჭურვილობა. ტრენინგ ცენტრში მთლიანად შეიცვალა კომპიუტერული ტექნიკა და განახლდა არსებული სიმულატორების პროგრამული უზრუნველყოფა. სრული პროგრამული განახლების შედეგად, მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი ე. წ. Smart Support სისტემაზე გადავიდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოქმედ მეზღვაურთა სიმულატორული წვრთნების და შეფასების ხარისხს;

- მეზღვაურთა მაღალი ხარისხის პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად შესყიდულ იქნა საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი სახანძრო მოწყობილობები და შესაბამისი აღჭურვილობა;
- გაფორმდა ელექტრონული ლიტერატურის შესყიდვის ხელშეკრულება ბრიტანული კომპანია „Witherby Publishing Group"-თან, რაც ცენტრის მსმენელებს მისცემს საზღვაო სფეროში გამოქვეყნებულ თანამედროვე ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე წვდომის შესაძლებლობას;
- წარმატებით განხორციელდა საზღვაო აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო-საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრსა და საწვრთნელ გემზე არსებული საზღვაო აღჭურვილობის შემოწმება და სერტიფიცირება;
- „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის (STCW) რეგულაციებისა და EMSA სტანდარტების შესაბამისად განახლდა საინჟინრო ფაკულტეტის გემის სამანქანე განყოფილებისა და მაღალი ძაბვის სასწავლო ლაბორატორია;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონის და „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის (STCW) რეგულაციების უზრუნველსაყოფად აკადემიაში წარმატებით დასრულდა ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის რესერტიფიცირების აუდიტის პირველი ეტაპი;
- დასრულდა აკადემიის ტერიტორიაზე არსებული დაახლოებით 450 კვ.მ-ზე მრავალფუნქციური ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა აკადემიის ფოთის ფილიალის - ფოთის მეზღვაურთა სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ცენტრში დანერგილი პროფესიული საგანმანათლო პროგრამების სწავლებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეების მოსაწყობად შესყიდულია როგორც კომპიუტერული ტექნიკა, ასევე სხვა მატერიალური ფასეულობები.

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

5.1 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- გამოცხადდა უძრავი ქონების 1287 აუქციონი, შედგა 394 აუქციონი, ჩაიშალა 747 და შეწყდა 20 აუქციონი;
- თბილისში სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 358 ობიექტი, ხოლო რეგიონულ მომსახურების ცენტრებში 1322 ობიექტი;
- საქმიანობის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნაზე და დანერგვაზე;
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესი. განხორციელდა 9 საწარმოს შერწყმა, განხორციელდა ერთი საწარმოს გაკოტრება, პრივატიზებულ იქნა 2 საწარმო და გაკოტრების პროცესი მიმდინარეობდა ერთ საწარმოში;

- განხორციელდა 12 კონტრაჰენტის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოსგან;
- მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული 278 საკითხზე;
- 277 უძრავი ქონება გადაეცა სახელმწიფო უწყებებზე/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ხოლო 410 ობიექტი - მუნიციპალიტეტებს. მუნიციპალიტეტებს მიეცა თანხმობა 126 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;
- სააგენტოს მიერ განხორციელდა 1064 უძრავი ქონების გადაცემა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებისთვის;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ერთი ბენეფიციარისთვის 60 000 ლარის ჯამური ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა;
- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის/დაცვის ღონისძიებები;
- მიმდინარეობდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების დაფინანსება (ანაზღაურებულია 460 ამზომველის მიერ შესრულებული 281 505 აზომვითი ნახაზის მომზადების საფასური, რომლის ღირებულებამ შეადგინა 22 მლნ ლარი);
- მომსახურების მასშტაბების გაფართოების კუთხით საანგარიშო პერიოდში გატარდა არაერთი ღონისძიება, გაიზარდა ვებგვერდით მოსარგებლე მომხმარებელთა რიცხვი, ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა კერძო და სახელმწიფო ქონების განკარგვის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- მიმდინარეობდა ვებგვერდ „eAuction.ge“-ს დახვეწა/მოდერნიზებასთან დაკავშირებული სამუშაოები:
    - ✓ ელექტრონული აუქციონების eauction.ge-ს სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალები, რის შედეგად მომხმარებლებისთვის გამარტივდა მონაცემების ცვლილების პროცედურა და პარტნიორ ორგანიზაციებს შეეზღუდათ წინასწარი გადახდის გარეშე აუქციონების დადასტურების პროცედურა;
    - ✓ ადმინისტრატორის კუთხით გამარტივდა სააგენტოში არასრული დანიშნულებით ჩარიცხული თანხების მართვისა და გააქტიურების პროცედურა;
    - ✓ დაიხვეწა მრავალჯერადი მომსახურების სარგებლობის მსურველი მომხმარებლებისთვის მონიშნული თანხების მართვის რეპორტი;
    - ✓ არარეზიდენტ იურიდიულ პირის რეგისტრაციის გვერდს დაემატა იურიდიული ფორმების ინგლისური ვერსიაც;
    - ✓ გამარტივდა არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების რეგისტრაცია;
    - ✓ სააგენტოში არსებული ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრის ცვლილებასთან დაკავშირებით eauction.ge-ზე ფრონტის ნაწილში განხორციელდა ტელეფონის ნომრის ცვლილებასთან დაკავშირებული სამუშაოები;
    - ✓ გამარტივდა აუქციონის ვებგვერდისა და საწყობის მართვის სისტემის ERP ინტეგრაციის ფარგლებში არსებული ავტომატურად გამოცხადებული/შებრუნებული აუქციონების შეწყვეტის პროცედურები და განხორციელდა ონლაინ კონსულტაციის დახვეწა;
    - ✓ მიმდინარეობდა იტერაციის ბაგეების გასწორება;
- მთის კურორტების განვითარების პროექტის ფარგლებში: მიმდინარეობდა ბაკურიანის 2023 წლის ჩემპიონატისთვის ტბების, ტრასებისა და გათოვლიანების სისტემის მოწყობის სამუშაოები; დასრულდა მესტიაში, ჰაწვალზე, საბაგიროს მშენებლობა; დაიწყო თეთნულდის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და ტბების მშენებლობა ბაკურიანში და სხვა;
- განხორციელდა საკონცერტო დარბაზის „ბლექ სი არენა“-ს შენობის, მიმდებარე ტერიტორიისა და მანქანა-დანადგარების მუშა მდგომარეობის შენარჩუნებისა და სრულყოფილად

ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოები: დაიწყო და მიმდინარეობდა საექსპერტო კვლევები, შენობებისა და მისი შემადგენელი მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ნაწილების მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით; უწყვეტად მიმდინარეობდა გათბობა-გაგრილების სისტემების, ლიფტების და სხვა მანქანა-დანადგარების გეგმიური და გადაუდებელი სარემონტო/მოვლა-პატრონობის სამუშაოები და მათი მონიტორინგი. განხორციელდა ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგების სისტემის (UPS) მნიშვნელოვანი რეაბილიტაცია. შესყიდულ იქნა გახმოვანების თანამედროვე სამართავი სისტემა, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი სირთულის ღონისძიების შეუფერხებელ ორგანიზებას; ,,მუსიკოსთა პარკში“ განხორციელდა მწვანე საფარისა და მცენარეების განახლება და მუდმივად მიმდინარეობდა მისი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის შესაბამისი სამუშაოები; დაიგეგმა და მიმდინარეობდა ,,სოციალური სივრცის“ გაფართოება და მომხმარებლების მოთხოვნებზე მაქსიმალურად მისადაგება და აგრეთვე, ,,სოციალური სივრცის“ ფუნქციონირების ფარგლებში საზაფხულო ღონისძიებებისათვის მზადება;

- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარების პროექტის ფარგლებში, 2022 წლის სახელწმიფო ბიუჯეტის ასიგნებებში გათვალისწინებული 40 მლნ ლარი შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ 2021 წლის 21 იანვრის საქართველოს მთავრობის №64 განკარგულების თანახმად მიმართული იქნა კომპანიის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასასტუმრებლად (სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის).

5.2 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართელოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ✓ სსიპ - აწარმოე საქართველოში

- სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში მიერ ხორციელდებოდა მეწარმეობის განვითარების ღონისძიებების ადმინისტრირება;
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უნივერსალური (ინდუსტრიული) კომპონენტის ფარგლებში დადასტურდა 109 პროექტი (მათ შორის მოხდა 2 სესხის რეფინანსირება) კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებაზე. აღნიშნულ პროექტებზე ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 126 მლნ ლარს, ხოლო კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ღირებულების ჯამური მოცულობა - 79.1 მლნ ლარს;
- სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ ფარგლებში სუბსიდირება გაეწია 6 094 ბენეფიციარს ჯამურად 8.9 მლნ ლარის ოდენობით. სუბსიდირებული იპოთეკური სესხის პროგრამის ფარგლებში დადასტურდა 806 იპოთეკური სესხი (სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 90.3 მლნ ლარს). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაიცა 1 794 ბენეფიციარზე 5.2 მლნ ლარის ოდენობით;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურდა 68 ახალი სესხი და მოხდა პროგრამის ფარგლებში გაცემული 2 სესხის რეფინანსირება. სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 56.8 მლნ ლარს, ხოლო საგარანტიო თანხა - 37 მლნ ლარს. საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი - საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე „სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემის” დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად ჩარიცხული თანხებიდან, საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით გაცემული ტრანშების შესაბამისად განხორციელდა საგარანტიო თანხების განთავსება დეპოზიტებზე 24.1 მლნ ლარის ოდენობით (მათ შორის 2020 წელს

დამტკიცებულ სესხებზე 2 ბენეფიციარისათვის 91.8 ათასი ლარი; 2021 წელს დამტკიცებულ სესხებზე 98 ბენეფიციარისათვის 12.8 მლნ ლარი და 2022 წლის დამტკიცებულ სესხებზე 88 ბენეფიციარისათვის 11.2 მლნ ლარი);

- მიკრო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირდა 14 823 ბიზნეს იდეა. შეფასებების შედეგად, პირველი ეტაპის (ბიზნეს იდეების) გამარჯვებულები გადავიდნენ ტრენინგების ეტაპზე (სულ 4156 აპლიკანტი). საანგარიშო პერიოდში ტრენინგი გაიარა 4 037 აპლიკანტი. განხორციელდა ბიზნეს გეგმების რეგისტრაცია. სულ დარეგისტრირდა 3 653 ბიზნეს გეგმა. დიაწყო რეგისტრირებული ბიზნეს გეგმების შეფასება და გასაუბრება აპლიკანტებთან;
- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უნივერსალური (ინდუსტრიული) ნაწილის ფარგლებში დადასტურდა 109 პროექტი კრედიტის/ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსებაზე, მათ შორის მოხდა 2 სესხის რეფინანსირება. აღნიშნულ პროექტებზე ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 126 მლნ ლარს, ხოლო კომერციული ბანკის/სალიზინგო კომპანიების მიერ დამტკიცებული სესხების/ლიზინგის საგნების ღირებულების ჯამური მოცულობა - 79.1 მლნ ლარს. მათ შორის საპილოტე რეგიონში დადასტურებული პროექტების რაოდენობაა 17 ერთეული და სესხის/ლიზინგის ჯამური მოცულობა შეადგენს 7.3 მლნ ლარს;
- „გადაიღე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 4 პროექტზე გაფორმდა 4.4 მლნ ლარის კვალიფიციური ხარჯის მოცულობის ხელშეკრულებები;
- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით სააგენტომ ხელი შეუწყო: ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო მიზნობრივ გამოფენაზე „Pitti Immagine Bimbo 2022“ (ქ. ფლორენცია) და „Playtime Paris 2022“ (ქ. პარიზი); ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ჩვენებას „Fashion Week”-ის თანმდევ ღონისძიებებზე სხვადასხვა ე.წ. Showroom-ში; საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულებით ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაზე „Gulfood 2022” (ქ. დუბაი) და „Food and Drink Expo 2022” (ბირმინგემი), სადაც ქართული კომპანიები წარმოდგენილი იყვნენ მრავალფეროვანი და დივერსიფიცირებული კატეგორიებით; ტყავისა და ტყავის პროდუქტების მწარმოებელი ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაზე „APLF Dubai 2022“ (ქ. დუბაი); ცხოველისა და ფრინველის საკვები დანამატების მიმართულებით ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო რეგიონალურ გამოფენაზე „Agroexpo Uzbekistan 2022” (ქ. ტაშკენტი); საიუველირო „High-end“ პროდუქტების მიმართულებით ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაზე „Couture Show 2022” (ლას-ვეგასი);
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 9 საერთაშორისო ღონისძიებაში და 3 Roadshow-ში, რომელიც გაიმართა იტალიაში, საფრანგეთსა და თურქეთში. სააგენტოს პროაქტიური მუშაობის შედეგად, განხორციელდა 4 პოტენციური ინვესტორის ვიზიტი საქართველოში, რომლებმაც ადგილზე შეისწავლეს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს უპირატესობები.

5.2.1 მეწარმეობის განვითარების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 24 07 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - აწარმოე საქართველოში

- სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში მიერ ხორციელდებოდა მეწარმეობის განვითარების ღონისძიებების ადმინისტრირება;

5.2.2 მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 07 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ✓ სსიპ - აწარმოე საქართველოში

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უნივერსალური (ინდუსტრიული) კომპონენტის ფარგლებში დადასტურდა 109 პროექტი (მათ შორის მოხდა 2 სესხის რეფინანსირება) კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებაზე. აღნიშნულ პროექტებზე ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 126 მლნ ლარს, ხოლო კომერციული ბანკის მიერ დამტკიცებული სესხის ღირებულების ჯამური მოცულობა - 79.1 მლნ ლარს;
- სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ ფარგლებში სუბსიდირება გაეწია 6 094 ბენეფიციარს ჯამურად 8.9 მლნ ლარის ოდენობით. სუბსიდირებული იპოთეკური სესხის პროგრამის ფარგლებში დადასტურდა 806 იპოთეკური სესხი (სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 90.3 მლნ ლარს). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაიცა 1 794 ბენეფიციარზე 5.2 მლნ ლარის ოდენობით;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურდა 68 ახალი სესხი და მოხდა პროგრამის ფარგლებში გაცემული 2 სესხის რეფინანსირება. სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 56.8 მლნ ლარს, ხოლო საგარანტიო თანხა - 37 მლნ ლარს. საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი - საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე „სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემის” დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად ჩარიცხული თანხებიდან, საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით გაცემული ტრანშების შესაბამისად განხორციელდა საგარანტიო თანხების განთავსება დეპოზიტებზე 24.1 მლნ ლარის ოდენობით (მათ შორის 2020 წელს დამტკიცებულ სესხებზე 2 ბენეფიციარისათვის 91.8 ათასი ლარი; 2021 წელს დამტკიცებულ სესხებზე 98 ბენეფიციარისათვის 12.8 მლნ ლარი და 2022 წლის დამტკიცებულ სესხებზე 88 ბენეფიციარისათვის 11.2 მლნ ლარი);
- სახელმწიფო პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში, 6 ქართული საპროდუსერო კომპანიის წარმომადგენელი შეხვდა მსოფლიო კინო ინდუსტრიის წამყვან კომპანიებს (Universal Pictures, HBO, Warner Bro, Disney, Paramount, Lionsgate და 20th Century Studios) და მათ მონაწილეობა მიიღეს ამერიკელ პროდუსერთა გილდიის შექმნილ პრესტიჟულ ღონისძიებაზე „Produced By Conference“. „USAID Economic Security Program“-ის მხარდაჭერით გაიმართა ღონისძიება, რომელსაც დაესწრნენ საერთაშორისო პროდუსერები და ლოკაციების მენეჯერები. „გადაიღე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სტენდი ოფიციალურად წარდგენილი იყო კანის საერთაშორისო კინო მარკეტზე, სადაც ქართველ კო-პროდუსერებს მიეცათ საშუალება წარედგინათ თავიანთი პროექტები და მოეძიათ შესაბამისი თანადამფინანსებელი კომპანიები. სააგენტომ მხარე დაუჭირა ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალზე „ანესი“ ქართველი ანიმაციის სექტორის წარმომადგენლების წარდგენას. 4 პროექტზე გაფორმდა 4.4 მლნ ლარის კვალიფიციური ხარჯის მოცულობის ხელშეკრულებები;
- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, სააგენტომ მხარი დაუჭირა ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელი 9 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო მიზნობრივ

გამოფენაზე „Pitti Immagine Bimbo 2022“ (ქ. ფლორენცია) და 8 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო მიზნობრივ გამოფენაზე „Playtime Paris 2022“ (ქ. პარიზი);

- სააგენტომ ხელი შეუწყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ჩვენებას „Fashion Week”-ის თანმდევ ღონისძიებებზე სხვადასხვა ე.წ. Showroom-ში (ჯამში წარმოდგენილი იყო 8 კომპანია და ი/მ „გიორგი ქებურია“);
- საკვები და სასმელი პროდუქტების მიმართულებით სააგენტომ ორგანიზება გაუწია 14 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაზე „Gulfood 2022”(ქ. დუბაი) და 7 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაზე „Food and Drink Expo 2022” (ბირმინგემი), სადაც ქართული კომპანიები წარმოდგენილი იყვნენ მრავალფეროვანი და დივერსიფიცირებული კატეგორიებით;
- სააგენტომ მხარი დაუჭირა ტყავისა და ტყავის პროდუქტების მწარმოებელ 4 ქართულ კომპანიას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო გამოფენაზე „APLF Dubai 2022“ (ქ. დუბაი);
- ცხოველისა და ფრინველის საკვები დანამატების მიმართულებით სააგენტომ ორგანიზება გაუწია 5 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო რეგიონალურ გამოფენაზე „Agroexpo Uzbekistan 2022” (ქ. ტაშკენტი), ხოლო საიუველირო „High-end“ პროდუქტების მიმართულებით - 2 ქართული კომპანიის მონაწილეობას საერთაშორისო ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაზე „Couture Show 2022” (ლას-ვეგასი);
- სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ 9 საერთაშორისო ღონისძიებას და მონაწილეობა მიიღეს 3 Roadshow-ში, რომელიც გაიმართა იტალიაში, საფრანგეთსა და თურქეთში. ღონისძიებების ფარგლებში შეხვედრა გაიმართა IT, უძრავი ქონებისა და წარმოების სექტორის წარმომადგენლებთან. სააგენტოს პროაქტიური მუშაობის შედეგად, განხორციელდა 4 პოტენციური ინვესტორის ვიზიტი საქართველოში, რომლებმაც ადგილზე შეისწავლეს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს უპირატესობები;
- საგანმანათლებლო კუთხით სააგენტომ განახორციელა ექსპორტის მენეჯერების სასერტიფიკატო კურსი, რომელსაც დაესწრო ჯამში 50 პირი;
- OCO Global-თან თანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც სააგენტოს ინვესტორებთან პროაქტიურად დაკავშირებაში თანამშრომლობას გულისხმობს, მოხდა 185 სამიზნე კომპანიასთან დაკავშირება და გაიმართა საკონფერენციო ზარი/შეხვედრა 7 პოტენციურ ინვესტორთან;
- ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით, სააგენტოს მხრიდან სამიზნე კომპანიასთან კავშირის დამყარების მიზნით 136 პოტენციურ ინვესტორ კომპანიასთან გაიგზავნა წერილები. პრო-აქტიურად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით შედგა 17 შეხვედრა/საკონფერენციო ზარი სამიზნე კომპანიასთან და 2 შეხვედრა/საკონფერენციო ზარი არსებულ ინვესტორ კომპანიასთან (aftercare ფარგლებში).
- საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის დაფინანსების ფარგლებში სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში ორგანიზებით განხორციელდა 20 სექტორული შეხვედრა სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებთან სააგენტოს მიერ განსახორციელებელი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამების ცნობადობის ამაღლების მიზნით, მათ შორის: სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში, რომელსაც დაემატა საპილოტე რეგიონების კომპონენტი (იმერეთი, გურია, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი), გაიმართა ბიზნესების მიზნობრივ ჯგუფებთან საინფორმაციო სახის შეხვედრები. საპილოტე რეგიონში დადასტურდა 17 პროექტი. დადასტურებულ პროექტებზე საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულმა სესხის/ლიზინგის საერთო ჯამურმა მოცულობამ შეადგენს 7.3 მლნ ლარი;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის ფარგლებში დადასტურდა 68 ახალი სესხი და მოხდა პროგრამის ფარგლებში გაცემული 2 სესხის რეფინანსირება. სესხების ჯამური მოცულობა შეადგენს 56.8 მლნ ლარს, ხოლო საგარანტიო თანხა - 37 მლნ ლარს. საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი - საკრედიტო-საგარანტიო სქემის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად,

სსიპ-ის - აწარმოე საქართველოში საკუთარი შემოსულობების ანგარიშზე „სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად ჩარიცხული თანხებიდან, საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკების მიერ აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით გაცემული ტრანშების შესაბამისად განხორციელდა საგარანტიო თანხების განთავსება დეპოზიტებზე 24.1 მლნ ლარის ოდენობით (მათ შორის 2020 წელს დამტკიცებულ სესხებზე 2 ბენეფიციარისათვის 91.8 ათასი ლარი; 2021 წელს დამტკიცებულ სესხებზე 98 ბენეფიციარისათვის 12.8 მლნ ლარი და 2022 წლის დამტკიცებულ სესხებზე 88 ბენეფიციარისათვის 11.2 მლნ ლარი);

- მიკრო მეწარმეობის ნაწილის კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე იმპლემენტაციის მიზნით მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების დაცვით შეირჩა ორი გამარჯვებული კონტრაქტორი ორგანიზაცია;
- მიკრო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირდა 14 823 ბიზნეს იდეა. შეფასებების შედეგად, პირველი ეტაპის (ბიზნეს იდეების) გამარჯვებულები გადავიდნენ ტრენინგების ეტაპზე (სულ 4 156 აპლიკანტი). საანგარიშო პერიოდში ტრენინგი გაიარა 4 037 აპლიკანტმა. განხორციელდა ბიზნეს გეგმების რეგისტრაცია. სულ დარეგისტრირდა 3 653 ბიზნეს გეგმა. დიაწყო რეგისტრირებული ბიზნეს გეგმების შეფასება და გასაუბრება აპლიკანტებთან.

5.3 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ შემოსავლების სამსახური

- საანგარიშო პერიოდში მოძრავი სერვის ცენტრი RS CAR - 27 ლოკაციაზე მოემსახურა 3643 ვიზიტორს. ვიდეო ზარების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 7892, ამავე პერიოდში სატელეფონო ცენტრის მიერ მიღებული ზარების რაოდენობამ შეადგინა 140387 ზარი, ხოლო სერვის-ცენტრებში ვიზიტორების რაოდენობა - 244030 ვიზიტორი.
- საგადასახადო შემოწმებების (აუდიტის) პროცესების ავტომატიზაციისა და ეფექტურად განხორციელების მიზნით მიმდინარეობს აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის - Audit Case Management System (CMS) გაუმჯობესება და პროცესების სრულყოფა.სისტემის სისტემის ეფექტიანი მართვა-გაუმჯობესების მიზნით სამუსაოები მიმდინარებს 7 მიმართულებით, კერძოდ:შემოწმება - პროცესის მთლიანი ხაზი, საგადასახადო შემოწმების აქტი და კალკულაციის დოკუმენტი; შემოწმების ინსტრუქციები (თემა-აქტივობა-საკითხი); ადმინისტრატორი; ხარისხის კონტროლი, დროის მართვა, რეპორტინგი. შემუშავდა სისტემის ფუნქციონალში არსებული ხარვეზების გასწორების და სისტემის გაუმჯობესების ახალი კონცეფცია, რამაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა მიერ სისტემის გამოყენების დროითი და შრომითი რესურსის მაქსიმალურად ოპტიმალური გამოყენება, გააიოლოს სისტემის ათვისებისა და მასში საქმის წარმოება.
- საანგარიშო პერიოდის მონაცემებით დასრულდა -1.6 ათასი საგადასახადო შემოწმება, ჯამურად დარიცხული თანხამ შეადგინა - 249.3 მლნ ლარი.
- დამტკიცებული მეთოდური მითითების „საგადასახადო შემოწმების დანიშვნის/მასშტაბის შეცვლის/შეწყვეტის კრიტერიუმების შესახებ" საქართველოს საბაჟო კოდექსში" შესაბამისად საანგარიშო პერიოდში 180 გადასახადის გადამხდელთან შეწყდა საგადასახადო შემოწმების მიმდინარეობა;

- 2022 წლის საოპერაციო გეგმის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად დასრულდა 757 საშემოსავლო/მოგების გადასახადის ქეისი. აღნიშნული ქეისებიდან: დაზუსტების შემდეგ რისკი გაქარწყლდა - 401 (თანხობრივი შედეგი 17.6 მლნ ლარი); დაზუსტების გარეშე რისკი გაქარწყლდა - 164; გადაიგზავნა ტრანსფერფრაიზინგში - 28; გადაიგზავნა ინვენტარიზაციაზე - 12; დამოუკიდებლად დაინიშნა საგადასახადო შემოწმება - 3; დაინიშნა საგადასახადო შემოწმება - 149; გადაიგზავნა ინვენტარიზაციაზე-12).
- აუდიტის დეპარტამენტის დღგ-ის დეკლარაციების კონტროლის სამმართველოების მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში შესწავლილია 7777 ქეისი. აქედან: მწვანე ბარათზე აისახა - 5678 (თანხობრივად 753 000 000 -მდე ლარი); დაზუსტდა 1905 დეკლარაცია; დაინიშნა 40 საგადასახადო შემოწმება; შესწავლის პროცესში საგადასახადო შემოწმება დაინიშნა სხვა ინიციატორის მიერ - 44; შემცირდა რისკები - 110 შემოწმებაზე.
- საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კონტროლის და შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები: არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენა (2626); დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელის პროგრამა (შესწავლა) (9885); მონაცემთა ხარისხის კონტროლი (შესწავლა) (22616); დაქირავებულ პირთა რეესტრი (კომუნიკაცია/გადამოწმება) (23368); მარაგების მართვის პროგრამისა და სხვა წყაროებიდან ინიცირებული ღონისძიებების საოპერაციო გეგმა (39107); ეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი (5863); სალაროში არსებული ნაღდი ფულის ინვენტარიზაცია (480);
- შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული სერვისების ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდის მიზნით განხორციელდა შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული სერვისების ბიზნესპროცესების ოპტიმიზაცია, რაც უზრუნველყოფს შიდა პროცესების გამართვას. შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის სერვისების მიღების პროცესს უფრო გაამარტივებს;
- 2022 წელს დაინტერესებულ პირთა ინფორმირების, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მომზადდა/განახლდა და შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა 6 ვიდეო ინსტრუქცია.
- საგადასახადო და საბაჟო მიმართულების სერვისების განვითარების დაგეგმილია აქტივობები, რომელთა მიზანია: საგადასახადო და საბაჟო მიმართულების სერვისების სისტემატიზაცია, სტანდარტიზება და ოპტიმიზება; საჯარო მმართველობის რეფორმასთან შესაბამისობაში მოყვანა; თვითმომსახურების წახალისება.
- საბაჟო სერვისების მიმართულებით მომზადდა და ამოქმედდა ტექნიკური ცვლილებების დოკუმენტები, რომლებიც ეხება 64 მიმართულებას, ჯამურად 39 სერვისზე.
- საგადასახადო სერვისების განვითარების მიმართულებით სამუშაოები მიმდინარეობს 75 სერვისის ხელახალი დაგეგმვასთან (რეინჯინერინგთან) დაკავშირებით:
- ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის პროექტის ფარგლებში 2022 წლის 6 თვეში განხორციელებული აქტივობები:
    - ✓ კონტენტის აუდიტის აქტივობის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ქვეაქტივობები: კონტენტის შერჩევის კრიტერიუმების მომზადება, სიტუაციური სახელმძღვანელოების შინაარსობრივი გადახედვა, კონტენტის კატეგორიზაციის დოკუმენტის შემუშავება, წინასწარი გადაწყვეტილებების კატეგორიზება, დავების გადაწყვეტილებების კატეგორიზება, სასამართლო გადაწყვეტილებების კატეგორიზება, ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები (ESJU)
    - ✓ ბრენდინგი; IA-ინფორმაციული არქიტექტურა და UX/UI დიზაინი;
    - ✓ ბიზნეს პროცესების აღწერის დოკუმენტი და პროცესის რუკები;
    - ✓ დეველოპმენტი;

- კანონმდებლობის სრულყოფისა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით შეიქმნა დღგ-ის ზედმეტობის ავტომატურად დაბრუნების პროგრამა, რომელიც შესულია ძალაში და ფუნქციონირებს. საანგარიშო პერიოდში დაწყებულია დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების (დღგ-ის ავტომატური დაბრუნების) სისტემის მოდულების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების უზრუნველყოფის ღონისძიებები.
- დეკლარირების/გაანგარიშების დროული და სრული წარმოდგენის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია კონცეფცია და შექმნილია სამუშაო ჯგუფები ყოველთვიური მოგების გადასახადის დეკლარაციისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების სისწორის კონტროლის პროგრამების ფარგლებში. მიმდინარეობს საგადასახადო რისკების მოდულის ავტომატური ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციის მონაცემთა საცავში ინტეგრაცია და ქეის მენეჯმენტის ლოგიკების პროგრამული უზრუნველყოფა. პარალელურ რეჟიმში სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობს პროცედურების სატესტო რეჟიმში დანერგვა და პრაქტიკული შედეგების ანალიზი.
- საანგარიშო პერიოდში 30 დღიანი რეაგირების ფარგლებში დაბრუნებულია წარმოდგენილი შემცირებიანი დღგ-ის დეკლარაციების რაოდენობის 96,5%, რაც თანხობრივი ნაწილის 91,24% შეადგენს. დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემის შესახებ ინფორმაცია დათვლილია იმ დაშვებით, რომ შემცირებით წარმოდგენილი, ურისკოდ ჩათვლილი დღგ-ის დეკლარაცია ითვლება დაბრუნებულად შემოსავლების სამსახურის მხრიდან რეაგირების მოხდენის/პასუხის გაცემისთანავე (ვითვალისწინებთ ggპაბ-ზე არსებული ნარჩენს და სხვა გადასახადებში გამოყენებას).
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების (დღგ-ის ავტომატური დაბრუნების) სისტემის უარის თქმის მოდულის ახალი რისკის ინდიკატორების (ლოგიკების) შემუშავება, საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით არსებული კრიტერიუმების ანალიზი და საჭირო ცვლილებების დამატება/დახვეწა, რომელიც ჩამოყალიბდა გაერთიანებულ დოკუმენტში და აქამდე არსებული საფუძვლების შესაბამისი ბრძანებები გაუქმდა. გაერთიანებული დოკუმენტის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე განხორციელდა საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფა. მიმდინარეობს დღგ-ის ავტომატური დაბრუნების რეგისტრაციისა და ვალიდაციის რისკების მოდულების ანალიზი ინდიკატორების დამატების, საჭირო ცვლილებების და ერთიანი დოკუმენტის ჩამოყალიბების მიზნით, რომლის შედეგების საფუძველზეც იგეგმება შესაბამისი ცვლილებების განხორციელება 2022 წლის მე-3 კვარტლის დასრულებამდე.
- 2022-2023 კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის ფარგლებში პრიორიტეტულ რისკ-ჯგუფებში შედის: გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადები, სამშენებლო საქმიანობა, მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელები, ვაჭრობის დარგი. აღნიშნულ პრიორიტეტულ ჯგუფებზე შემუშავებულია შესაბამისი რისკის შემცირების ღონისძიებები. პრიორიტეტულ ჯგუფებზე დაგეგმილია ახალი პროგრამების და პროექტების განხორციელება. საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებების 2022-2023 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფი ღონისძიებები.
- ყოველთვიური მოგების გადასახადის დეკლარაციის სისწორის კონტროლის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს მონაცემთა საცავში ჩაშენებული კრიტერიუმების ანალიზის და ტესტირება პროცესი, პარალელურ რეჟიმში მომდინარეობს მონაცემთა საცავში კრიტერიუმების ჩაშენება. გრძელდება ქეის მენეჯმენტზე მუშაობა, რომელის დასრულებაც იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე. ამასთან, სამუშაო ჯგუფის მიერ მიმდინარეობს პროცედურების სატესტო რეჟიმზე და პროცესის დანერგვაზე მუშაობა, ასევე სატესტო რეჟიმის შედეგების ანალიზი.

- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების სისწორის კონტროლის შესახებ, მიმდინარეობს რისკების მოდულის ჩაშენება მონაცემთა საცავში, გრძელდება ქეის მენეჯმენტზე მუშაობა და პარალელურად სამუშაო ჯგუფის მიერ მიმდინარეობს პროცედურების სატესტო რეჟიმზე და პროცესის დანერგვაზე მუშაობა, ასევე სატესტო რეჟიმის შედეგების ანალიზი.
- დაუბეგრავი საგადასახადო დოკუმენტების მართვის შესახებ პროგრამის ფარგლებშიც მიმდინარეობს დაუბეგრავი დოკუმენტების იდენტიფიცირება და მათი შესწავლა. პარალელურად მიმდინარეობს პროცესის დახვეწაზე მუშაობა. ასევე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების (მარაგების) კონტროლის შესახებ პროგრამის ფარგლებშიც მიმდინარეობს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მონიტორინგი/დათვლა რეალურ დროში და რისკიანი გადამხდელების შესწავლა. პარალელურად მიმდინარეობს პროცესის დახვეწაზე მუშაობა. არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროდუქტების შექმნის პროგრამის ფარგლებში გრძელდება მონაცემთა საცავის შევსების პროცესი. მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემაში რისკის მოდულების და კრიტერიუმების ინტეგრაცია, ასევე რეპორტინგ და ვიზუალური გარემოს დანერგვა, მონაცემთა საცავის სტაბილურობის მონიტორინგი, კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა, მონაცემთა ბაზებში არსებულ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება. ბიზნეს პროცესის მფლობელების ჩართულობა მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემაში მოდულების შექმნის პროცესში.
- მონაცემთა ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს არსებული პროგრამული მოდულების/რეესტრების დახვეწა და ახალი პროგრამული პროდუქტების შექმნა. დასრულებულია მუშაობა ტაბის ანდროიდ აპლიკაციის ფორმირებისათვის, რომელიც იძლევა საშუალებას თანამშრომელმა საინფორმაციო ბარათის ხარისხის კონტროლი განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილზე ვიზიტით, გადაიღოს ობიექტების სურათები და საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს აღმოფხვრის აქტი/გაფრთხილება/სამართალდარღვევის ოქმი. ასევე დავალების მართვის პროგრამაში დამატებულია უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ კონკრეტული დავალების ატვირთვისა და მასზე ადგილზე გასვლის პრიორიტეტულობის განსაზღვრის შესაძლებლობა. დავალების მართვის პროგრამულ მოდულში დაემატა დავალების ავტომატური განაწილების ახალი წყარო, რომლის მიხედვითაც არარეგისტრირებული პირების გამოვლენის პროექტიდან იდენტიფიცირებული გადამხდელები, რომლებიც არიან უკვე დარეგისტრირებულნი, მათზე ხორციელდება მონაცემთა ხარისხის კონტროლის განხორციელება (აქტივობის სტატუსის, მართვის ადგილის, ძირითადი საქმიანობის, დამატებითი საქმიანობის, ობიექტების განსაზღვრა). ტელეფონის ნომრების სისტემატიზაციისა და ხარისხის კონტროლის მიზნით, შექმნილია ტელეფონის ნომრების რეესტრი, სადაც მოცემულია ჩვენს ხელთ არსებული ყველა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც დალაგებულია გარკვეული პრიორიტეტების გათვალისწინებით. მონაცემთა ხარისხის კონტროლის პროცესი წარმოადგენს პერმანენტულ პროცესს.
- გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მცდელობების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებების მქონე არარეგისტრირებულ გადამხდელთა გამოვლენის მიზნით განსაზღვრულია პროექტის ეტაპები და დაწყებულია თანმიმდევრული შესრულება, შემუშავებულია რეაგირების სტრატეგია და დამტკიცებულია შესაბამისი პროცედურული სახელმძღვანელო, განხორციელებულია საკანონმდებლო ცვლილება, გავლილია იდენტიფიცირების და პრიორიტეტიზაციის ეტაპები, შერჩეულია სამიზნე საქმიანობები, დაწყებულია რეაგირებისათვის საჭირო პროცედურები. ამასთან, ხორციელდება პროცესის მონიტორინგი. შემუშავებულია და რეალურ რეჟიმში გაშვებულია დავალებების მართვის პროგრამული მოდული და მიმდინარეობს მისი სრულყოფა/ტესტირება.
- მონაცემთა საცავის სტაბილურობის მისაღწევად მონაცემებზე ე.წ. production გარემოზე მიმდინარეობს მონიტორინგი და ტესტირება.

- მიმდინარეობს მუშაობა eTIR კომპიუტერიზაციის პროექტზე. პროექტის მიზანია TIR გადაზიდვებთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით დამატებითი ინტერნეტ ინსტრუმენტების დანერგვის ხელშეწყობა. გაეროს მიერ თებერვლის თვეში დამტკიცდა eTIR პლატფორმის ახალი ვერსია, რაც დაეგზავნა ყველა მონაწილე მხარის IT ადმინისტრაციას და მოიცავს მხარეებსა და გაეროს შორის გასაცვლელ ინფორმაციასა და ველებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს განახლებული მონაცემების დამუშავება. ამასთან, ა/წლის თებერვალში შედგა რიგით მეორე შეხვედრა სამმხრივ ფორმატში საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის საბაჟო და IT ადმინისტრაციებს შორის eTIR პლატფორმის დანერგვასთან დაკავშირებით, ყველა ადმინისტრაცია მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს განახლებულ სპეციფიკაციებზე მუშაობას.
- აშშ-ს EXBS-ის პროგრამის ხელშეწყობით დაიწყო საბაჟო მონაცემთა საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაციის. პროექტი გულისხმობს თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული, მოქნილი, უსაფრთხო სისტემის დანერგვას, რომელშიც შედარებით მარტივად იქნება შესაძლებელი ახალი მოდულების, სერვისების ინტეგრირება და რომელიც ფუნქციურად შეძლებს საბაჟო გამშვებ პუნქტებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებსა თუ ცენტრალურ აპარატში მიმდინარე პროცესებისა და დოკუმენტების შეძლებისდაგვარად ერთ სივრცეში თავმოყრას. სისტემატურად მიმდინარეობდა შეხვედრები სისტემის განმახორციელებელ ამერიკულ მხარის - NU border-ის წარმომადგენლობასთან. წარდგენილია სამუშაო ჯგუფის ხედვა ახალი სისტემის შესაძლებლობებთან დაკავშირებით და მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია და დოკუმენტაცია ახალ სისტემაში შესავსებ რამდენიმე ფორმასთან დაკავშირებით (დეკლარაციები, აღრიცხვის მოწმობა სახმელეთო ნაწილში), საკვანძო ბიზნეს პროცესების აღწერასთან ერთად.
- ორმაგი და სამხედრო დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის კონტროლის ელექტრონული სისტემის „STRATLINK" დანერგვის პროცესში მიმდინარეობს სისტემის რეალურ რეჟიმში გაშვების მიზნით სატესტო სამუშაოები. კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, ესტონური კომპანია „Spin Tek”-ის დახმარებით ახორციელებს სისტემაში ელექტრონული ხელმოწერის დამატებას. გადამზადდა გაფორმების ეკონომიკურ ზონებში ნებართვების გამცემი უფლებამოსილი თანამშრომლები. სექტემბრის თვიდან იგეგმება ექსპორტის კონტროლის ელექტრონული სისტემის „STRATLINK" რეალურ რეჟიმში გაშვება.
- ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“ ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის დამატების მიზნით შემუშავდა ტექნიკური დავალების დოკუმენტი, სადაც დეტალურად გაიწერა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შესავსები ველები, სერვისით წამოსაღები ინფორმაცია და პროცესების თანმიმდევრობა.
- შემუშავდა წარმოშობის სერტიფიკატის (CT-1) გაცემის ახალი პროგრამული მოდული და მ/წ 23 თემერვალს გაეშვა რეალურ რეჟიმში. ამავდროულად, მიმდინარეობს ახალის სისტემის გაშვების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, მისი დახვეწის მიზნით. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა წარმოშობის სერტიფიკატის (CT-1) გაცემის პროგრამულ მოდულში რისკის კრიტერიუმების დამატებაზე. წარმოშობის სერტიფიკატის (CT-1) გაცემის პროგრამულ მოდულს დაემატა რისკის კრიტერიუმები და პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება/ანალიზი კრიტერიუმების პერიოდულად განახლებისა ან/და საჭიროებისას ახალი რისკის კრიტერიუმების დამატების მიზნით. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფილად მიღების მიზნით მონაცემთა რეესტრზე.
- ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის ახალი ფორმის სისტემურად აწყობის მიზნით სისტემატურად მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები.
- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „ყაზბეგი“, „ნინოწმინდა“ - საიზოლაციო სივრცეების მოწყობის მიზნით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მიმდინარეობს მოლაპარაკება. სგპ „ქუთაისის აეროპორტში“ მიმდინარეობს საიზოლაციო სივრცის სარემონტო სამუშაოები.

- ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბაჟო სფეროში არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ,,ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ კონვენციისა (CTC) და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) იმპლემენტაციის ფარგლებში განხორციელდა ონლაინ სამუშაო შეხვედრები გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNCTAD)-ის წარმომადგენლებთან ეროვნული ტრანზიტის აპლიკაციისთვის ფუნქციური და ტექნიკური მახასიათებლების დაზუსტების მიზნით. მიმდინარეობს სამუშაოები ეროვნული ტრანზიტის აპლიკაციის შექმნის მიმართულებით.
- ევროკავშირის DG TAXUD-ის მოთხოვნით შემუშავდა საკანონმდებლო შესაბამისობის დოკუმენტი.
- გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UNCTAD)-ის მიერ დაწყებულია მუშაობა NCTS აპლიკაციის შეტყობინებების გაცვლის კომპონენტზე.
- მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნით („საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლება“) გათვალისწინებული დებულებების ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრულყოფილად შესაბამისობაში მოყვანისა და დახვეწისათვის, ასევე წიგნით გათვალისწინებული დებულებების ამოქმედებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს საქართველოს საბაჟო კოდექსში და საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტების შემუშავება.
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ერთ-ერთი ვალდებულების, დღგ-ის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, პრაქტიკული იმპლემენტაციის მიზნით, 2022 წელს საქართველო ჩაერთო TAIEX (ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის)-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ექსპერტთა ხუთ დღიანი მისია, საქონლის იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხის შესახებ დებულებების პრაქტიკულ იმპლემენტაციაში დახმარების გაწევის მიზნით.
- მიმდინარეობს საქონლის იმპორტის დასაბეგრი თანხის განსაზღვრის შესახებ შემუშავებული მეთოდური მითითების პროექტის სრულყოფა. მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები ხელმძღვანელობასთან, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.
- საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და სურათის უვნებლობის სისტემის შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრა ჩაატარეს ევროკავშირის ექსპერტებმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა ვეტერინარულ სასაზღვრო კონტროლთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობის და პროცედურების ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პროცედურებთან შესაბამისობა.
- საბაჟო გამშვები პუნქტების, გაფორმების ეკონომიკური ზონების და მომსახურების სერვისცენტრების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, საანგარიშო პერიოდში დასრულდა/მიმდინარეობს კაპიტალური და მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: საბაჟო გამშვები პუნქტის „ნინოწმინდა”; საბაჟო გამშვები პუნქტის „ლაგოდეხი”; საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“; საბაჟო გამშვები პუნქტი ,,სარფი“; საბაჟო გამშვები პუნქტი „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი“; საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“; გაფორმების ეკონომოკურ ზონა „ბათუმი“; გაფორმების ეკონომოკურ ზონა „თბილისი 1“; გაფორმების ეკონომოკურ ზონა „თბილისი 2“; ბათუმის სერვისცენტრი.

5.4 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

- 2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2022-2025 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.
- მომზადდა და დამტკიცდა „2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება. დადგენილებით შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. აღნიშნული დადგენილება ხელმისაწვდომია, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდის, ასევე სსიპ საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.
- კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. სახელმწიფო ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიში რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს, როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.
- მომზადდა, როგორც სახელმწიფო, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2022 წლის საბიუჯეტო კალენდარი, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდის მეშვეობით.
- სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) და საჯარო ფინანსების მართვის გენდერულ ჭრილში შეფასების (GRPFM) 2019-2021 წლების თვითშეფასების ანგარიშების დოკუმენტების მომზადების და აღნიშნული პროცესის კოორდინაციის მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში .
- კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.
- კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტი რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.
- მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის (E-PIM) შექმნის მიმართულებით.
- საინვესტიციო პროექტების მართვის (PIM) რეფორმის დანერგვის გაუმჯობესების მიმართულებით, ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტების ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო პროექტების შეფასების და შესაბამისი ღონისძიებების შესასრულებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფთან. ამ რეფორმის ფარგლებში ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა საინვესტიციო პროექტების მართვის (PIM) ტრენინგების ციკლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, როგორც სამინისტროების, ასევე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა. ამ მიმართულებით გადამზადდა დაახლოებით 45 თანამშრომელი სხვადასხვა უწყებიდან.

- მომზადდა სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2019-2021 წლების თვითშეფასების დოკუმენტი, რომელიც ვალიდაციის მიზნით გაეგზავნა მსოფლიო ბანკს.
- გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტის გამჭვირვალობის 2021 კვლევის (Open Budget Survey 2021) შედეგების მიხედვით საქართველომ მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა.
- შემუშავდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში.
- შემუშავდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ 2021 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში, რომელიც მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.
- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მეორე ეტაპის (მენეჯერული კონტროლი) დანერგვის ინსტრუქცია.
- დასრულდა მუშაობა ჰარმონიზაციის ცენტრის ვებ.გვერდის დიზაინზე, მიმდინარე ეტაპზე, ხდება შინაარსის (ქონთენთი) შევსება.
- სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტისა (ჰარმონიზაციის ცენტრი) და შვედეთის ფინანსური მართვის ეროვნული უწყების (ESV) თანამშრომლობის ფარგლებში: განხორციელდა 3 გასვლითი სამუშაო შეხვედრა საპილოტე სამინისტროების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) საფინანსო/ეკონომიკური დეპარტამენტების წარმომადგენლების ჩართულობით; გაგრძელდა მუშაობა რისკების რეესტრების შემუშავების პროცესში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტების მხარდაჭერის კუთხით; 4 საპილოტე სამინისტროში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები მიზნებისა და ინდიკატორების თაობაზე. შეხვედრების ფარგლებში ექსპერტების მხრიდან მოხდა კარგი პრაქტიკის გაზიარება და ცალკეული რეკომენდაციების გაცემა საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში არსებული მიზნებისა და ინდიკატორების გასაუმჯობესებლად; დასრულდა მუშაობა საჯარო სექტორში რისკების მართვის სახელმძღვანელოსა და საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმებების შემუშავების ინსტრუქციაზე; 4 საპილოტე სამინისტროს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) საფინანსო/ეკონომიკური დეპარტამენტების ხელმძღვანელებისა და ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით განხორციელდა სასწავლო ვიზიტი შვედეთში, რომლის ფარგლებშიც მოხდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის, კერძოდ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შვედური მოდელისა და გამოცდილების გაზიარება; დაიწყო მუშაობა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში ანგარიშგების სისტემების ანალიზისა და ოპტიმიზაციის მიმართულებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შედგა შეხვედრები სახაზინო სამსახურისა და სამინისტროების საფინანსო/ეკონომიკური დეპარტამენტების წარმომადგენლებთან.
- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის - დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI) მხარდაჭერით შემუშავდა და დაიბეჭდა

ეფექტიანობის აუდიტისა და ეთიკის კოდექსის და შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების განმარტების სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისთვის.

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და 39 მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში შედგა შეხვედრები მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტორებთან 2022 წელს განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამასთან, განხორციელდა საჭიროებების კვლევა მუნიციპალიტეტების დონეზე შიდა აუდიტის მიმართულებით, რომლის გათვალისწინებითაც მოხდება ცალკეული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
- დაიწყო ქვეყნის მასშტაბით წინა წლებში განხორციელებული შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პირველი ეტაპი.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა 2 დღიანი რეგიონალური შეხვედრა ბათუმში. შეხვედრის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობით, მოხდა შიდა აუდიტის ხარისხის გარე შეფასებების შედეგების, ეფექტიანობის აუდიტის მიდგომების, მუნიციპალიტეტების საჭიროებებისა და გამოწვევების განხილვა.
- შიდა აუდიტის სუბიექტების ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ქ.წყალტუბოში ჩატარდა იმერეთის შიდა აუდიტორთა რეგიონალური ფორუმი. ფორუმის ფარგლებში განხორციელდა ქ. წყალტუბოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული ეფექტიანობის აუდიტის პილოტური პროექტის შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის. ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ წარდგენილ იქნა შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობები. ამასთან, შეხვედრები შედგა მერიის მაღალ მენეჯმენტთან და სამსახურების ხელმძღვანელებთან შიდა აუდიტის როლსა და საკონსულტაციო მანდატზე, ასევე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაღალი სტანდარტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერითა და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით დასრულდა ეფექტიანობის აუდიტის პილოტური პროექტები ქ. რუსთავისა და ქ. წყალტუბოს მერიებში, შედეგების გაცნობით მიზნით შედგა შეხვედრები ორივე მუნიციპალიტეტის მერთან.
- ორ მერიაში (საჩხერე, გურჯაანი) ეფექტიანობის აუდიტის პილოტური პროექტის განსახორციელებლად დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და საერთშორისო ექსპერტებთან აქტიური კომუნიკაციით.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობების გასაზრდელად, სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტორებმა მონაწილეობა მიიღეს სლოვენიის საერთაშორისო ფინანსური საექსპერტო ცენტრის (Center of Excellence in Finance - CEF) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ვებინარში. ასევე, დაიწყო აქტიური საორგანიზაციო სამუშაოები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტთან კოორდინაციით ,,NATO BI Internal Audit training-ის“ ფარგლებში, სადაც პრაქტიკულ ტრენინგზე გადამზდება 30-მდე შიდა აუდიტორი ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის მიმართულებით.
- ჰარმონიზაციის ცენტრისა და სლოვენიის საერთაშორისო ფინანსური საექსპერტო ცენტრის (Center of Excellence in Finance - CEF) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ვებინარი, რომელზეც განხილული იქნა შიდა აუდიტის მარწმუნებელი და საკონსულტაციო როლი დაწესებულებაში არსებულ რისკის მართვის სისტემებთან მიმართებაში. ვებინარში

ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 25-მდე შიდა აუდიტორმა სხვადასხვა უწყებიდან.

- ჰარმონიზაციის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით წარდგა PEMPAL IACOP-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში ,,ჰარმონიზაციის ცენტრის გამოწვევები". შეხვედრას ასევე ესწრებოდა 20-ზე მეტი შიდა აუდიტორი საქართველოს სხვადასხვა საჯარო უწყებიდან.
- მიმდინარეობდა ინტენსიური კომუნიკაცია დონორ და მხარდამჭერ ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც შეთანხმდა სხვადასხვა პილოტური აუდიტორული შემოწმებების განხორციელება 2022 წლის განმავლობაში.
- საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მოლაპარაკებები დონორებთან/განვითარების პარტნიორებთან განსაზღვრული პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების მიზნით შეღავათიანი ფინანსური რესურსის მისაღებად. თითოეული სესხის ფინანსური პარამეტრების შერჩევა ხდება ისე, რომ მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის ხელსაყრელი მაჩვენებლები. 2022 წლის 6 თვის განმავლობაში გაფორმდა 20 შეთანხმება/ხელშეკრულება, მათ შორის: 6 სასესხო შეთანხმება, 1 საგრანტო შეთანხმებას, 7 სასესხოს/საგრანტოს ცვლილებას, 1 ქვესასესხოს და 5 სხვა შეთანხმებას.
- 2022 წლის მარტში საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გაფორმდა სასესხო შეთანხმება ,,საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა", რომლის დასაფინანსებლადაც საქართველოს გამოეყო 358.5 მლნ ევრო ფინანსური რესურსის სახით. აღნიშნული პროგრამისთვის მსოფლიო ბანკი საქართველოში პირველად იყენებს დაფინანსების „შედეგზე ორიენტირებული პროგრამის" ე.წ. PforR (Program for Results) ინსტრუმენტს, რაც გულისხმობს რომ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაცია და მონიტორინგი მთლიანად დაეყრდნობა საჯარო მმართველობაში არსებულ ინსიტუტებსა და სისტემებს.
- 2022 წლის ექვსი თვის განმავლობაში ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, დარეგისტრირდა სამინისტროებისა და უწყებების მიერ მისაღები 139 ფულადი გრანტი/მიზნობრივი დაფინანსება.
- 2022 წელსაც გაგრძელდება ბენჩმარკ ობლიგაციების და ფასიანი ქაღალდების არასტანდარტული ვადიანობების გამოშვება; რაც უზრუნველყოფს ერთის მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი ინსტრუმენტის გაჩენას, ასევე ბენჩმარკ ობლიგაციების დაფარვის გადანაწილებას თვეებს შორის ისე, რომ არ წარმოიშვას მომსახურების გრაფიკში პიკები.
- 2020-2021 წლებში წარმატებით დანერგილი პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა გრძელდება 2022 წლის განმავლობაში. პირველად დილერებს აქვთ შუამავლის როლი ფასიანი ქაღალდების ემიტენტს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) და ინვესტორებს შორის. ასევე, ახდენენ ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციას და მეორადი ბაზრის ლიკვიდურობის ზრდას ფასების რეგულარული განახლებით, შესაბამისი სავაჭრო და საანგარიშსწორებო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით. განაცხადების მიღება ხდება აღნიშნული საპილოტე პროგრამის ფარგლებში ისევ 5 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციების აუქციონებზე.
- მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ჩართულობით მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის ცვლილებაზე.
- 2022 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესაბამისი სამუშაოები ჩატარდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისი გეგმებისა და ანგარიშების მომზადებას, კერძოდ: საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადებასა და ასოცირების შეთანხმების ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში ასახვას; მომზადდა და ასოცირების შეთანხმების ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში აისახა ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი; საქართველოს ნატოში ინტეგრაციის

ფარგლებში 2022 წლის წლიური ეროვნული პროგრამის პროექტი. ამ პერიოდშივე დაიწყო მუშაობა ევროკავშირში ინტეგრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის ანგარიშის მომზადებასა და ასოცირების შეთანხმების ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში ასახვაზე. ამასთანავე, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით, აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირში გაწევრიანების სპეციალური თვითშეფასების კითხვარის ორივე ნაწილში დასმულ კითხვებზე პასუხების მომზადების პროცესის კოორდინაციაში.

- მოხდა მაკროეკონომიკური პროგნოზების გადახედვა და განახლება;
- ყოველთვიურად მზადდება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა ანალიტიკური და ინფორმაციული მასალა ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ; ყოველთვიურ პუბლიკაციებთან ერთად გამოქვეყნდა კვარტალური მიმოხილვაც. პერიოდულად მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესეთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებებზე, ინვესტორებზე და ა.შ.;
- მიმდინარეობდა ყოველთვიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის შეფასება და ფაქტობრივიდან გადახრის მიზეზების ანალიზი, პროგნოზის დახვეწის მიზნით.
- გაიზარდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არეალი; სისტემატურად მიმდინარეობდა საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვების ყოველთვიური კალენდარული კორექტირებული მონაცემების ანალიზი, დღგ-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით. აღნიშნული მონაცემები გამოიყენებოდა მაკროეკონომიკური ანალიზისათვის;
- დასრულდა მუშაობა საგადასახადო დანახარჯების ანალიზთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან. რის ფარგლებშიც მოხდა ექსპერტების მიერ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება საგადასახადო დანახარჯების ანალიზისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შესახებ;
- შემუშავებულია სხვადასხვა შოკების განვითარების სცენარი და მისი შესაძლო შედეგების ანალიზი DSGE მოდელის გამოყენებით. აღნიშნული ანალიზი თავდაპირველად ეხებოდა რუსეთ-უკრაინას შორის შესაძლო კონფლიქტს, ხოლო ომის დაწყების შემდეგ კი - მის შესაძლო გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე;
- 2022 წლის მეორე კვარტალში დაიხვეწა სხვადასხვა სამუშაო ფაილი, სადაც ხორციელდება ანალიტიკური მაჩვენებლების მიღება, დამუშავება და გრაფიკული ანალიზი. გრძელდება დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. გაუმჯობესებულია მეთოდოლოგია ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის. გრძელდება საბაჟოს ოპერატიული მონაცემების ანალიზის პროცესი საგარეო ვაჭრობის ტრენდების შესაფასებლად. ამასთან, ხდება ფულადი გზავნილებისა და ტურიზმის შესახებ ყოველთვიური ანალიზი და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა;
- განახლდა მაკროეკონომიკური პროგნოზები ძირითად ცვლადებზე, რაც რეგიონში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე შეცვლილი მოსალოდნელი სცენარებიდან გამომდინარეობს;
- შემუშავებულია მაკროეკონომიკური განვითარების საბაზისო, ნეგატიური და პოზიტიური სცენარები;
- გრძელდება სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის აღრიცხვის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება. აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. ასევე, მიმდინარე პერიოდში სამინისტროს ვებ-გვერდზე დაიწყო GFSM 2014 მეთოდოლოგიით განახლებული მონაცემების გამოქვეყნება;
- შედგენილია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მონაცემთა ბაზა, შესაბამისი ცხრილებითა და დიაგრამებით. პერიოდულად მიმდინარეობდა მისი განახლება და გამოქვეყნება;
- გრძელდება საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების: "FITCH:, "S&P" და "MOODY'S" მისიებთან დისტანციური კომუმიკაცია, მათი საქმიანობის მხარდაჭერა და მათთვის ინფორმაციის

მოგროვების კოორდინაცია. პირველ კვარტალში სამივე სარეიტინგო კომპანიასთან განხორციელდა დისტანციური შეხვედრები, საჭირო ინფორმაციის მიმოცვლა და საქართველოს სუვერენული რეიტინგის განახლება.

- საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით შეფასდა საგადასახადო დანახარჯები, განახლდა ინფორმაცია უახლეს მონაცემებზე და მომზადდა საგადასახადო დანახარჯების დოკუმენტის დრაფტ ვერსია.
- მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება კლიმატური ცვლილებებიდან მომდინარე ფისკალური რისკების ხარისხობრივი შეფასებიდან რაოდენობრივ შეფასებაზე გადასვლა. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ჩართული მხარეების სამუშაო შეხვედრები/ტრეინინგები;
- საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩართულობით მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის 2023-2025 წწ სტრატეგიაზე.
- მიმდინარეობდა მუშაობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ქონების გადასახადის გადამუშავების მიზნით.
- საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით შემუშავდა საკანონმდებლო ინიციატივები.
- კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო დანახარჯების ანგარიშის მოსამზადებლად.
- ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის პროექტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულია საჯარო გადაწყვეტილების პროექტები.
- შეიქმნა საჯარო გადაწყვეტილების პროექტების განმხილველი სამუშაო ჯგუფი და მიმდინარეობს მუშაობა საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემის მიზნით. გრძელდება მუშაობა საჯარო გადაწყვეტილების პროექტების შემუშავებაზე დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.
- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის (საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი) ახალ რედაქციაზე.
- მომზადდა დასკვნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257, №996, №994 ბრძანებების და საგადასახადო კანონმდებლობაში შემავალ სხვა ქვენორმატიული აქტების პროექტებზე.
- კომპეტენციის ფარგლებში შემუშავებულ იქნა დასკვნები სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე;
- მუშაობა მიმდინარეობდა „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების I ოქმის შესწორების შესახებ (მოხსენებული მე-9 მუხლში) ორმხრივ სასოფლო-სამეურნეო შეღავათებთან დაკავშირებით“ .
- მიმდინარეობდა მუშაობა აქციზური საქონლის არამწარმოებელი პირის მიერ შეძენილი აქციზური საქონლის ექსპორტზე გატანისას აქციზის ჩათვლის უფლების მინიჭების მოდელის დანერგვაზე.
- მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მისაღებად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გადასაგზავნად მზადდება ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებების დამუშავებული ტექსტები შემდეგ ქვეყნებთან: მონტენეგრო, ალბანეთი, ტაჯიკეთი.
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მიერ გამართული საქართველოს რიგით მესამე ვაჭრობის პოლიტიკის განხილვისადმი მიძღვნილი ღონისძიებიების ფარგლებში მომზადდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ გამოგზავნილ კითხვარზე პასუხი.
- განხორციელდა შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული

საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვის და ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდთან დაკავშირებით.

- შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდა საფინანსო ინფორმაციის ავტომატურ გაცვლასთან (CRS) დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით.
- OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით შემდეგ ქვეყნებთან მომზადდა და გამოიცა სინთეზირებული ტექსტები: სლოვაკეთი, ხორვატია, საფრანგეთი, რუმინეთი, ესტონეთი, ბელგია, ესპანეთი, ისრაელი, კვიპროსი, კორეა, ლატვია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია პორტუგალია, სან მარინო, საბერძნეთი, უნგრეთი, შვედეთი, ჩეხეთი.
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (OECD) გადაეგზავნა „ვირტუალური ზონის პირი“, „საერთაშორისო კომპანიის“ და BEPS-ის მე-5 ღონისძიების იმპლემენტაციის ფარგლებში შესავსები ყოველწლიური ანგარიშები და შევსებული კითხვარები.
- ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდებოდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება.
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე, სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობისა და საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით, მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც სხვა ცვლილებებთან ერთად, ითვალისწინებს შესაბამისი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივების, აღებული ვალდებულებების, მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების აღრიცხვა- ანგარიშგებაში ასახვის მოთხოვნას. აღნიშნული მეთოდოლოგიის ამოქმედება განსაზღვრულია მიმდინარე წელს. გარდა ამისა, საჯარო სექტორში ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, რაც გულისხმობდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას. სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, განთავსდა სახელმწიფო ხაზინის ვებ-გვერდზე www.treasury.ge. გარდა ამისა, ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და მუნიციპალიტეტებმა სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე მოამზადეს და ხაზინაში წარმოადგინეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები 2021 წლისათვის.
- მუდმივად ხორციელდებოდა ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგებების წარმოების დახვეწა და სრულყოფა. დღეისათვის სახელმწიფო ხაზინა აწარმოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სსიპ-ების და ა(ა)იპების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვას, ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სახელმწიფო ხაზინის სხვა სალარე და სავალუტო ანგარიშების მართვას, ოპერირებას და აღრიცხვას, ზედმეტად

ან შეცდომითგადახდილი თანხების დაბრუნებას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვას, მართვას და ანგარიშგებას და სხვა. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მუდმივად ხდებოდა აღრიცხვისა და ანგარიშსწორების პროცესის საოპერაციო ციკლის სრულყოფა და ოპერატიულობის გაუმჯობესება, ანგარიშგებების ფორმების დახვეწა და ახალი, უფრო ინფორმატიული ანალიტიკური ფორმების შემუშავება

5.5 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

- მომზადდა: „საქართველოს ეროვნული განვითარების სტრატეგია - 2030“-ის ფარგლებში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულების ლოგიკური ჩარჩოს, საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების, ამოცანების, სიტუაციური ანალიზის ნაწილები; მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2021 წლის წლიური ანგარიში და კონსოლიდირებული სტატუს ანგარიში;
- ჩატარდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მაღალი დონის მმართველი საბჭოს სხდომა;
- საქართველო-ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებული ეკონომიკური და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის საბიუჯეტო დახმარების „Economic and Business Development in Georgia” პროგრამის ფარგლებში, მომზადდა მატრიცით განსაზღვრული ინდიკატორების შესრულების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც წარედგინა ევროკავშირის დელეგაციას. აგრეთვე მომზადდა და ევროკავშირის დელეგაციას გაეგზავნა წერილი საბიუჯეტო დახმარების მე-4 ტრანშის გადმორიცხვის მოთხოვნის თაობაზე;
- მომზადდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე „ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“;
- განხილულ იქნა სამმხრივი კომისიის სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) N156 (Workers with Family Responsibilities) კონვენცია. მომზადდა კონვენციის შესაბამისი რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის ანალიზი კონვენციებთან მიერთების მიზანშეწონილობის პოზიციის გათვალისწინებით;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი ქვეყნების ფარგლებში მომზადებულ კითხვართან დაკავშირებით, მომზადდა ინფორმაცია (ინგლისურ ენაზე) მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის, სტრატეგიის, მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების/ქალთა მეწარმეობის განვითარების მიმართულებით არსებული პოლიტიკის შესახებ;
- მომზადდა ინფორმაცია ქვეყნის მცირე და საშუალო მეწარმეობის და ქალთა მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის შესახებ (EMN Annual Report on Migration and Asylum 2021);
- ევროპის საბჭოს „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ევროპული სოციალური ქარტიის მუხლების რატიფიცირებასთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი შენიშვნები/კომენტარები;
- მსოფლიო ბანკის ახალი რეიტინგის „Business Enabling Environment“ (BEE) კონცეფციის დოკუმენტზე მომზადდა მოსაზრებები და წინადადებები, რომელიც წარედგინა მსოფლიო ბანკის გუნდს;

- მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-7-ე სხდომაში, რომელზეც წარდგენილ იქნა ინფორმაცია საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის იმპლემენტაციის შესახებ;
- მომზადდა დასკვნები უცხოელ მოქალაქეებთან მიმართებით, საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების და აგრეთვე, სპეციალური ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხებთან დაკავშირებით;
- შევსებულ იქნა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადთან დაკავშირებით ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი კითხვარი;
- დაიწყო მუშაობა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის“ 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმაზე. ჩატარდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მმართველი საბჭოს სხდომა. გაკეთდა პრეზენტაცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსის” 2024 წლის (მე-4 რაუნდის) შეფასების მეთოდოლოგიის თაობაზე;
- ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს მე-15 და მე-16 სხდომები და მომზადდა შეხვედრის შესაბამისი ოქმები (ქართულ/ინგლისურ ენაზე);
- მომზადდა და OECD-ს წარედგინა „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსის” 2024 წლის (მე-4 რაუნდის) შეფასების მეთოდოლოგიის თაობაზე შენიშვნები და წინადადებები;
- საქართველო-ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებული ეკონომიკური და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „Economic and Business Development in Georgia” ფარგლებში ევროკავშირის საშემფასებლო მისიის მიერ გადმოგზავნილ კითხვებზე მომზადდა ინფორმაცია, რომელიც წარედგინა ევროკავშირის საშემფასებლო მისიის ხელმძღვანელს;
- მომზადდა საერთაშორისო საბიუჯეტო თანამშრომლობის „ღია ბიუჯეტის ინდექსის“ რეიტინგში საქართველოს პოზიციის შესახებ ინფორმაცია;
- განახლდა პრეზენტაცია „საქართველო მსოფლიო რეიტინგებში“ (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
- განხილულ იქნა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში „გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგი სამთავრობო პოლიტიკაში“;
- მომზადდა ინფორმაცია ფარმაცევტული წარმოების ნებართვის მფლობელების მიერ საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების საკითხებთან დაკავშირებით;
- მომზადდა სს „ტექნო პარკ ბათუმის“ და „ACE გრუპ ჯორჯიას“ მიერ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;
- განხილულ იქნა: „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, მომზადდა შენიშვნები/კომენტარები სამინისტროს პოზიციის გათვალისწინებით; „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; „გარე ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მომზადდა შენიშვნები; თამბაქოს შესახებ საკანონმდებლო წინადადება; „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №662 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტი;
- მომზადდა დასკვნა: საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის გასაფორმებელი სასესხო შეთანხმების („ადამიანური კაპიტალის პროგრამა“) პროექტის თაობაზე; საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის შენობებში მწვანე ინვესტიციების პროექტთან“ დაკავშირებით სასესხო, საგრანტო

და საპროექტო შეთანხმებების პროექტების თაობაზე; საქართველოსა და გერმანიის განვითარების ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელი „მდგრადი ურბანული მობილობა" სასესხო შეთანხმების და საქართველოსა და გერმანიის განვითარების ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელ „მდგრადი ურბანული მობილობა" საგრანტო შეთანხმების პროექტებთან დაკავშირებით;

- მომზადდა 2021 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ვრცელი ანალიზი სტრუქტურულ ჭრილში, მათ შორის საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით. აგრეთვე მომზადდა საგარეო სავაჭრო ბრუნვის 2022 წლის ყოველთვიური ანალიზები;
- მომზადდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. დამტკიცდა აღნიშნული შეთანხმების განხორციელების 2022 წლის სამოქმედო გეგმა და მომზადდა გეგმის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში;
- საქართველო - თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში ცვლილების შეტანის მიზნით, თურქეთის რესპუბლიკასთან გაიმართა მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით;
- ვიდეო კონფერენციის საშუალებით გაიმართა: არაბთა გაერთიანებული საამიროებთან სამუშაო შეხვედრა. ხელი მოეწერა არაბულ მხარესთან შეთანხმების სტრუქტურის, მოლაპარაკებების ვადების და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების სხვა დეტალების თაობაზე დოკუმენტს (TOR); ტექნიკური შეხვედრა კორეის რესპუბლიკასთან. მოხდა გამოცდილების და მოსაზრებების გაზიარება, შემდგომში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა გაერთიანებულ სამეფოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში შექმნილი ვაჭრობის საკითხებზე ორმხრივი ფორუმის და ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის პირველი შეხვედრა;
- 2021 წლისა და 2022 წლის 5 თვის სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, მომზადდა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებთან ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის ანალიზი, სტრუქტურულ ჭრილში, საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ზრდის/კლების ტენდენციების გამოვლენის მიზნით;
- მომზადდა: ვრცელი ინფორმაცია სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში; საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმა, სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში;
- გაიმართა მოლაპარაკებების მეორე რაუნდი „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობის შესახებ'' შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით;
- მომზადდა ანალიტიკური მასალა: არგენტინის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთვის ექვსი ქვეყნის თაობაზე (არგენტინა, ურუგვაი, პარაგვაი, ჩილე, ეკვადორი, ბოლივია); ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთვის საქართველო-ჩინეთის და საქართველო-ვიეტნამის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ; საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ, ჩინეთის საინვესტიციო ჟურნალისათვის „VICTWO" და მიეწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს; საქართველო-ქუვეითის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის შესახებ და გადაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს; ევროკავშირისა და ევროპის სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ (42 ქვეყანა);
- მომზადდა: ვრცელი ინფორმაცია საქართველო-ირანის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; საქართველო-ახალი ზელანდიის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; ისრაელის სახელმწიფოში ვიზიტისათვის და მასალები საქართველოს

შესახებ ინდონეზიური გამოცემა „Millioaire Asia" აზიაში მრავალარხიანი პლატფორმისათვის და მიეწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს;

- ხელი მოეწერა შეთანხმებებს „საქართველოსა და კატარის სახელმწიფოს შორის ეკონომიკური, სავაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ" და „საქართველოსა და კატარის სახელმწიფოს შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ";
- მომზადდა ლათინური ამერიკის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავების შემოთავაზებების პაკეტი (სამინისტროს ფარგლებში) და გაიგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;
- განხორციელდა 50-მდე პოტენციურ და არსებულ ინვესტორთან მჭიდრო კომუნიკაცია/კონსულტაცია. თანამშრომლობის შედეგად, სამიზნე ჯგუფებს მიეწოდა ინფორმაცია ყველა საჭირო საინვესტიციო პროცედურებთან დაკავშირებით და გაეწიათ შესაბამისი მხარდაჭერა;
- კოვიდ პანდემიის მართვის მიზნით, სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში სამედიცინო ჟანგბადის მარაგების მართვისა და სამედიცინო დაწესებულებების მომარაგების პროცესში;
- შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებისა და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებთან (ნიდერლანდების, საფრანგეთის, ისრაელის, გაერთიანებული სამეფოს, თურქეთის და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩები საქართველოში; საქართველოს ბიზნეს ასოციაცია; საფრანგეთის სავაჭრო პალატა საქართველოში; ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია; ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში; გერმანიის ბიზნეს ასოციაცია), ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის (საინვესტიციო მიმართულებით) ხელშეწყობის განხილვის, არსებული პრობლემებისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით;
- საინვესტიციო პოლიტიკისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის მიმდინარეობდა საკანონმდებლო ბაზის ანალიზი რამდენიმე მიმართულებით, ქვეყანაში უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად და ქართული კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის მიზნით;
- მიმდინარეობდა საჯარო და კერძო თანამშრომლობის არსებული პრაქტიკის შეფასება და საუკეთესო ანალოგების მოძიება/შედარება;
- კურორტ წყალტუბოს განვითარების ფარგლებში სხვადასხვა კვლევასთან ერთად, მომზადდა კურორტის გენერალური გეგმის კონცეფცია, მიზანშეწონილობის კვლევა და გამოვლენდა საპრივატიზაციო პორტფელი;
- შემუშავდა რეგულირების ზეგავლენის შეფასება „შენობა-ნაგებობის მიმართ ინსოლაციის მინიმალური მოთხოვნების შესახებ" დადგენილების პროექტთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო უწყებებთან და კერძო სექტორთან გამართული შეხვედრების შედეგად დაკორექტირდა „არქიტექტორების, ინჟინერ-მშენებლებისა და მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ექსპერტების სერტიფიცირების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- შემუშავდა ევროკოდი 7-ის ეროვნული დანართი და ევროკოდი 7 გაიგზავნა სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში სტანდარტად დასარეგისტრირებლად;
- შემუშავდა: „აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს და სერტიფიცირებული ექსპერტის მიერ სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების წესისა და მათი პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ" დადგენილების პროექტის პირველადი ვერსია; კანონის პროექტი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"; განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით დაკორექტირდა არსებული ბაგა-ბაღებისთვის ავტორიზაციის გასავლელად ინფრასტრუქტურის სტანდარტის პროექტი;

- ევროკოდების თარგმნის სარედაქციო კოლეგიის მიერ განხორციელდა ევროკოდების თარგმნა/რედაქტირების სამუშაოები;
- მიმდინარეობდა საქართველოს კანონით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება შემდეგ შეთანხმების პროექტებზე: „საქართველოს მთავრობასა და ალბანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ"; „კატარის მხარის მიერ მოწოდებული ,,საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის საზღვაო ტრანსპორტის სფეროში" და „საქართველოს მთავრობასა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ". „იტალიის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ" თანამშრომლობის შეთანხმების პროექტმა გაიარა საქართველოს კანონით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და ტექსტი დიპლომატიური არხების საშუალებით მიეწოდება იტალიის მხარეს;
- მიმდინარეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება შემდეგ საერთაშორისო კონვენციებზე (დოკუმენტის საქართველოს სავალდებულოდ აღიარების მიზნით): „არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2005 წლის კონვენცია"; „კონტინენტურ შელფზე განლაგებული სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2005 წლის ოქმი"; „საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის 2005 წლის ოქმი"; „სახიფათო და მავნე ნივთიერებების საზღვაო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზარალისთვის პასუხისმგებლობის და კომპენსაციის შესახებ" 1996 წლის საერთაშორისო კონვენციისა და „სახიფათო და მავნე ნივთიერებების საზღვაო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზარალისთვის პასუხისმგებლობის და კომპენსაციის შესახებ" 1996 წლის საერთაშორისო კონვენციის 2010 წლის ოქმი და აგრეთვე, MLC (Maritime Labour Convention) საზღვაო შრომის კონვენცია;
- მიმდინარებდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად შემდეგ ქვეყნებთან: დიდი ბრიტანეთი, ომანი, ვიეტნამი, სერბეთი, თურქმენეთი, ტაილანდი და ტაჯიკეთი. გარდა ამისა, მიმდინარებდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები, მოლაპარაკებების გამართვის მიზნით, შემდეგ ქვეყნებთან: ნორვეგია, კოლუმბია, ისლანდია, ლიბანი, სინგაპური, ბრაზილია, სეიშელი, ჰონ კონგი და ბრაზილია;
- „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ" შეთანხმების პროექტზე დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები;
- 2022 წლის იანვარში ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით Twinning-ის პროექტი „საგზაო უსაფრთხოების ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების და საგზაო უსაფრთხოების მართვის შემდგომი გაუმჯობესების ხელშეწყობა". აღნიშნული პროექტი ემსახურება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მონაცემთა ერთიანი ბაზის ჩამოყალიბებასა და საგზაო უსაფრთხოების მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ ვითარებას გააუმჯობესებს;
- ევროკავშირის მხარდაჭერილი Twinning-ის პროექტის „საქართველოს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს დაახლოების მხარდაჭერა ევროკავშირის კანონმდებლობასთან სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში" ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად საქართველოს სარკინიგზო კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის სამართალთან, გაიმართა პროექტის ოფიციალური გახსნის ღონისძიება და მმართველი კომიტეტის 4 სხდომა. მომზადდა ანგარიში სამართლებრივ ჩარჩოს განსხვავებების შესახებ. 2004/49/EC (გაერთიანების რკინიგზების უსაფრთხოების შესახებ), 2008/57/EC (გაერთიანების ფარგლებში სარკინიგზო სისტემის ურთიერთთავსებადობის შესახებ) და

2012/34/EC (რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდა ერთიანი ევროპული სარკინიგზო ზონა) დირექტივების იმპლემენტაციის მიზნით, შემუშავდა კანონის პროექტების პირველადი ვერსიები, რომლებზეც შემდგომი მისიების ფარგლებშიც გაგრძელდება მუშაობა. პროექტის ფარგლებში ქალაქ ვარშავაში ჩატარდა სასწავლო ვიზიტი. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებმა პოლონეთის მაგალითზე შეიძინეს და გაიღრმავეს ცოდნა იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა სარკინიგზო სექტორში ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების დანერგვა და როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებული სარკინიგზო უწყებები პრაქტიკაში;

- სპარსეთის ყურე-შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფნის დაფუძნების თაობაზე შეთანხმების პროექტის განხილვის მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრა;
- ენერგეტიკული რეფორმების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნული განვითარების 10 წლიან სტრატეგიაზე;
- მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები: „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის N246 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც ენერგეტიკული ბირჟის გახსნის ვადამ გადაიწია 1 სექტემბრამდე; „ელექტროენერგიის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის N625 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“; „შპს „ვარციხე-2005-ისთვის“ საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის №738 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ელექტროენერგიის ზოგიერთ მწარმოებელზე საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის №740 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- მიმდინარეობდა მუშაობა ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზრის წესების დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მომზადდა ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად გაიგზავნა სემეკში;
- ექსპლუატაციაში შევიდა სამი ჰიდროელექტროსადგური: ახატანი ჰესი (დადგმული სიმძლავრით 0.55 მგვტ), ბერალი ჰესი (დადგმული სიმძლავრით 0.9 მგვტ) და ჩორდულა ჰესი (დადგმული სიმძლავრით 1.97 მგვტს);
- შედგა სამუშაო შეხვედრები ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დახელოვნების ცენტრთან „NATO Energy Security Centre of Excellence“ დაგეგმილი ტრენინგის (დისკუსიის ფორმატის წრთვნები - TTX) წინა მოსამზადებელ საკითხებთან დაკავშირებით. ცენტრის ორგანიზებით შედგა ვირტუალური მოსამზადებელი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. კონფერენციაზე განხილული იქნა სცენარები, რომელთა განვითარება უნდა მოხდეს ტრენინგის დროს, დაისახა სამომავლო გეგმა და მიმდინარეობდა კომუნიკაცია მორიგი სამუშაო შეხვედრის ორგანიზების მიზნით;
- ცენტრის ორგანიზებითა და სამინისტროს მონაწილეობით სასტუმრო „ბილტმორ-თბილისში“ ჩატარდა დაგეგმილი წვრთნები (TTX) „COHERENT RESILIENCE 2022 GEORGIA“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და ენერგეტიკის სფეროში არსებული კომპანიების წარმომადგენლები. წვრთნების მიზანი იყო ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების მიზნით პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება და მათზე შესაბამისი რეაგირების დაგეგმვა;

- მიმდინარეობდა სამინისტროს მართვაში არსებული ენერგეტიკული მიმართულების საწარმოების პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილებების განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- მიმდინარეობდა საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების გეგმის შესრულების მონიტორინგი;
- მიმდინარეობდა: დონორებთან აქტიური მოლპარაკებები მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით; ენერგოეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობის მიერ მისაღებ კანონქვემდებარე აქტებზე მუშაობა; EU4Environment-ის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნისთვის (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა) დახმარების აღმოჩენას მათი ბუნებრივი რესურსებისა და გარემოსდაცვითი კუთხით, მოსახლეობის კეთილდღეობის დაცვის გზით;
- მიმდინარეობდა: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (UN SDGs), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესასრულებლად განსაზღვრულ ინდიკატორებზე ანგარიშის მომზადება; საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის შეფასების საკოორდინაციო საბჭოში და შესაბამის სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
- თბილისში გაიმართა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ქმედებების სამუშაო ჯგუფის ყოველწლიური შეხვედრა, სადაც განხილული იყო შემდეგი თემები: პოსტ-კოვიდური ეკონომიკური აღდგენისა და განვითარების გეგმები „მწვანე“ ეკონომიკური განვითარების კუთხით, მწვანე ქმედებების სამუშაო ჯგუფის პროგრამის განხორციელების შეფასება 2021 წელს გამართული ბოლო შეხვედრის შემდეგ, 5-7 ოქტომბერს კვიპროსის დედაქალაქ ნიქოზიაში დაგეგმილი მე-9 მინისტერიალის, „გარემო ევროპისათვის“ კონფერენციის მოსამზადებელი პროცესის განხილვა და სხვა;
- EU4Energy-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ენერგეტიკული გაერთიანების მიერ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესატანად, ევროკავშირის 2018/2001 დირექტივის შესაბამისად;
- დამტკიცდა განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების მემონტაჟეთა გადამზადების ოთხი მოკლევადიანი (70 საათიანი) პროგრამა;
- დამტკიცდა „ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონიდან ოთხი კანონქვემდებარე აქტი (ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შესრულების თაობაზე ანგარიშგების წესი; ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული შენობის ენერგომახასიათებლების შესახებ ხელშეკრულების ნიმუში; გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზის წესი; ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ შეტყობინების ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის წარდგენის წესი);
- ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული ეროვნული გეგმის ფარგლებში (National Energy and Climate Integrated Plan (NECP)) მიმდინარეობდა ჩართული უწყებების შენიშვნებისა და კომენტარების ასახვა NECP-ის სამუშაო ვერსიაში, დასრულდა სამუშაო შეხვედრები დოკუმენტის განსახილველად. გაგრძელდა NECP-ის ენერგეტიკის სექტორის განვითარების მოდელირების ნაწილის სრულყოფა პროგრამა TIMES-ში და დაიწყო გეგმის სკოპინგის ანგარიშის მომზადება;
- ევროკავშირისა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის მეორე ნაწილის „ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის დანერგვის“ ფარგლებში, გრძელდებოდა მუშაობა Omnia GmBH-თან, KfW-სა და AFD-სთან ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის განხორციელებისთვის;

- დანიის სამეზობლო პოლიტიკის ტექნიკური დახმარების (DANEP II) პროექტის „ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისთვის სასურველი გარემოს შექმნა საქართველოში“ ფარგლებში დანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმდა შეთანხმება პროგრამის „ხელსაყრელი გარემოს შექმნა საქართველოში მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისთვის (2020 -2023)“ განხორციელებისთვის;
- ქვეყნის მაღალმთიან რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ნაკლებია 200-ის და არ შედის „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით“ განსაზღვრულ სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში, გრძელდებოდა სათემო ინტერნეტიზაციის ხელშემწყობი მოსამზადებელი ღონისძიებები, კერძოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთიან დასახლებების დასაფარად;
- მიმდინარეობდა მუშაობა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ ციფრული მაუწყებლობის ქსელის რესურსის ათვისების და მის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;
- გრძელდება მუშაობა ევროკავშირის „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის“ პროექტზე (HDM/EU4Digital), რომელიც მოიცავს: „ციფრული უნარების (eSkills)“, „ICT ინოვაციების (ICTinnovation)“, ელექტრონული იდენთიფიკაციის, სანდო მომსახურებების, საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების (Trust&Secure), ელექტრონული ვაჭრობის (eTrade) და ელექტრონული ჯანდაცვის (eHealth) ქსელებს;
- ევროკავშირის HDM/EU4Digital პროექტის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა ელ-ვაჭრობის და ელ-ხელმოწერის საპილოტე პროექტის გაშვება;
- მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით მიმდინარეობდა მუშაობა „ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგიის და მისი განხორციელების გეგმის“ პროექტის შემუშავებაზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ელექტრონული კომუნიკაციების და ფოსტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით მისაღებ საკანონმდებლო აქტების პროექტებზე;
- მიმდინარეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ფოსტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების/მემორანდუმების მომზადების/გაფორმების პროცედურები (ინდოეთი, ჩეხეთი, ხორვატია, მაკედონია, სერბეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი და სომხეთი);
- მიმდინარეობდა მუშაობა რადიო მაუწყებლებისთვის არსებული პრობლემატური საკითხების აღმოფხვრის და მათ განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;
- კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა: ანგარიში „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის შესრულების მდგომარეობის შესახებ; 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის (RDP) 2021 წლის მონიტორინგის ანგარიში; „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის" ანგარიში;
- კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ მომზადებულ საქართველოს კანონის პროექტზე „კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის შესახებ“;
- მომზადდა და დამტკიცდა საფოსტო საგადახდო ნიშნის/საფოსტო მარკების გამოცემის 2022 წლების თემატური გეგმა. მიმოქცევაში გაიშვა 7 თემატიკის 12 საფოსტო მარკა: „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021 (UNESCO)“; „საქართველოს საზღვაო შუქურები“; „დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების 900 წელი“; „საქართველოსა და ირლანდიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წელი“; „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 100 წელი“; „EUROPA 2022 - ამბები და მითები“; „მურმან ლებანიძე 100 წელი“;

- მომზადდა „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და ბაზრის მონაწილეებთან ერთად ჩატარდა განხილვები;
- მიმდინარეობდა: მუშაობა და განხილვები შემდეგ კანონის პროექტებზე: „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ და „სექიურითიზაციის შესახებ“; „კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის“ მომზადება და მისი ტექსტის განხილვა/ცვლილებები;
- მიმდინარეობდა მუშაობა კანონშემოქმედებისა და კაპიტალის ბაზრის საგანმანათლებლო პლატფორმების შექმნაზე და აგრეთვე, მოკვლევა შემდეგ საკითხებზე: „სახალხო დაფინანსება“, „კაპიტალზე წვდომა“;
- დასრულდა ოპტიკური ქსელის მე-2 საპილოტე მშენებლობა ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აშენდა 50 კმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა, რომელმაც მოიცვა 13 სოფელი და 10 500 მოსახლე. პროექტ „ლოგ-ინ ჯორჯიას“ 2022 სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხორციელების მიზნით, მომზადდა და მომსახურების შესასყიდად გაეგზავნა ა(ა)იპ „ოუფენ ნეტს“ „ციფრული ჰაბის და რეგიონალური დატა ცენტრების განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის“ ტექნიკური დავალება (ToR);
- პროექტ „ლოგ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში სამინისტრომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად დაიწყო მუშაობა საქართველოში უნივერსალური სერვისების დანერგვის კუთხით, რომელსაც „ერნსტ ენდ იანგი“ ახორციელებს და მისი მიზანია უნივერსალური სერვისების დებულების სამართლებრივი/პოლიტიკის განახლების განხორციელების მხარდასაჭერად მეთოდოლოგიებისა და წესების შემუშავება;
- პროექტ „ლოგ ინ ჯორჯიას“ „ციფრული მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო უწყებების ციფრული სერვისების გამოყენების პოპულარიზაციის მიმართულებით მუშაობა;
- მომზადდა „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის კვლევის“ ნარატიული ანგარიში, რომლებიც განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე. (ანგარიში ითარგმნა ინგლისურ ენაზე);
- 2022 წელს ჩასატარებელ უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი შეჯერდა დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით დაიდო მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან;
- მომზადდა შენიშვნები და წინადადებები ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის მიერ წარმოდგენილ უნარების პროგნოზირების მოდელის ტექნიკური დავალების პროექტზე და შედგა შემაჯამებელი შეხვედრა;
- განახლდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდი;
- დაიწყო მუშაობა შრომის ბაზრის წლიურ ანალიზზე. აღნიშნულის ფარგლებში, დამუშავდა დასაქმების კერძო სააგენტოს მიერ მოწოდებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია;
- „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 ივნისის №275 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო.

5.7 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური სრულყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2022 წლისათვის; ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის ელექტრონული სისტემის მომხმარებლების მხარე მომზადდა რეალურ სისტემაში ჩასაშვებად; ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება-კონფიგურაციის მხარე გადაიწერა ახალ ტექნილოგიაზე, მიმდინარეობს ტესტირება და რეალურ სისტემაში გაშვებისთვის მზადება; სისტემაში შევიდა 6 შესწორება და აღმოიფხვრა 62 ხარვეზი;
- eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - მხარჯავების პორტალს დაემატა სავალუტო მოთხოვნების და ვალდებულებების ანგარიშგებები, არსებულ ვალდებულებების შესრულების ანგარიშგებაში დაემატა ინფორმაცია შესყიდვებში რეგისტრირებული ხელშეკრულების სტატუსზე. ბექ ოფისის და საფინანსო უწყებების პორტალებს დაემატა CPV კოდების ანგარიშგება. სისტემაში დაემატა ახალი ვალიდაციები ვალდებულებების, პაკეტების, დეპოზიტების, სსიპ-ის დავალებების მოდულებში, საპენსიო ფონდის მოთხოვნების დამუშავების და მობრუნებების განსაზღვრის პროცესებში. შეიცვალა წინა წლის ვალდებულებების იმპორტის ლოგიკა. რეალურ გარემოში გაეშვა ელექტრონული ხაზინის, ჩარიცხების საძიებო სისტემის, ტენდერების საძიებო სისტემის ახალი ვერსიები;
- eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემასა და დაკავშირებულ სისტემებში სტრუქტურულად გასწორდა საგარეო ვალის რიგი პროგრამები, პროექტები და კომპონენტები; შევიდა შესწორებები ანგარიშგების დოკუმენტებში; დაიმპორტდა ჩამორიცხვების ინფორმაცია რიგ პროექტებზე; სისტემაში შევიდა 31 შესწორება და აღმოიფხვრა 3 ხარვეზი;
- eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - განხორციელდა შეფასების მოდულის ოპტიმიზაცია, ამავე მოდულში დაემატა კომპონენტების კოპირების ფუნქციონალი. სისტემაში დაემატა ახალი სტატიკური რეპორტები, ასევე განახლდა სამუშაო დროის აღრიცხვის ფუნქციონალი და თანამშრომლის პირადი ბარათის ფუნქციონალი. შვებულების მოდულში დაემატა წინა წლის შვებულების გადმოტანის ფუნქციონალი. შეფასების მოდულში დაემატა ასიგნატორის მიერ კომპონენტებისა და საბოლოო ქულის დადასტურების ფუნქციონალი, ასევე მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა საბოლოო შეფასების ქულების დაანგარიშების ახალი მეთოდის იმპლემენტაცია. ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები eHRMS სისტემაში არსებული პროფესიული სწავლების მოდულის ინტეგრაციის სამუშაოები Moodle სისტემასთან. ასევე მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/ შემთხვევევის იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები;
- eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - განისაზღვრა 2022 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. მიმდინარეობს 2021 წლის ლოგების ჟურნალების მონაცემების გასუფთავების და 2021 წლის ფაილების არქივაციის / NAS (QNAP) საცავში გატანის ანალიზი და სამუშაოების დაგეგმვა. მიმდინარეობს eDocument სისტემის საჯარო სივრცის პორტალის გამართვის დაგეგმვა. შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდა eDocument სისტემის და Google Classroom სისტემის ინტეგრაციის მეორე ეტაპის - Google Classroom-ის სისტემაში eDocument სისტემასთან ინტეგრაციის პროცესების

რეალიზაცია და დანერგვა. დასრულებულია საქართველოს ეროვნული ბანკის eDocument სისტემის განახლება ვერსია 5.5- დან ვერსია 5.9-ზე. მიმდინარეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის eDocument სისტემის ვერსია 5.5-დან ვერსია 5.9-ზე განახლების დაგეგმვა. განხორციელდა eDocument სისტემის მოდულების და ფუნქციონალური ბლოკების აღრიცხვა და შეფასება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაშვებულია და სტაბილიზაციის ფაზაშია eDocument სისტემის 5.10 ვერსია, რომელიც მოიცავს შემდეგ ფუნქციონალს: eDocument სისტემის ლოკალიზაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა მომსახურების ოფისის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული PRIVE მომსახურების მოდულის ცვლილებები, აუდიტის ქეის მენეჯმენტის სისტემიდან შექმნილი დავალებების და საქაღალდეების eDocument სისტემაში წაშლის შეზღუდვის ფუნქციონალის რეალიზაცია, თანამშრომლის გათავისუფლების ფუნქციონალის რეფაქტორინგი, მარკირებული დოკუმენტების გენერაცია;

- eAuction ელექტრონული აუქციონი - ელექტრონული აუქციონის სისტემაში განხორციელდა 13 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 11 კომპონენტი. სისტემას დაემატა ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა. სისტემის რეალურ გარემოში განთავსდა ახალი ფუნცქციონალი, რაც გულისხმობს მომხმარებლებისთვის გამარტივებულად მონაცემების ცვლილების პროცედურას. შესაძლებელი გახდა მომხმარებელისთვის, განცხადების ჩაბარების გარეშე, ადგილზე შეეცვალოს სისტემაში არსებული პირადი მონაცემები. რეალურ გარემოში ადმინისტრირების კუთხით გამარტივდა არასრული დანიშნულებით ჩარიცხული თანხების მართვისა და გააქტიურების პროცედურა. კერძოდ, თანხების ადმინისტრირებისას გაჩნდა დამატებითი ველები, სადაც თვალსაჩინო გახდა კონკრეტული აუქციონის სტატუსი და გადახდის ბოლო ვადა. ასევე, ფიზიკური პირის გადახდების შემთხვევას დაემატა მომხმარებლის პირადი ანგარიშის ნომრისთვის განკუთვნილი ჩანაწერი. რეალურ გარემოში განთავსდა, მრავალჯერადი მომსახურების სარგებლობის მსურველი მომხმარებლებისთვის მონიშნული თანხების მართვის რეპორტი. სატესტო გარემოში განთავსდა აუქციონის ვებგვერდისა და საწყობის მართვის სისტემის ERP ინტეგრაციის სერვისის ნაწილი რაც გულისხმობს, არსებული ავტომატურად გამოცხადებული/შებრუნებული აუქციონების შეწყვეტის პროცედურის გამარტივების ფუნცქციონალს. მიმდინარეობს სამუშაოები ონლაინ კონსულტაციის ნაწილის ახალ ვერსიაზე გადაწერისა და არსებული ფუნციონალის დახვეწის კუთხით;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) ხუთი პროექტი;
- შემუშავდა, განთავსდა და მხარდაჭერილია 12 სხვადასხვა ვებ-გვერდი, პორტალი და/ან ონლაინ პლატფორმა. მხარდაჭერა, ტრენინგი, სემინარი და კონსულტაცია მომართვათა საერთო რაოდენობა - 18296 გაწეულია 16653 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument - 5115, eTreasury - 10122, eHRMS - 443, სხვა სისტემები - 973. ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 1643 ტექნიკური გამოძახებას და გაუწია შესაბამისი მომსახურება. eDocument სისტემაში მუშაობის სწავლება ჩაუტარდა 26 და Ehrms სისტემაში მუშაობის სწავლება ჩაუტარდა 56 მომხმარებელს;
- ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა დაინერგა ახალი თაობის ბრენდმაუერი (PALOALTO) განხორციელდა არსებული კონფიგურაციის გადატანა და შემდგომი ოპტიმიზაცია უსაფრთხოების ზომების შესაბამისად. განხორციელდა ბრენდმაუერის ინტეგრაცია „Active Directory (AD)"-სთან, დაკონფიგურირდა ახალი თაობის ბრენდმაუერის ინტერნეტ ტრაფიკის და კონტენტის ფილტრაციი წესები. დაინერგა ახალი დაშვების ტურნიკეტების სისტემა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, გაიმართა ახალი სერვერები დაკონფიგურირდა კონტროლერები, დამიგრირდა მონაცემები არსებულიდან, განხორციელდა ახალი ორაკლის მონაცემთა ბაზა „Gateway"-ი ინსტალაცია, კონფიგურაცია. ინფორმაცია მიმოსვლის შესახებ დაინტეგრირდა ორაკლის მთავარ მონაცემთა ბაზაში. განახლდა გარე

მომხმარებლების ელექტრონული ფოსტის და აქტივ დირექტორიის სერვერები. განხორციელდა ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMCVxRail სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის განახლება ასევე დისკური მასივის DellEMC XtremIO2 სისტემის პროგრამული კოდის განახლება.

5.8. სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური გამოკვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

5.9 ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF) (პროგრამული კოდი 24 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართელოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

- მომზადდა 23 კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია (15 ნორმატიული აქტი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონიდან და 8 ნორმატიული აქტი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონიდან);
- მიმდინარეობდა საერთაშორისო საკონსულტაციო კონსორციუმის (GOPA-Intec GmbH) ექსპერტებთან და ყველა ჩართულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა კანონქვემდებარე აქტების სპეციფიკურობიდან გამომდინარე;
- მიმდინარეობდა ეკოდიზაინის შესახებ ევროკავშირის რეგულაციების დამუშავება კანონმდებლობაში ასახვის მიზნით.

5.10. სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოებისათვის საჭირო ფორმატით დამუშავდა ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდული მონაცემები და მონაცემთა ბაზები. ფორმირებული და გავრცელებული იქნა საბოლოო გამომავალი ცხრილები;
- განისაზღვრა 2021 წლის IV კვარტალის, 2021 წლის წლიური (წინასწარი) და 2022 წლის I კვარტალის ეკონომიკის მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მეთოდით მიმდინარე ფასებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (NACE Rev.2) სექციების მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ინდექსები;

- გაანგარიშებულ იქნა 2021 წლის IV კვარტალის და 2021 წლის წლიური (წინასწარი) და 2022 წლის I კვარტალის ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები მიმდინარე ფასებში, მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდებით მიმდინარე ფასებში, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა, მონეტარული სისტემის, ფინანსური ბაზრის და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები; მრეწველობის პროდუქციის ინდექსი 2021 წლის (IV კვარტალი) და 2022 წლის (I კვარატლი);
- გაანგარიშდა 2021 წლის IV და 2021 წლის წლიური წინასწარი და 2022 წლის კვარატლის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა დანახარჯების მეთოდით;
- გაანგარიშდა 2021 წლის დეკემბრის და 2022 წლის იანვარ-მაისის თვეების ეკონომიკური ზრდის ტენდენციების წინასწარი შეფასებები და გამოქვეყნდა ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლები;
- გამოქვეყნდა ელექტრონული ვერსია სტატისტიკური პუბლიკაციისა „საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2020“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- გაანგარიშებულ იქნა კაპიტალის ანგარიში მიმდინარე ფასებში (2020 წელი, დაზუსტებული);
- მიმდინარეობდა ინფორმაცია და კომუნიკაციის, ასევე ხელოვნება, გართობა და დასვენების სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები (მეთოდოლოგიური სამუშაოები, კითხვარის შედგენა);
- განახლდა სამომხმარებლო კალათის წონები, როგორც სამომხმარებლო ფასების ეროვნული ინდექსისთვის, ისე ჰარმონიზებული ინდექსისთვის;
- განახლდა მწარმოებელთა (ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ექსპორტის ფასების ინდექსი, მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე, სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე) და იმპორტის ფასების ინდექსების წონები;
- განხორციელდა სამომხმარებლო (ეროვნული და ჰარმონიზებული), მწარმოებელთა (ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ექსპორტის ფასების ინდექსი, მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე, სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების მწარმოებელთა ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე) და იმპორტის ფასების ინდექსების ყოველთვიური გაანგარიშება;
- განახლდა ორგანიზაციათა შერჩევის ჩარჩო მწარმოებელთა (ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ექსპორტის ფასების ინდექსი, მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე, სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი) და იმპორტის ფასების ინდექსებისთვის;
- განხორციელდა მშენებლობის ღირებულების ინდექსის 2021 წლის მეოთხე და 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემების გაანგარიშება;
- განხორციელდა საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის (RPPI) 2021 წლის მეოთხე და 2022 წლის პირველი კვარტალის მონაცემების გაანგარიშება;
- განხორციელდა საერთაშორისო შედარებების პროგრამისთვის საინფორმაციო ბაზის მომზადება;

- განხორციელდა საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ 2021 წლის IV კვარტალის, 2021 წლის წლიური და 2022 წლის I კვარტალის საველე სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა 2022 წლის II კვარტალის გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები;
- დაანგარიშდა და გავრცელდა 2021 წლის IV კვარტალის (წინასწარი), 2021 წლის წლიური (წინასწარი) და 2022 წლის I კვარტალის (წინასწარი) მონაცემები საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ;
- შეიქმნა ახალი სტატისტიკური პროდუქტი - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პორტალი;
- განხორციელდა მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის გამოკვლევის 2021 წლის IV კვარტალის, 2021 წლის წლიური და 2022 წლის I კვარტალის საველე სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა 2022 წლის II კვარტალის გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები;
- დამუშავდა და გავრცელდა 2021 წლის დეკემბრის და 2022 წლის იანვარ-მაისის მონაცემები საგარეო ვაჭრობის შესახებ;
- განხორციელდა საწარმოთა 2021 წლის IV და 2022 წლის I კვარტლის გამოკვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება, შეწონვა, ანალიზი და გავრცელება. აგრეთვე საწარმოთა 2022 წლის I და II კვარტლის და საწარმოთა 2021 წლის წლიური გამოკვლევის შერჩევის სამუშაოები; 2021 წლის წლიური გამოკვლევის საველე და მონაცემთა დამუშავების სამუშაოები;
- განხორციელდა არაკომერციული ორგანიზაციების 2021 წლის წლიური გამოკვლევის შერჩევის სამუშაოები;
- განხორციელდა სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების 2021 წლის გამოკვლევის მოსამზადებელი და საველე სამუშაოები;
- განხორციელდა ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევის მოსამზადებელი და საველე სამუშაოები, მიღებული პირველადი მონაცემების რედაქტირება, დამუშავება და კონტროლი;
- განხორციელდა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზების ყოველთვიური გამოკვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება და მის საფუძველზე ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია;
- განხორციელდა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე;
- განხორციელდა ენერგორესურსების მოხმარების 2021 წლის გამოკვლევის მოსამზადებელი (მეთოდოლოგიური სამუშაოები) და საველე სამუშაოები, მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზის გაწმენდა;
- განხორციელდა ენერგიის მოხმარება შინამეურნეობებში 2021 წლის გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები (მეთოდოლოგიური სამუშაოები), CAPI მეთოდის დანერგვის მიზნით შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა, მიმდინარეობდა საველე სამუშაოები;
- განხორციელდა საწარმოთა ინოვაციური აქტივობის 2021 წლის გამოკვლევის მოსამზადებელი (მეთოდოლოგიური სამუშაოები) და საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება, შეწონვა, ანალიზი და გავრცელება;
- განხორციელდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში 2021 წლის გამოკვლევის მოსამზადებელი (მეთოდოლოგიური სამუშაოები) და საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება, შეწონვა, ანალიზი და გავრცელება;
- განხორციელდა არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გამოკვლევის მოსამზადებელი (მეთოდოლოგიური სამუშაოები, შერჩევის სამუშაოები) და საველე სამუშაოები, მონაცემების დამუშავება;
- განხორციელდა სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების 2022 წლის I კვარტალის და 2021 წლის წლიური გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები (მეთოდოლოგიური სამუშაოები, გამოსაკვლევ საწარმოთა სიის დაზუსტება);

- განხორციელდა სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების 2021 წლის IV კვარტლის, 2022 წლის I კვარტლის და 2021 წლის წლიური გამოკვლევის საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და გავრცელება;
- განხორციელდა ბრუნვის მოცულობის 2021 წლის ნოემბერი-დეკემბრის და 2022 წლის იანვარი-აპრილის თვეების ყოველთვიური ინდექსების გაანგარიშება და გავრცელება;
- განხორციელდა ნამუშევარი საათების 2021 წლის IV და 2022 წლის I კვარტალის ინდექსების გაანგარიშება და გავრცელება;
- განხორციელდა სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების შესახებ გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები (მეთოდოლოგიური სამუშაოები);
- განხორციელდა 2021 წლის IV კვარტლის და 2022 წლის I კვარტლის მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და დამთავრებული მშენებლობის შესახებ მონაცემთა მიღება, დამუშავება და ანალიზი და 2021 წლის წლიური და 2022 წლის I კვარტლის მაჩვენებლების გავრცელება;
- განხორციელდა საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების 2021 წლის გამოკვლევის მოსამზადებელი (მეთოდოლოგიური სამუშაოები, შერჩევის სამუშაოები) და საველე სამუშაოები. მიმდინარეობდა მიღებული პირველადი მონაცემების რედაქტირება, დამუშავება და კონტროლი;
- განხორციელდა საფოსტო-საკურიერო საქმიანობით დაკავებული საწარმოების 2021 წლის გამოკვლევის მოსამზადებელი (მეთოდოლოგიური სამუშაოები, გამოსაკვლევ საწარმოთა სიის დაზუსტება) და საველე სამუშაოები, მიმდინარეობდა მიღებული პირველადი მონაცემების რედაქტირება, დამუშავება და კონტროლი;
- მიმდინარეობდა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძის შესახებ 2021 წლის მონაცემების მიღება და დამუშავება;
- მიმდინარეობდა რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობის შესახებ 2021 წლის მონაცემების მიღება და დამუშავება;
- მიმდინარეობდა აქტიურ აბონენტთა რაოდენობის შესახებ 2021 წლის მონაცემების მიღება და დამუშავება,
- განხორცილდა ტრანსპორტის საქმიანობით დაკავებული საწარმოების მიერ გადაყვანილი მგზავრების და გადატანილი ტვირთის რაოდენობის შესახებ 2021 წლის IV კვარტალის და 2022 წლის I კვარტალის მონაცემების მიღება და დამუშავება;
- განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების 2021 წლის გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება, კომპიუტერული დამუშავება, ანალიზი და გავრცელება;
- განხორციელდა ყოველთვიური ენერგეტიკული სტატისტიკის 2021 წლის ნოემბერი-დეკემბრის და 2022 წლის იანვარი-აპრილის თვეების მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გავრცელება;
- განხორციელდა ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ფასების შესახებ 2021 წლის ივლისი-დეკემბერი თვეების მონაცემების მიღება, დამუშავება და გავრცელება;
- განხორციელდა ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის გამოკვლევის 2021 წლის დეკემბრის და 2022 წლის იანვარი-მაისის თვეების საველე სამუშაოები;
- განხორციელდა უცხოელ ვიზიტორთა და გამყვანი ტურიზმის გამოკვლევების 2022 წლის პირველი და მეორე კვარტლების საველე სამუშაოები;
- განხორციელდა ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის გამოკვლევის 2021 წლის ნოემბერი-დეკემბრის თვეების და 2022 წლის იანვარი-აპრილის თვეების პირველადი მასალების კომპიუტერში ჩაწერა და ლოგიკური კონტროლი;
- განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული 2021 წლის IV კვარტალის და 2022 წლის I კვარტალის უცხოელ ვიზიტორთა და გამყვანი ტურიზმის მონაცემების მიღება და დამუშავება;
- განხორციელდა ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის გამოკვლევის 2021 წლის IV კვარტალის და 2022 წლის I კვარტალის მონაცემთა ბაზის კორექტირება;

- განხორციელდა უცხოელ ვიზიტორთა, გამყვანი ტურიზმისა და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის გამოკვლევების 2021 წლის IV კვარტალის და 2022 წლის I კვარტალის მაჩვენებლების გავრცელება;
- ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID -19) გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების და საზღვრების ჩაკეტვის გამო, საქსტატის მიერ 2020 წლის 20 მარტიდან 2022 წლის 1 მაისამდე ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება ხორციელდებოდა სატელეფონო ინტერვიუებისა და ონლაინ გამოკითხვის საშუალებით;
- განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრიდან მიღებული 2021 წლის პირველადი დემოგრაფიული მონაცემების კომპიუტერული დამუშავება-ანალიზი, გამოქვეყნდა 2021 წლის ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება და განქორწინება);
- დასრულდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული გარე მიგრაციის მონაცემების დამუშავება, გამოქვეყნდა 2021 წლის ემიგრანტების და იმიგრანტების რიცხოვნობის განაწილება სხვადასხვა ჭრილში;
- დასრულდა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშება. გამოქვეყნდა მოსახლეობის რიცხოვნობა (2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და 2021 წლის საშუალო წლიური რიცხოვნობა) სხვადასხვა ჭრილში;
- დასრულდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული 2021 წლის გარდაცვალების მიზეზების შესახებ ინდივიდუალური მონაცემთა ბაზების კოდირება და დამუშავება-ანალიზი. გამოქვეყნდა 2021 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობის განაწილება გარდაცვალების ძირითადი მიზეზების მიხედვით;
- დასრულდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის (მონაცემები შრომის შესახებ) 2021 წლის IV კვარტალის და წლიური გამოკითხვების ძირითადი მოდულებით გათვალისწინებული მონაცემების შეგროვება, პირველადი მასალების ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლი, მოზიდული მონაცემების კომპიუტერში ჩაწერა და რედაქტირება, 2021 წლის IV კვარტლის არასამეწარმეო და სამეწარმეო სფეროს მონაცემთა ბაზების გაერთიანება და ფორმირება, ასევე განხორციელდა 2022 წლის I კვარტალის გამოკითხვის მოსამზადებელი სამუშაოები. 2021 წლის IV კვარტალის მონაცემების გავრცელდა საქსტატის ვებგვერდზე.
- ჩატარდა სამუშაო ძალის გამოკვლევის 2022 წლის I და II კვარტალების საველე სამუშაოები, 2021 წლის დეკემბრის და 2022 წლის იანვარი-მაისის თვეების პირველადი მონაცემების ლოგიკური კონტროლი, რედაქტირება და კოდირება. განხორციელდა 2021 წლის IV კვარტალის და 2022 წლის I კვარტლის მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და ჰარმონიზაციის სამუშაოები და დამუშავდა მონაცემები. 2021 წლის IV კვარტლის, 2021 წლის წლიური და 2022 წლის I კვარტალის მონაცემები გავრცელდა საქსტატის ვებგვერდზე.
- ჩატარდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის 2022 წლის I და II კვარტალების საველე სამუშაოები. განხორციელდა 2021 წლის დეკემბრის და 2022 წლის იანვარი - მაისის თვეების პირველადი მონაცემების კომპიუტერში ჩაწერა, ლოგიკური კონტროლი, რედაქტირება და კოდირება. განხორციელდა 2021 წლის IV და 2022 წლის I კვარტალის მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და ჰარმონიზაციის სამუშაოები და დამუშავდა მონაცემები. 2021 წლის წლიური მონაცემები გავრცელდა საქსტატის ვებგვერდზე.
- განხორციელდა 2021 წლის შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები.

- ჩატარდა სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის 2021 წლის დასკვნითი და 2022 წლის საწყისი გამოკითხვების საველე სამუშაოები. ჩატარდა 2021 წლის აკვაკულტურის მეურნეობების გამოკვლევის საველე სამუშაოები. ჩატარდა გამოკვლევის 2021 წლის რაუნდის, ასევე 2022 წლის საწყისი გამოკითხვის მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და ჰარმონიზაციის სამუშაოები და დამუშავდა მონაცემები.
- განხორციელდა სასოფლო მეურნეობათა 2022 წლის I და II კვარტლის საველე სამუშაოები, გამოქვეყნდა 2021 წლის IV კვარტლისა და 2021 წლის (წინასწარი), ასევე 2022 წლის I და II კვარტლის მეცხოველეობის მაჩვენებლები, ასევე - 2022 წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობების შესახებ მაჩვენებლები (ექსპრეს-მონაცემი).
- მომზადდა სტატისტიკური პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2021“ (2021 წლის დაზუსტებული მაჩვენებლები, ელექტრონული ვერსია, ქართულ და ინგლისურ ენებზე). მომზადდა 2021 წლის IV კვარტალის მონაცემები სასურსათო უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა საქსტატის ვებგვერდზე.
- დასრულდა 2021 წლის წყალმომმარაგებელი საწარმოების გამოკვლევის საველე სამუშაოები და მიღებული მონაცემები გამოქვეყმდა საქსტატის ვებგვერდზე.
- მომზადდა 2020 წლის ენერგეტიკის გარემოსდაცვითი მაჩვენებლები და 2020 წლის მატერიალური ნაკადების ანგარიში, რომლებიც განთავსდა საქსტატის ვებგვერდზე.

5.11 ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 24 18)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართელოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

- თურქეთის რესპუბლიკის მიმართ საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული ელექტროენერგიის დავალიანების (1 000 000 000 კვტ.სთ ელექტროენერგიის) დაბრუნების ფარგლებში, სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და თურქეთის ელექტროენერგიით ვაჭრობისა და ხელშემკვრელ კომპანიას (TETAS) შორის 2018 წლის 30 აპრილს გაფორმებული ოქმის შესაბამისად, განხორციელდა ვალის ნაწილის დაფარვა. სულ საანგარიშო პერიოდში სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ ელექტროენერგიის წარმოების კომპანიას („Elektrik Üretim A.Ş.“(EÜAŞ)) მიაწოდა 37 016 054.3 კვტ.სთ ელექტროენერგია (ექსპორტირებული ელექტროენერგიის საფასური შეადგენს 2.2 მლნ ლარს).

5.12 სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

- მიმდინარეობდა 3 ბაზრის მოკვლევა და საქონლის/მომსახურების 2 ბაზრის მონიტორინგი;
- მონაწილეობა იქნა მიღებული 17 სასამართლო დავაში სააგენტოს მიერ მიღებულ 15 გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით;
- კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა 5 სემინარი/კონფერენცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და ბიზნეს-სუბიექტების წარმომადგენლების

მონაწილეობით და აგრეთვე, გაიმართა 4 ღონისძიება ანტიდემპინგურ ღონისძიებებთან დაკავშირებით;

- კონკურენციის საკითხებზე სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ჩატარდა/მონაწილეობა იქნა მიღებული 10 ღონისძიებაში, ხოლო ანტიდემპინგურ ღონისძიებებთან დაკავშირებით - 2 ონლაინ სემინარში;
- მიმდინარეობდა 2 საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლა მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს აპარატის მიერ: მომზადებულ იქნა საბჭოს 545 გადაწყვეტილების პროექტი და 112 წარდგინება საჩივრის განხილვის შესახებ; ორგანიზება გაეწია საბჭოს 101 სხდომას; შედგენილ იქნა 367 სხდომის ოქმი; საბჭოსთვის განკუთვნილი სპეციალური ელექტრონული მოდულის მეშვეობით გაიგზავნა 374 საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული შეტყობინება/ინფორმაცია; სასამართლოში მიმდინარე დავებთან დაკავშირებით მომზადდა 13 შესაგებელი. გარდა ამისა, კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა სხვა ღონისძიებები;
- ელექტრონულ მოდულში აისახა: ინფორმაცია 374 საჩივრის დასაშვებად ცნობის შესახებ; ინფორმაცია 49 საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ; ინფორმაცია 77 საჩივრის დაზუსტების შესახებ და საბჭოს მიერ მიღებული 357 საბოლოო გადაწყვეტილება.

5.13 სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 38 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

- კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შემოსული ინფორმაციის ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, გამოვლინდა და „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 36 საქმე გადაეცა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს და შემოსავლების სამსახურს;
- საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა კანონპროექტი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ;
- სამსახურმა განაგრძო მუშაობა საქართველოს კანონის ახალ პროექტზე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტი ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) მიერ 2020 წლის სექტემბერში საქართველოს ერთობლივი შეფასების ანგარიშში გამოთქმულ, ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან შემხებლობაში მყოფი რეკომენდაციების მოქმედ კანონში ასახვას.

5.14 საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

- მომზადდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ევროპალატის კვლევაში - რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ევროკავშირსა და ევროპალატის წევრ ქვეყნებზე, ევროპალატას მიეწოდა ინფორმაცია საქართველოზე და ევროპის მასშტაბით რუსეთ-უკრაინის ომის ეკონომიკური გავლენის შედეგებთან დაკავშირებით მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, ასევე ინფორმაცია პალატის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და ინიციატივებზე ომის შედეგად დაზარალებული უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად;
- გაიმართა ევროპალატის და სავაჭრო პალატის ერთობლივი პროექტის „EU4BCC" ბენეფიციარების დაკავშირების ონლაინ ფორუმი, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ქართული, ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები;
- მიმდინარეობდა საქართველოსა და ესტონეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების ერთობლივი პროექტი: „ქალ მეწარმეთა განვითარების პროგრამა საქართველოში", რომლის ფარგლებში განხორციელდა 20 ქართველი, ქალი მეწარმისთვის ესტონეთში სასწავლო ვიზიტი. პროექტის მიზანია ქართველ ქალ მეწარმეთა ეკონომიკური გაძლიერება, ესტონური გამოცდილების გაზიარების გზით და საქართველო-ესტონეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. პროექტი ხორციელდებოდა ესტონეთის მთავრობის (Estonian Development Aid program) ფინანსური მხარდაჭერით;
- გაფორმდა თესალონიკის და კამბოჯის პალატებთან ურთიერთგაგების მემორანდუმი;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთობლივი პროექტის ფარგლებში - დაიდენტიფიცირდა ქალთა გაძლიერების პრინციპების პოტენციურ ხელმომწერი კომპანიები. კომუნიკაცია განხორციელდა 70 კომპანიასთან, მათგან უშუალოდ ხელმოწერის პროცესი შედგა 15 კომპანიასთან;
- დამოწმდა 177 ერთეულამდე საბუთი და გაიცა 2 474 წარმოშობის სერტიფიკატი;
- ახალი პროექტის „მითი თუ რეალობა" ფარგლებში - გადაიღებული იქნა 2 საინფორმაციო ხასიათის ვიდეო ეკონომიკურ საკითხებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით;
- ჩატარდა საქართველო-ჩეხეთის ბიზნეს ფორუმი, რომელსაც 200-მდე ქართული და ჩეხური კომპანია ესწრებოდა;
- გაიმართა პროექტ ,,100 ვებ-გვერდი ბიზნესს" პრეზენტაცია, გამარჯვებულ მეწარმეებთან შეხვედრა და მათი პროდუქციის გამოფენა;
- „საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი თბილისის ივენთ-ჰოლში" - განხორციელდა საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებით და თბილისის მუნიცილაპიტეტის მერიის მხარდაჭერით ბავშვებისთვის ტარდიციულ ფორმატში;
- თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჯუზეპე ვერდის ,,ნაბუკო"-ში ქართველი მაყურებლის წინაშე წარსდგა ცნობილი საოპერო მომღერალი, ბარიტონი გიორგი გაგნიძე. სპექტაკლის დასრულების შემდეგ საქართველოს კულტურის პალატის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ოპერის წინ საზეიმოდ გაიხსნა გიორგი გაგნიძის სახელობის ვარსკვლავი;
- მიმდინარეობდა ახალი საქველმოქმედო პროექტი - "გახდი სიკეთის მონაწილე, გადაარჩინე სიცოცხლე!" საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან ერთად, რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების მხარდაჭერა და დახმარება;
- ტრადიციულად ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული პროექტი „კულისებს მიღმა" - დაჯილდოვდა სამედიცინო სფეროს 10 ქალბატონი, რომლებიც რამოდენიმე ათეული წელია ემსახურებიან თავიანთ პროფესიას და არიან გამორჩეულები;
- უკრაინაში რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებების განხორციელების შედეგად, უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად (ტურიზმის განვითარების ასოციაციასთან და საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტთან ერთად) - საქველმოქმედო აქცია - „მე, შენ, ჩვენ - ერთად სიცოცხლისათვის, ერთად უკრაინისთვის“ ფარგლებში, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად შეგროვდა ჰუმანიტარულ ტვირთი, რომელსაც ქალაქ ივანო-ფრანკოვსკის ვ. სტეფანიკის სახელობის კარპატისპირა ეროვნული უნივერსიტეტმა მიიღო;

- საქველმოქმედო კონცერტები გაიმართა „სუხიშვილები უკრაინისთვის“ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში - უკრაინაში რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედბების განხორციელების შედეგად უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად;
- გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ ქუთაისში, ღია ცის ქვეშ მთავარ მოედანზე, ინსტრუმენტული ბენდის „ნიუტონი“ (5 მუსიკოსის შემადგენლობით) და მრავალ კონკურსებში გამარჯვებული საუკეთესო ვოკალის მქონე 12 ახალგაზრდა მომღერლის მონაწილეობით ცოცხალი შესრულებით;
- ზუგდიდში, ზუგდიდის მინიციპალიტეტის მერიის რეკომენდაციით გაიმართა საქართველოს დამსახურებული ქორეოგრაფის ემირ ნადარეიშვილის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება და სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ცერემონია;
- დედოფლისწყაროში, გაიმართა სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავის, ძიუდოში ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ბექაურის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ცერემონია;
- გაიმართა ბოლნისის სახალხო თეატრის 80 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება და თეატრის სახელობითი საიუბილეო ვარსკვლავის გახსნის ცერემონია;
- ახალციხეში ჩატარდა წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი „ახალგაზრდები საქართველოსთვის“, ღია ცის ქვეშ რაბათის ციხის ტერიტორიაზე, ინსტრუმენტული ბენდის „ნიუტონი“ და მრავალ კონკურსებში გამარჯვებული საუკეთესო ვოკალის მქონე 12 ახალგაზრდა მომღერლის მონაწილეობით.

5.15. მოსახლეობის და საცხოვრისების საყოველათაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- დაიწყო მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის მზადება, კერძოდ მიმდინარეობდა: საერთაშორისო რეკომენდაციების და სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა; მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარის დიზაინის შემუშავება; მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგიური სამუშაოები; ელექტრონული გეოინფორმაციული რუკების განახლება GIS პროგრამაში;ბიზნეს სუბიექტების კოორდინატების ბაზების განახლება;
- ივნისში გაიმართა საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის პირველი სხდომა, რომლის დროსაც დამტკიცდა საქართველოს მოსახლეობის 2024 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ხოლო მოსახლეობის გამოთვლის მომენტად (მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი) 13-14 ნოემბრის შუაღამის 12 საათი.

5.16 ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 23 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

- აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ერთიან სახელმწიფო რეესტრში სრულად რეგისტრირებულია 450 აუდიტორი და 270 აუდიტორული ფირმა;
- დასრულდა 15 და მიმდინარეობს 12 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი;
- დასრულდა 14 საქმიანობის ინდივიდუალურად გამხორციელებელი აუდიტორის და 10 აუდიტორული ფირმის სავალდებულო შემოწმება, რის შედეგადაც მათ მიენიჭათ სტატუსი „კატეგორიის გარეშე";
- სამსახურმა აუდიტორული ფირმების, აუდიტორების და სხვა დაინტერესებული პირების საყურადღებოდ, 2022 წლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ძირითადი ასპექტების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, სადაც მონიტორინგის სახეები, ვადები, მონიტორინგის დაწყების ინდიკატორები და პროცესის აღწერილობა არის ასახული;
- სამსახურსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა;
- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესში განახორციელდა შესაბამისი ცვლილებები;
- სამსახურის წარმომადგენლები აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) მიერ ორგანიზებულ აუდიტის ინსპექტირების რიგით მეთექვსმეტე სემინარს ვირტუალურ რეჟიმში დაესწრენ;
- სამსახურმა თარგმნა და ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოიღო აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები (2020 წლის გამოცემა);
- სამსახურმა თარგმნა და ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოიღო ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) 2020 წლის გამოცემა.
- შეიმუშავდა და ვებგვერდზე განთავსდა 2021 წლის საქმიანობის შედეგების შესახებ წლიური ანგარიში;
- ვებგვერდზე აუდიტის კომიტეტებისთვის ახალი ჩანართი განთავსდა;
- სამსახურმა თარგმნა და ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოიღო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების 2022 წლის გამოცემა;
- ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (Reportal.ge | SARAS) გასაჯაროებულია 9 743 საწარმოს 12 233 ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (Reportal.ge) სამსახურის მხრიდან აღნიშნულ ანგარიშგებებზე გაიცა 508 გაფრთხილება/ხარვეზის აქტი, დახარვეზებულთა რაოდენობა წარმოადგენს გასაჯაროებული ანგარიშგებების 4 %-ს.
- 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით ანგარიშგების წარუდგენლობის შემთხვევებზე გაიცა 398 ჯარიმა და 88 ორმაგი ჯარიმა, სამსახურმა ასევე გასცა 135 აღსრულების ფურცელი;
- 2022 წლის პირველ ნახევარში მეოთხე კატეგორიის საწარმოების მიმართ გაიცა 22 000-მდე წერილობითი გაფრთხილება ანგარიშგების წარუდგენლობის მიზეზით, აქედან 8 000-მდე მეოთხე კატეგორიის საწარმომ უკვე წარადგინა ანგარიშგება.
- 2022 წლის პირველ ნახევარში ანგარიშგების მიმართულებით შემოვიდა 3 222 ზარი და 2 104 მეილი, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა ანგარიშგების წარდგენის საკითხებს. შემოსულ მეილებზე პასუხი სრულად არის გაცემული კანონით განსაზღვრულ ვადებში;
- ანგარიშგების წარდგენის სიკეთეების ხასგასმის მიზნით, მომზადდა სექტორების მიხედვით წარდგენის მაჩვენებელის შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული მოიცავს რამდენიმე კოეფიციენტს, რომელიც დათვლილია წარდგენილი ციფრული ფორმების მიხედვით;

- შემუშავდა და გამოქვეყნდა შემდეგი სახელმძღვანელოები: -„2020 და 2021 წლების ანგარიშგების განხილვის პრიორიტეტები“, -„ფინანსური ანგარიშგების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები - მეორე გამოცემა“, „სახელმძღვანელო მითითება COVID 19-თან დაკავშირებით - მეორე გამოცემა“.
- 2022 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა 15 ანგარიშგების დეტალური შემოწმება ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. ასევე, დავიწყეთ ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციის236 საფუძველზე წარდგენილი ანგარიშგებების შემოწმება. საწარმოებმა დაიწყეს სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინება, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად უმჯობესდება ანგარიშგების ხარისხი;
- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, პოლონელი ექსპერტები არიან ჩართული XBRL პროექტის განსახორციელებლად საჭიროებების მოკვლევის ნაწილში. ამავდროულად, მოვახდინეთ კომუნიკაცია შემოსავლების სამსახურთან, რათა მოხდეს XBRL-ის პროექტის დამატება მსოფლიო ბანკის მეირ დაფინანსებულ მათ პროექტში, აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს აგრეთვე კომუნიკაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან;
- სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებებთან, მათ შორის სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და აღსრულების ეროვნული ბიურო, საინფორმაციო ბაზების გაცვლისა და სააღსრულებო ფურცლის ავტომატური გენერირების საკითხებზე;
- სსიპ-თან „აწარმოე საქართველოში“ თანამშრომლობის ფარგლებში და AML ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნებისთვის, დაინიცირდა და განხორციელდა ცვლილება ნორმატიულ აქტში. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა ასევე, ანგარიშგების წარდგენის სისტემაში.
- ცნობიერების ამაღლების მიზნით სამსახურმა მონაწილეობა მიიღო: -ბუღალტრებისთვის განკუთვნილ შეხვედრებში, სადაც სამსახურის წარმომადგენელმა ისაუბრა ანგარიშგების წარდგენისთვის აქტუალურ საკითხებზე; -ღონისძიებაში, თემაზე „ბიზნეს სუბიექტების მიერ 2020 წელს წარდგენილი მმართველობის ანგარიშგებების კვლევა“; -სატელევიზიო გადაცემაში, სადაც სამსახურის წარმომადგენელმა ისაუბრა მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ სიახლეებზე.

5.17 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

- დაიწყო ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო/ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად" განხორციელება იტალია-ესპანეთის კონსორციუმის მიერ;
- 2022 წლის 6 თვის მდგომარეობით მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში სააგენტოს მეტროლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობამ შეადგენა 65 CMC ჩანაწერი;
- საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების ქართულენოვან ვერსიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დამტკიცდა 2022 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამის პირველი ნაწილი;
- შემუშავდა სტანდარტიზაციის ეროვნული სტრატეგიის (NSS) პროექტი;
- შეიქმნა სტანდარტიზაციის ახალი ტექნიკური კომიტეტი „ტერმინოლოგიაში“ (ტკ 9);
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025:2017 მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის

ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური ანალიზი/მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან;

- სააგენტოს რადიაციული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ჩატარდა გეგმიური აუდიტი ლიცენზიების პირობების შესაბამისად;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდინარეობდა ეტალონების მზადყოფნასთან და შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის ეტალონებისა და სანიმუშო გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, მათი შუალედური შემოწმება, საერთაშორისო და ორმხრივი შედარებებში მონაწილეობა და სხვა;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების აღჭურვილობის ბაზის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოს ეტალონური განყოფილებების მიერ მომზადდა 2022წ. განმავლობაში შესაძენი აღჭურვილობის სიები. pH-მეტრიის ლაბორატორიისთვის მიწოდებულ იქნა 2 ელექტროდი pH-მეტრისათვის METTLER TOLEDO, წნევის ლაბორატორიისათვის შეძენილი იქნა სანიმუშო ბარომეტრი MSB780X და საკონტროლო ბარომეტრი M-67;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური „განყოფილებების ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა 2022 წ. დასაკალიბრებელი ხელსაწყოების დაკალიბრების პროგრამები. მიმდინარეობდა აღნიშნული პროგრამების ტექნიკური ექსპერტიზა, რის შემდეგაც გაანალიზდება სხვადასხვა ქვეყნის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების დაკალიბრებისა და გაზომვების შესაძლებლობები და სააგენტოს ეტალონები და სანიმუშო ხელსაწყოები გაიგზავნება დასაკალიბრებლად შესაბამის ორგანიზაციებში;
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო და ევროპული ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ „ონლაინ“ სემინარებში/შეხვედრებში;
- „Twinning“ პროექტის ფარგლებში, მოწვეული ექსპერტის მიერ განხორციელდა სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ISO 9001:2015 დანერგვასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების შეფასება;
- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს BIPM CB&KT-ის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცოდნის გადაცემის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ონლაინ ტრენინგებში: BIPM-ის ბაზების ახალ KCDB 2.0 ვერსიაში საერთაშორისო შედარებების პლატფორმის გამოყენების შესახებ (KCDB 2.0 - Online technical exchanges - COMPARISONS); KCDB 2.0 ვერსიაში CMC-ების დამწერლების პლატფორმის გამოყენების შესახებ (KCDB 2.0 - Online technical exchanges - CMC Writers in General Physics);
- PTB-ისთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ სემინარი თემაზე „მეტროლოგიის ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი გამოწვევები“;
- ჩატარდა შიდა ტრენინგი სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებისათვის დაკალიბრების სერტიფიკატის შევსების წესისა და სერტიფიკატის ფორმის შესახებ;
- რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების 4-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი/სწავლება რადიაციული უსაფრთხოების საკითხებზე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ლიცენზიის პირობების შესაბამისად. განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარებულ სემინარში „Site Security Plan“;
- ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ევროპელი ექსპერტების ვიზიტები და ონლაინ კონსულტაციები შემდეგ სფეროებში: აკუსტიკური გაზომვები, წნევის გაზომვები, ფიზ-ქიმია, ხარისხის მენეჯმენტის სისტემები საერთაშორისო სტანდარტების ISO/IEC

17025 და ISO 17034 სტანდარტების შესაბამისად. ასევე საკანონმდებლო დაახლოების კომპონენტის (კომპონენტი 1) ფარგლებში განხორციელდა ევროპელი ექსპერტის კონსულტაცია EU დირექტივების MID და NAWI-ის დანერგვის საკითხებზე;

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებები აქტიურად მონაწილეობენ გაზომვის ეტალონების საერთაშორისო/რეგიონალურ და ორმხრივ შედარებებში შემდეგ სფეროებში: ელექტროგაზომვები, მასა (მოცულობა), ტემპერატურა, სიგრძე და ფიზ-ქიმიური გაზომვები;
- PTB-ისთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში სააგენტოს ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების (როგორც წამყვანი/პილოტი ლაბორატორია) მიერ, ჩატარდა შედარებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის აკრედიტებული ლაბორატორიებისათვის ტემპერატურული გაზომვების სფეროში. აზერბაიჯანის ლაბორატორიებში დასრულდა გაზომვების ეტაპი. მიმიმდინარეობდა შედარების მეორე ეტაპი - სომხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიასთან შედარება;
- სააგენტოს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონურმა განყოფილებამ პირველად განახორციელა აზერბაიჯანის მეტროლოგიის ორგანიზაციის 500 კგ (8 ერთეული) და 1000 კგ (12 ერთეული) საწონების დაკალიბრება/იუსტირების სამუშაოები; მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარედგინა წლიური ანგარიში (Annual Report of the IAEA/WHO SSDL Network for 2021). ამავე განყოფილებაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით ჩატარდა საფოსტო აუდიტი (OSLD, IAEA) – კერმის გაზომვა ჰაერში;
- რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების მეირ დაკალიბრდა 64 ხელსაწყო, მათ შორის დამკვეთისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან - 3 ხელსაწყო. აგრეთვე, ჩატარდა 13 ნიმუშის რადიაციული კვლევა;
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების სპეციალისტების მიერ საკუთარი ძალებით შემუშავდა აკუსტიკური დახშული კამერის კონსტრუქცია, მიმდინარეობდა კამერის აგების პროცესი, რისთვისაც სააგენტოს მიერ შეძენილ იქნა შესაბამისი მასალები და საჭირო ინვენტარი;
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების მიერ ჩატარდა 3 ერთეული საკონტროლო-სალარო აპარატის გამოცდა;
- დარეგისტრირდა და დამტკიცდა ორი ერთეული გაზომვის საშუალების 11 ტიპი: BT2TA საბაქნო სასწორები, ფირმა „TÜM Elektronik müh. San. Tic.Ltd.Str“ (თურქეთი); ელექტრული ენერგიის სტატიკური მრიცხველები, შპს „НПК „Инкотекс”, შპს „НПФ „Моссар” (რუსეთის ფედერაცია); AMS B2 ელექტრული ენერგიის ერთფაზა სტატიკური მრიცხველი, კომპანია „Applied Meters, a. s.” (სლოვაკეთის რესპუბლიკა); „171 A, 171 B“ წყლის მრიცხველის (ულტრაბგერითი), „Diehl Metering GmbH“ (გერმანია); CE 307 ელექტრული ენერგიის სამფაზა მრავალფუნქციური მრიცხველი, სს „Electrotechnical Factories „Energomera” (რუსეთის ფედერაცია); CE 207 ელექტრული ენერგიის ერთფაზა მრავალფუნქციური მრიცხველის, სს „Electrotechnical Factories „Energomera” (რუსეთის ფედერაცია); „HUDRUS 173“ წყლის მრიცხველი (ულტრაბგერითი), „Diehl Metering GmbH“ (გერმანია); „HUDRUS 174“ წყლის მრიცხველი (ულტრაბგერითი), „Diehl Metering GmbH“ (გერმანია); „D3“ ცივი წყლის მრავალჭავლიანი მრიცხველის, „Diehl Metering SAS“ (საფრანგეთი); „Corona MWI2“ ცივი წყლის მრავალჭავლიანი მრიცხველი, „MOM Zrt.“ (უნგრეთი); „CONTAZARA CZUS“ წყლის ულტრაბგერითი მრიცხველი, (CONTADORES DE AGUA DE ZARAGOZA S.A.)“ (ესპანეთი);
- ჩატარდა გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები (სულ 75 641 ერთეული, მათ შორის: ელექტრო მრიცხველი - 2 707 ც; აირის მრიცხველი - 59 817 ც. და წყლის მრიცხველი - 13 117 ც.);

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 2 ნოტიფიკაცია საქართველოს სტანდარტის პროექტზე;
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ მიერ განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ევროკოდის „სსტ ენ 1990:2002/2022 ევროკოდი-კონსტრუქციული დაპროექტების საფუძვლები“ ქართულენოვანი ვერსიის და აღნიშნული ევროკოდისათვის შემუშავებული ეროვნული დანართის პროექტები;
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 2) „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ მიღებულ იქნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) სტანდარტის „ისო 19011:2018 - სახელმძღვანელო მენეჯმენტის სისტემების აუდიტისათვის“ ქართულენოვანი ვერსია.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ დარეგისტრირდა სულ 2 526 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 1 937; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 588; სსტ ისო (ქართულენოვანი ვერსია) – 1;
- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ გაიცა სულ 207 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 91; გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) - 14; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 55; სსტ ისო (ქართულენოვანი) - 38; სსტ ენ (ქართულენოვანი ვერსია) – 1; ასტმ/ASTM სტანდარტები - 6; სსტ იეკ (ელექტროტექნიკური კომიტეტის სტანდარტი) - 1; სსტ (ეროვნული) -1.

5.18 საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი (პროგრამული კოდი 03 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი

- საანგარიშო პერიოდში ბიზნესომბუდსმენის აპარატში დარეგისტრირდა 97 საქმე;
- ბიზნესომბუდსმენის აპარატში ბიზნესის წარმომადგენლებთან გაიმართა 200 პირდაპირი და ონლაინ შეხვედრა;

5.19 ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 24 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- სახელმწიფოს სახელით ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებები და დამატებები XIK, XIM, XIN, IXA, XIL, XIQ ბლოკებზე;
- 2022 წლის ბოლომდე გაგრძელდა ღია საერთაშორისო ტენდერი საქართველოს შავი ზღვის III სალიცენზიო ბლოკზე;
- ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „Georgia Oil and Gas LTD“-თან, რომლის თანახმადაც აღნიშნული კომპანია განახორციელებს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სახელმწიფო გამგებლობაში მყოფი ჭაბურღილების თაობაზე შექმნილი ინფორმაციის შესწავლას, ანალიზს და მოამზადებს შესაბამის ანგარიშს;
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისში CEEC-ს ფარგლებში გამართულ კონფერენციაში (მონაწილეობდა 70-მდე ნავთობისა და გაზის კომპანია); ბუჰარესტში გამართულ საერთაშორისო კომფერენციაში „Black Sea Oil & Gaz“, რომელიც ეძღვნებოდა ოფშორული

განვითარების წინსვლას თურქეთში, ბულგარეთსა და საქართველოში და NATO-ს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგში CORE22-G;

- მიმდინარეობდა ხმელეთის X და XII ბლოკების, მანავის და აღმოსავლეთ ნინოწმინდის ფართობების ბაზაზე ახალი სალიცენზიო ბლოკების ფორმირება ტენდერზე გასატანად;
- განხილულ იქნა და დამტკიცდა შავი ზღვის II სალიცენზიო ბლოკზე „OMV PETROM S.A.“-ს სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები;
- დამტკიცდა „Georgia Oil and Gas LTD“-ის მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში;
- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მიმდინარეობდა სამუშაოები საიფორმაციო ჰაბის (არსებული გეოლოგიური, გეოფიზიკური მასალების, ჭაბურღილების ტექნიკური მონაცემების ელექტრონული ვერსიების საინფორმაციო ბაზის) შესაქმნელად;
- განხილულ და დამტკიცებულ იქნა განაცხადები: ნავთობისა და გაზის ნარჩენების ჩაჭირხვნაზე ნინოწმინდას 96z ჭაბურღილში; ნორიოს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სეისმო საძიებო სამუშოების ჩატარებაზე: WR B01 ST ჭაბურღილის მეორე ლულის ბურღვაზე უფლებამოსილებების მისანიჭებლად;
- სააგენტოში მიმდინარეობდა გეოლოგიური და გეოფიზიკური მასალების სისტემატიზაცია და აციფვრა;
- სისტემატიურად მიმდინარეობდა ლიცენზიანტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების ანალიზი, სისტემატიზაცია და ინფორმაციის კონტროლი;
- გრძელდება ნავთობისა და გაზის ოპერაციების მიმდინარეობის ინსპექტირება ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კუთხით და კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი (განხორციელდა XIE, XIB, XIF სალიცენზიო ბლოკების და სამგორის სამხრეთი თაღის წლიური მონიტორინგი);
- მიმდინარეობდა კანონპროექტის „ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ“ შემუშავება. ევროსაბჭოს 2009/119/EC დირექტივის შესაბამისად მომზადდა კანონპროექტი, რომელიც „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში გაზსაცავის მარეგულირებელი დებულებების შემოღებასთან ერთად ითვალისწინებს ევროსაბჭოს 1994 წლის 30 მაისის 94/22/EC დირექტივით განსაზღვრული გამონაკლისების დადგენასაც. მიმდინარეობდა ზემოხსენებული კანონპროექტის და თანმდევი კანონების ცვლილებების რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

5.20. საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო (პროგრამული კოდი - 53 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოში შემოვიდა საჯარო და კერძო თანამშრომლობის 18 პოტენციური პროექტი (ხაშურის მზის ელექტროსადგური, გლდანის მზის ელექტროსადგური 1, გლდანის მზის ელექტროსადგური 2, გვახა ჰიდროელექტროსადგური, გლდანის მზის ელექტროსადგური 3, ქსნის მზის ელექტროსადგური, ხუმპრერი ჰიდროელექტროსადგური, სკრას ქარის ელექტროსადგური, ჰიდროელექტროსადგური ენგურჰესის კაშხალთან, ურბნისის ქარის ელექტროსადგური, ბრეთის ქარის ელექტროსადგური, თბილისის ჰიდროელექტროსადგური, ლარსი 2 ჰიდროელექტროსადგური, სორგითი 1 ჰიდროელექტროსადგური, სორგითი 2 ჰიდროელექტროსადგური, გარეჯის მზის ელექტროსადგური, ჩერო ენერჯი-ვესტ ქარის ელექტროსადგური, ქსნის მზის ელექტროსადგური 2). სააგენტომ განიხილა პროექტების შეფასებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი და მოამზადა კანონმდებლობით გათვალისწინებული რეკომენდაციები;

- საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ რამდენიმე შეხვედრა გამართა, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის პოტენციურ ინვესტორებთან, მონაწილეობა მიიღო ქართულ საკონსულტაციო კომპანია „რეფორმების ლაბორატორიის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, აქტიურად ჩაერთო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ენერგეტიკის პროგრამის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ონლაინდისკუსიაში, რომელიც მიეძღვნა გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების (PPA) საკითხებს. სააგენტომ უმასპინძლა სამედიცინო საჯარო მომსახურებაში ინვესტირებით დაინტერესებული ფონდის “City Cancer Challenge” წარმომადგენლებს. სააგენტოს ასევე ესტუმრნენ „ჩინეთის გზების და ხიდების კორპორაციის“ მენეჯერები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ბაზარს განახლებადი ენერგიის სექტორში მსხვილი ინვესტიციის განხორციელების მიზნით. გარდა ამისა, შეხვედრები შედგა „DL (Daelim) Group”-ის ინდუსტრიულ ჯგუფში შემავალი კომპანიის ,,DL E&C Co Ltd”-ის წარმომადგენლებთან, ასევე საერთაშორისო კომპანია EDF-ის დსთ-ს რეგიონის ხელმძღვანელთან. ორივე კომპანია დაინტერესებულია საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობის მსხვილი პროექტების განხორციელებით;
- მიმდინარე წლის თებერვალში, სააგენტომ უმასპინძლა სტუმრებს სამხრეთ კორეის რესპუბლიკიდან, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოში, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ინსტრუმენტის გამოყენებით, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში ინვესტიციის განხორციელებით. კერძოდ, პროექტი გულისხმობს საქართველოში ეკონათურების (LED) წარმოებასა და შემდგომში პროდუქციის კავკასიის რეგიონში რეალიზაციას, ასევე საქართველოში არსებული ავტობანების, სახელმწიფო და ადგილობრივი გზების განათების სისტემების შეცვლა/მომსახურებით უზრუნველყოფას.
- საანგარიშო პერიოდში, სააგენტომ ონლაინშეხვედრა გამართა InterHealth Canada-ს წარმომადგენელთან. მსხვილი კანადური კომპანია, რომელიც ცნობილია თავისი ინოვაციური მიდგომებით და გააჩნია 25-წლიანი გამოცდილება ჯანდაცვის სერვისების შემუშავებაში, დანერგვასა და მიწოდებაში, დაინტერესებულია საქართველოში ჯანდაცვის სფეროში ინვესტირებითა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელებით.
- მიმდინარე წლის მარტში, სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „Rothschild & Co“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. კომპანიის ძირითად საქმიანობას საფინანსო სერვისების მიწოდება წარმოადგენს და, ფართო გლობალური ქსელის საშუალებით, ის წარმატებით ოპერირებს მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელი დაინტერესდა საქართველოს საინვეტიციო გარემოთი, ასევე სექტორებით, სადაც შესაძლებელია საჯარო მომსახურების შექმნა/გაუმჯობესება და საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელება;
- მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებულ ონლაინშეხვედრაში, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ საქართველოში ინვესტიციის განხორციელებით დაინტერესებული, არაბული კომპანია MASDAR-ის წარმომადგენლები. კომპანია MASDAR-მა გამოხატა ინტერესი საქართველოში საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების მიმართულებით, რაც გულისხმობს დაახლოებით 100 მეგავატი სიმძლავრის მზის ელექტროსადგურის აშენებას;
- მიმდინარე წლის აპრილში, გაიმართა საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული ტრენინგი, რომლის მიზანი იყო სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება და საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ ცნობიერების გაზრდა. ტრენინგებს ენერგეტიკის სფეროს საერთაშორისო გამოცდილების მქონე ექსპერტები უძღვებოდნენ.
- საანგარიშო პერიდოში, მონაწილეობა იქნა მიღებული ესპანეთში გამართულ საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) რიგით მეექვსე საერთაშორისო ფორუმში;

6. ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

6.1 საკანონმდებლო საქმიანობა

6.1.1 საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა (01 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პარლამენტის აპარატი

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საქართველოს პარლამენტის 26 პლენარული სხდომა, მიღებულია 86 კანონი, 307 დადგენილება, 14 დადგენილება ხელშეკრულების რატიფიცირებაზე, 39 დადგენილება საკადრო საკითხებზე და 2 რეზოლუცია.
- ჩატარდა 235 კომიტეტის სხდომა;
- პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღეს 18 საპარლამენტო ასამბლეაში;
- გაიმართა 191 შეხვედრა საერთაშორისო პარტნიორებთან.
- განხილულ იქნა 507 კანონპროექტი, 64 საკანონმდებლო წინადადება და 72 საერთაშორისო ხელშეკრულება;
- წარმოებაში მიღებულ იქნა 5997 წერილი/განცხადება;
- გაიმართა 974 შეხვედრა მოქალაქეებთან, არასაბთავრობო ორგანიზაციებთან და შესაბამისი დარგის წარმომადგენლებთან;
- შეიქმნა 38 სამუშაო ჯგუფი;
- განხორციელდა 28 აქტივობა ევროკავშირთან ასოცირების მიმართულებით;

6.1.2 საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პარლამენტის აპარატი;

- საანგარიშო პერიოდში ფრაქციები აქტიურად მონაწილეობდნენ საკანონმდებლო პროცესში, საკუთარი პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით იღებდნენ გადაწყვეტილებებს.
- მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროებმა მიიღეს მოქალაქეების წერილობითი განცხადებები და ზეპირი მომართვები, რაზეც მოახდინეს რეაგირება. შედგა საჯარო შეხვედრები ამომრჩევლებთან.

6.1.3 საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 01 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პარლამენტის აპარატი

- ადმინისტრაციული მხარდაჭერის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭირვალობა და ხელმისაწვდომობა, საჯარო ინფორმაციის მიწოდება, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ანგარიშვალდებულება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება და სხვა.
- საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საქმისწარმოების დეპარტამენტში სულ რეგისტრირებულია 14 962 დოკუმენტი;
- პარლამენტის აპარატის სასწავლო ცენტრში თანამშრომლებისთვის გათვალისწინებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების კუთხით ჩატარდა 16 ტრენინგიდა და გადამზადდა 142 თანამშრომელი.
- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ ჩატარდა - 4 საბჭოს სხდომა;
- გაიმართა - 96 შეხვედრა თბილისში;
- შედგა - 15 გასვლითი შეხვედრა/ვიზიტი საქართველოს რეგიონებში და 2 ვიზიტი ქვეყნის გარეთ;
- გაიმართა - 49 ფორუმი/კონფერენცია/სიტყვით გამოსვლა;

6.2 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

- მომზადდა „2020 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 12 ივლისის №710-Vრს-Xმპ დადგენილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი გაცემული დავალებების შესრულების ანგარიში;
- მომზადდა მოსაზრებები და ანალიზები რიგი საკანონმდებლო ინიციატივებისა და კანონპროექტების შესახებ:
  - ✓ საკანონმდებლო ინიციატივა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები, რომლებითაც იხსნება ძალადობის მსხვერპლისთვის შესაბამისი სერვისებით სარგებლობისთვის დადგენილი ბიუროკრატიული ბარიერები;
  - ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული კანონის პროექტებზე: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც ეხებოდა განრიდება-მედიაციის ინსტიტუტის პროცესუალურ დახვეწას;

- ✓ კანონპროექტებზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ", „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ", „იურიდიული დახმარების შესახებ" და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" ცვლილებების შეტანის შესახებ;
- ✓ ციფრული აქტივებით ვაჭრობისა და ციფრული აქტივების ბაზრის რეგულირების, სფეროში შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკის ჭრილში უკრაინის კანონის პროექტი „ციფრული აქტივების შესახებ". ანალიზის ფარგლებში იდენტიფიცირდა კანონის პროექტით მოწესრიგებულ საკითხთა ჩამონათვალი, გაანალიზდა კანონის პროექტის მიუღებლობის შესაძლო მიზეზები, ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი შესაძლო კონფლიქტი და სამომავლო პერსპექტივები;
- ✓ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

- მომზადდა:
  - ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული 2022 წლის სამოქმედო გეგმა (პროექტი) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული შშ პირთა საჭიროებების შეფასების კითხვარი;
  - ✓ ანგარიში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში არსებულ საკითხებზე პარლამენტის 2021 წლის №710-Vს-Xმპ დადგენილებით მთავრობისთვის გაცემული დავალებების შესრულებაზე;
  - ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2021 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში;
  - ✓ სახელმწიფოთა პრაქტიკის კვლევა პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ზღვრულ ასაკთან დაკავშირებით;
  - ✓ კვლევა საზღვარგარეთის ქვეყნების იუსტიციის სამინისტროების ადმინისტრაციის ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის შესახებ;
  - ✓ კვლევები სხვადასხვა სახელმწიფოში დადგენილი საპენსიო ასაკის, ასევე, ამავე სახელმწიფოებში მოსამართლეებისთვის საპენსიო ასაკის შესახებ;
  - ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით 2021-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ ანგარიში (ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისადმი);
  - ✓ ანგარიში ევროპის საბჭოს პენიტენციური სისტემის 2022 წლის სტატისტიკის (SPACE I WEB-2022) თაობაზე (ევროპის საბჭოსადმი);
  - ✓ ანგარიში პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანდაცვის თემაზე სტატისტიკური მონაცემების თაობაზე (HIPED) (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისადმი);
  - ✓ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მე-5 პერიოდული ანგარიში;
  - ✓ ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები;
  - ✓ სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებთან გასაფორმებელი მემორანდუმები; ასევე, ავსტრიის იუსტიციის ფედერალურ სამინისტროსა და პოლონეთის იუსტიციის სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების პროექტები;
  - ✓ იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთის სამმხრივი ფორმატი;
  - ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში უსინათლო, ყრუ და/ან მუნჯი, ან წერა-კითხვის არმცოდნე პირის მონაწილეობით ხელმოწერის საკითხის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმების შესახებ საინფორმაციო დოკუმენტი;

- ✓ სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტები, პენიტენციურ სისტემაში უსაფრთხოების ოფიცერსა და ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებს შორის რაოდენობის თანაფარდობასთან დაკავშირებით;
- ✓ ადამიანის უფლებების დაცვის, კორუფციასთან ბრძოლისა და მედიის თავისუფლების მიმართულებით სართაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციონირების შესახებ საინფორმაციო-ანალიტიკური დოკუმენტი;
- ✓ Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მეორადი მიმოხილვა;
- ✓ ანალიტიკური დოკუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ დეფინიციასთან მიმართებაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კონტექსტში.

- განხორციელდა კანონშემოქმედებითი საქმიანობის ყოველწლიური გეგმით განსაზღვრული და სხვა სახის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ასევე, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული ყველა საკანონმდებლო აქტის პროექტის, საქართველოს მთავრობისა და სხვა ცალკეული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზა; არსებითი დახმარება გაეწია სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ცალკეული საკანონმდებლო აქტის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტების შესწორების, მათი შინაარსის თაობაზე რეკომენდაციების მიწოდებისა და სამართლებრივი კონსულტაციების სახით;
- ევროკავშირის სამართლის წყაროებთან დაახლოების მიზნით გაცემული იქნა 20 დასკვნა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და 3 დასკვნა საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შესახებ;
- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მთავრობის პოზიციის წარდგენის მიზნით დამუშავდა 36 საქმე (15 საქმეზე გაიგზავნა 30 კომპლექსური დოკუმენტი, ხოლო 6 საქმეზე გაიგზავნება უახლოეს მომავალში). ამასთან, გაიგზავნა მთავრობის პოზიცია გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტში (“HRC”) – 2 საქმეზე და გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტში (“CRC”) – 1 საქმეზე;
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ დაიხურა 3 საქმე („საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №40394/10, 2020 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება) და „ილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №62866/19, 2020 წლის 29 სექტემბრის განჩინება) და „ქადაგიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №12391/06, 2020 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება);
- 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს მიერ რუსეთის კოორდინაციით ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ 370 ინდივიდუალურ საჩივარზე („ცხოვრებოვა საქართველოს წინააღმდეგ და 369 სხვა საჩივარი“) გამოაქვეყნებული იქნა განჩინება და საჩივრები დაუშვებლად გამოცხადდა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ხსენებული საჩივრები იყო აშკარად დაუსაბუთებელი, ვინაიდან ვერ იქნა წარდგენილი მინიმალური სტანდარტის მტკიცებულებები მომჩივანთა პრეტენზიების გასამყარებლად;
- მომზადდა რამდენიმე კომპლექსური ანგარიში: 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ – დასრულებული საქმეები (მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 2021 წელს 2 გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე); 2021 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ – მიმდინარე საქმეები (მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 53 გადაწყვეტილებისა და 24 განჩინების აღსრულების

მდგომარეობის თაობაზე) და 2021 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ (მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 2 აღსასრულებელი გადაწყვეტილების თაობაზე);

- აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ჰააგის სასამართლო);
- უზრუნველყოფილი იქნა 10 საარბიტრაჟო დავის ფარგლებში სახელმწიფო წარმომადგენლობა;
- სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა რიგ ხელშეკრულებების პროექტებსა და საკითხებს როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის, ასევე კერძო სამართლის მიმართულებით;
- საქართველოს სასამართლოებში წარმომადგენლობის მიმართულებით 41 სასამართლო დავიდან დასრულდა 18 სასამართლო დავა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრდა სასამართლო გადაწყვეტილება/განჩინება 6 საქმეზე. ასევე, 2 დავასთან დაკავშირებით განხორციელდა წარმომადგენლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;
- მიმდინარეობდა სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში მოქმედი ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია და უცხო ქვეყნის ფიზიკური/იურიდიული პირებისათვის სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა;
- წარმოებაში იყო ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხთან დაკავშირებით 38 საქმე. შესაბამისად, მიმდინარეობდა თანამშრომლობა უკრაინასთან, ისრაელის სახელმწიფოსთან, საბერძნეთის, საფრანგეთის, ერაყის, ბელარუსის, კვიპროსის, იტალიის, გერმანიის ფედერაციულ, სომხეთის, ყაზახეთის და პოლონეთის რესპუბლიკებთან, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდის გაერთიანებულ, ნიდერლანდების და ესპანეთის სამეფოებთან. მუშაობა დასრულდა 24 საქმეზე;
- სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით განხორციელდა 36 ძებნილი პირის ექსტრადიცია. აქედან 31 ძებნილი პირი გადაეცა უცხო ქვეყანის შესაბამის ორგანოებს საქართველოდან, ხოლო 5 ძებნილი პირი ექსტრადირებულ იქნა საქართველოში;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში მიგრაციის სამთავრობო კომისიას წარედგინა ანგარიში მიგრაციის სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის მე-4 კვარტლისა და სრული 2021 წლის შესრულების თაობაზე; მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების (2021 წლის) ანგარიში;
- მომზადდა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შუალედური (2021 წლის) ანგარიში;
- ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკის დახვეწისა და ნარკოვითარების მონიტორინგის მიზნით EMCDDA-თან თანამშრომლობით მომზადდა ეროვნული ნარკოკანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა და ანალიზი და ინფორმაცია განთავსდა EMCDDA-ს ოფიციალურ გვერდზე; მომზადდა დაწესებულებათა ევროპული კვლევის (EFSQ) ანგარიში, ითარგმნა ქართულად და გაუზიარდა EMCDDA-ს; მომზადდა კვლევის „ევროპული ვებგამოკითხვა ნარკოტიკებზე“ ანგარიში და საინფორმაციო ცნობარი და გაუზიარდა EMCDDA-ს და მომზადდა მოსაზრებები ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ ოდენობის ცვლილების კანონის პროექტზე; დამუშავდა ნალოქსონის სარეცეპტო სიიდან ამოღების საკითხზე პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილების პროექტი;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხების ფარგლებში მომზადდა ანგარიში ეუთოს კითხვარზე - „ქცევის კოდექსი“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ების კომპეტენციებს მიკუთვნებულ საკითხებზე, მომზადდა

ინფორმაცია MONEYVAL-ის გაძლიერებული follow up ანგარიშისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებული პირების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე და მომზადდა რეკომენდაციები და კომენტარები „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის 2022-2025 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმაზე“;

- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის ფარგლებში განახლდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი;
- განახლდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმა (იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში).

6.3 სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- სისტემური რეგისტრაციის პროექტის „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ ფარგლებში დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები და საინფორმაციო კამპანია გეგმით გათვალისწინებულ ყველა გეოგრაფიულ არეალზე, კერძოდ, 31 ადმინისტრაციულ ერთეულში საველე სამუშაოების ფარგლებში აზომილი იქნა და სამართლებრივი დამუშავება დასრულდა 34 785 მიწის ნაკვეთი (10 380 ჰა);
- მიმდინარეობდა ახალი პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტულად აქტიური არეალების, მუნიციპალური და მაგისტრალური გზების 360-გრადუსიანი პანორამული სურათების – ე.წ. ქუჩის ხედის მონაცემების წარმოება და „Google Maps“-ზე ინტეგრაცია. აღწერილი იქნა სოფლის ტიპის ყველა დასახლებული პუნქტის სანავიგაციო მონაცემები ციფრულ ფორმატში საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, სენაკი, მარტვილი, მესტია, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ზუგდიდი), ასევე, განხორციელდა სამუშაოები ქუჩების 360-გრადუსიანი გადაღების „Street View“ (ქუჩის ხედი) მიმართულებით 9 მუნიციპალიტეტში (თბილისი, საგარეჯო, მცხეთა, კასპი, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი).

6.4 სახელმწიფო აუდიტის სამსახური (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი;
- ✓ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმა განისაზღვრა 52 აუდიტით, მათ შორის: 13 ფინანსური, 27 შესაბამისობისა და 12 ეფექტიანობის აუდიტი. არსებული მდგომარეობით მიმდინარეობდა 13 ფინანსური, 21 შესაბამისობისა და 7 ეფექტიანობის აუდიტი. გეგმით განსაზღვრული ყველა აუდიტი მიმდინარეობს აუდიტის მართვის სისტემის (AMS) გამოყენებით;

- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ საქართველოს მთავრობის ანგარიშზე;
- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში;
- საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის (www.aris.sao.ge) საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგვა;
- საჯარო აუდიტის ინსტიტუტის სერტიფიცირებისა და ტრენინგების სამსახურის მიერ შემუშავდა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით განხორციელდა მთელი რიგი სასწავლო ტრენინგები და პროგრამები, მათ შორის: საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა, სადაც მონაწილეობა მიიღო 25-მა მსმენელმა; სერტიფიცირების კურსის მოდულზე - საბიუჯეტო კანონმდებლობა წარმოდგენილი იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 5 თანამშრომელი; სერტიფიცირების კურსის მოდული - საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS), კურსი გაიარა 5-მა თანამშრომელმა; სერტიფიცირების კურსის მოდული - ფინანსური აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; შესაბამისობის აუდიტი - ტრენინგებს დაესწრო 5 - 5 თანამშრომელი; აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის (AMS) ტრენინგი ჩატარდა 4 ჯგუფისათვის, რომელსაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის - 52 თანამშრომელი ესწრებოდა;
- ტრენინგები ჩატარდა შემდეგ აკრედიტირებულ პროგრამებში: პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი; მოხელის მენეჯერული უნარები; პროგრამული ბიუჯეტირება; რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში; შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისთვის; ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში; სამუშაოს შესრულების მართვა და მოხელის შეფასება საჯარო სამსახურში. ტრენინგები გაიარა სულ - 418 მონაწილემ;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან კორპორატიული თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგი, სადაც ესწრებოდა სულ 112 თანამშრომელი;
- რუსთავის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, განხორციელდა სხვადასხვა სახის ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 76 თანამშრომელმა.

6.5 საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- მომზადდა საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში და წარედგინა საქართველოს პარლამენტს;
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგები იურიდიულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე;
- ამომრჩეველთა ინფორმირების და კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, განხორციელდა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“;
- საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი „საარჩევნო ციკლის მართვა - დაგეგმარება, ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება“, რომელიც IFES-ს მხარდაჭერით განხორციელდა.

6.6 მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობდა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პროექტი „მიწის ბაზრის განვითარება (WB)“;
- მიმდინარეობდა სისტემური რეგისტრაციის ბიზნესპროცესი. მომზადდა საველე ტექნიკური სამუშაოების სპეციფიკაცია და პროექტის განსახორციელებელ სამუშაოთა სახელმძღვანელო. აღნიშნული დოკუმენტაცია შეთანხმდა მსოფლიო ბანკთან. განახლდა ხარისხის მიწის კონსოლიდაციის ტექნიკური დავალება და შემუშავდა მიწის სისტემურები რეგისტრაციის სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტი;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ქალაქი საგარეჯო, ნინოწმინდა, წყაროსთავი, გიორგიწმინდა, ყანდაურა, შიბლიანი, იორმუღანლო, ლამბალო, თულარი, დუზაგრამა) რეგისტრირებული იქნა 7 603 მიწის ნაკვეთი, გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში (რუისი, ურბნისი, ბრეთი და გიგანტი) - 8 427 მიწის ნაკვეთი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (ჩხიკვთა, ჯორჯიაშვილი, ასურეთი, წინწყარო, დურნუკი, ხაიში, მარაბდა და გოლთეთი) - 453 მიწის ნაკვეთი. პროცესი მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, ე.წ. In-house მეთოდის გამოყენებით;
- საბოლოო სატესტო რეჟიმში გაეშვა მიწის სისტემური რეგისტრაციის პორტალი. ინტერფეისი სრულად შემუშავებული იქნა UX/UI დიზაინის მიხედვით. შეიქმნა ქონების საძებნი პარამეტრების დამატება/ქონებაზე დეტალური ინფორმაციის მოძიების ლოგიკა. ასევე, შეიქმნა დაინტერესებული პირის მიერ აზომვის მოთხოვნის ფორმა.

6.7 პოლიტიკური პარტიების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 14 კვალიფიციური პოლიტიკური პარტია (მ.შ. 2 პარტია დაფინანსდა მხოლოდ იანვარ-თებერვლის თვეებში, რადგან მარტიდან დაკარგეს დაფინანსების მიღების უფლება).

6.8 სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სპეციალური საგამოძიებო სამსახური
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

- დანაშაულის ნიშნების შემცველი შეტყობინებების საფუძველზე დაიწყო გამოძიება 124 სისხლის სამართლის საქმეზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაცია გაეწია საჯარო და კერძო დაწესებულებებს და ფიზიკურ პირებს კერძოდ, საანგარიშო პერიოდში გაიცა 1 172 კონსულტაცია, ხოლო სხვა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით -12;

- განხილულ იქნა და რეაგირება განხორციელდა 165 მოქალაქის განცხადებასა და 43 შეტყობინებაზე; ჩატარდა 38 ორგანიზაციის შემოწმება (ინსპექტირება);
- განცხადებების განხილვისა და ინსპექტირებების განხორციელების შედეგად გამოვლინდა სამართალდარღვევის 55 ფაქტი, მათგან 25 შემთხვევაში მოხდა ჯარიმის დაკისრება, 23 ფაქტზე მოხდა გაფრთხილების შეფარდება, დამატებით, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს, სხვა მონაცემთა დამმუშავებლებს და უფლებამოსილ პირებს მიეცათ 86 დავალება და 1 რეკომენდაცია;
- ჩატარდა საქართველოს სახელით დასადები 6 საერთაშორისო შეთანხმების ესპერტიზა და მომზადდა შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით საზოგადოებისა და მიზნობრივი ჯგუფების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 14 ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც 515 მსმენელი მონაწილეობდა, მათ შორის საჯარო მოსამსახურეები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

6.9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წლის ანგარიში;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხებზე სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებითა და მონაწილოებით ჩატარდა სხვადასხვა სახის შეხვედრები და ღონისძიებები;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა - 3 137 განცხადება/საჩივარი, შედგა - 464 ოქმი, ელექტრონული ფოსტით მიღებულ იქნა - 5 899 წერილი, ცხელ ხაზზე შემოსული ზარების რაოდენობამ შეადგინა - 5 779, მომზადდა და გაგზავნილ იქნა - 25 რეკომენდაცია/წინადადება და 8 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება; საკონსტიტუცი სასამართლოში წარდგენილ იქნა - 11 კონსტიტუციური სარჩელი;
- მომზადდა და გამოქვეყნდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიში;
- მომზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში (რეკომენდაციების შესრულების შეფასება);
- მომზადდა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) ადამიანის უფლებების ოფისს გაეგზავნა ფრენის მონიტორინგის ანგარიში;
- მომზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და პოლიციის სამმართველოების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში;
- 5 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა - 10 პრევენციული ვიზიტი. პოლიციის დეპარტამენტში - 1 ვიზიტი, პოლიციის სამმართველოებში - 10 ვიზიტი, უსაფრთხოების სამსახურის დორებითი მოთავსების იზოლატორში - 1 ვიზიტი, თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების მონიტორინგის მიზნით (4 სამხედრო ნაწილში) - 7 ვიზიტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიეტების დაცვის დეპარტამენტის 2 დანაყოფში - 2 ვიზიტი, 2 პენიტენციური დაწესებულებების გარე დაცვის სამსახურში - 2 მონიტორინგის ვიზიტი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრში - 1 ვიზიტი, განახორციელდა პრევენეციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლების მიერ -1

მონიტორინგი საქართველოს მოქალაქეთა იძულებით დაბრუნების ოპერაციის პროცესზე დიუსელდორფიდან თბილისის მიმართულებით;

- სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით მომზადდა - 596 ბრძანება. სახალხო დამცველის აპარატში ვაკანტურ პოზიციებზე კადრის შესარჩევად გამოცხადდა 8 კონკურსი; სამართლებრივი კონსულტაციები გაეწია სახალხო დამცველის აპარატის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს;
- შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მომზადდა 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის „შშმ პირთა უფლებების ნაწილი“ - 8 თავი. ასევე, საქმისწარმოების ფარგლებში დეპარტამენტი მუშაობდა 98 ახალ საქმეზე. საქმისწარმოება დასრულდა 83 საქმეზე. 32 მუნიციპალიტეტში ჩატარდა - 46 საინფორმაციო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო - 518 პირმა (ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლებმა, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საჭოების წევრებმა, შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, შშმ პირებმა, შშმ ბავშვთა მშობლებმა, შშმ აქტივისტებმა, პოლიციელებმა);
- მომზადდა სახალხო დამცველის - 1 საჯარო განცხადება და 2 რელიზი. განხორციელდა - 49 გეგმიური ვიზიტი ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალურ დონეზე მოქმედ 33 უფასო სასადილოში (6 - თბილისში და 27- რეგიონებში) და 16 სოციალურ საცხოვრისსა და თავშესაფარში (6 - თბილისი, 10 - რეგიონებში) მიუსაფარი ოჯახებისთვის. მომზადდა 3 მონიტორგინის ანგარიში: შშმ პირთა სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის ანგარიში, შშმ პირთა დასაქმების უფლების რეალიზების შეფასების ანგარიში, უფასო სასადილოების მონიტორინგის ანგარიში;
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა - 146 ვიზიტი, მონახულებულ იქნა - 389 პატიმარი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში - 3 პაციენტი, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრში - 1 პაციენტი, დროებითი მოთავსების იზოლატორებში - 1 დაკავებული;
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მიმართულებით მომზადდა 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესაბამისი თავები (16 თავი და 1 თავის ნაწილი). განხორციელდა მონიტორინგი დასავლეთ საქართველოში, ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში და მომზადდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის და იმერეთის ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში - სათემო ორგანიზაციებში განხორციელებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში“. დასრულდა 70 საქმის შესწავლა. მომზადდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში გასაგზავნი - 188 წერილი, 1 განცხადება და 2 რელიზი;
- სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და კახეთის ოფისებისა და მცხეთა-მთიანეთში წარმომადგენლის მეშვეობით გაიცა - 1 256 კონსულტაცია, ოფისების მიერ ორგანიზება გაეწია - 464 შეხვედრას, დამატებით მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უწყებების თუ ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ - 97 შეხვედრაში, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ადვოკატირების გზით წარმატებულად გადაწყდა - 50 საქმე. შედგა სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ - 46 ოქმი;
- დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ფარგლებში შესწავლილ იქნა 59 ახალი საქმე და კორესპონდენცია, მომზადდა - 52 მიმართვა/პასუხი, ხოლო საქმისწარმოება დასრულდა 15 საქმეზე. პროაქტიული გამოვლენის ფარგლებში შედგენილია - 39 ოქმი/მოხსენებითი ბარათი. დარეგისტრირდა - 38 განცხადება. 850-ზე მეტ დაინტერესებულ პირს გაეწია სატელეფონო და პირადი კონსულტაცია;
- გაიმართა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა/დისკუსია - 292; სხვა სახის საკამპანიო /საორიენტაციო შეხვედრები და აქტივობები - 1 386. პრესისა და მედიასაშუალებებში ინტერვიუ/მონაწილეობა - 1. პროაქტიული გამოვლენის მიზნით განხორციელდა ადვოკატირება - 178-მდე შემთხვევაში;

- თანასწორობის მიმართულებით მომზადდა - 6 რეკომენდაცია, 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ - 70 გადაწყვეტილება. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები ლგბტ+ თემის - 52 წარმომადგენელთან; სასკოლო სახელმძღვანელოების - 14 ავტორთან; მუნიციპალიტეტების - 120 წარმომადგენელთან; კერძო კომპანიების - 28 თანამშრომელთან; პროფესიული კავშირების - 38 წარმომადგენელთან; ეთნიკური უმცირესობების - 114 და რელიგიური უმცირესობების 98 წარმომადგენელთან და 9 პარაიურისტთან;
- ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით - სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარდა - 37 საინფორმაციო შეხვედრა ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, ასევე, კონსულტაცია გაეწიათ მოქალაქეებს. მომზადდა საპარლამენტო ანგარიშის ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ თავი, ერთი სპეციალური ანგარიში და ერთი სპეციალური ანგარიშის სამუშაო ვერსია;
- გენდერის მიმართულებით კონსულტაცია გაეწია - 230 პირს. მომზადდა საპარლამენტო ანგარიშის გენდერული თანასწორობის - 8 თემატური თავი და 4 სპეციალური ანგარიში. გაიმართა 3 პრეზენტაცია, სადაც წარდგენილ იქნა ანგარიშები;
- მომზადდა და გაიგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარსადგენი 2021 წლიური ანგარიში, განახლდა მონაცემთა ბაზები და დამუშავდა 2021 წლის ჯამური სტატისტიკური მონაცემები.
- შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესაბამისად მიმდინარეობდა სახალხო დამცველის აპარატის ცენტრალური ოფისის მშენებლობა;

6.10 სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 36 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური

- საანგარიშო პერიოდში სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურმა წარმოებაში მიიღო 5 446 საქმე. აქედან 3 373 საქმე განეკუთვნებოდა სისხლის სამართლის დარგს, 1 211 საქმე - სამოქალაქო სამართლის დარგს, 538 საქმე - ადმინისტრაციული სამართლის დარგს, ხოლო 324 საქმე - სხვა კატეგორიას (განაჩენის აღსრულება/პენიტენციურ დაწესებულებაში კონსულტაციის გაწევა).
- გაწეულ იქნა 7 492 კონსულტაცია, აქედან შედგენილ იქნა 302 წერილობითი (სამართლებრივი) დოკუმენტი.
- შეიქმნა და 1 მარტიდან ამოქმედდა მობილური საკონსულტაციო აპლიკაცია LAS Georgia, რომელიც ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები პირისათვის და მისი ჩამოტვირთვა შესაძლებელია, როგორც „ანდროიდის“, ისე, „აიოსის„ მეშვეობით;
- უფასო სამართლებრივ დახმარებაზე ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, იურიდიული დახმარების სამსხურის საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა ხონში და ლანჩხუთში;
- იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრმა 12 ტრენინგი ჩაატარა. მას დაესწრო 125 მონაწილე. (გენდრეული ბალანსი: 72%- ქალი, 28%- კაცი).
- წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) მხარდაჭერით ჩატარდა ერთი ტრენინგი შემდეგ თემაზე- “ტრავმა-ინფორმირებული მიდგომა სქესობრივი დანაშაულების სამართალწარმოების პროცესში” (1 ტრენინგი);
- გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ჩატარდა სამი ტრენინგი თემაზე - „ყველა ჩართული უწყების თანამშრომლის მომზადება ინტეგრირებული მომსახურების (ბარნაჰუს) კონცეფციის და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიმართულებით“ (3 ტრენინგი); ასევე, ერთი ტრენინგი თემაზე - ადვოკატთა ტრენინგი ქართული ბარნაჰუსის შესახებ. (1 ტრენინგი);

- იურიდიული სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ინტეგრირებული მომსახურების (ბარნაჰუს) კონცეფციის და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიმართულებით“ (2 ტრენინგი); ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იურიდიული დახმარების სამსახურში (1 ტრენინგი); „ბავშვთა უფლებების შესახებ ჩაღრმავებული კურსი კონსულტანტ-ოპერატორებისთვის“ (1 ტრენინგი);
- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR), გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდი (SDG Fund) და გაეროს პარტიონორბა შეზღუდული შესაძლებლობების მქჰნე პირთა უფლებებისთვის მხარდაჭერით, ჩატარდა ერთი ტრენერთა ტრენინგი თემაზე - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“; გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN WOMEN) და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერთა ჯგუფის (WISG) მხარდაჭერით ჩატარდა ორი ტრენინგი თემაზე - „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ლგბტქ ადამიანების საჭიროებები“;
- ბათუმში, ევროკავშირის (EU) და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით, გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის“ წარდგენა აჭარაში მოქმედი მზრუნველობისა და სხვა უფლებადამცვლი ორგანიზაციების, მათ შორის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, ბათუმის იურიდიული დახმარების ბიუროს თანამშრომლების და შშმ თემის სხვა წარმომადგენლებისთვის.მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის, მოძრაობა „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი“ ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებმა დაიწყეს ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა რეგიონი სასამართლო დარბაზებში;
- ევროპის საბჭოს ოფისმა საქართველოში გამართა ახალი პროექტის - „იურიდიული დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მარგინალიზებული მოსახლეობისთვის” ოფიციალური პრეზენტაცია. პროექტის ძირითადი მიზანია, მხარი დაუჭიროს იურიდიული დახმარების მიმწოდებლებს საქართველოში გაზარდონ იურიდიული დახმარების ეფექტიანობა, ოპერატიულობა და ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით;
- გაიმართა სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის 2022 წლის სამოქმედო გეგმის - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ წარდგენა.

6.11 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

- საარქივო მომსახურება შეუფერხებლად მიეწოდებოდა მოქალაქეებს, სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციას:
  - ✓ „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით პასუხის სახით გაიგზავნა 11 134 წერილი;
  - ✓ მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე დარეგისტრირდა და მომზადდა 8 793 სოციალურ-უფლებრივი ხასიათის საარქივო ცნობა;
  - ✓ უნიკალური საარქივო მასალების გაცნობის მიზნით მკვლევართა დარბაზში იმუშავა 1 100 მკვლევარმა (მათ შორის, 39 უცხოელი).

- საგამოფენო პავილიონში გაიხსნა გამოფენა:
    - ✓ „ბერძნები საქართველოში“ – გამოფენა გაიხსნა და მიეძღვნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღეს;
    - ✓ „აკაკი შანიძე - 135“ - მიეძღვნა ქართველი ენათმეცნიერის იუბილეს;
    - ✓ „გივი კიკვაძე. საქინფორმის არქივიდან" - გაიმართა ფოტოფესტივალ „ქოლგა თბილისი ფოტოს“ ფარგლებში ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში;
    - ✓ „საქართველოს ეკლესიის წინამძღვრები“ - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 105 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა;
    - ✓ ონლაინ ფორმატში მომზადდა გამოფენა „მარო თარხნიშვილი – 130“ და მულტიმედიური გვერდები „ექვთიმე თაყაიშვილი“, „კოტე მარჯანიშვილი“ და „აკაკი წერეთელი“.
- მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი ღონისძიებების ორგანიზებაზე:
    - ✓ ეროვნული არქივის ყოველწლიური საგანმანათლებლო პროექტი „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“;
    - ✓ ეროვნული არქივის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“;
    - ✓ ახალი კინოპროექტი „თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი“;
    - ✓ ეროვნულ არქივში დაცული, „UNESCO“-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შესული უძველესი ქართული ხელნაწერების „Google Arts & Culture“-ზე განთავსება;
    - ✓ II სტუდენტური საერთაშორისო კონფერენცია „არქივები, სტუდენტები, ინოვაციები“;
    - ✓ ეროვნული არქივის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“;
    - ✓ პროექტი „საქართველო-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობები“;
    - ✓ ეროვნული არქივის, კომპანია „ჯეპრასა“ და კალიგრაფ დავით მაისურაძის თანამშრომლობით ეროვნულ არქივში დაცული ძეგლების მიხედვით ქართული მხედრული ანბანის საზედაო ასოების შრიფტი შექმნა;
    - ✓ კინოჩვენება „60-იანი წლების აღდგენილი ქართული კინოს რეტროსპექტივა“.
- ეროვნული არქივის საქმიანობისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა 62 სატელევიზიო სიუჟეტი, 209 ინტერნეტსტატია, 30 საგაზეთო პუბლიკაცია, 17 რადიოგადაცემა.
- საკონსერვაციო-პროფილაქტიკური დამუშავება ჩაუტარდა 219 ერთეულ ფოტოდოკუმენტს, 228 ერთეულ ფონოდოკუმენტს და 500 ერთეულ კინოდოკუმენტს; ქაღალდისფუძიანი დოკუმენტების ფიზიკური დაცვის მიმართულებით რესტავრაცია – 10 905 ფურცელი, ყდაში ჩასმა-ჩაკერება – 4 451 საქმე, საქმეთა შეკერვა – 5 647 საქმე.
- განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გადათვალიერების შედეგად შეირჩა ქაღალდისფუძიანი დოკუმენტები – 659 შესანახი ერთეული, კინოდოკუმენტები – 250 შესანახი ერთეული, ფოტოდოკუმენტები – 350 შესანახი ერთეული, ფონოდოკუმენტები – 260 შესანახი ერთეული;
- შემოწმდა დოკუმენტების არსებობა და მდგომარეობა: ქაღალდისფუძიანი დოკუმენტები – 135 200 შესანახი ერთეული, ფოტოდოკუმენტები – 300 შესანახი ერთეული, კინოდოკუმენტები - 1 000 შესანახი ერთეული.
- საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების მიზნით აღიწერა ჩანაწერები:
    - ✓ მმართველობითი დოკუმენტაცია – 5 316 ერთეული;
    - ✓ პირადი წარმოშობის დოკუმენტები – 380 ერთეული;
    - ✓ სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია – 1 671 ერთეული;
    - ✓ კინოდოკუმენტები – 30 ერთეული;
    - ✓ ფოტოდოკუმენტები – 1 000 ერთეული;
    - ✓ ფონოკუმენტები - 170 შესანახი ერთეული;
    - ✓ პირადი შემადგენლობის დოკუმენტები - 250 შესანახი ერთეული.

- სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ იქნა: მმართველობითი ხასიათის სხვადასხვა დოკუმენტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტები; შპს „საქაგროპროექტის“ დოკუმენტები; რეჟისორ სოსო სტურუას ფილმები: „ზარის დაბადება“, მესხეთის „ძველი“, „გაღმა მხარელნი“ და სხვა (DVD დისკი), 16 მმ-იანი პოზიტივები სპორტულ თემეტიკაზე და სხვა. ამასთან, სსიპ „საქართველოს ეროვნულმა არქივმა“ საჩუქრად მიიღო გალაკტიონ ტაბიძის სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის ამსახველი ფოტოსურათების ელექტრონული ვერსიები. ამასთან, ფონოგანყოფილება შეივსო ფონოდოკუმენტებით: ანსამბლ „რუსთავისა“ და „ადიღეის" ფონოჩანაწერები, ანაკლიელთა მეგრული და ლაზური ხალხური სიმღერები, ანსამბლ „იალონის“ მიერ შესრულებული სხვადასხვა კუთხის „იავნანები“, მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი“, კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილის საავტორო სიმღერები და სხვა;
- სახელმწიფო შენახვაზე მიღებულია:
    - ✓ მმართველობითი დოკუმენტაცია – 16 505 ერთეული;
    - ✓ სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია – 2 091 ერთეული;
    - ✓ კინოდოკუმენტები – 23 ერთეული;
    - ✓ ფოტოდოკუმენტები – 766 ერთეული;
    - ✓ ფონოდოკუმენტები – 10 ერთეული;
    - ✓ პირადი შემადგენლობის დოკუმენტები – 4 489 ერთეული.
- დოკუმენტების ელექტრონულად შენახვისა და გამოყენების მიზნით გაციფრულდა:
    - ✓ წერილობითი დოკუმენტი – 466 209 ფაილი;
    - ✓ ფოტოდოკუმენტი – 3 520 შესანახი ერთეული;
    - ✓ კინოდოკუმენტი – 250 შესანახი ერთეული;
    - ✓ ფონოდოკუმენტი – 44 შესანახი ერთეული.
- მიმდინარეობდა მუშაობა კინოკატალოგის შესაქმნელად, ელექტრონული არქივაციის სტრატეგიის დოკუმენტსა და დაკომპლექტების წყარო-ორგანიზაციათა რეესტრზე.

6.12 იუსტიციის სახლის მომსახურეგათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

- პროექტ „მომხმარებლის ხმის“ ფარგლებში დამუშავდა სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალებიდან და სატელეფონო ცენტრიდან შემოსული 772 მომხმარებლის უკუკავშირის საფუძველზე შევსებული აპლიკაცია;
- სხვადასხვა ქვეყნის 17 დელეგაციისთვის ჩატარდა ტურები იუსტიციის სახლის ფილიალებისა და საზოგადოებრივი ცენტრების მომსახურების სივრცეში, რა დროსაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ იუსტიციის სახლის კონცეფციასა და დანერგილ ინოვაციებს;
- სერვისების ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა დროულად და ეფექტიანად მომსახურების მიზნით ბათუმის იუსტიციის სახლსა და ქობულეთის საზოგადოებრივ ცენტრს დაემატა მომსახურების სივრცეები, სადაც განხორციელდა რიგის მართვის ელექტრონული სისტემის (Qmatic orchestra 7) კომპონენტების (ტაბლოები, მონიტორები) მონტაჟი და ტესტირება; ასევე, სამუშაო პროგრამების, კომპიუტერების, მოწყობილობების, ინტერნეტის ქსელის ტესტირება;
- მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგი სტაჟიორებისათვის, სატელეფონო ცენტრის, ფილიალების და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის;

- მიმდინარეობდა დანერგილი სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისების მიწოდება;
- მნიშვნელოვანი და მოსახლეობისთვის გასათვალისწინებელი ინფორმაცია ვრცელდებოდა როგორც სოციალური მედიის, ისე მასობრივი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით;
- ჩხოროწყუს საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელდა ბუნებრივი აირის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, გარემონტდა მუხრანის, ტყვიავის, ბერძენაულის, მეჯვრისხევის და რუისის საზოგადოებრივ ცენტრები, ფოთის იუსტიციის სახლში შესრულდა ფილიალის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოები; თბილისის იუსტიციის სახლში შესრულდა დაზიანებული ჭერის ზოგიერთი ნაწილის სარემონტო სამუშაოები; მარტყოფის საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელდა შენობის სარემონტო სამუშაოები; ოზურგეთის იუსტიციის სახლში შეკეთდა დაზიანებული სახურავი;
- „მობილური იუსტიციის სახლების“ პროექტის ფარგლებში რეგიონებში იუსტიციის სახლის სერვისის მიწოდების მიზნით შესყიდულ იქნა 2 მიკროავტობუსი;
- დასრულდა ზესტაფონის იუსტიციის სახლის კონსტრუქციული ნაწილის სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობდა გადახურვის, ვიტრაჟების მოწყობისა და გადატიხვრის სამუშაოები; მიმდინარეობდა ახმეტისა და თერჯოლის იუსტიციის სახლების კონსტრუქციული ნაწილის სამშენებლო სამუშაოები.

6.13 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო

- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მომსახურებაში ჩართული იყო 34 ორგანიზაცია;
- სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მართვის ავტომატური საშუალებების სისტემასთან დაკავშირებული სამუშაოების ფარგლებში, შეიქმნა და დამკვეთთან გაიგზავნა ტექნიკური დავალებების (UploadMatsne, PublishMatsne, DesktopApp, MobileApp) პირველადი და კორექტირებული ვერსიები. ასევე, მიმდინარეობდა ვებგვერდის (matsne.gov.ge) ტექნიკური დავალების შექმნა და სისტემის შემადგენელი კომპონენტების შეთანხმება;
- „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (https://aa-monitoring.ge/), ღია მონაცემების პორტალზე (DATA.gov.ge), რეესტრთა რეესტრის პორტალსა (roi.gov.ge) და TFS - Trade Facilitation System-ში (tfs.ge) განხორციელდა ახალი მოდულების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ტექნიკური მხარდაჭერა და ინციდენტების კვლევა/გასწორება;
- დასრულდა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა აღრიცხვის სისტემის (OIS) სპეციალური აღრიცხვის მოდულის დეველოპმენტი და გაეშვა სამუშაო რეჟიმში. სისტემაში შევიდა 3500-ზე მეტი პატიმრობის ჩანაწერი;
- სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემაში (cis.gov.ge) ხორციელდებოდა პროგრამის მომხმარებლების მართვა, ახალი მომხმარებლების დამატება, თანამდებობების ცვლილება და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა საკადრო საკითხების მენეჯმენტი; მიმდინარეობდა პრობლემურ ინციდენტებზე რეაგირება, პროგრამისა და მომხმარებლების ტექნიკური მხარდაჭერა; აგრეთვე განხორციელდა ინფრასტრუქტურული და პროგრამული ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემისა და მასში ჩაშენებული პროკურორების დატვირთვების სერვისის სწრაფ და შეუფერხებელ მუშაობას;
- პორტალ „my.gov.ge“-ზე „iframe“-ს სახით განთავსდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალი სერვისი – სამისამართო რეესტრი; ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე (my.gov.ge) დაშვების და ბანკის წარმომადგენლის სახელით სსიპ - საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს სერვისების გამოყენების მიზნით მომზადდა ბანკების თანამშრომლებისთვის პორტალზე რეგისტრაციის და შემდგომი ქმედებების შესახებ დეტალური ინსტრუქცია; გაიმართა შეხვედრა სააგენტოში გამოსაგზავნი მინდობილობებისა და სხვა საჭირო რეკვიზიტებთან დაკავშირებულ საკითხებზე; შემუშავდა პორტალის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინციდენტების მართვის სისტემის ფუნქციონალი; მიმდინარეობდა პორტალის მობილური აპლიკაციის ვერსიაზე მუშაობა;

- მიმდინარეობდა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის სისტემის (declaration.gov.ge) და იუსტიციის სამინისტროს მართვის სისტემის (ms.justice.gov.ge) ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი;
- სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა (CERT.GOV.GE) რეაგირება მოახდინა საქართველოს კიბერსივრცეში დაფიქსირებულ 45 ინციდენტზე;
- მომსახურების მიმღებ ორგანიზაციებში მიმდინარეობდა კომპიუტერული ტექნიკის გამართვა; ოპერატიული სისტემების, დრაივერების, სამომხმარებლო და მომსახურების აპლიკაციების დაყენება; ვებ-გვერდების შეღწევადობის ტესტირება; აგრეთვე, სააგენტომ სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის ჩაატარა ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგები;
- მონაწილეობა იქნა მიიღებული ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში გამართულ ფორუმებში, სამუშაო შეხვედრებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ კონსულტაცია გაეწიათ სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“, სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“, შპს „შავი ზღვის ტერმინალს“, სს „საქართველოს ბანკს“, „ბიდიო დიჯითალს“, სს „თელასს“, „HT SOLUTIONS“-ს, შპს „იუაის“, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალსა“ და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს. შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს“ მიენიჭა ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება;
- დაინერგა ახალი DNS სისტემა - dns.dga.gov.ge, სადაც განთავსებულია სამთავრობო (gov.ge) ორგანიზაციების DNS ჩანაწერები; მომზადდა შიდა კორპორატიული მიმოწერის და ვიდეო საკონფერენციო სისტემისა (skype.cloud.gov.ge) და Dell EMC-ის ახალი სერვერები; საცდელ გარემოში აეწყო Web Application Firewall (WAF) -ის სისტემები (F5, Radware, Imperva+PalloAlto).
- მოსახლეობისა და საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე - „elearning.gov.ge“ - მომზადდა „კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსი“, დარეგისტრირდა 500 მდე მონაწილე, ხოლო გამოცდა წარმატებით ჩააბარა 150 მსმენელმა;
- მომზადდა ინციდენტების მიღებისა და გაზიარების საერთაშორისო MISP პლატფორმა და ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ინციდენტების მართვის სისტემის - Splunk - სატესტო რეჟიმი;
- სამუშაო რეჟიმში გაეშვა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ვებ-გვერდი (napr.gov.ge), მიმდინარეობდა ვებ-გვერდის შშმ პირებისთვის ადაპტაციისთვის საჭირო მოთხოვნებზე მუშაობა.

6.15 საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- მიმდინარეობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სემესტრული სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართალი“.

- საჯარო სკოლებში საინფორმაციო-სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ ფარგლებში მონაწილეობა 738 საჯარო სკოლის 13 000-მდე ახალგაზრდამ მიიღო;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირდა 726 (ქალი - 477, კაცი - 249), გამოცდაზე გამოცხადდა 255 მოქალაქე, გამოცდა წარმატებით ჩააბარა 71 პირმა (ქალი - 47; კაცი - 24).

6.16 საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება (პროგრამული კოდი 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი

- საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საკანონმდებლო პროცესის გაუმჯობესებისა და საზედამხედველო საქმიანობაში დახმარების მიმართულებებით, შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით მომზადდა: პარლამენტის წევრების კითხვებზე პასუხი - დაიჯესტი (ნაშრომი კონფიდენციალურია) – 41, კომენტარები შემუშავების პროცესში არსებულ კანონპროექტებზე - 4, პროაქტიული ანალიზი - სიღრმისეული კვლევები (თვალსაზრისი) - 9, ულტრა-მემარჯვენე, ნეო-ნაცისტური იდეოლოგია და პარტიები გერმანიაში, გერმანიის ახალი ფედერალური მთავრობა და საფრანგეთის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები, კრიპტო ეკოსისტემის რეგულირება 2022, რუსეთის სამეზობლო პოლიტიკა 2022, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის (არჩევის) წესი, საგზაო უსაფრთხოებისადმი მიდგომის ცვლილება, სახელმწიფო ვალი და COVID-19, დეზინფორმაციის გავრცელება და ანტიდასავლური პროპაგანდა, დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში, ECPRD - კვლევისა და დოკუმენტაციის ევროპული ცენტრის შეკითხვებზე პასუხები -38.
- მიმდინარეობს მუშაობა რამოდენიმე პროაქტიული ნაშრომზე და დაიჯესტებზე;
- კვლევითი ცენტრი აგრძელებს თანამშრომლობას კომიტეტებთან თემატური მოკვლევის მიმართულებით;

6.18 სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 52 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

- სამოქმედო გეგმის ფარგლებში დეპარტამენტმა განახორციელა სამუშაო შემდეგ მიმართულებებით:
  - ✓ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პასუხისმგებლობით განსახორციელებელი აქტივობები;
  - ✓ პარტნიორ უწყებებთან თანამშრომლობა ერთობლივი აქტივობების შესრულების მიზნით;
  - ✓ სტრატეგიის ამოცანების შედეგების ინდიკატორებისათვის საბაზისო და შუალედური მაჩვენებლების დადგენა;
  - ✓ სტატუს და პროგრეს ანგარიშების მომზადების მიზნით პასუხისმგებელ უწყებათა სტატუსანგარიშების შეკრება და დამუშავება;

- შემუშავდა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ლექსიკის ცნობარი და სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი;

- გაიმართა რამდენიმე კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიება, მათ შორის, მშობლიური ენის საერთაშორისო დღესთან და სახელმწიფო ენის დღესთან დაკავშირებით;
- შეიქმნა და გამოცხადდა მიღება მოხალისეთა პროგრამაში; მოხალისეთა პროგრამის ფარგლებში შეირჩა ოთხი მოხალისე, რომლებიც განახორციელებენ პროექტებს სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების მიზნით;
- სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მორიგ სხდომაზე დამტკიცდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა ახალი პაკეტი, მათ შორის, ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესები: გერმანული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები, ნიდერლანდური ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები.

6.19 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

- 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისათვის ჩატარდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები. აღნიშნული არჩევნებისთვის ჩატარდა 421 სატრენინგო სესია;
- ცესკოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის 14-ვე საარჩევნო უბანზე განხორციელდა საპილოტე პროექტი, კერძოდ ცესკოსა და საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურები განხორციელდა ელექტრონული აპარატების საშუალებით.
- 2022 წლის 2 აპრილს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის და ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნები, მიმართული იქნა 2.5 მლნ ლარამდე;

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

7.1 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- ✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

- უზრუნველყოფილია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარებით ღონისძიებები;
- ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა გრძელვადიანი განსახლება;
- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

- საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სერვისის შექმნა და განვითარება;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.

7.1.1 სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (პროგრამული კოდი 27 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

- სოციალური ინიციატივების დაფინანსების და ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების კომპონენტით სარგებლობის პროგრამაში ჩაერთო 449 ბენეფიციარი, აქედან შეირჩა 331 განაცხადი და გამარჯვებულად გამოვლინდა 91 ბენეფიციარი;
- დასრულდა 2021 წელს გამარჯვებული ბენეფიციარებისათვის ნივთების შესყიდვა;
- სამედიცინო მომსახურებისა და/ან მედიკამენტების დაფინანსებისათვის სააგენტოს მომართა 68 ბენეფიციარმა და 42 ბენეფიციარზე გაიცა ადმინისტრაციული დაპირება;
- პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამით სარგებლობის მიზნით სააგენტოს მომართა 24 ბენეფიციარმა და 4 ბენეფიციარზე გაიცა ადმინისტრაციული დაპირება;
- დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა.

7.1.2 ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (პროგრამული კოდი 27 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

- სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის შეძენილ იქნა 176 (თბილისი - 47, იმერეთის რეგიონი - 105, სამეგრელოს რეგიონი - 24) საცხოვრებელი სახლი.

7.1.3 იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (პროგრამული კოდი 27 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

- მიმდინარეობდა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართები დაუკანონდა და საკუთრებაში გადაეცა 320 ოჯახს;
- საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა 179 დევნილი ოჯახი ახალაშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:
  - ✓ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ,,სოფლად სახლი"-ს პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 1195 საცხოვრებელი სახლი (თბილისი - 491, იმერეთის რეგიონი -128, სამეგრელოს რეგიონი - 576);

- ✓ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში შეძენილ იქნა 213 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
- ✓ მიმდინარეობდა დევნილთა განსახლების ობიექტებში სახურავის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა;

- ქ. თბილისის მერიასთან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 47 ობიექტზე;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 9 031 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 400 ოჯახს გაეწია ფულადი დახმარება დროებითი საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე);
- მიმდინარეობდა მენაშენეებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა:
  - ✓ შპს ,,დავიდე " , ქ. თბილისი, ვარკეთილ ორსა და ვაზისუბნის საცხოვრებელს შორის მდებარე კორპუსი - 260 ბინა (დასრულდა 130 ბინა);
  - ✓ შპს ,,მს ბილდერი" , ქ. თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. #12ა-ში - 82 ბინა (დასრულდა);
  - ✓ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა ,,დადიანი პალასი", ქ. ზუგდიდი, დადიანის ქ. #33-ში - 34 ბინა (დასრულდა);
  - ✓ შპს ,,კოდი", ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი #5ა-ს და #4ა-ს მიმდებარედ - 73 ბინა (დასრულდა);
  - ✓ შპს ,,მწვანე სახლი დეველოპმენტი", ქ. თბილისი, რეზო გაბაშვილის III გასასვლელი #28-ში - 17 ბინა;
  - ✓ შპს ,,პრემიუმ კონსტრაქშენი", ქ. ქუთაისი, კ. გამსახურდიას ქ. #35-ში - 43 ბინა (დასრულდა);
  - ✓ შპს ,,გ2 ბილდინგი" , ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქ. #141-ში - 3 ბინა;
  - ✓ შპს ,,ემბიჯი ჯგუფი", ქ. ქუთაისი, ლადო მესხიშვილის IV შესახვევი #32-ში - 148 ბინა (ჩაბარდება 2023 წელს);
- ყოფილი, ორგანიზებულად განსახლების 2 ობიექტზე განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება;
- განხორციელდა 71 დევნილი ოჯახის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთება - ინდივიდუალური გაზიფიცირება.

7.1.4 საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი - 27 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

- პროგრამის ფარგლებში ქართული ენის სწავლების პროცესში ჩართული იყო 55 ბენეფიციარი;
- სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების და სამოქალაქო განათლების კურსებში ჩართულია 14 საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირი;
- საკონსულტაციო სერვისით ისარგებლა 450 ბენეფიციარმა, რომელთაც გაეწიათ დახმარება ჯანდაცვის, იურიდიულ, საყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- სამედიცინო დახმარების სერვისით ისარგებლა 19 ბენეფიციარმა;
- ზემოთ აღნიშნულ კურსებში ბენეფიციარების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე 7 პირს დაუფინანსდა ინტერნეტის საფასური.

7.1.5 საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი - 27 06 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;

- დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ 50 სტუდენტს აუნაზღაურდა მგზავრობის საფასური, ხოლო 186 სტუდენტზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება;
- „განსახლებულ დევნილთა და ეკომიგრანტთა ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში წარმოდგენილია 1 208 საგრანტო განაცხადი და გამარჯვებულად გამოვლინდა 159 ბენეფიციარი;
- „დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში 2021 წელს გამარჯვებულ 53 ბენეფიციარებიდან 29 ბენეფიციარს სრულად გადაეცა სახელობო იარაღები, ხოლო 13 ბენეფიციარს ნაწილობრივ;
- „ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში წარმოდგენილია 124 ბიზნეს გეგმა და გამარჯვებულად გამოვლინდა 29 ბენეფიციარი;
- „სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში წარმოდგენილია 105 საგრანტო განაცხადი და გამარჯვებულად გამოვლინდა 18 ბენეფიციარი.

7.2 იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი - 25 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და გრძელვადიანი განსახლების მიზნით, მიმდინარეობდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სამშენებლო სამუშაოები და დასრულებულ ობიექტებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი. აღნიშნული სამუშაოების დაფინანსება ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

7.2.1 იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი - 25 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა N53-ში მიმდინარეობდა 3 შეწყვილებული თექვსმეტსართულიანი კორპუსის (480 ბინა) სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩა N53-ში მიმდინარეობდა 2 შეწყვილებული თექვსმეტსართულიანი კორპუსის (320 ბინა) სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა პროექტების მართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება და დასრულებულ ობიექტებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

7.3 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- გრძელდებოდა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის გადახედვის პროცესი. მეორე ეტაპის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, მომზადდა განახლებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსიები, ასევე, მიმდინარეობდა კონსულტაციები პარტნიორ-სახელმწიფოებთან;
- COVID - 19 პანდემიასთან საბრძოლველად, ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად მიეწოდებოდა სამედიცინო აღჭურვილობა და ჰიგიენური საშუალებები; ამასთან, გრძელდებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კოვიდ-ინფიცირებული პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა;
- მიმდინარეობდა სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ეფექტიანი განხორციელება, კერძოდ:
  - ✓ გრძელდებოდა კონსულტაციები საერთაშორისო პარტნიორებსა და დონორ ორგანიზაციებთან, სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში ამოქმედებულ მშვიდობის ფონდში ფინანსური კონტრიბუციების უზრუნველყოფის მიზნით;
  - ✓ მიმდინარეობდა ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული პროექტების განხორციელება;
  - ✓ ფონდის მიერ ჩატარდა რიგით მე-3 საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან შემოვიდა - 92 ბიზნეს/პროექტი;
- თანხმობა გაიცა ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების 45 ახალ პროექტზე;
- საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდებოდა საჭირო სამედიცინო საშუალებები, მათ შორის სწრაფი ტესტები, იმუნიზაციის ვაქცინები, ანტირაბიული ვაქცინები, დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, ასევე, სამედიცინო აღჭურვილობა;
- სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ფარგლებში გრძელდებოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურება. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან სამედიცინო დახმარების შუამდგომლობის თაობაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისგან შემოვიდა - 709 განცხადება და შესაბამისად გაეწიათ უფასო სამედიცინო დახმარება;
- საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების 3 შეხვედრაში ერგნეთში;
- გრძელდებოდა თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების, გამოწვევებისა და საჭიროებების გამოვლენისა და განხილვის მიზნით. გაიმართა სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობლივი შეხვედრა კონფლიქტის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და ექსპერტებთან;
- გრძელდებოდა თანამშრომლობა და რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან;

- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელების და სამშვიდობო პროცესში ქალთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით, სოფელ ჯარიაშენში და სოფელ ჩორჩანაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათი ოჯახის წევრებთან ოჯახში ძალადობის საკითხზე და სახელმწიფო სერვისების შესახებ. საქართველოში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის (UN-WOMEN) ხელმძღვანელთან ერთად, გაიმართა შეხვედრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან. გამოცხადდა კონკურსი სასწავლო ტრენინგში „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“ მონაწილეობის მისაღებად გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის;
- სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერების მიზნით, გამოცხადდა კონკურსი „სახელმწიფო მინისტრის აპარატის მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ მოსაპოვებლად;
- რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების განსახორციელებლად;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის ფარგლებში გაგრძელდა მოსახლეობის მხარდამჭერი ცალკეული ღონისძიებები, კერძოდ 2021-2022 წლის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფისათვის თითოეული ოჯახისათვის გამოიყო 200 ლარი, სულ დაფინანსდა - 14 084 ოჯახი;
- სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წელს 2 400-მდე სტუდენტს დაუფინანსდა უმაღლესი განათლების საფასური;
- გაიმართა სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა, საქართველოში ვიზიტით მყოფ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) რეგიონალურ დირექტორთან ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრა გამართა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების თანადგომის ქსელში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე, მიმდინარეობდა რეგულარული შეხვედრები უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან, პოტენციურ მოწმეებთან, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენის პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის დონეზე კავკასიაში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხებში ICRC-ის სპეციალურ წარმომადგენელთან;
- შესწავლილ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ბედისა და ადგილსამყოფლის დადგენის პროგრამის სამომავლო მოწყობასთან დაკავშირებით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის წარმოდგენილი რეკომენდაციები და ხედვები. შესაბამის უწყებებთან კონსულტაციების შემდგომ მომზადდა ქართული მხარის ერთიანი საპასუხო გზავნილები, შეთავაზებულ იქნა ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული გამოსავალი და ახალი წინადადებები;
- გადამოწმდა და განახლებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გაუჩინარების გარემოებებთან და პოტენციურ სამარხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; განხორციელდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა 30-მდე ოჯახის საკონტაქტო მონაცემების მოძიება, მათთან დაკავშირება და შემდგომი შესაბამისი პროცედურები;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოახდინა უგზო - უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენის პროცესში გამოვლენილ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრთა ინფორმირება, მათი სათანადო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

- გაიმართა „შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის“ მორიგი სხდომა; კომისიის მონაწილეებმა განიხილეს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის გარკვევის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, ძირითადი გამოწვევები და სამომავლო გეგმები;
- დაიგეგმა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 2022 წლის ექსჰუმირების პროცესი, შეთანხმდა და განახლდა სამარხების სია. ამ ეტაპზე, უკვე დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარეობს სამარხების შეფასების, გახსნისა და ნეშტების ექსჰუმირების პროცესი;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობით გაიმართა არაერთი ჯგუფური საინფორმაციო შეხვედრა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან თბილისში, გორში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში; თბილისში ჩატარდა სემინარი უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახური კომიტეტებისა და ოჯახური ასოციაციისთვის;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით მომზადდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის კონსოლიდირებული სტატუს ანგარიში და საქმიანობის წლიური ანგარიში, განახლდა 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით ჩაატარა კონკურსი „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით” („1+4 პროგრამა”) მოსარგებლე პირებისათვის განკუთვნილ სტაჟირების პროგრამაზე;
- მიმდინარეობდა ყოველკვირეული სომხურენოვანი/აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების „ვრასტანი”/„გურჯისტანი” გამოცემა;
- ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრა,სადაც საუბარი და მსჯელობა შეეხო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პროცესში არსებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას;
- საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, კერძოდ ახალქალაქსა და მარნეულში განხორციელდა მასშტაბური ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც მოეწყო გასართობი და შემეცნებითი სივრცეები მრავალფეროვანი კომპონენტებით, მათ შორის თემატური სტენდებით და შემეცნებითი გამოფენებით, სპორტული აქტივობებით, საბავშვო სპექტაკლებით და შოუებით;
- სახელმწიფო მინისტრმა ქვემო ქართლის რეგიონში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გამართა შეხვედრები ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, მარნეულის „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლებთან, ასევე, გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების (სოფლები: ნაზარლოს, ქესალოს, ვახტანგისის, სადახლოს, შულავერისა და იმირის), ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების (სოფლები: ჭაპალას, ნახიდურის, ტალავერის, ზემო ოროზმანის, ქვემო ოროზმანისა და მთისძირის) მოსახლეობასთან;
- ქვემო ქართლის რეგიონში გაიხსნა მორიგი ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ. კამპანიაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს იუსტიციის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები;
- სახელმწიფო მინისტრმა კახეთის რეგიონში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა ახმეტის „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების

ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა. ვიზიტის ფარგლებში სოფელ დუმასტურის სპორტულ სკოლას საჩუქრად გადაეცა UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერით შეძენილი საერთაშორისო სტანდარტის ძიუდოს ტატამი;

- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით გამართა კულტურულ-საგანმანათლებლო სემინარი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე. ორდღიან სემინარში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან მონაწილეობდა - 30 მასწავლებელი. სემინარი მოიცავდა შეხვედრებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან, თემის ექსპერტებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გამოაცხადა კონკურსი სასწავლო ტრენინგში „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი“ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის. სასწავლო ტრენინგი მიზნად ისახავს მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლებასა და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერებას და მოიცავს როგორც ინტერაქტიულ ლექციებს, ისე პრაქტიკულ სავარჯიშოებს;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინირებით მომზადდა ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის შესრულების მე-4 მონიტორინგის ციკლის ფარგლებში სახელმწიფო ანგარიშის (FCNM) სამუშაო ვერსია, რომელიც განსახილველად გაეგზავნა შესაბამის უწყებებს.
- გაიმართა შეხვედრა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისართან;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლებთან;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო ღია მმართველობა საქართველო (OGP)-ის საქართველოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში;
- მიმდინარეობდა XX საუკუნის 40-იან წლებში ყოფილი სსრკ-ის მიერ საქართველოს სსრკ-იდან გადასახლებულ პირთა რეპატრიაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირება, ასევე, საქართველოში მცხოვრებ გადასახლებული პირების შთამომავლებთან კომუნიკაცია და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

8.1 მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 33 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის „სპორტული ორგანიზაციების მხარდაჭერის“ ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში სპორტის 50 სახეობაში დაფინანსდა 20 ეროვნული შეჯიბრების ორგანიზება და 40 საერთაშორისო სპორტულ

შეჯიბრში მონაწილეობა, ასევე, 56 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. სპორტსმენები უზრუნველყოფილ იქნენ სამედიცინო მომსახურებით.

- ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვეს 116 ოქროს, 101 ვერცხლის, 121 ბრინჯაოს, ჯამში 338 მედალი.
- სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, საქართველომ უმასპინძლა ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა სათხილამურო სპორტში ერთი მსოფლიო თასის ეტაპს და ერთი ევროპის თასის ეტაპს.

8.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- ✓ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ები;
- ✓ იურიდიული პირები, საინიციატივო ჯგუფები, ფიზიკური პირები

- საანგარრიშო პერიოდში თეატრებმა ჩაატარეს 1 500-მდე სპექტაკლი, რასაც 100 000-მდე მაყურებელი დაესწრო.
- სსიპ - თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ნაბუკოს“ პრემიერა. თეატრის წინ, გიორგი გაგნიძის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. თეატრში მიმდინარეობს ალექსი მაჭავარიანის „ოტელოს“ სადადგმო რეპეტიციები; მიმდინარეობს საოპერო დასის მუშაობა სარეპერტუარო სპექტაკლებზე: ვერდის „ტრავიატა“, ბიზეს „კარმენი“, დოლიძის „ქეთო და კოტე“. საპრემიერო დადგმისთვის მზადდება ჯაკომო პუჩინის „მანონლესკო“. პრემიერიდან 65 წლის შემდეგ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაბრუნდა ალექსი მაჭავარიანისა და ვახტანგ ჭაბუკიანის ლეგენდარული ბალეტი „ოტელო“.
- სსიპ - თუმანიშვილის სახელობის კინო მსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრში, მიხეილ თუმანიშვილის და რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა გიორგი სიხარულიძის საავტორო დოკუმენტური ფილმის - „მოაზროვნე" ჩვენება. ლილი იოსელიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით შედგა სპექტაკლის „ჯონ გაბრიელ ბორკმანი” პრემიერა.
- სსიპ - თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრში უკრაინის მხარდასაჭერად გაიმართა ორი საქველმოქმედო სპექტაკლი. „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ საერთაშორისო პროექტი - საგასტროლო ტური იტალიაში, ქ. ვენეციაში, სადაც - „პეიზაჟების სეზონი საზღვრების გარეშე“ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, გოლდონის სცენაზე დაიდგა სპექტაკლები ალფრედი და ვიოლეტა“ (3 სპექტაკლი) და „რამონა“ (2 სპექტაკლი).
- სსიპ - ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრში გაიმართა სპექტაკლის - „მარო მაყაშვილის დღიური“ პრემიერა, რომელიც მოგვიანებით თეატრის ფეისბუქ გვერდზე, დისტანციურ რეჟიმშიც ჩატარდა.
- სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში მოეწყო სპექტაკლის „ფრთხილად ადამსები“ პრემიერა; პროექტის ,,მოდითეატრში“ ფარგლებში, უკრაინელი ბავშვებისთვის გაიმართა სპექტაკლები - ,,ალადინი“ და „ურჩხული და ლამაზმანი“.
- სსიპ - თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში დაიდგა ორი ახალი სპექტაკლი - „წმინდა ანტუანის სასწაული“ მორის მეტერლინკის პიესის

მიხედვით და „თოვლია“ აკუტაგავას მოთხრობების მიხედვით. თეატრმა ჩაატარა 106 სპექტაკლი, რომელსაც დაესწრო 4 752 მაყურებელი.

- სსიპ - ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა ჩაატარა 124 სპექტაკლი, რომელსაც დაესწრო 11 428 მაყურებელი, ხოლო სსიპ - ახალციხის თოჯინების პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა ჩაატარა 31 სპექტაკლი, რომელსაც დაესწრო 2 085 მაყურებელი (მათ შორის 182 შშმ პირი);
- სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის თეატრის მსახიობებმა 7 სპექტაკლი ითამაშეს, მიმდინარეობდა რეპეტიციები სპექტაკლზე „რევიზორი“.
- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრმა მონაწილეობა მიიღო UNESCO – ITI (თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი) ადანას საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში (თურქეთი) რობერტ სტურუას სპექტაკლით - ,,თამაშის დასასრული“;
- სსიპ - გორის ქალთა კამერულმა გუნდმა განახორციელა კომპოზიციის ჩაწერა და გადაღება, რაც ასევე გადაიგზავნება ციფრულ არქივში, პროექტის „NASA Artemis Mission” ფარგლებში.
- სსიპ - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ხელი მოაწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რის საფუძველზეც ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მიერ დაფუძნებულ განათლებისა და კულტურის ცენტრში სალოტბარო სკოლას დაეთმობა შესაბამისი ფართი, სადაც ნებისმიერ მსურველს, უფასოდ შეეძლება შეისწავლოს ქართული ხალხური სიმღერა და ტრადიციული გალობა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ფოლკლორული მასალების ელექტრონული კატალოგის შექმნა დაიწყო, რომელიც, ფოლკლორით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს მუსიკალური ფოლკლორის, ქორეოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების მიმართულებით გაეცნონ ინფორმაციას იმ მასალების შესახებ, რომელიც დაცულია სხვადასხვა ინსტიტუციების ფონდებსა და კოლექციებში. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით ქარელის მუნიციპალიტეტში და ვანში სალოტბარო სკოლა გახსნა. სსიპ - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის ეროვნულმა ცენტრმა, განახორციელა პროექტის „საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი - 2022“ I ეტაპი, რაც გულისხმობდა ფესტივალის ფორმატით გათვალისწინებული ადგილობრივი ტურის ჩატარებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილიაკიდევ ორი ტურის - რეგიონულისა და დასკვნითი ტურების ჩატარებაა. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 8 000-მდე ადამიანმა.
- სსიპ - ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი და სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი" საანგარიშო პერიოდში საგასტროლო ტურნეთი იმყოფებოდნენ პოლონეთში, სადაც 30-ზე მეტი კონცერტი გამართეს.
- სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა ,,რუსთავი“, ქალაქ რუსთავში სოლო კონცერტი გამართა.
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე „Immling Festival” გერმანიაში, ოპერა „ტრავიატა“ შეასრულა.
- სსიპ - ანსამბლმა „ბასიანი“ ანსამბლმა NENE H-სთან ერთად ათენში, ელექტრონული და ექსპერიმენტული მუსიკის მინი ფესტივალში მიიღო მონაწილეობა - პროექტით „ჩელა“.
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში დარეგისტრირდა თსუ-სა და სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის ერთობლივი პროექტი „ქართული ენა - ეტიმოლოგიური ძიებანი (მკვიდრი, არანასესხები ფონდი). ცენტრის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიების ფარგლებში გაიმართა მისი დამფუძნებლისა და დირექტორის - პროფ. მერაბ ჩუხუას კაპიტალური მონოგრაფიის „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (რუსულენოვანი რედაქცია) წინის წარდგინება.

გაიმართა ჩერქეზული ენისა და დამწერლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ონლაინ-ფორმატში. ჩერქეზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ლოხვიცკის/აჯუკ-გირეი (1922-1989) საიუბილეო წელიწადის (მისი დაბადებიდან 100 წლისთავი) ფარგლებში ჩერქეზული კულტურის ცენტრში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების თემაზე საჯარო ლექცია გაიმართა. მალმოს უნივერსიტეტის (შვედეთი) კავკასიური კვლევების განყოფილების ხელმძღვანელის - კარინა ვამლინგის მიწვევით, ჩერქეზული კულტურის ცენტრმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სემინარში (ონლაინ ფორმატში), რომელიც გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარ ენებს, მათ შორის ჩერქეზულსა და ლაზურს მიეძღვნა. ჩერქეზთა გენოციდის (1864/21/05) ტრაგიკული ისტორიის ხსოვნის ფარგლებში ჩერქეზული კულტურის ცენტრმა რიგი ღონისძიებები განახორციელა: ჩერქეზეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის დღე საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქ ანაკლიაში; ჩატარდა ონლაინ-კონფერენციაც, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, მწერლებმა, საზოგადოებრივმა აქტივისტებმა ჩერქეზული რესპუბლიკებიდან, საქართველოდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, გერმანიიდან და უკრაინიდან; ცენტრის დირექტორმა, პროფ. მერაბ ჩუხუამ მონაწილეობა მიიღო - „ჩერქეზული კვლევითი ცენტრისა“ და „კავკასიის ჩერქეზთა მეგობრების იორდანული ასოციაციის“ მიერ გამართულ ონლაინ-სიმპოზიუმში.

- საანგარიშო პერიოდში სსიპ - მწერალთა სახლში ახლადამოქმედებულ დავით სარაჯიშვილის მუზეუმს ესტუმრა 500-ზე მეტი ვიზიტორი, მათ შორის მოსწავლეები და მასწავლებლები თბილისიდან და რეგიონებიდან, მწერლები, ხელოვანები. მწერალთა სახლის მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში (გამოფენები, საჯარო ლექციები, პრეზენტაციები და სხვა) მონაწილეობა მიიღო და ესწრებოდა 2 000-ზე მეტი ადამიანი.
- სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:
    - ✓ გაფორმდა მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ორი მკვლევრის საქართველოში ჩამოყვანასთან და ერთი თვით მწერალთა სახლის რეზიდენციაში მათ განთავსებასთან დაკავშირებით.
    - ✓ გაგრძელდა თანამშრომლობა პროექტთან „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ რეზიდენციების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. რეზიდენციამ უმასპინძლა ავტორებს საფრანგეთიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან.
    - ✓ შეთანხმდა თანამშრომლობის პირობები რამდენიმე ქართულ უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტების სტუმარი მკვლევრებისა და პროფესორების რეზიდენციაში განთავსების მიზნით.
    - ✓ მომზადდა 3 საპროექტო წინადადება დონორებისთვის, კონკრეტულად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, გაეროს ქალთა ფონდისა და გაეროს ბავშვთა ფონდისათვის, ქართველი ავტორების მიზნობრივ სარეზიდენციო პროექტებში ჩართვის მიზნით.
- მწერალთა სახლი ახორციელებდა და მასპინძლობდა სხვადასხვა პრეზენტაციებს, ლექცია-სემინარებს, ასევე ხვდებოდა სკოლისა და ბაღის მოსწავლეებს. მსგავს ღონისძიებებს საანგარიშო პერიოდში 1000-მდე ადამიანი დაესწრო.
- საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრიში მიმდინარეობდა პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022-2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (დაფინანსდა პროექტი ,,მუშა'' (რეჟისორი - გიორგი ქობალია), პროდიუსერი - შპს ,,ფილმ ასილუმი'');
- დასრულდა - 8, მოსამზადებელ პერიოდშია - 21; გადაღების პერიოდშია - 25; პოსტ-პროდუქციის პერიოდშია - 13, ხოლო სცენარისა და პროექტის განვითარება განვითარების პროცესშია - 19 ფილმი.
- ბერლინის 72-ე კინო ფესტივალის ფარგლებში, ევროპულ კინო ბაზარზე კინო ექსპორტის დეპარტამენტმა წარადგინა სამი ქართული სრულ მეტრაჟიანი მხატვრული ფილმი: "სამურაი

დასვენების ჟამს" – რეჟისორი ლევან თუთბერიძე; „მშვენიერი ელენე" – რეჟისორი გიორგი ოვაშვილი; „ლოტო – იგავი ზღვის პირა ქალაქზე" – რეჟისორი ზაზა ხალვაში;

- იტალიაში ჩატარდა 33-ედ ტრიესტეს საერთაშორისო კინო ფესტივალი, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი იტალიური ფესტივალია. ფესტივალის სექციაში „ველური ვარდები-WILDROSES" ფესტივალის აუდიტორიას სთავაზობს გამორჩეული ევროპელი ქალი კინო რეჟისორების ნამუშევრებს. წელს ფოკუსში ქართველი ქალი რეჟისორები მოექცნენ შემდეგი პროგრამით: „ანას ცხოვრება"(რეჟისორი ნინო ბასილია); „დიდება დედოფალს" (რეჟისორი თათია სხირტლაძე); „გრძელი ნათელი დღეები" (რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონგროსი); „კრედიტ ისლიმიტი" (რეჟისორი სალომე ალექსი); „მილსადენის მეზობლები" (რეჟისორი ნინო კირთაძე); „როგორი იყო ოთახი" (რეჟისორი ქეთევან კაპანაძე); „სხვისი სახლი" (რეჟისორი რუსუდან გლურჯიძე); „მოთვინიერება" (რეჟისორი სალომე ჯაში); „სველი ქვიშა" (რეჟისორი ელენე ნავერიანი).
- ბრიუსელის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის „ბოზარის" ხელმძღვანელობით, ქალაქ ბრიუსელში გაიმართა ფესტივალი Bridges: East of West Fest. ეროვნული კინო ცენტრი ფესტივალის ერთ-ერთი პარტნიორია. აღნიშნული ფესტივალის ფარგლებში, გაიმართა ორი სრულ მეტრაჟიანი ქართული მხ. ფილმის ჩვენება: „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ ?" რეჟ. ალექსანდრე კობერიძე; „სველი ქვიშა" რეჟ. ელენე ნავერიანი.
- საბერძნეთში, გაიმართა თესალონიკის დოკუმენტური კინოფესტივალი, სადაც კინო ფესტივალის ახალი პროგრამის - Meet the Future ფარგლებში საქართველო წარმოდგენილი იყო, როგორც ფოკუს ქვეყანა. აღნიშნულ პროგრამაზე, კინოექსპორტის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და კინო ფესტივალის ერთობლივი ორგანიზებით, საკუთარი პროექტების წარსადგენად ხუთი ქართველი რეჟისორი გაემგზავრა: „წარმოდგენა" (რეჟისორი მარადია ცაავა); „მუღამათი" (რეჟისორი თამთა გაბრიჩიძე); „ოცნება კადილაკზე"(რეჟისორი ელენე მიქაბერიძე); „ციხესიმაგრე" (რეჟისორი შორენა თევზაძე); „პერენ ბატოკი" (რეჟისორი ქეთევან კაპანაძე).
- საერთაშორისო კინოფესტივალზე GoEast, რომელიც გერმანიაში, ქ. ვისბადენში გაიმართა ლანა ღოღობერიძის ფილმების რეტროსპექტივა.
- კანის კინოფესტივალზე მოეწყო ქართული კინოს პავილიონი, სადაც განხორციელდა მნიშვნელოვანი შეხვედრები კინოინდუსტრიის საერთაშორისო წარმომადგენლებთან: პროდიუსერებთან, დისტრიბუტორებთან, გაყიდვების აგენტებთან, სხვადასხვა ფესტივალის თუ საგანმანათლებლო პროგრამის წარმომადგენლებთან (41 შეხვედრა). მოეწყო ქართული კინოსადმი მიძღვნილი წვეულება, რომელსაც ქართველ რეჟისორებთან და პროდიუსერებთან ერთად დაესწრნენ სხვადასხვა მნიშვნელოვანი კინოფესტივალების დირექტორები, სელექტორები, პროდიუსერები და ინდუსტრიული პროგრამების წარმომადგენლები.
- დაიწყო პროექტის „კინო სკოლაში" 2022 წლის გაზაფხულის სეზონის აქტივობები, კერძოდ, შერჩეულ 71 სკოლაში გაიმართა 13 აქტივობა (სულ 615 ონლაინ გაკვეთილი და 170 ფილმის ჩვენება-დისკუსია). ამ სეზონში მონაწილეობა მიიღო 3 672-მა მოზარდმა. მოსწავლეებმა, ასევე, დახატეს აფიშები, გადაიღეს მცირე ფილმები.
- შვედეთში, ქ. გოტენბერგში, გაიმართა ქართული კინოს დღეები სამ კინოთეატრში - Bio Roy, Bio Capitol, Hagabion. აღნიშნულ კინო თეატრებში ნაჩვენები იყო 14 ქართული ფილმი.
- „შემოქმედებითი ევროპა" დესკის საქმიანობის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მომზადდა მოკლე ანგარიში „შემოქმედებით ეროპაში" საქართველოს მონაწილეობისა და წარმატების შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს კამპანიისთვის, რომლის მიზანი არის საქართველოს მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის და მათ შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების შედეგან მიღებული კონკრეტული ხელშესახები სარგებლის შესახებ.

- შემოქმედებითი ევროპის დესკმა წარადგინა 2022-2024 წლის სამიქმედო გეგმა და გააგზავნა განაცხადი დაფინანსებაზე ევროკავშირის, განათლების, კულტურისა და აუდიოვიზუალურ მმართველ სააგენტოში.
- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-6 შეხვედრისთვის მომზადდა და წარდგენილ იქნბა „შემოქმედებითი ევროპის“ შესახებ ანგარიში.
- მომზადდა და გაიმართა 42 შეხვედრა, როგორც საინფორმაციო ხასიათის ასევე მოლაპარაკებების ფორმატში. გარდა ამისა, დესკმა მონაწილეობა მიიღო კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ღონისძიებებში (კანის კინო ფორუმი, შემოქმედებითი ევროპის დესკების სამუშაო შეხვედრა კანის კინოფესტივალის ფარგლებში, European Film Club ღონისძიება, ორმხრივი შეხვედრები ხორვატიის, საბერძნეთის, ავსტრიის, ირლანდიის და პორტუგალიის დესკების წარმომადგენლებთან). ასევე გაიმართა 90-მდე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა პოტენციურ აპლიკანტებთან, გაზიარდა ინფორმაცია 20-მდე შესაძლებლობაზე ხელოვანებისთვის შემოქმედებითი ევროპის სოციალური ქსელის გვერდზე.
- შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით საანგარიშო პერიოდში გრძელდება პროექტი „რეკონცეფცია” რომელიც ბრიტანეთის საბჭოს შემოქმედებითი ნაპერწკლის პროგრამის ფარგლებში უკვე მე-4 წელია ფინანსდება. პროექტის მიზანია სხვადასხვა მიმართულების სტუდენტების სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას და მათი ჩართულობით, არსებული ინსტიტუციებისა და პროგრამების/პროექტების კონცეფციებისა და მართვის ახალი გეგმების, ბიზნეს განვითარების სტრატეგიების შემუშავებას. ითარგმნა „სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო” და „როგორ შევქმნათ ბიზნეს იდეა, ვირჯინ სტარტაპი” ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. ასევე, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე ითარგმნა ბიზნეს მოდელის შესახებ ანიმაციების სუბტიტრები და ვიდეოები განთავსდა შემოქმედებითი მეწარმეობის რესურს ცენტრზე.
- UNESCO/ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის - „შემოქმედებითი კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში“ - ფარგლებში გაიმართა ორდღიანი ვორქშოფი. ღონისძიების მიზანი იყო საჯარო, კერძოდ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების ინფორმირება და მათი მსჯელობის წახალისება სტიმულირების იმ მექანიზმების შესახებ, რომელთა ადგილობრივ დონეზე დანერგვა ხელს შეუწყობს შემოქმედებითი კლასტერების პროექტების ინიცირებას, განვითარებას და უზრუნველყოფს მათ მდგრადობას საქართველოში.
- მომზადდა, დარედაქტირდა, ქართულ ენაზე ითარგმნა და ვიზუალურად გაფორმდა - „პოლიტიკის დოკუმენტი - შემოქმედებითი კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში”.
- მომზადდა, დარედაქტირდა და ვიზუალურად გაფორმდა - „კულტურის სტიმულირების საკანონმდებლო მექანიზმების მიმოხილვა და ეკონომიკური დასაბუთება”.
- ქართულ ენაზე ითარგმნა, დარედაქტირდა და ვიზუალურად გაფორმდა: სახელმძღვანელო - „როგორ წამოიწყოთ, მართოთ და განავითაროთ შემოქმედებითი სივრცეები: ძირითადი სახელმძღვანელო მითითებები და პრაქტიკული რჩევები“.
- „ფაბრიკა თბილისში“ გაიმართა ევროკავშირისა და იუნესკოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „შემოქმედებითი კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში“ დასკვნითი ღონისძიება.
- ბრიტანეთის საბჭოსა და სსიპ - შემოქმედებით საქართველოს“ ერთობლივი პროექტის „კვლევისა და მტკიცებულებების ჩარჩოს შექმნა საქართველოს შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის“ ფარგლებში შემუშავდება სექტორის კვლევის და მტკიცებულებათა ჩარჩო, რომელმაც უნდა მოიცვას შემოქმედებითი ინდუსტრიების და კულტურის სექტორის ეკონომიკური მაჩვენებლების, ღირებულებათა ჯაჭვის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას 14 ქვესექტორის მიხედვით. პროექტის ადგილობრივი კონსულტანტები და შემოქმედებითი საქართველოს გუნდი მუშაობდნენ მტკიცებულებების ჩარჩო დოკუმენტში

განსათავსებელი ინფორმაციის მოძიებაზე, ინტერპრეტირებასა და დოკუმენტში ასახვაზე. მათ შორის, გუნდი მუშაობდა ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ინგლისურენოვანი ტრანსკრიპტების მომზადებაზე დოკუმენტში შეტანაზე. გარდა აღნიშნულისა, ითარგმნა და დოკუმენტს დაემატა შემოქმედებით ინდუსტრიებთან დაკავშირებული სხვადასხვა ქართულენოვანი მასალა (ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიები, ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების ნაწილები).

- იუნესკოს კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი გარდასახვა" ფარგლებში, მიმდინარეობს შემდეგი სამუშაოები:
    - ✓ მომზადდა შუალედური ანგარიშები კვლევის, ცნობიერების ამაღლებისა და სტრატეგიის მიმართულებებით. ასევე, მომზადდა ფინანსური ანგარიში და გაეგზავნა იუნესკოს.
    - ✓ ცნობადობის გაზრდის კამპანიის ფარლგებში მომზადდა მოკლემეტრაჟიანი ვიდეოები, ქართული და ინგლისური სუბტიტრებით, რომლებიც განთავსდა ორგანიზაციის Youtube არხზე.
    - ✓ მომზადდა ცნობიერების ამაღლების კამპანიის დოკუმენტი, რომელშიც ჩაიშალა რიგი აქტივობები. უკრაინაში მიმდინარე საომარი ვითარების გამო, პროექტის გუნდმა გადაწყვიტა სიტუაციის დასტაბილურების შემდგომ დაიწყოს კამპანია.
    - ✓ დაიწყო მზადება შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმოჩენის ბუკლეტის დოკუმენტზე, რომელიც იქნება ორენოვანი. მომზადდა მაგალითების პირველადი სია და დოკუმენტის რამდენიმე გვერდი.
    - ✓ დაიწყო ინტერვიუების მომზადება შემდგომში ვებ-გვერდზე მათი განთავსების მიზნით.
    - ✓ პროექტის კვლევითი მიმართულების დასკვნითი ფაზა ძირითადად ფოკუსირებული იყო რაოდენობრივი კვლევის მიმართულებაზე.
    - ✓ პროექტის კვლევის კომპონენტის ფარგლებში, II კვარტალი დაეთმო კვლევის დოკუმენტის 3 განსხვავებული ვერსიის შეჯერებას, რედაქტირებასა და საერთო დოკუმენტის ვიზუალური ვერსიის მომზადებას.
- კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 29 კონკურსი, არასაკონკურსო წესით დაფინანსება მოიპოვა 62-მა პროექტმა კერძოდ:
    - ✓ კონკურსი: „საქართველოში საერთაშორისო მუსიკალური და საბალეტო ფესტივალების ხელშეწყობა" – დაფინანსდა 10 პროექტი;
    - ✓ ორ ეტაპად ჩატარდა კონკურსი „კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა" - დაფინანსდა 30 პროექტი;
    - ✓ კონკურსის „კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა" ფარგლებში განხორციელდება პროექტი, „პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრის ხელშეწყობა", 80 წევრიანი პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი წარმოადგენს წინანდლის ფესტივალის მთავარ მოვლენას.
    - ✓ დაფინანსდა პროექტი „ქარავან არტფორუმი, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი.
    - ✓ კონკურსი: „იშვიათობად ქცეული წიგნების თარგმნა ან/და გამოცემა" - დაფინანსდა 1 პროექტი;
    - ✓ კონკურსი: „კერძო თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა" - დაფინანსდა 7 პროექტი;
    - ✓ კონკურსი: „დოკუმენტური, სამეცნიერო, პოპულარული კინოს ხელშეწყობა" - დაფინანსდა 5 პროექტი;
    - ✓ „თანამედროვე ხელოვნების ვენეციის 59-ე საერთაშორისო გამოფენაზე", საქართველოს ეროვნული პავილიონის სარეზიდენციო პროგრამაში წარსადგენი საკონკურსო განაცხადების შესარჩევი კონკურსი (გამოვლინდა 5 გამარჯვებული);
    - ✓ „საერთაშორისო ფესტივალებისა და მასტერკლასების ხელშეწყობა (კინო, თეატრი, ფოტო, ანიმაცია, თანამედროვე მუსიკა)" - დაფინანსდა 10 პროექტი;

- ✓ „სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი თეატრების ხელშეწყობა სადადგმო და/ან საგასტროლო ხარჯით“ - დაფინანსდა 11 პროექტი;
- ✓ ქართული წიგნისა და ლიტერატურის მიმართულებით გამოცხადდა კონკურსი „ახალი ქართული წიგნი“ - მწერლების ხელშეწყობა“, კონკურსი ფარგლებში დაფინანსდა 15 პროექტი;
- ✓ ჩატარდა კონკურსი „მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობა (ქართული, აფხაზური, ოსური)“, კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი;
- ✓ მიმდინარეობს სერიალის „იუნკერები“ გადაღება, რომელიც ეძღვნება, 1921 წლის თებერვალში განვითარებულ, ქვეყნის ისტორიისთვის ტრაგიკულ მოვლენას, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლო დღეებსა და ქართველი იუნკრების, ქვეყნისადმი ერთგულებასა და თავდადებას;
- ✓ მიმდინარეობს პროექტი „ბავშვის მიერ წიგნზე წვდომის მხარდაჭერა“;
- ✓ სასცენო სამოსი გადაეცათ ანსამბლებს: „სახიობა“, „ძირიანი“, „დიდგორი“, „ჩვენებურები“, „შილდა“.
- ✓ დაფინანსდა პროექტი ,,უსინათლოთა კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა“;
- ✓ მიმდინარეობს მუშაობა „ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე“ ფესტ ი ნოვა/ახალი ჰორიზონტი 2022;
- ✓ მიმდინარეობს კულტურის სფეროში დასაქმებული გიდების ტრენინგები კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით 2021 წელს შემუშავებული მოდულის მიხედვით;
- ✓ ჩატარდა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა „არტისტერიუმი 15 / 2022 „რადიკალური იმედი“;
- ✓ მიმდინარეობს ყოველწლიური სახალხო ფესტივალი „არტ - გენი“ - რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია 8 კონცერტი და ხალხური რეწვის გამოფენები სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში;
- ✓ სსიპ - ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის მიერ ჩატარდა ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი.

- „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერა“ პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: ა(ა)იპ „ტონინო გუერას საერთაშორისო, იტალიურ-ქართული ფონდის“ პროექტის ,,უსაზღვრო დროთა" ხელშეწყობა; ა(ა)იპ „მდგომარეებს შორის“ თანამედროვე ხელოვნების ვენეციის 59-ე საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოს პავილიონში წარსადგენი პროექტის: „მე ვწუხვარ ბაღზე“ მომზადების, მარკეტინგისა და პავილიონის ადგილზე გასაცნობი ვიზიტის ხელშეწყობა; ვენეციის 59-ე საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოს ეროვნული პავილიონის ფარგლებში ახალგაზრდების (მარიამ ჩირგაძე, ნანა გოგოლაშვილი, მარიამ შერგელაშვილი) ხელშეწყობა;
- კულტურის საერთაშორისო ფესტივალში ,,ევროპალია საქართველო 2023-2024“ - საქართველოს მონაწილეობის მომზადების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ფესტივალში საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობის საწევროს გადახდა; გამოფენის ,,ქართული მოდერნიზმი - ფანტასტიკური ავანგარდი“ - ალბომის საბეჭდი ფაილის შექმნის სამუშაოების დაწყება.
- სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის ტრაპიზონის შავი ზღვის 22-ე ზღვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სპექტაკლით „ჰედა გაბლერი“ ტრაპიზონის მონაწილეობის ხელშეწყობა; სსიპ - თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ვენეციის ფესტივალზე მონაწილეობის ხელშეწყობა; სსიპ - თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის ბაქოში ფესტივალზე „ბაროკოს მუსიკის დღეები“ მონაწილეობის ხელშეწყობა; სსიპ -ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის ვერონაში შექსპირის საერთაშორისო ფორუმზე სპექტაკლით „აურზაური

არაფრის გამო“ მონაწილეობის ხელშეწყობა; სსიპ - ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საერთაშორისო ფესტივალზე „EUROART 2022“ მალტაში პროექტის-ირაკლი სამსონაძის სპექტაკლის „როცა ძალიან მოგვენატრები“ მონაწილეობის ხელშეწყობა; სსიპ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტის „ლილი იოსელიანის 100 წლის იუბილე (სპექტაკლის"ჯონ გაბრიელი ბორკმანი“) ხელშეწყობა; ა(ა)იპ „ყოვლაწმინდა სამების საკათედრო ტაძრის სამგალობლო სკოლის“ პროექტის "ქართული მრავალხმიანობა და საგუნდო მუსიკა სიქსტის კაპელაში“ ხელშეწყობა; შპს ,,პრაიმ შოუ სტუდიოს” ორგანიზებით უკრაინისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტის ხელშეწყობა; ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ხელშეწყობა; 5 ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ქ. ბაქოში გამართულ ბიულბიულის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის ხელშეწყობა; გვანცა აბურჯანიას პროეტში "ტრენტინოს მუსიკის ფესტივალზე" მონაწილეობის ხელშეწყობა; ანა სალარიძის პროექტში „Saluzzo Opera Academy Summer Festival 2022" მონაწილეობის ხელშეწყობა.

8.4 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა:
  - ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კუთვნილი შენობის (სანაპიროს N4 რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის ფიზიკური სამუშაოები;
  - ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ თანამედროვე პირობებითა და საშუალებებით აღჭურვილი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ქიმიური (ტექნოლოგიური) კვლევითი ლაბორატორიის კონცეფციისა და ამ ლაბორატორიის შეძენა/მოწყობა;
  - ✓ სსიპ - ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის (ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ. N17) სრული რეაბილიტაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადება;
  - ✓ სსიპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ.თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ სარგებლობაში არსებული შენობის (თბილისი, ალ. ჭავჭავაძის 19ა) სარეაბილიტაციო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
  - ✓ სსიპ – ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ სამეცნიერო ექსპედიციების ჩატარების, წარმომადგენლობების მონიტორინგისა და მუნიციპალიტეტებში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის მიზნით II კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა.
  - ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი - შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის შენობის პირველი ეტაპის (ქ. თბილისი, გუდიაშვილის ქ. N1) რეაბილიტაცია;

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სარგებლობაში არსებული შენობის (ქ. თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩა N26-ში (01.16.06.062.001)) რეაბილიტაცია/ რეკონსტრუქციის ფიზიკური სამუშაოები;
- ✓ სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს მიერ ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N19 ლიტ. „ა“ I სართული მდებარე ფართის სარემონტო და ინტერიერის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის, ქ. თბილისში აღმაშენებლის გამზირზე N164-ში მდებარე 2 სართულიანი შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო (აღდგენა სარეკონსტრუქციო) სამუშოები.

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა:
  - ✓ ა(ა)იპ - ქართული ფილმის განვითარების ფონდის სარგებლობაში არსებული (ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N174) შენობა-ნაგებობის (ადმინისტრაციული კორპუსის მარჯვენა ფლიგელი, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს), პირველი ეტაპის რეაბილიტაციის პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა;
  - ✓ სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ 17 ერთეული როიალის შესყიდვა;
  - ✓ სსიპ – ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ სამეცნიერო ექსპედიციების ჩატარების, წარმომადგენლობების მონიტორინგისა და მუნიციპალიტეტებში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის მიზნით III კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი „Renault Duster“-ის შესყიდვა.
  - ✓ კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ქ. თბილისის ქვეჯგუფის შეხვედრების გამართვისთვის, მულტიფუნქციური სპორტული ობიექტის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

8.5 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 06)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები;
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;

- „მუზეუმების განვითარების ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს: შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის პროექტების - „შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი - საიუბილეო კატალოგის პუბლიკაცია“ და „ხელოვნების მუზეუმის ისტორიისთვის“ უზრუნველყოფა. მუზეუმის შენობის მეორე-მეხუთე სართულების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, ფონდებში განთავსებული ექსპონატების გადაზიდვისათვის საჭირო შესაფუთი მასალის შესყიდვა, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამუზეუმო კოლექციების გამაგრებითი სამუშაოები.
- სსიპ – დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის პროექტის „უფლისწულ ნიკო დადიანის სასახლის ტექნიკური გადაიარაღება“ დაფინანსება.
- მუზეუმების კოლექციების ერთიანი აღრიცხვის საიტზე (www.egmc.gov.ge) შეიქმნა სამუზეუმო ფასეულობათა 5 053 პასპორტი.

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა სსიპ – საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმის პროექტის „ქართული ემიგრანტული კულტურული მემკვიდრეობის საქართველოში დაბრუნება" განხორციელება; შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის პროექტები - „შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდისთვის დიდი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის 73 გრაფიკული ნამუშევრის შესყიდვა“, „შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის შევსების მიზნით ნამუშევრების შესყიდვა“.
- მუზეუმებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები: 161 გამოფენა, 115 შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტი, მუზეუმებს სტუმრობდა 278 061 დამთვალიერებელი.
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა ძეგლზე სამუშაოების 46 და არქეოლოგიურ სამუშაოებზე - 15 ობიექტზე სანებართვო დოკუმენტაცია.
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა: კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექციის 6 სხდომა, განხილულ იქნა 102 საკითხი; ისტორიულ-არქიტექტურული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციის სექციის 2 სხდომა, განხილულ იქნა 26 საკითხი; არქეოლოგიური სექციის 2 სხდომა, განხილულ იქნა 32 საკითხი; კულტურულ ფასეულობათა სექციის 1 სხდომა, განხილულ იქნა 4 საკითხი.
- გაფორმდა შემდეგი მიღება-ჩაბარების აქტები: ქ. თბილისში, პუშკინის ქ. №4/ გუდიაშვილის ქ. №1-ში (ს.კ. 01.15.04.027.002) მდებარე შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის შენობის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კედლების დროებითი გამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მომზადებული და ლიცენზირებული ექსპერტის მიერ დამოწმებული ხარჯთაღრიცხვა; ქ. თბილისში, პუშკინის ქ. №4/ გუდიაშვილის ქ. №1-ში (ს.კ. 01.15.04.027.002) მდებარე შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის შენობის მზიდი კონსტრუქციების რეაბილიტაცია-გაძლიერების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მეორე და მესამე ეტაპი; ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, II ეტაპი; ქ. სიღნაღში, სარაჯიშვილის ქ. №11-ში მდებარე შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, I და II ეტაპი; ამაღლების სახელობის ეკლესიის კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო შენობის გათბობა-კონდიცირება-ვენტილაციის/კლიმატკონტროლის, ელ. გაყვანილობის, წყალმომარაგება-კანალიზაციის, ხანძარსაწინააღმდეგო და სუსტდენიანი სისტემების მოწყობის პროექტი.
- საანგარიშო პერიოდში სატენდეროდ მომზადებულია ტექნიკური დავალებები შემდეგ ობიექტებზე:
    - ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუცოს ისტორიულ - არქიტექტურული კომპლექსის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოები (VIII ეტაპი);
    - ✓ აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფელი მარნის ყოფილი კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია;
    - ✓ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ხიდისთავში მდებარე კალანდაძეების ოდა-სახლის რეაბილიტაცია-რესტავრაცია;
    - ✓ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ფასადების ქვის საკონსერვაციო სამუშაოების მესამე ეტაპი - გუმბათის ყელის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები;
    - ✓ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, გორის ციხის რეაბილიტაციის IV ეტაპი;

- ✓ მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. მულახში მდებარე ზურებიანი რუსიკოს კომპლექსის რეაბილიტაცია; იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია; ქალდანი ბუხუტის კომპლექსის რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. თბილისში, ქაშვეთის ტაძრის პირველ სართულზე მდებარე წმ. მარინეს ეკლესიის დაზიანებული იატაკის რეაბილიტაცია;
- ✓ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ორბელიანთა სასახლის კომპლექსი - მუზეუმის რეაბილიტაცია;
- ✓ ბაგრატის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (II ეტაპი) შედგენის მომსახურება;
- ✓ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდაში, ცხრა ძმა ხერხეულიძის საფლავისა და წმინდა მარინეს ეკლესიის ტერიტორიაზე შესასვლელი თაღის რეაბილიტაცია;
- ✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ შრომის კულტურის სახლის რეაბილიტაციის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
- ✓ სამტრედიის მუნიციპალიტეტი სოფ. ქვემო ნოღაში მდებარე აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმის შენობის რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ზუგდიდი, ნიკო დადიანის სასახლის სადრენაჟე სისტემების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მდებარე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ავტობუსის ყოფილი გაჩერების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბისო, ციხე-სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მთისპირში, თამარის (ასკანის) ციხის კონსერვაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ადიგენის მუნიციპალიტეტში, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ზარზმის მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის გუმბათიანი ტაძრის მხატვრობის კვლევა და პროექტირება;
- ✓ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სამთავროს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ფერისცვალების ტაძრის ცოკოლის სამშენებლო მასალის კონსერვაციისა და წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სარინელის გადაწყობის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №164-ში მდებარე შენობის ("ქართული ფილმის განვითარების ფონდის" ადმინისტრაციული კორპუსის მარჯვენა ფლიგელი) რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ქ. სიღნაღში, სარაჯიშვილის ქუჩა №8-ში მდებარე სანდრო მირიანაშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ნაგომარის კულტურის სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სოფელ სნოში, ღუდუშაურების ციხის გალავნისა და ეზოს რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, გერგეტის სამების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

- ✓ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. უდაბნოს მიდამოებში არსებული საბერეების გამოქვაბული მონასტრის კომპლექსის კრიტიკული უბნების გამაგრებითი და დამცავი ღონისძიებების ჩატარება;
- ✓ ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამში მდებარე ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ- ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია;
- ✓ ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, სოფ. ტიმოთესუბნის მიდამოებში არსებული ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. სიღნაღში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ივანე სარაჯიშვილის ქ. N11-ში არსებული საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია;
- ✓ მესტიის მუნიციპალიტეტში, (იფარის თემი) სოფ. ადიშის მაცხოვრის ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ რაჭა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოგოლათი, ნიკო და კოკა კახიძეების საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა შემდეგი პროექტები: რაჭა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოგოლათი, ნიკო კახიძის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტი; მესტიის მუნიციპალიტეტში, (იფარის თემი) სოფ. ადიშის მაცხოვრის ეკლესიის ჩრდილოეთ მინაშენის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; გორის მუნიციპალიტეტი, ატენის სიონის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის გადახურვის რეაბილიტაცია.
- ,,მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის სამონასტრო კომპლექსის დაცვისა და კონსერვაციის" პროგრამის ფარგლებში, საქართველოში იმყოფებოდნენ იტალიელი ექსპერტები, რომლებმაც ქართულ მხარეს საკონსულტაციო მომსახურება გაუწიეს გელათის კომპლექსის მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავის კედლის მხატვრობის კონსერვაციის, ამავე მკლავის კამარის სტრუქტურების ჰიგრომეტრიული მდგომარეობის შემოწმების და კედლის მხატვრობის მახასიათებლების დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით.
- 2019 წელს UNESCO-ს აკმ გადაუდებელი დაცვის საჭიროების მქონე ელემენტების ნუსხაში გაგზავნილი ნომინაციის - „ქართული ხორბლის კულტურა“ და მისი ხელახალი მომზადების შესახებ ინფორმაციის მოსმენისა და ანალიზის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ჩატარდა შეხვედრა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით. შეხვედრაზე გადაწყდა, პრეზენტაციის მომზადება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისთვის წარსადგენად.
- ჩატარდა პრეზენტაცია „ხორბლისა და პურის კულტურა საქართველოში“, რომელსაც დაესწრო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილულ იქნა UNESCO-ს გადაუდებელი დაცვის საჭიროების მქონე აკმ ელემენტის განახლებული დაცვის გეგმა. დაისახა მასზე მუშაობის სამომავლო გეგმები.
- განხორციელდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (აკმ) ძეგლის სტატუსის მქონე ელემენტების (სულ 65 ელემენტი) დოკუმენტაციის მოძიება-დაჯგუფება და მოწესრიგება. აღნიშნული სამუშაოების საფუძველზეც შეიქმნა ორი დიდი ბაინდერი აკმ-ს ძეგლთა მყარი ვერსიების;
- მიმდინარეობს ოკუპირებული შიდა ქართლის აკმ-ის კვლევა, რომელიც ხორციელდება ქსნის ხეობის ზემო წელის აკმ-ის გამოსავლენად განხორციელებული ინვენტარიზაციისა და თემატურად სისტემატიზირებული საველე მასალის საფუძველზე;

- მიმდინარეობს ქიზიყის აკმ-ის ინვენტარიზაციის შედეგად მოპოვებული საველე მასალის (ნაწილი) დამუშავება;
- ხორციელდება აუდიო ჩანაწერების ტექსტურ ფორმატში გადაყვანა;
- დასრულდა მუშაობა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაუდებელი დაცვის საჭიროების მქონე ნუსხაში წარსადგენი აკმ ელემენტის „ქართული ხორბლისა და პურის კულტურა“ დოსიეს მოსამზადებლად;
- მიმდინარეობს წინამოსამზადებელი სამუშაო ფოთის მუნიციპალიტეტში კულტურის დარგის მუშაკებისთვის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართულებით სამუშაო შეხვედრისა და ტრენინგის ჩასატარებლად. ტრენინგის ჩატარების ინიციატივა ეკუთვნის ფოთის მერიის კულტურის სამსახურს. ტრენინგისთვის მზადდება 3 პრეზენტაცია და პრაქტიკული სავარჯიშო;
- მომზადდა ორი აკმ ელემენტის სააღრიცხვო ბარათი: „რთველის ტრადიცია საქართველოში“ და „პირველი ხნულის ტრადიცია“. ორივე ბარათი მზად არის აკმ სექციის წევრებისთვის წარსადგენად აკმ ძეგლის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციისთვის.
- მუდმივად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შევსება და განვითარება.
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გეოსაინფორმაციო სისტემების განვითარების (გის) მიმართულებაით მუდმივად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის შევსება/რედაქტირება. საერთო ჯამში კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში განთავსებულია ინფორმაცია: 20 990 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე/ობიექტზე; 15 294 კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტზე; 11 ზოგად დამცავ ზონაზე; 28 კედლის მხატვრობის პასპორტი; 26 მუზეუმსა და მუზეუმ-ნაკრძალზე.
- საინფორმაციო სისტემების სამსახურის მიერ მუდმივად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში (გის მონაცემთა ბაზა) განთავსებული ინფორმაციის, ძეგლთა ნუსხისა და საარქივო დოკუმენტაციის ანალიზი, კორექტირება, უზუსტობების აღმოფხვრა და სხვა.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დუშეთის, თეთრიწყაროს, ხარაგაულის, ბაღდათის, ზესტაფონის, ვანის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ფოთის, კასპის, ბოლნისის და ქარელის მუნიციპალიტეტების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების და ობიექტების მონაცემების კამერალურად დამუშავება, კერძოდ: კოორდინატების დაზუსტება, აღწერილობების კორექტირება ან ახლის შექმნა, ინფორმაციის შევსება და გასწორება, დუბლირებების აღმოფხვრა, რუკაზე მათი განთავსება აერო, სატელიტური და ტოპო რუკების დახმარებით და სხვა. მიმდინარეობდა სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმ-ნაკრაძალების თანამშრომლების მიერ უძრავი ძეგლების შესახებ მოწოდებული მონაცემების ბაზაში განთავსება.
- ადიგენის მუნიციპალიტეტის მაშტაბით ტოპო რუკებისა და აეროფოტო რუკების გარჩევით მოხდა მონიშნული ნასახლარების, ნანგრევების, არქეოლოგიურად საინტერესო არეალების იდენტიფიკაცია სამომავლოდ საინვენტარიზაციო სამუშაოების დაგეგმვისათვის. სულ საანგარიშო პერიოდში დარედაქტირდა 2411 ძეგლი/ობიექტი.
- მუდმივად მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტთა საცავიდან და მონაცემთა ბაზიდან მასალების გაცემის პროცესი. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს სხვადასხვა სამსახურების მოთხოვნით მომზადდა და გაიცა 5,2 GB მოცულობის პროექტების, პასპორტების და ფოტოების ელ. ვერსიები. ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტთა საცავში მიმდინარეობს სააგენტოს სხვადასხვა სამსახურებიდან შემოსული საპროექტო დოკუმენტაციის მყარი ვერსიების აღწერა, დამუშავება და ერთიან ნუსხაში თავმოყრა. საანგარიშო პერიოდში აღნუსხულია 1936 დასახელების საპროექტო დოკუმენტი.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოში იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა იაპონელი მხატვარ-ილუსტრატორის, ტაკეჰიდე ჰარადას, ნამუშევრების გამოფენა. გამოფენა მხატვრის შემოქმედების მხოლოდ ერთ, საქართველოსთან დაკავშირებულ, ნაწილს ასახავს. ექსპოზიციაში წარმოდგენილია სურათები სერიებიდან: ,,ფიროსმანი", ,,ვაჟა-ფშაველა", ასევე ოთხი ნამუშევარი სერიიდან ,,წმინდა ფრანცისკე".
- ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში მომზადდა გამოფენა „ასე ხატავდნენ ფიროსმანს", რომელზეც ექსპონირებულია სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ნიკო ფიროსმანის პორტრეტები მირზაანის მუზეუმის კოლექციიდან.
- სააგენტომ კოორდინაცია გაუწია სააგენტოს მუზეუმების თანამშრომლებს გიდების ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით. ეს იყო ინოვაციური ტრენინგ-მოდული, რომელიც ტურიზმის სფეროში დასაქმებული გიდების გადამზადებას ისახავდა მიზნად. ტრენინგები ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში.
- მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე რეგიონული განვითარების მესამე პროექტის (RDP III) ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაფორმდა ხელშეკრულება ინდივიდუალურ ექსპერტთან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინსტიტუციონალური მხარდაჭერისათვის. აღნიშნული პროექტი მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის ხუთ ძეგლს, რომელთაგან სამი - ვარძიის კომპლექსი, ხერთვისის ციხე და ვანის ქვაბები - გაერთიანებულია ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში. ექსპერტთა კონსულტირების მიზნით, შედგა სამუშაო შეხვედრა-ჩართვა Zoom-ით. გაიმართა შეხვედრები ესპანელ ექსპერტთან და მის გუნდთან, უცხოელ სპეციალისტებს გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია და მიეწოდათ ინფორმაცია. ესპანელი ექსპერტები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში (ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, ხერთვისის ციხე, ვანის ქვაბები). მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალებისა და საგანმანათლებლო სამსახურის თანამშრომლების თანხლებით ექსპერტებმა დეტალურად დაათვალიერეს სამივე კომპლექსი, ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი, მარშრუტი, ინფრასტრუქტურა. მათ მიეწოდათ ინფორმაცია ზემოაღნიშნული ძეგლების და მუზეუმ-ნაკრძალის ფუნქციონირების შესახებ. ესპანელ ექსპეტთა ჯგუფმა ჩაატარა შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია.
- მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ შემუშავდა ღონისძიებათა პროგრამა, მომზადდა შესაბამისი დიზაინის პოსტერები ინტერნეტსივრცეში განსათავსებლად. მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში სხვადასხვა სახის ღონისძიება-აქტივობა გაიმართა უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გრემის მუზეუმში, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში.
- ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის (სოფ. მირზაანი) საგამოფენო შენობაში დაწყებულ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დადგა მუზეუმში დაცული ექსპონატების დროებით საცავში გადატანა და უსაფრთხოდ დაბინავება. დროებით საცავად განისაზღვრა მუზეუმის ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დაცვის სისტემებითა და უსაფრთხოების ნორმებით. მუზეუმში დაცული კოლექციების უდიდესი ნაწილი შეადგენს სახვითი ხელოვნების ნიმუშებს, კერძოდ, ფერწერულ ნამუშევრებს, რომელთა შორის გამორჩეულია ფიროსმანის

სურათების კოლექცია, გრაფიკისა და ქანდაკების ნიმუშებს, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს, ეთნოგრაფიულ მასალას, მათ შორის ქიზიყური ხალიჩების, ფარდაგებისა და ჯეჯიმების მდიდარ კოლექციას.

- სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიხსნა მირზაანის კოლექციის ექსპოზიცია.
- გრძელდება მუშაობა (სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობაზე დაყრდნობითა და სააგენტოს მუზეუმების პოტენციალის შესწავლის შედეგად) საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავებისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალებისთვის. მიმდინარეობს მუშაობა დიასპორულ ორგანიზაციებთან ერთობლივი ღონისძიებების დასაგეგმად.
- ჭიათურის კულტურის ცენტრთან არსებულ ახალგზარდულ ორგანიზაციასთან „წარმატებული მომავლისთვის“ ერთად ხორციელდება პროექტი „რა? სად? როდის?“ (დასრულდა პროექტის პირველი რაუნდი). ვირტუალურ პროექტში მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტმა სკოლამ.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს სტრუქტურაში შემავალ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებს ესტუმრა 98 053 ვიზიტორი.

8.6 კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 33 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტო

- საანგარიშო პერიოდში სტიპენდიები გაიცა 859 სპორტსმენზე, მწვრთნელზე, საექიმო და ადმინისტრაციულ პერსონალზე.
- პროგრამის „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 305 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება.
- პროგრამის „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 125 სპორტსმენს.
- პროგრამის „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერა“ ფარგლებში გაიცა დახმარება 50-დან 70 ლარამდე ოდენობით 25 მუნიციპალიტეტში 309 მწვრთნელზე.
- სტიპენდიებით უზრუნველყოფილ იქნა 112 საქართველოს სახალხო არტისტი, სახალხო მხატვარი და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხოლო სოციალური დახმარებით - 19 ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

8.8 კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

- განხორციელდა საწევრო გადასახადების გადახდა 5 საერთაშორისო ორგანიზაციაში/პროგრამაში (ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“ (Creative Europe; „ევროპის საბჭოს

კულტურული მარშრუტების გაფართოებულ წილობრივი შეთანხმება“ (EPA); „სპორტის შესახებ ევროპის საბჭოს გაფართოებული წილობრივი შეთანხმება“ (EPAS); „ხელოვნების საბჭოებისა და კულტურის სააგენტოების საერთაშორისო ფედერაცია“ (IFACCA); „კულტურის მენეჯმენტისა და პოლიტიკის ევროპული ქსელი” (ENCATC)).

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა მთარგმნელობითი მომსახურებით სარგებლობა, ნათარგმნია 12 დოკუმენტი.

8.9 ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო

- „ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის“ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში:
  - ✓ გადაიხედა „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2025“ დოკუმენტი.
  - ✓ შემუშავებულია „ახალგაზრდობის მოხალისეობის სამთავრობო კონცეფციის” სამუშაო დოკუმენტი. დოკუმენტი დაეყრდნო UNICEF-თან თანამშრომლობით შექმნილ „მოხალისეობის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის” სამუშაო დოკუმენტებს.
  - ✓ დაწყებულია მუშაობა „ახალგაზრდული მეწარმეობის სამთავრობო კონცეფციის“ დოკუმენტის შემუშავებაზე. ევროკავშირის Skills4Jobs პროგრამის, Skills4Success პროექტის ფარგლებში, განსაზღვრული ვალდებულების, “ახალგაზრდული მეწარმეობის” სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად მიმდინარეობს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის დაქირავებისთვის Terms Of Reference-ის მომზადება.
- „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ მიმართულებით დასრულდა მასობრივი ღია ონლაინ კურსის განხორციელება ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ. კურსში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდული საქმიანობით დაინტერესებულმა 54 მონაწილემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. კურსი წარმატებით დაასრულა 30-მა მონაწილემ და მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.
- დაწყებულია მუშაობა ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში საჭიროებების იდენტიფიცირებისა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. პრიორიტეტების განსაზღვრის შესაბამისად, გაგრძელდება კონკრეტული მიმართულებებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლირების ღონისძიებების გატარება;
- იდენტიფიცირებულია თანამშრომლების საჭიროებები და მიმდინარეობს შესაბამისი აქტივობები, რაც მოიცავს სააგენტოს თანამშრომელისთვის არაფორმალურ ინგლისურენოვან კურსს სააგენტოს ბაზაზე, თანამშრომლები ჩართული არიან ახალაგზრდულ სფეროში მიმდინარე კვლევებსა და პოლიტიკის ლაბებში, რომელსაც ორგანიზებას უწევს EU4Youth პროგრამის მეორე ფაზა;
- ჩატარებულია საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრები, მათ შორის გაჟღერებულია სამომავლო თანამშრომლობა ევროკავშირის, ევროკავშირის ადგილობრივი დელეგაციის, ევროპის საბჭოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სხვა უწყებებთან;
- მიმართულებების მიხედვით იდენტიფიცირებულია საჭიროებები და ევროკავშირის Skills4Jobs პრგორამის ახალგაზრული სფეროს ექსპერტის მიერ დაწყებულია მუშაობა რეკომენდაციებზე შემდეგი მიმართულებებით: მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკა, ახალგაზრდული

სერვისები, საბანაკე სევრისები და მათი სტანდარტიზაცია, ახალაგზრდული ცენტრების კონცეფცია, ახალაგზრდული მოხალისეობა და სხვა;

- სააგენტოს ფუნქციური ვალდებულებების აღსრულების მიზნით, შემუშავდა კონცეფციის დოკუმენტი მიმდინარე საგრანტო კონკურსზე EU4Youth წარსადგენად. EU4Youth პროგრამამ ჩაატარა სამუშაო შეხვედრა საქართველოში ახალგაზრდობის გარანტიის პილოტირებასთან დაკავშირებით;
- შემუშავდა ევროკავშირის წევრობის კითხვარის პასუხები, რომელშიც სააგენტო აქტიურად ჩაერთო. ევროკავშირის ასოცირების ახალი დღის წესრიგის დამტკიცების შემდგომ, სააგენტომ მუშაობა დაიწყო პროგრამის და სამომავლო აქტივობების აღნიშნულ დღის წესრიგთან ადაპტირებაზე.
- ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით, განახლდა ახალგაზრდული მუშაკის პროფესიულ სტანდარტზე მუშაობა, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, გაკეთდა სიტუაციური ანალიზი და განისაზღვრა სტანდარტის საკვალიფიკაციო საფეხური. მიმდინარეობს მუშაობა დარგობრივი მახასიათებლებისა და პროფესიისთვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავდება ახალგაზრდული მუშაკების მომზდება-გადამზადების პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები.
- სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტებთან რეგიონული ფორუმების ორგანიზების პროცესში;
- საანგარიშო პერიოდში, მეორე მოწვევის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა სააგენტოსთან და აწვდიდა რეკომენდაციებს ახალგაზრდულ სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, საბჭოს წევრებმა გაიარეს ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელოვნების შესახებ. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული შეხვედრის სრულფასოვნად გამართვის მიზნით, მომზადდა ტექნიკური დავალება, ჩატარდა ფასთა მოკვლევა და გამოცხადდა საასტუმროს მომსახურების ტენდერი.
- განხორციელდა სააგენტოს შენობაში არსებული შშმ პირთა დარბაზის მდგომარეობის შესწავლა და გამოვლინდა საჭიროებები. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს აქტივობები, რომლელთა მიზანია ბენეფიციარების ფიზიკური გაჯანსაღება, ვარჯიშის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება და სოციუმში ადაპტაციის ხელშეწყობა;
- სრულად ადაპტირებული, კეთილმოწყობილი და აღჭურვილია დმანისში სააგენტოს ბალანსზე არსებული ცენტრი.
- მიმდინარეობს ციფრული ახალგაზრდული პლატფორმის განვითარებისთვის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების პროცესი, რის საფუძველზეც მოხდება პლატფორმაზე ახალი შესაძლებლობების, მათ შორის ბეიჯების სისტემის დამატება. გარდა ამისა, ციფრული ახალგაზრდული სერვისების განვითარების მიზნით, სააგენტოს წარმომადგენლები ჩართული არიან „ახალგაზრდული პოლიტიკის ლაბის" მუშაობის პროცესში, რომლის ფარგლებში მომზადდება რეკომენდაციები საქართველოში ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მიმართულებით;
- სააგენტომ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს მისცა საშუალება, ესარგებლათ მის მფლობელობაში არსებული შენობის სივრცეებით. წელს 9 ორგანიზაციას დაეთმო სივრცე აქტივობებისთვის და ჩაატარა 100-მდე ღონისძიება;
- ხარისხიანი მოხალისოების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელების მიზნთ, სააგენტო თანამშრომლობს მშვიდობის კორპუსთან ვირტუალური მოხალისეობის სახელმძღვანელოს შექმნაზე და სერვისის პილოტირების პროგრამაზე. ახალგაზრდობის სააგენტოს ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდთან" პარტნიორობით ეყოლება ვირტუალური მოხალისე, რომელთან ერთადაც მოხდება ონლაინ მოხალისეობის გაიდლაინის შემუშავება. ასევე შემუშავდება სატრენინგო

მოდული, რომლითაც გადამზადდებიან შერჩეული მუნიციპალური სამსახურები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი ჩართულობით დაპილოტდება მუნიციპალური ონლაინ მოხალისეობის პროგრამები. პროექტი დასრულდება შემაჯამებელი ვირტუალური კონფერენციით;

- სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის და კარიერული კონსულტაციების სერვისების გაძლიერება და ამ ეტაპზე მიმდინარეობს პლატფორმა myprofession.gov.ge-ს განვითარებსია და განახლებისთვის საჭიროებების ანალიზი.
- გრძელდება მუშაობა სახელმწიფო ბანაკების სტანდარტის შემუშავებაზე, სადაც გათვალისწინებულია საბანაკე ინფრასტრუქტურის, პროგრამებისა და ადამიანური რესურსის ხარისხის მართვის მექანიზმები;
- დამტკიცდა ბანაკის ლიდერების შერჩევის წესი და გამოცხადდა ვაკანსია ბანაკის ლიდერის პოზიციაზე, სადაც 20-30 წლის ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცემათ ზაფხულის პერიოდში დასაქმდნენ ანაზღაურებად პოზიციებზე. შერჩეული კანდიდატები გაივლიან რამდენიმე დღიან მომზადების პროგრამას;
- ევროპული სკოლის საზაფხულო ბანაკი 2022-ის ფარგლებში, განახლდა სამოქმედო გეგმა, ადმინისტრაციული და პროგრამული დოკუმენტები. გამოცხადებულია ბანაკის თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსი. შერჩეულია 100 მონაწილე 7 ქვეყნიდან, ვინც მოწვეულია ბანაკში მონაწილეობის მისაღებად;
- სახელმწიფო ტენდერის შედეგად გამოვლენილი კომპანიები მუშაობენ სოფელ ანაკლიასა და შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სააგენტოს ბალანსზე არსებული ორი საბანაკე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე. პარალელურად, მიმდინარეობს ბანაკების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპი, სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

8.10 სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (პროგრამული კოდი 50 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

- საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 2014 წლიდან ხორციელდება საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებების (ისლამური, იუდეური, რომაულ–კათოლიკური და სომხურ-სამოციქულო) დაფინანსება. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 მარტის N524 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებების დასაფინანსებლად დამატებით გამოეყო 1.0 მლნ ლარი და მთლიანმა დაფინანსებამ შეადგინა 5.5 მლნ ლარი;
- მიმდინარე პერიოდში 4 რელიგიური გაერთიანების დაფინანსებამ შეადგინა 2 780,0 ათასი ლარი, მათ შორის:
    - ✓ მუსლიმი თემის - 1 700.0 ათასი ლარი;
    - ✓ სომხურ სამოციქულო ეკლესიის თემის - 500.0 ათასი ლარი;
    - ✓ რომაულ კათოლიკური თემის - 340.0 ათასი ლარი;
    - ✓ იუდეური თემის - 240.0 ათასი ლარი.

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

9.1 საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები);
- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო;
- ✓ სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.

- მიმდინარეობდა საქმიანობა 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამის „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ შესაბამისად განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით: ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის, ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების, საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში მუშაობის, ეკონომიკური დიპლომატიის, ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ ინფორმირების მიმართულებით;
- უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ძალისხმევა მობილიზებული იყო, ერთი მხრივ, მოკავშირე უკრაინის ინიციატივების მხარდაჭერის მიმართულებით როგორც ორმხრივ ისე მრავალმხრივ ფორმატებში, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისა და მისი უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით გაზრდილი საგარეო საფრთხეების პირობებში. საქართველოს საკონსულოები უკრაინაში დიდი რისკის ფასად მაქსიმალურად უწევდნენ დახმარებას საომარ ზონებში ჩარჩენილ და სიცოცხლის საფრთხის გამო უკრაინის ტერიტორიის დატოვების მსურველ საქართველოს მოქალაქეებს. ომის პირველი დღეებიდან უკრაინის დედაქალაქზე რუსული თავდასხმების მცდელობების მიუხედავად, ქ. კიევში ფუნქციონირებდა საქართველოს საელჩო.

9.1.1 საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- მიმდინარეობდა მუშაობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით;
- რეგულარულად ხდებოდა პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება ოკუპირებულ რეგიონებში განვითარებულ უკანონო პროცესებზე, უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილ მდგომარეობაზე, რუსეთის ოკუპაციის პოლიტიკის და ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, განსაკუთრებით ხაზი გაესვა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. წარმომადგენლების განცხადებებს რუსეთის ფედერაციასთან მიერთების თაობაზე რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით. სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტიური მუშაობით, საერთაშორისო საზოგადოებამ მკაცრად დაგმო 12

მარტს, აფხაზეთში გამართული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები, ასევე, 10 აპრილს და 8 მაისს, ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საპრეზიდენტო არჩევნების პირველი და მეორე ტურები. საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მუდმივად იმყოფებოდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმების მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდისა და დისკრიმინაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. აქტიურად ხდებოდა ადგილზე არსებული ყველა მწვავე საკითხის დაყენება სხვადასხვა ორმხრივ თუ მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში, სადაც ასევე ხაზი ესმებოდა რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების აუცილებლობას;

- მომზადდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ადამიანის უფლებების მდგომარეობის ამსახველი საერთაშორისო დოკუმენტების ყოველწლიური 2021 წლის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც გავრცელდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საქართველოში აკრედიტებულ მისიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- საქართველოს საკითხი მრავალგზის იქნა განხილული საერთაშორისო ტრიბუნებზე: გაერო-ს უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის და მისი ძირითადი კომიტეტების და ადამიანის უფლებათა საბჭოს ფორმატების ფარგლებში, ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომებზე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის, საპარლამენტო ასამბლეის და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის ფორმატების ფარგლებში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის რიგით მე-7 სხდომაზე, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-15 შეხვედრაზე, საქართველო ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერებისა და მანდატის სრულად შესრულების უზრუნველსაყოფად. ინტენსიური იყო თანამშრომლობა მისიის წარმომადგენლებთან, საოკუპაციო ხაზთან ვითარების ესკალაციის პრევენციის მიზნით და ძალისხმევა ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშესაწყობად საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფისთვის;
- აქტიურად მიმდინარეობდა პროცესი საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით;
- გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) სხდომა მუდმივი წარმომადგენლების დონეზე, განიხილული იქნა 2021 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შეფასების დოკუმენტი, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი, რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უკრაინის საზღვრებთან არსებული მდგომარეობა;
- დამტკიცდა 2022 წლის წლიური ეროვნული პროგრამა (ANP);
- ეუთო-ში გაიმართა იმპლემენტაციის შეფასების ყოველწლიური შეხვედრა (AIAM). საქართველოს დელეგაციის მიერ სხდომის გახსნით სესიაზე გაკეთდა განცხადება, სადაც მკაცრად დაიგმო უკრაინის მიმართ რუსეთის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესია, რომელიც უხეშად არღვევს გაერო-ს ქარტიასა და ჰელსინკის დასკვნითი ოქმის პრინციპებს;
- გაიმართა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ერთობლივი კონვენციის მონაწილე მხარეების შეხვედრა, ქართულმა მხარემ წარადგინა წლიური ეროვნული ანგარიში და გამართა ორმხრივი შეხვედრები სააგენტოს წარმომადგენელთან;
- გავრცელებულინ იქნა შესაბამისი რეჟიმების ფარგლებში აღებული ვალდებულებებით გათვალისწინებული ანგარიშები;
- გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით;
- საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში მომზადდა 2022 წლის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიში და შემუშავდა შესაბამისი

მოკლე ანგარიში, ასევე, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ფარგლებში არსებული ვალდებულებების შესრულების 2021 წლის ანგარიში, რომელიც წარედგინა ევროკომისიას;

- საგარეო უწყების კოორდინაციით და ყველა სახელმწიფო უწყების ჩართულობით მოხდა ევროკომისიის მიერ გადმოცემული კითხვარის უმოკლეს ვადებში შევსება და ევროკომისიისთვის გადაცემა;
- სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების ფარგლებში ხელი მოეწერა ორ საფინანსო შეთახმებას: „ევროკავშირი ჭკვიანი ეკონომიკური განვითარებისთვის“ და „ევროკავშირი მწვანე დაკავშირებადობა“;
- გამარტივდა ინსტიტუციური განვითარების პროგრამა „TAIEX“-ის პროცედურები ქართული უწყებებისათვის. ევროკომისიას დახმარებისთვის გაეგზავნა 15 განაცხადი სხვადასხვა უწყებიდან, აქედან უკვე დაფინანსებულია 3, ხოლო დანარჩენზე მიმდინარეობს განაცხადების დამუშავება;
- მიმდინარეობდა საქართველოში ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების პროგრამა Twinning-ის პროექტების კოორდინაცია, გაიმართა მმართველი კომიტეტების 16 სხდომა. მიმდინარეობდა Twinning-ის 6 ახალი პროექტი და გაიმართა ერთი პროექტის დახურვის ღონისძიება;
- 15 მარტს, ძალაში შევიდა 2022 ფისკალური წლის ბიუჯეტი, იგივე კონსოლიდირებული ასიგნებების აქტი (Consolidated Appropriations Act FY22), რომელიც კვლავ შეიცავს მნიშვნელოვან ჩანაწერს საქართველოს რეგიონების დეოკუპაციისა და არაღიარების თვალსაზრისით, ისევე როგორც შენარჩუნებული იქნა ჩვენი ქვეყნისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების უმაღლესი ნიშნული (132,025 მლნ. აშშ დოლარი);
- მიმდინარეობდა ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და ახალ საფეხურზე აყვანა. ურთიერთობების პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა დარგობრივი მიმართულებით გაღრმავების მიზნით, ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე, საქართველოს ევროკავშირთან და ნატო-სთან ინტეგრაციის შეუქცევად პროცესში ევროპის ქვეყნების მხარდაჭერის კონსოლიდაციის უზრუნველსაყოფად:
- მონაწილეობა იქნა მიღებული დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის წევრი ქვეყნების ეროვნული კოორდინატორების საბჭოს 58-ე სხდომაზე კიევში;
- აქტიურად ვითარდებოდა ურთიერთობები აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან;
- 2022 წლის იანვრის პერიოდში, ყაზახეთის რესპუბლიკაში თხევად გაზზე ფასების გაზრდის მიზეზით დაწყებული საპროტესტო აქციების შედეგად განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე, აქტიურად ხორციელდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, საქართველოს საელჩოს აქტიური ჩართულობით, საქართველოს მოქალაქეებს აღმოუჩინეს სხვადასხვა სახის დახმარება, მათ შორის მოხერხდა მათი (მსურველების) სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნება;
- საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაზარალებულ ტონგის სამეფოს დახმარების სახით 10 000 (ათი ათასი) ამერიკული დოლარი გადაერიცხა;
- გაიმართა შეხვედრა საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, სადაც მთავარ თემას წარმოადგენდა უკრაინაში განხორციელებული რუსეთის აგრესია;
- მიმდინარეოდა აქტიური მუშაობა ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებთან თანამშრომლობის მიმართულებით, ასევე, შენარჩუნდა პოზიტიური დინამიკა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების მიმართულებით;
- მიმდინარეობდა ასევე, მრავალმხრივი დიპლომატიის კუთხით აქტიური ქმედებები განხორციელებისაკენ გაერო-ს, ეუთო-ს და ევროპის საბჭო-ს მიმართულებით;
- ეკონომიკური დიპლომატიის ფარგლებში, მიმდინარეობდა მუშაობა მსოფლიოს სტრატეგიულ ბაზრებთან ინტეგრაციის, ქართული პროდუქციისთვის პრეფერენციული საექსპორტო

პირობების შექმნის, საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში არსებული შესაძლებლობების შესახებ საერთაშორისო პარტნიორების ცნობადობის ამაღლების, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კავშირების დამყარების, საქართველოში მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ასევე ტურისტების დამატებითი ნაკადების მოზიდვის ხელშეწყობის მიმართულებით;

- საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მრავალმხრივი კონვენციების ფარგლებში, თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და ასევე, უკრაინაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს წარმომადგენლობებსა და სხვადასხვა უწყებებთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობდა - ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის (UNECE), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO), ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანების (ITU), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC), გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთისათვის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), OECD-ის საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმის (ITF), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP), სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO), საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა-ევროპული ორგანიზაციის (IOTA), ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) და სხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებსა და შეხვედრებში. კერძოდ, მონაწილეობა იქნა მიღებული 28 საერთაშორისო ღონისძიებაში;
- საანგარიშო პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები კულტურული დიპლომატიის მიმართულებით;
- UNESCO-ს პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო“-ს საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 34-ე სესიაზე (International Coordinating Council of the Man and Biosphere Programme) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირველი ქართული ნომინაციების, „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი“ და „სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი“ ბიორეზერვატების მსოფლიო ქსელში (World Network of Biosphere Reserves (WNBR) გაერთიანების თაობაზე;
- საქართველოს გადაეცა მიწის ნაკვეთი მდინარე იორდანესთან (4000 კვ. მ. მდინარიდან 25-30 მეტრში) მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. საქართველოს პატრიარქის კურთხევით აქ აშენდება ქართული კულტურის ცენტრი. 300 წლის შემდეგ საქართველო ბრუნდება წმინდა მიწაზე;
- ბანგლადეშში პირველად ბენგალურ ენაზე და ინდოეთის ერთ-ერთ უძველეს ასამურ ენაზე გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები და გაიმართა „ვეფხისტყაოსანის“ ესპანურენოვანი გამოცემის პრეზენტაცია მექსიკაში, ხალისკოს შტატის დედაქალაქ გვადალახარაში, დედაქალაქ ბუქარესტში შოთა რუსთაველის ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნა და მასარიკის უნივერსიტეტის ადრეული შუა საუკუნეების კვლევით ცენტრში გაიხსნა შოთა რუსთაველის კაბინეტი, რომელსაც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ორენოვანი წიგნები გადასცა საჩუქრად;
- მიმდინარეობდა მუშაობა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის შესაბამისად საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების მიმართულებით, დაიდო 36 ხელშეკრულება (ამათგან ძალაში შევიდა 18 ხელშეკრულება);
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაოდა სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით;
- გაიმართა „ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების შესახებ საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 2022 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმა. საქართველოს ევროკავშირში

წევრობის განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით და ევროკავშირის მიერ ქვეყნის ევროპული პერსპექტივის ოფიციალური დადასტურების შესაბამისად დაიწყო დოკუმენტების ადაპტაცია. „ევროკავშირის და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა-II“ პროექტის დახმარებით, მომზადდა სამთავრობო უწყებებისთვის კომუნიკაციის სტრატეგიაზე მუშაობისათვის განკუთვნილი გზამკვლევი. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 6 თვის შესრულების ანგარიში იქნა გამოთხოვილი უწყებებიდან. მიმდინარეობდა მუშაობა სტრატეგიის მონიტორინგის software-ის შემუშავებაზე, ამასთან დაკავშირებით სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებთან გაიმართა 2 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა პროგრამის მოდული;

- ყოველდღიურ რეჟიმში მზადდებოდა საქართველოს მთავრობის მიერ უკრაინის მხარდამჭერ ღონისძიებათა და განცხადებათა მონიტორინგი და გავრცელება საქართველოს დიპლომატიურ მისიებში საზღვარგარეთ;
- ყოველკვირეულად მზადდება და ვრცელდება საინფორმაციო დაიჯესტი „Newsletter”, სადაც ასახულია საქართველოს მთავრობის საერთაშორისო შეხვედრები/ვიზიტები და ღონისძიებები;
- სტრატეგიული დოკუმენტების მიმართულებით მომზადდა: მიგრაციის სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის IV კვარტლის ანგარიში და წლის ანგარიში; ასევე, მიგრაციის სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის I კვარტლის ანგარიში და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის 1 წლის ანგარიში; ევროკომისიისთვის მომზადდა ანგარიში უვიზოს კამპანიაზე; 2022 წლისთვის ეროვნული პროგრამის სამოქმედო გეგმა (Annual National Programme) და ასევე, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2022 წლისთვის;
- მომზადდა დეზინფორმაციის მონიტორინგის ყოველთვიური ანალიზის 3 დოკუმენტი, რომელიც მიეწოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, ასევე, პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის აპარატს, უსაფრთხოების საბჭოს და საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს. ასევე, მომზადდა ცალკე საინფორმაციო-ანალიტიკური დოკუმენტი: Disinformation about Georgia and war in Ukraine;
- უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა ჩართულობა სლოვენიური სამთავრობო ორგანიზაცია Centre for European Perspective-ს (CEP) და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ქსელის European Digital Diplomacy Exchange (EDDE) საქმიანობაში, სადაც ხდება კომუნიკაცია და კოორდინაცია სოციალური მედიის პლატფორმებზე აქტივობებთან დაკავშირებით. ასევე, ყოველკვირეულად იმართებოდა საკოორდინაციო შეხვედრები;
- 2022 წელს აღინიშნება 52 პარტნიორ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების და 4 საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრების 30 წლისთავი. სამინისტრო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან ერთად ახორციელებს საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით შესაბამის აქტივობებს. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული საკომუნიკაციო კამპანიის ფარგლებში დამზადდა საიუბილეო ლოგოები, ბანერები, Tweet-ები, Facebook Post-ები, საინფორმაციო მასალები ორმხრივი ურთიერთობების შესახებ და ვიდეო-რგოლები შემდეგი ქვეყნებისათვის: ახალი ზელანდია, აშშ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ავსტრია, გერმანია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, იტალია, უნგრეთი, თურქეთი, წმინდა საყდარი, ისრაელი, ბელგია, ბულგარეთი, ნორვეგია, მექსიკა, ჩინეთი, შვეიცარია, ესტონეთი, რუმინეთი, მოლდოვა. აგრეთვე, 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, გაიმართა კონსულტაციები საქართველოში აკრედიტებულ მისიებთან, მათ შორის აშშ-ის, საბერძნეთისა და ვატიკანის საელჩოებთან;
- მიმდინარეობდა მუშაობა საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიმართულებით;
- geoconsul.gov.ge-ის მეშვეობით დარეგისტრირდა 5 625 განაცხადი. მათგან 4 516 დასრულდა დადებითად, ხოლო 862 - უარყოფითად; E-Visa Portal-ის მეშვეობით დარეგისტრირდა 6 192 განაცხადი, მათგან 5 348 დასრულდა დადებითად, ხოლო 830 - უარყოფითად;

- საკონსულო დეპარტამენტის ქოლ-ცენტრის მეშვეობით კონსულტაცია გაეწია 24 156 მოქალაქეს. ელექტრონულ ფოსტით საკონსულო დეპარტამენტის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული წერილების რაოდენობამ შეადგინა 6 794 ერთეული; სალეგალიზაციო განცხადებების რაოდენობამ შეადგინა 716, ხოლო დამოწმებული დოკუმენტების რაოდენობამ - 1 048;
- დაინიშნა 3 ახალი საპატიო კონსული; გაიმართა შვიდი საკონსულო კონსულტაცია/შეხვედრა საერთაშორისო დონეზე;
- მომზადდა ისეთი ანგარიშები, როგორებიცაა მიგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის კვარტალური ანგარიშები და ამავე სახის ანგარიშები EMN-ისათვის (მიგრაციის ევროპული ქსელი); აგრეთვე მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან. კომპეტენციის ფარგლებში მოამზადდა ისეთი ანგარიშები, როგორებიცაა სპეციალური კითხვარი აშშ-ს საელჩოსათვის (კვარტალური ანგარიში) და ტრეფიკინგთან ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 6-თვიანი ანგარიში;
- საზღვარგარეთიდან გადმოსვენებულია 437 თანამემამულე, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6.4 მლნ ლარამდე;
- საზღვარგარეთ საქართველოს რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს გამოეყო 715.0 ათასი ლარი უკრაინიდან საქართველოს მოქალაქეების საქართველოში დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

9.1.2 საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველოს მიერ განხორციელდა ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა კონვენციაში, კომისიაში, ჯგუფში, ღონისძიებაში და ა. შ..

9.1.3 საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

- ბიურომ საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით, თარგმნა და დაამოწმა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების 8 782 გვერდი და განახორციელა 60.1 საათი სინქრონული თარგმნით მომსახურება.

9.1.4 დიასპორული პოლიტიკა (პროგრამული კოდი 28 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- მიგრაციის პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრთან ერთად (ICMPD) მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს კანონის - „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“, ცვლილებების პაკეტის მომზადების მიზნით;
- გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები დიასპორული პოლიტიკის კუთხით და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად:
    - ✓ მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს კანონის - „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“, ცვლილებების პაკეტის მომზადების მიზნით;
    - ✓ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად (IOM) მიღებული იქნა მონაწილეობა გლობალურ დიასპორული სამიტის მოსამზადებელ სამუშაოებში Global Diaspora Summit 2022;
    - ✓ GIZ-თან ერთად მომზადდა დიასპორული ინიციატივების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების ფინანსური აუდიტორების და მათი ანალიზის/განზოგადების საფუძველზე შესაბამისი ინსტრუქცია/გზამკვლევი.
- მომზადდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე დიასპორის შესახებ მიღებული რეზოლუციისთვის ინფორმაცია;
- განხორციელდა 2022 წლის მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პირველი კვარტლის მონიტორინგის შედეგების ასახვა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ელექტრონულ სისტემაში და მომზადდა მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) პირველი კვარტლის საინფორმაციო ბიულეტენისთვის შესაბამისი მასალები;
- ჩატარდა დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ფორუმი სახელწოდებით „ქართული დიასპორა საქართველოს ევროპული მომავლისათვის“, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთში მცხოვრებ თანამემულეებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, სამშობლოსთან მათი კავშირის უზრუნველყოფას, მათ აქტიურ ჩართულობას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში და დიასპორის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას;
- გაიმართა თანამემამულეს სტატუსის განმსაზღვრელი 5 კომისიის სხდომა. სტატუსი მიენიჭა 131 პირს, ხოლო უარი ეთქვა 87-ს.

9.1.5 ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 28 01 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

- მიმდინარეობდა პროაქტიული კომუნიკაცია საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. აღნიშნულის მისაღწევად, განხორციელდა 470-მდე ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18 500-მდე მოქალაქემ.

10. სოფლის მეურნეობა

10.1 ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი: 31 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო;

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

10.1.1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი: 31 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

10.1.2 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი: 31 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა ოთხი ფინანსური პროდუქტის (საბრუნავი საშუალებების კომპონენტი; ძირითადი საშუალებების კომპონენტი; შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტი; სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში") კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსება;
- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში გაცემულია 284.7 მლნ ლარის 6 988 ახალი სესხი. მთლიანობაში საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 12 641 სესხს. სააგენტოს გაწეულმა თანადაფინანსებამ შეადგინა 78.7 მლნ ლარი;
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან (2013 წელი) სულ გაცემულია 62 483 სესხი, მათ შორის:
  - ✓ საბრუნავი საშუალებების კომპონენტისთვის - 978.4 მლნ ლარი და 26.6 მლნ აშშ დოლარი;
  - ✓ ძირითადი საშუალებების კომპონენტისთვის - 2.6 მლნ ლარი და 196.4 მლნ აშშ დოლარი;
  - ✓ შეღავათიანი აგროლიზინგი - 46.5 მლნ ლარი და 996.6 ათასი აშშ დოლარი;
  - ✓ აწარმოე საქართველოში - 251.8 მლნ ლარი და 23.9 მლნ აშშ დოლარი.
- საანგარიშო პერიოდში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღების მიზნით გაფორმდა 36 ბენეფიციარს გაუფორმდა შეთანხმება, ჯამური თანხით 24.6 მლნ ლარი, საიდანაც შეთანხმებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 14.7 მლნ ლარს.
- საანგარიშო პერიოდში საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 36 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 36 შეთანხმება მათ შორის:
  - ✓ კახეთის რეგიონში: 10 ახალი საწარმოს შექმნის მიზნობრიობით, იმერეთის რეგიონში: 10 ახალი საწარმოს შექმნის მიზნობრიობით, გურიის რეგიონში: 1 ახალი საწარმოს შექმნის მიზნობრიობით და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში: 1 ახალი საწარმოს შექმნის მიზნობრიობით;
  - ✓ კახეთის რეგიონში: 3 არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების, იმერეთის რეგიონში: 8 არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების მიზნობრიობით და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში: 1 არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების მიზნობრიობით;
  - ✓ კახეთის რეგიონში: 1 არსებული საწარმოს გადაიარაღება/გაფართოვება და ახალი საწარმოს შექმნა მიზნობრიობით და იმერეთის რეგიონში: 1 არსებული საწარმოს გადაიარაღება/გაფართოვება და ახალი საწარმოს შექმნა მიზნობრიობით.
- სულ საანგარიშო პერიოდში ფაქტიური შესრულებამ შეადგინა - 11 979.2 ათას ლარს;

10.1.3 აგროდაზღვევის (პროგრამული კოდი: 31 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაიცა 11 225 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 133.6 მლნ ლარი, სააგენტოს პრემიის წილმა კი 407.8 ათასი ლარი. დაზღვეული მოსავლის ფართობმა შეადგინა 13 146.5 ჰექტარი;
- მიმდინარეობდა გასულ წელს აღებული ვალდებულებების შესრულება.
- 2014-2022 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაიცა 146 519 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 1 146.5 მლნ ლარი, სააგენტოს პრემიის წილმა კი 64.3 მლნ ლარი. დაზღვეული მოსავლის ფართობმა შეადგინა 135 713.34 ჰექტარი. 2014-2022 წლებში ანაზღაურებული ზარალის ოდენობამ შეადგინა 66.1 მლნ ლარი.

10.1.4 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი: 31 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

- სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 20.6 მლნ ლარი;
- ბაღების კომპონენტის ფარგლებში 379 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 400 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 48.6 მლნ ლარი, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 3 061.26 ჰა-ს;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 2 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 2 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 755.6 ათასი ლარი, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 14.20 ჰა-ს
- ჭის/ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 50 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 50 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 1.9 მლნ ლარი, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 463.18 ჰა-ს;
- წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის დაფინანსდების კომპონენტის ფარგლებში 33 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 33 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 1.2 მლნ ლარი, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 244.70 ჰა-ს.
- სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში 2015-2022 წლებში 3 695 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 4 329 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 269.0 მლნ ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსების წილი შეადგენს 140.8 მლნ ლარს, დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 19 453.65 ჰა-ს.

10.1.5 ქართული ჩაი (პროგრამული კოდი: 31 05 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“-ს ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის მიზნით 1 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 1 ხელშეკრულება. პლანტაციების ჯამური ფართობი შეადგენს 13.26 ჰექტარს;
- ჩაის მწარმოებელ 6 კოოპერატივს გადაეცა ჩაის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარები;
- სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 026.3 ათასი ლარს;
- სულ პროგრამის ფარგლებში 2016 – 2022 წლებში 54 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 69 ხელშეკრულება. პლანტაციების ჯამური ფართობი შეადგენს 1 675.70 ჰექტარს, საიდანაც რეაბილიტაცია დასრულდა 1 031.80 ჰექტარზე.

10.1.6 გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (პროგრამული კოდი: 31 05 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 14 პროექტი, ინვესტიციის ჯამური ღირებულებით 14.7 მლნ ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 5.0 მლნ ლარს;
- მიმდინარეობდა გასულ წელს აღებული ვალდებულებების შესრულება. სულ საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯმა შეადგენა 8.6 მლნ ლარი;
- პროექტის დაწყებიდან 2014–2022 წლებში დაფინანსებულია 176 საწარმო (მათ შორის გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში 82 პროექტი, შემნახველ საწარმოთა კომპონენტში ფარგლებში 94 პროექტი). საანგარიშო პერიოდის ბოლოს 176 საწარმოდან უკვე გახსნილია და ფუნქციონირებს 88 ახალი საწარმო.

10.1.7 ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი (პროგრამული კოდი: 31 05 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში ფერმერთა რეესტრის ბაზაში დამატებით რეგისტრირებულია 10 679 ფერმა/ფერმერი. სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა - 136.6 ათასი ლარი.
- ფერმერთა რეესტრის ბაზაში პროექტის დაწყებიდან 2018–2022 წლებში სულ რეგისტრირებულია 165 732 ფერმერი.

10.1.8 პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი: 31 05 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- 9 ბენეფიციართან გაფორმდა ISO-22000-ის სტანდარტის სერტიფიცირების ხელშეკრულება, 8 ბენეფიციართან გაფორმდა HACCP სისტემის სერტიფიცირების ხელშეკრულება, 2 ბენეფიციართან BRC-ის სტანდარტის დანერგვის ხელშეკრულება, 1 ბენეფიციართან FSSC 22000-ის სტანდარტის სერტიფიცირების ხელშეკრულება, 2 ბენეფიციართან FSSC v.5.1.-ის სტანდარტის სერტიფიცირების ხელშეკრულება, 9 ბენეფიციართან GLOBAL G.A.P-ის სტანდარტის სერტიფიცირების ხელშეკრულება). 32-მა ბენეფიციარმა დანერგა სურსათის უვნებლობის

საერთაშორისო სტანდარტი (მათ შორის: HACCP - 8, ISO-22000 - 9, BRC - 2, FSSC-2200 - 3, GLOBAL G.A.P - 10); 14 ბენეფიციართან გაფორმდა ბრენდირების ხელშეკრულება. 14-მა ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის ბრენდირება.

- 7 ბენეფიციართან გაფორმდა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის) წარმოებული პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენის ხელშეკრულება;
- სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 306.4 ათასი ლარი.
- პროექტის დაწყებიდან 2016 – 2022 წლებში:
    - ✓ 50 ბენეფიციართან გაფორმდა ISO-22000-ის სტანდარტის სერტიფიცირების ხელშეკრულება, მათ შორის: 35 - HACCP; 2 - BIO სტანდარტის სერტიფიცირების; 11 - GLOBAL G.A.P სტანდარტის სერტიფიცირების; 6 - BRC-ის სტანდარტის დანერგვის; 3 - FSSC 22000-ის სტანდარტის სერტიფიცირების; 2 - FSSC v.5.1.-ის სტანდარტის სერტიფიცირების. 2 ბენეფიციარმა დანერგა BIO სტანდარტი, 38 საწარმოში დაინერგა ISO-22000-ის სტანდარტი, 23 საწარმოში დაინერგა HACCP სისტემა, 12 საწარმოში დაინერგა GLOBAL G.A.P სტანდარტი, 3 საწარმოში დაინერგა BRC სტანდარტი და 4 საწარმოში დაინერგა FSSC 22000 სტანდარტი;
    - ✓ 26 ბენეფიციართან გაფორმდა ბრენდირების ხელშეკრულება. 24 კომპანიამ მოახდინა კომპანიის/პროდუქციის ბრენდირება;
    - ✓ 12 ბენეფიციართან გაფორმდა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის) წარმოებული პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენის ხელშეკრულება.

10.1.9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (პროგრამული კოდი: 31 05 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- მიმდინარეობდა მევენახეობის და რძის მწარმოებელი კოოპერატივების მიმართულებით აღებული ვალდებულებების შესრულება. სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 177.5 ათასი ლარი;
- სულ პროექტის დაწყებიდან 2019 – 2022 წლებში:
    - ✓ რძის მწარმოებელი კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 8 ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრულმა თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 896,3 ათასი ლარი;
    - ✓ მევენახეობის მიმართულებით კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 13 ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრულმა თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 6.5 მლნ ლარი;
    - ✓ სათიბ - საძოვრების მიმართულებით კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 4 ხელშეკრულება. ხელშეკრულებით განსაზღვრულმა თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 232.4 ათასი ლარი.

10.1.10 მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (პროგრამული კოდი: 31 05 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაფორმდა 69 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულება შეადგენს 11.2 მლნ ლარი, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 4.6 მლნ ლარს. სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 740.1 ათასი ლარი;
- სულ 2019–2022 წლებში მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაფორმდა 334 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულება შეადგენს - 45.6 მლნ ლარს, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 19.8 მლნ ლარს (მათ შორის, მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში: სხვა ტიპის მოსავლის ამღები ტექნიკის (გარდა ყურძნის) მიზნობრიობით გაფორმდა 214 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 23.6 მლნ ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 11.0 მლნ ლარს; კომბაინის მიზნობრიობით გაფორმდა 31 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 11,9 მლნ ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 4.0 მლნ ლარს; სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიზნობრიობით გაფორმდა 89 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 10.1 მლნ ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 4.8 მლნ ლარს).

10.1.11 აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი: 31 05 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

10.1.11.1 მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA) (პროგრამული კოდი: 31 05 11 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებულდა რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა და დანადგარებით აღჭურვა;
- მიმდინარეობდა გრანტების გაცემა: ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოების, რძის შემგროვებელი პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად; შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში; სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCAP-ის სტანდარტებში, ფერმერთა მიერ რძის ხარისხის ევრორეგულაციების შესაბამისად გაუმჯობესების, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში. მერძევეობის სექტორში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა; სამოვრებთან დაკავშირებული და დარგისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
- მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამის საგრანტო კომპონენტის (DiMMA) (IFAD) ფარგლებში საანგარიშო პერიოდში 4 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 4 ხელშეკრულება (ვეტერინარიის და ხელოვნური განაყოფიერების მიზნობრიობით), ჯამური ინვესტიციით 186.6 ათასი ლარი;

- მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამის საგრანტო კომპონენტის (DiMMA) (IFAD) ფარგლებში 2020-2022 წლებში 312 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 313 ხელშეკრულება, ჯამური ინვესტიციით 28.5 მლნ ლარი, ხოლო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 20.5 მლნ ლარს (მათ შორის: ვეტერინარიის და ხელოვნური განაყოფიერების მიზნობრიობით გაფორმდა 9 ხელშეკრულება, პირუტყვის საკვების პირველადი წარმოების მიზნობრიობით გაფორმდა 101 ხელშეკრულება, რძის გადამამუშავებელი საწარმოს (მცირე ზომის) მიზნობრიობით გაფორმდა 9 ხელშეკრულება, რძის პირველადი წარმოების მიზნობრიობით გაფორმდა 194 ხელშეკრულება).

10.1.12 სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი: 31 05 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 29 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 1.1 მლნ ლარი, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს - 336.5 ათას ლარს; მიმდინარეობდა გასულ წელს აღბული ვალდებულებების შესრულება (ტრანშების გაცემა). სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 23.8 მლნ ლარი;
- პროგრამის დაწყებიდან (2021-2022 წლებში) სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 2 336 ხელშეკრულება, ჯამური თანხით - 141.7 მლნ ლარი, საიდანაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 45.6 მლნ ლარს.

10.1.13 იმერეთის აგროზონა (პროგრამული კოდი: 31 05 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ძირითადი ინფრასტრუქტურის (გარე და შიდა გზები, ბუნებრივი აირის და ელექტრო ენერგიის მიწოდების ქსელი, სადრენაჟო და საირიგაციო სისტემა, საკანალიზაციო სისტემა, ტერიტორიის შემოღობვა და მოსწორება და სხვა) სამშენებლო პროექტებისათვის ტექნიკური დავალებების მომზადებისა და კომპანიის მიმდინარე ხარჯების დაფარვა, დაფინანსდა შპს იმერეთის აგროზონა.

10.1.15 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი: 31 05 15)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩაერთო 254 502 ფერმერი (ფერმერები, რომელთა ბარათებზეც მოხდა ქულების დარიცხვა, ბარათებზე დარიცხული ქულების ოდენობამ

შეადგინა 31,1 მლნ ლარი.); მთლიანობაში საანგარიშო პეიოდის განმავლობაში ბენეფიციარების ათვისებული სუბსიდიის მოცულობამ შეადგენა 25.0 მლნ ლარი.

10.1.16 მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი: 31 05 17)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში 3 უნიკალურ ბენეფიციარს/კოოპერატივს გაუფორმდა 3 ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 64 775 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგენა 8.8 ათასი ლარი;
- 2019-2021 წლებში ბენეფიციარებს დაუფინანსდათ მეფუტკრეობისთვს საჭირო ისეთი აღჭურვილობების შეძენა როგორიცაა: სკები, თაფლის საწურები, თაფლის შესანახი ავზები, ფიჭის ასათლელი დანები.

10.2 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი: 31 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა: სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა; ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სხვადასვა სახის ღონისძიებები.

10.2.1 სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი: 31 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია. შესაბამისი საინჟინრო კვლევების, პროექტირების, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ჩატარება. სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შეძენა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველსაყოფად;
- საირიგაციო სისტემებზე, კაპიტალური ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდებოდა 33 პროექტი, დამშრობი (დრენაჟი) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 1 ობიექტზე;

10.2.2 სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი: 31 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების და კომპანიის მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება.

10.2.3 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (პროგრამული კოდი: 31 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის G1-G32 გამანაწილებლებზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოებები. ქვემო სამგორის G33-ზე შეჩერებულია სარეაბილიტაციო სამოუშაოები დიზანის ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითც უნდა მოხდეს დამოუკიდებელი წყალაღების უზრუნველყოფა მდინარე იორის შენაკადიდან. რაც შეეხება ზედა რუს მაგისტრალურ არხსა და მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლებს, საქართველოს მელიორაციის მოთხოვნით მოხდა ზედა რუს სარწყავი სქემის დიზაინის ცვლილება. მომზადდა პროექტის მოდიფიკაცია და საქართველოს მელიორაციის მოთხოვნებზე მორგება. რადგანაც ცვილებებით გამოწყვეული ხარჯები არსებითია (არსებული კონტრაქტის ღირებულების 25% აღემატება), შესაბამისად მოხდა მიმდინარე კონტრაქტის შეწყვეტა, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და იგეგმება უახლოეს მომავალში ტენდერის გამოცხადება.
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინსტიტუციური გაძლიერება და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის ფარგლებში მოხდა 6 თვის დეტალური გეგმის შემუშავება და დამტკიცება. ამ გეგმის საფუძველზე მოხდა კვლევითი კომპანიის შერჩევა, დაკონტრაქტება, კითხვარის მომზადება და შესაბამისი საკონსულტაციო და სამუშაო ვიზიტების დაგეგმვა და ორგანიზება. შედეგად, მოხდა ადგილობრივ მიზნობრივ რეგიონებში წყალმომხარებელთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ფერმერთა დამოკიდებულების შესწავლა და ანალიტიკური ანგარიშის მომზადება.

10.3 მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი: 31 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო

- ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის მიზნით, საინსპექციო და სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა 127კომპანიაში, აღებული იქნა 712 ნიმუში;
- მსოფლიოს 8 ქვეყანაში, მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 5 საერთაშორისო გამოფენა, გაიმართა 4 დეგუსტაცია, 2 პრეზენტაცია, 1 მასტერკლასი და 1 სემინარი;
- ქ. ციურიხში გაიხსნა გამოფენა „საქართველო - 8 000 წლის მეღვინეობა“, სადაც ექვსი თვის განმავლობაში, დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს ქართული ღვინის კულტურასთან და ისტორიასთან დაკავშირებულ ექსპონატებს, არტეფაქტებსა და სხვა საინფორმაციო-საილუსტრაციო მასალას;
- რაჭა-ლეჩხუმში გაიმართა ღვინის პირველი ფესტივალი და მცირე მარნების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ პროფესიული სასწავლო კურსი;
- თბილისში გაიმართა ბუნებრივი ღვინის ფესტივალი „ZERO COMPROMISE”;

- ქართული ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 151.5 მლნ აშშ დოლარამდე შემოსავალი, რაც 11%-ით ნაკლებია 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკადასტრე სამუშაოების დაგეგმვა მიმდინარე წლისათვის, განისაზღვრა სამუშაოების ქრონოლოგია და მასშტაბები. გაიმართა შეხვედრები რეგიონებში საკადასტრე სამუშაოების დაგეგმვის, ქრონოლოგიისა და შესრულების მიზნით ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ამასთან ერთად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა ინფორმაციის განახლება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზონებში. განახლდა კადასტრისათვის გამოყენებული მონაცემთა ბაზა და მოხდა მისი სრულყოფა „აბაკოს“ ექსპერტებთან განხილვის ფორმატში. დაიწყო საკადასტრე რუკებისთვის ორთო-ფოტოების გადაღება, ამავე რეგიონისთვის დაიწყო ოპერატორების მომზადება;
- ქართული სასაქონლო ნიშნის - ,,ალაზნის ველის“ ბელარუსიის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის მიზნით, სააგენტოსა და LLC «Inter-regional center of patent services «BelIntelPat»-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

10.4 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი: 31 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო

- განხორციელდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი: 8 884 ინსპექტირება, 3 545 დოკუმენტური შემოწმება, მონიტორინგი - 1 259 ნიმუშის აღება, 321 ზედამხედველობა.
- ინსპექტირება განხორციელდა ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოებში, რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების, თევზისა და თევზპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, პურისა და პურფუნთუშეულის საწარმოებში, საზოგადოებრივი კვების (რესტორანი, მზა კერძები, საშაურმე, სწრაფი კვება) ობიექტებში, საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოებში, საკონდიტროებში, სასურსათო მაღაზიებსა და მარკეტებში და სურსათის მწარმოებელ სხვა პროფილის ბიზნესოპერატორებთან. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს შესაბამისად სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდა 1 880 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.
- ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით დაავადებებზე (თურქული, ჯილეხი, ბრუცელიოზი, ცოფი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი) პროფილაქტიკური/იძულებითი ვაქცინაციის განხორციელება, კერძოდ;
    - ✓ თურქულის პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 433.4 ათასი სულ მსხვილფეხა და 586.3 ათასი სულ წვრილფეხა პირუტყვს;
    - ✓ ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია/რევაქცინაცია ჩაუტარდა 255.3 ათასი სულ მსხვილფეხა, 450 .2 ათასი სულ წვრილფეხა პირუტყვს და 2.7 ათასი სულ ცხენს;
    - ✓ ცოფის დაავადებაზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია 155.3 ათასი სული შინაური ხორცისმჭამელი (ძაღლი, კატა) ცხოველი;
    - ✓ წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ ვაქცინაცია ჩაუტარდა 267.9 ათასი სულ წვრილფეხა პირუტყვს;
    - ✓ ბრუცელოზზე ვაქცინირებულია 36,3 ათასი სული მსხვილფეხა და 4.7 ათასი წვრილფეხა პირუტყვი;

- ✓ ნოდულარული დერმატიტის საწინაარმდეგოდ ვაქცინირებულია 10.4 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი;

- ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდემიოლოგიურ კერებში ინსექტო აკარიციდული პრეპარატებით დაავადების გადამტან ტკიპებზე დამუშავდა 15.0 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი. იდენტიფიცირებულია და რეგისტრირებულია 211.5 ათასი სული მსხვილფეხა, 127.0 ათსი სული წვრილფეხა საქონელი და 0.9 ათასი სული ღორი;
- ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 86 ნიმუში;
- ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებზე ინსექტო აკარიციდული პრეპარატებით დამუშავებულია 7.7 ათასი სული მსხვილფეხა და 466.0 ათასი სული წვრილფეხა საქონელი.
- შემოწმებული იქნა 482 კონტროლქვემდებარე ობიექტი: ინსპექტირებულია სულ 392 ობიექტი, აქედან 122 ვეტაფთიაქი, 9 ვეტკლინიკა, 30 ზოომაღაზია, 1 კოსმეტიკური კაბინეტი, ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენებელი 32 ვეტკლინიკა და 4 ცხოველთა თავშესაფარი, 19 ცოცხალი ცხოველების სარეალიზაციო ობიექტი, 166 პირველადი წარმოების ობიექტი (მეურნეობა), ვეტპრეპარატების დამამზადებელი 2 საწარმო, თევზის ფქვილის დამამზადებელი 3 საწარმო. შინაური ბინადარი ცხოველების საკვების დამამზადებელი 1 საწარმო, სასურსათიო დანიშნულების ცხოველები საკვების დამამზადებელი 3 საწარმო. ასევე დოკუმენტური შემოწმება ჩაუტარდა სულ 90 ობიექტს: აქედან 78 ვეტაფთიაქს, 5 კლინიკას, ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენებელ 6 ვეტკლინიკას და 1 ცხოველთა თავშესაფარს;
- განხორციელდა 28 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა;
- აღიარების მიზნით განხორციელებული შემოწმების შედეგად 6 პირველადი წარმოების ობიექტს მიენიჭა აღიარება. შინაური ბინადარი ცხოველების ნედლი საკვების დამამზადებელ 2 საწარმოს პირობითი აღიარების (6 თვე) მიზნით განხორციელებული შემოწმების შედეგად აღნიშნულ საწარმოს მიენიჭა პირობითი აღიარება;
- განხორციელდა ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურის (ვეტკლინიკის) დარეგისტრირების მიზნით სარეგისტრაციო შემოწმება და განთავსდა შესაბამის რეესტრში;
- გამოკვლეულ იქნა შინაური ბინადარი ცხოველის საკვების 25 და თევზის ფქვილის 20 ნიმუში სალმონელაზე და ენტერობაქტერიებზე, ფრინველის საკვების 4 ნიმუში და ცხოველის საკვების 1 ნიმუში სალმონელაზე;
- ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და დამაბინძურებლების გამოვლენის ლაბორატორიული მონიტორინგის მიზნით განხორციელდა ცოცხალ ცხოველების სისხლის 170 ნიმუშის გამოკვლევა;
- სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების აღრიცხვა, ასევე კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობდა 50 მდე სარეალიზაციო ობიექტების აღიარების პროცედურების განხორციელება;
- ჩატარდა კალიების წინასწარი მონიტორინგი. განხორციელდა 8 ერთეული ულტრამცირემოცულობიანი შემასხურებელი აგრეგატის მოწოდება. ხელშეკრულება გაფორმდა მომწოდებელთან და უახლოეს პერიოდში მოწოდებული იქნება კალიების საწინააღმდეგო, ინსექტიციდები: ლამბდა ციჰალოტრინისა და ტეფლუბენზურონის შემცველი პრეპარატები. დამუშავდა 25 000 ჰა ფათობი;
- საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის მიზნით, განისაზღვრა მიმდინარე წელს პროგრამის ფარგლებში გამოსაკვლევი საკარანტინო მავნე ორგანმების სია და ნიმუშების რაოდენობა;

- დასავლეთ საქართველოში დაიწყო ფუნციონირება აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვის ცენტრმა, ასევე მოხდა ლოჯისტიკური ცენტრების შერჩევა და სპეციალური ტექნიკის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა. მონიტორინგი განხორციელდა ფაროსანას მოზამთრე ფაზებზე მათ გამოზამთრების ადგილებში და წინასწარ განისაზღრა ის ტერიტორიები სადაც მოხდება ფერემონების განთავსების დაწყება. დასავლეთ საქართველოში უკვე მიღებულია ღონისძიებებისათვის საჭირო სინთეზური პირეტორიდების 200 000 ლიტრამდე ინსექტიციდი, ასევე 50 000 ფერომონი. მონიტორინგის მიზნით განთავსებულია 3 500 ფერომონი, მოიზიდე და გაანადგურე სადგურებზე განთავსებულია 18 200 ფერომონი, დამუშავებულია 13 000 ჰექტარი ფართობი.

10.5 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი: 31 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

- ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახშირღელეში მიმდინარეობდა მეგრული წითელი ჯიშის საცდელი ნახირის ექსტერიერის, ფურების პროდუქტიულობის, მოზარდის განვითარების შესწავლა;
- განხორციელდა კვლევები მეგრული წითელი საქონლის საცდელი ნახირების მერძეული პროდუქტიულობის შესასწავლად;
- დინამიკაში შესწავლილია სარძეო კოოპერატივების ნახირებში კავკასიური წაბლა ჯიშის 25 დეკეულის ზრდის მაჩვენებლები და განხორციელდა კუროების მიერ დაგრილებული დედა პირუტყვის აღრიცხვა, ასევე გრძელდება ნახირის სამეურნეო-პროდუქტიული მაჩვენებლების კვლევა;
- მიმდინარეობდა ქართული მთის ჯიშის საცდელი ნახირის მოშენება, ნამატის მიღება, პროდუქტიულობის შესწავლა, პირუტყვის დაგრილება და კვების მონიტორინგი;
- განხორციელდა მეკვერცხული პროდუქტიულობის აღრიცხვა ქათმისთვის, იხვისთვის და ინდაურისთვის;
- შესწავლილია ჯავახური რუხი და ჭრელი ბატის, კოლხური ხოხბის და ჩალისფერი ინდაურის კვერცხდების ინტენსიობა და კვერცხის ფიზიკური და საინკუბაციო მაჩვენებლები;
- დადგინდა ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები; სანაშენე ბირთვისათვის შეირჩა ფუტკრის საუკეთესო 25 ოჯახი; სანაშენე და რეპროდუქტორი ოჯახებიდან გამოყვანილ იქნა 230 განაყოფიერებული დედა ფუტკარი; გამოწურული იქნა 180 კგ თაფლი;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ტყის სატაქსაციო მასალების დამუშავებით დადგენილ იქნა 5 კვარტლის სამთაბარო ადგილები;
- გატარებულია ფუტკრის დაავადებების საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებები ბიპინი T-ს და აპიმაქსის გამოყენებით;
- 2021 წლის საშემოდგომო და 2022 წლის საგაზაფხულო აღწერის საფუძველზე დადგინდა ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები;
- ჩატარდა გრენის ნაწილობრივი მიკროანალიზი. გაისინჯა 40 ჯიშის გრენა. დამზადდა 300 ცალი კოლოფი;
- ქართულ სასურსათო პროდუქტთა ნუტრიენტული შემცველობის ბაზას დაემატა 57 ახალი ერთეული. მონაცემთა ბაზა მზადაა კომპიუტერული უზრუნველყოფის პროგრამაში (Nutritics) ინტეგრირებისთვის;
- განხორციელდა საქართველოში ინვაზიური მწერის - ფრთალაქიანი დროზოფილას რისკის შეფასებისათვის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების განსაზღვრა;

- საქართველოს ტერიტორიაზე ფრთალაქიანი დროზოფილას შესაძლო შემოჭრა, გავრცელების, დამკვიდრების რისკის დონეები განისაზღვრა თვისობრივი მეთოდით, რისთვისაც გამოყენებულია EPPO-ს (ევროპის მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია) მიერ რეკომენდებული პროგრამა CAPRA;
- შედგენილია ბიოპრეპარატების გამოყენების სქემა თითოეული კულტურისათვის;
- წილკნის საცდელი ნაკვეთისათვის მარცვლოვან, პარკოსან, ტექნიკურ და ბოსტნეულ კულტურებთან ერთად ურთიერთშეთავსებადობის პრინციპების შესაბამისად შეირჩა არომატული და პესტიდური აქტივობის მქონე მცენარეეები და მომზადდა შერეული ნათესების სქემები;
- ბიოპრეპარატებით დამუშავებული თესლი დაითესა საჩითილე კასეტებში;
- დნმ-ის საექსტრაქციო მასალა აღებულია ვაზის 20 სხვადასხვა ჯიშიდან;
- ჯიღაურას ბაზის სადედე და საკოლექციო ვენახებიდან აღებულია ვაზის რქების 300-ზე მეტი ნიმუში და გამოკვლეულია იმუნოფერმენტული ანალიზის (Das-ELISA) მეთოდით, ასევე FAO-ს პროექტის საშუალებით მოწოდებული 350 ვაზის რქის ნიმუში;
- დამუშავებულია თვითმავალ შასზე დააგრეგატებული ბრტყლად სასხლავი აპარატის ტექნოლოგიური სქემა და სამუშაო ორგანოების ესკიზური ნახაზები;
- განისაზღვრა ოპერაციების ჩამონათვალი და მათი შესრულების კალენდარული ვადები როგორც ფისტის გაშენების, ასევე სრულასაკოვანი ფისტის მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიებისთვის;
- მოტანილია წყალამწი დანადგარების ავტომატური მუშაობის სანიმუშო სქემა და აღწერილია მისი ავტომატურ რეჟიმში მუშაობა, შედგენილია წყლის გაყვანილობის სქემა;
- ბოსტნეული დათესილია 24 საჩითილე კასეტაში, პომიდორი სათბურში 588 ბუდნაში და 350 კვ.მ. კომბოსტოსნაირები ჩათესილია საჩითელეებში;
- გაშენდა ხეხილის ინტროდუცირებული ჯიშების ახალი საკოლექციო ნაკვეთი (ჯიღაურა);
- შეივსო 10 მდე ახალი ფორმით ადგილობრივი ჯიშების კოლექცია;
- ჩატარებულია საგაზაფხულო გასხვლა UFO-ს და ესპანური ბუჩქის მეთოდოლოგიით ;
- დესკრიპტორების მიხედვით აღწერილია საკვლევი ჯიშები ორბელური ოჯალეში, ცოლიკოური, დაზუსტდა საკვლევი ჯიშის იდენტურობა;
- განხორციელდა ღვინის ლექიდან მოხსნა და მიღებულია 700 ლ მოცულობის წითელი და 850 ლ მოცულობის თეთრი ღვინო; ჩამოსხმულია 25 ჯიშის 350 ბოთლი;
- მიღებულია ვაზის ჯიშების, ქისისა და ხიხვის ღვინის საფუარის სპონტანური მიკროფლორის ბიომასები;
- საანგარიშო პერიოდში მოძიებულია: კივის პერსპექტიული ჯიშ-ფორმა, ყვითელგულა კივი, ჩინეთში სელექციით მიღებული წითელგულა კივი, ფეიჰოას პერსპექტიული ჯიშ-ფორმა - აპოლო; საკოლექციო ნაკვეთზე დაირგო ყვითელგულა კივი;
- დაკალმებულია წითელგულა კივის მცენარეები, ასევე ლიმონი მეიერი, ლიმონი ბჟუჟი, ლიმონი ახალქართული;
- ახალქალაქის და ახალციხის ბაზაზე ნაკვეთი გაწმენდილია თავთავიანი კულტურებისთვის;
- დამუშავდა ევროკავშირის დირექტივა COMMISSION IMPLEMENTING DIRECTIVE 2014/98/EU;
- დამუშავდა დაფნის კულტურის სერტიფიცირების სქემის დეტალები;
- სათესლე და სარგავი მასალის მწარმოებელთა რეესტრს დაემატა სარგავი მასალის 5 მწარმოებელი;
- გაცემულია სარგავი მასალის 17 პარტიისთვის სერტიფიკატი;
- შემოწმდა დოკუმენტაცია 6 სანერგე მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, 5 სანერგის მდგომარეობა დადებითად შეფასდა. 1 სანერგეს მიეცა შესაბამისი მითითებები, დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შესახებ;

- საკოლექციო ნაკვეთზე საცდელად დაირგო ჰოლანდიური კომპანიის „CIBA“-ს მიერ გადმოცემული მისკანტუსის 400 მცენარე;
- ჩამოსხმულია ვაზის 25 ჯიშის 350 ბოთლი ღვინო;
- ჩატარდა 2 საველე დღე ხეხილის ჯიშის და ნორმების საკითხებზე;
- სათესლე და სარგავი მასალის მწარმოებელთა რეესტრს დაემატა სარგავი მასალის 6 და სათესლე მასალის 2 მწარმოებელი;
- მდგომარეობის შესწავლის მიზნით განხილულია 9 სანერგე მეურნოების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები;
- დაფნის კულტურის მწარმოებელ 9 ფერმერთან ადგილზე ჩატარდა ინსპექტირება და სადედე ბაღების ვიზუალური დათვალიერება;
- ინსპექტირება ჩატარდა თესლის მწარმოებელ 2 ფერმერთან;
- კატალოგში დაემატა ვაზის 17 ადგილობრივი ჯიში.
- განისაზღვრა ყურძნის ჯიშებში დანაკარგების რაოდენობა ცალკეული ვარიანტების მიხედვით;
- მიღებულია 16 საკვლევი ნიმუში, რომლისგანაც შემუშავდება სხვადასხვა პროფილაქტიკური სასმელების მიღების ტექნოლოგია;
- ექსტრაქციის გზით მომზადდა საანალიზო ნიმუშები (მშრალი ალუბალი- ოთხი ჯიში და მშრალი ქლიავი - 3 ჯიში,) სულ 7 ვარიანტი;
- გაანალიზებულია და შეფასებულია სასუფრე ყურძნის ნიმუშების შენახვის შედეგები, როგორც შენახვისუნარიანობის ასევე ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით;
- დამზადდა ქიმიური რეაქტივები საცდელ ნიმუშებში ქიმიური ანალიზების ჩატარების მიზნით, ასევე მომზადდა მაცივარ საკანი ექსპერიმენტების ჩასატარებლად;
- გაანალიზებული და დამუშავებულია ბლის ჯიშებში ჩატარებული ექსპერიმენტისა და ბიოქიმიური კვლევის შედეგები;
- აღებულია ნივრის 2 ფორმა, მიმდინარეობდა შენახვისათვის წინასწარი დამუშავება, კონდიციამდე მიყვანა-გამოშრობა;
- განისაზღვრა მშრალი ხილის ძირითადი ტექნოლოგიური მახასიათებლები: ხმნ, °B; pH; ტიტრული მჟავიანობა, % - ჯიშების მიხედვით ;
- დამზადდა მშრალი ხილის და ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობების კომპოზიციის საფუძველზე ასორტი თაფლით;
- მომზადდა იოგურტში შესატანი ინგრედიენტების - ყურძნის ანარჩენის ნიმუშები;
- ჩატარდა ხილის დეგუსტაცია: მშრალი ალუბალი, მშრალი ქლიავი , მშრალი ბალი - გამოყენებულია ოსმოსური გაუწყლოების მეთოდი;
- დამუშავდა ბიოქიმიური ძმრების გამოყენებით სხვადასხვა გადამუშავებული პროდუქტის რეცეპტურები;
- ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში შედგენილია ნიადაგის ნიმუშების აღების წერტილების განმსაზღვრელი ბადე თეთრიწყაროს, მარნეულის და სიღნაღის მუნიციაპლიტეტებისთვის;
- აღებულია ნიადაგის 30 ნიმუში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა მისი ლაბორატროიული კვლევისთვის მომზადება და კვლევა;
- ნაკვეთიდან, სასათბურე მეურნეობიდან აღებულია ნიადაგის 10 ნიმუში;
- განხორციელდა ნიადაგის ნიმუშების აღება საცდელ- ნაკვეთიდან მრავალწყლოვანი კულტურების ქვეშ, აღებულია ნიადაგის 20 ნიმუში;
- განხორციელდა ნიადაგის 30 ნიმუშის მომზადება ლაბორატროიული კვლევისთვის;
- განხორციელდა ნიადაგის 27 ლაბორატროიული კვლევა ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებზე;
- მომზადდა 2 რეკომენდაცია ვაზის და თხილის კულტურისთვის ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით;

- განხორციელდა ნიადაგის 87 ლაბორატორიული კვლევა ნიადაგის ფიზიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებზე.

10.6 კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა (პროგრამული კოდი: 31 14)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

- საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ლაბორატორიაში შესული იქნა დაახლოებით - 108 938 ნიმუში, შეაბამისად ჩატარებულია 139 876 სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევა;
- მიმდინარეობდა სხვადასხვა გამოკვლევები მათ შორის ინფექციურ დაავადებებზე (ბრუცელოზი, მრპ-ს პათ.მასალა, ტყავისა და ნიადაგის გამოკვლევა ჯილეხზე, ცოფი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ბრადზოტი, ემკარი და სხვა). გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა შემდეგი დაავადებები: ცოფი - 15, ბრუცელოზი - 1 177, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 56, პასტერელოზი - 9, სალმონელოზი - 2, მასტიტი - 274, ბრადზოტი - 5, ჯილეხი - 8, კოლიბაქტერიოზი - 13;
- განხორციელდა წყლის, თაფლის, სხვადასხვა საკვები პროდუქტების - მრპ-სა და ღორის ტანხორცის, სხვადასხვა მზა პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების, რძისა და რძის პროდუქტების, გამოკვლევები სხვადასხვა პარამეტრებზე. გამოკვლეულ ნიმუშებში გამოვლინდა: სალმონელა - 75, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები - 128, აერობული მიკროორგანიზმების კოლონიების რაოდენობა - 109, ფეკალური სტრეპტოკოკი (წყალში) – 8, ენტერობაქტერიები - 6;
- გამოკვლეულია სხვადასხვა მცენარეული ნიმუშები მიკოლოგიურ, ენტომოლოგიურ, ფიტოპათოლოგიურ და სხვა დაავადებათა აღმძვრელზე. აღნიშნულ კვლევებში გაიცა დადებითი პასუხები: ენტომოლოგიური - 27, მიკოლოგიური - 108, ჰელმინთოლოგიური - 11.

10.7 მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი: 31 15)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკ“-თან, დაიწყო „მიწის რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნისა და მისი განვითარების შესახებ“ კონცეფციის შემუშავების პროცესი;
- დედოფლისწყაროსა და აბაშის მუნიციპალიტეტების მიწის ბალანსის შედგენასთან დაკავშირებით განხორციელდა მონაცემთა მოძიება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა, შეჯერება, სისტემატიზაცია და კარტოგრაფიული სამუშაოების ჩატარება;
- მიმდინარეობდა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში შემოსულია 161 განაცხადი, სადაც მოქალაქეები გამოხატავენ დაინტერესებას 11 776 ჰა. ფართობის საძოვრებზე;
- სააგენტოში მიწათსარგებლობის მონიტორინგის დისტანციური ზონდირებით წარმართვის პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურებოდა სამუშაო ვიზიტი საფრანგეთში. გაიმართა შეხვედრები ფრანგული სააგენტოების Air Bus-ისა და IGNI FI-ის

წარმომადგენლებთანაც. შეხვედრებზე განიხილებოდა მიწათსარგებლობის დისტანციური მონიტორინგის სისტემის დანერგვის შესაძლებლობები მიწის სააგენტოში;

- ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციას მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მომსახურების შესყიდვის გზით. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა საგარეჯოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების (საერთო ფართობით - 880 ჰა) ინვენტარიზაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის 27 მაისს, შპს „საკონსულტაციო კომპანია - ბუნებრივ რესურსებთან“.

11. სასამართლო სისტემა

11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00–10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი;
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლო.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- მაისის თვეში ჩატარდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. დარეგისტრირდა 314 კანდიდატი, გამოცდა ჩააბარა 38-მა აპლიკანტმა, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით 31-მა, ხოლო სისხლის სამართლის სპეციალიზაციით - 7-მა;
- განხორციელდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული 25 მოსამართლის რიგით პირველი შეფასება, ასევე გამოსაცდელი ვადით დანიშნული 3 მოსამართლის რიგით მესამე შეფასება;
- სასამართლოს მომხმარებელთათვის ინფორმაციის დროული და ეფექტიანი მიწოდების მიზნით აპრილიდან ამოქმედდა საერთო სასამართლოების საინფორმაციო ცენტრი;
- 67 ნაფიცი მსაჯული და 757 ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები უზრუნველყოფილ იქნენ კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;
- საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებული გენერატორის დემონტაჟის, ახალი გენერატორის მონტაჟისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები; გაფორმდა ხელშეკრულებები თბილისისა და რუსთავის საქალაქო, მცხეთის, სენაკის, და ბოლნისის რაიონული სასამართლოს შენობების სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

12.1 დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი: 31 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების თემატიკით განხორციელდა 368 სხვადასხვა ტიპის აქტივობა: ჩატარდა 217 ეკოსაგანმანათლებლო ლექცია-სემინარი, 10 გამწვანებისა და 20 დასუფთავების აქცია. დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა 40 ეკოტური, 16 კვირეული, მოეწყო 1 ეკობანაკი. ადგილობრივ მოსახლეობასთან გაიმართა 60 საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მიიღო 1 123 ადამიანმა;
- საანგარიშო პერიოდში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩაერთო 8 879 დაინტერესებული პირი, მათ შორის 6 088 მოსწავლე, 348 სტუდენტი, 727 პედაგოგი, 1 123 ადგილობრივი მოსახლე და 593 სხვადასხვა დაინტერესებული პირი;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე დაფიქსირდა 257 440 ვიზიტორი, რაც 2021 წლის 6 თვის მონაცემებთან შედარებით (129 857 ვიზიტორი) დაახლოებით 2 - ჯერ არის გაზრდილი, მათ შორის ქართველი ვიზიტორების რაოდენობა (146 540 ვიზიტორი) 2021 წლის 6 თვის მონაცემებთან შედარებით (81 293 ვიზიტორი) 80%-ით არის გაზრდილი, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა (110 900 ვიზიტორი) 2021 წლის 6 თვის მონაცემებთან შედარებით (48 564 ვიზიტორი) 2.2 -ჯერ არის გაზრდილი.

12.2 გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 31 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- განხორციელდა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 1 860 ინსპექტირება (გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა). გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნი, ასევე განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 148 გემის ინსპექტირება;
- საქართველოში წარმოებული პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებადი ან/და კომპოსტირებადი პარკების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მიმდინარეობდა საწარმოების ინსპექტირება, სულ განხორციელდა 51 ობიექტის დათვალიერება, შესაბამისი გაზომვების ჩატარება. გამოვლენილ დარღვევებზე გატარდა კანონმდებლობით დადგენილი რეაგირება;
- ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 5 651 ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 5 440 ფაქტი, სისხლის სამართლის ნიშნების - 211 ფაქტი. დეპარტამენტის მიერ ინსპექტირებისა და პატრულირების პროცესში გამოვლენილი უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის მოცულობამ შეადგინა 2 955 კუბური მეტრი;
- სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 3 393.0 ათასი ლარი, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 7 908.6 ათასი ლარი;
- საანგარიშო პერიოდში „ცხელ ხაზზე - 153“ შემოვიდა 1 176 შეტყობინება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რეაგირება და კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარება.

12.3 გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი: 31 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ ა(ა)იპ - სოფლისგანვითარების სააგენტო

12.3.1გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი: 31 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- განხორციელდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება, ასევე შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
- განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო გადასახადის გადახდა.

12.3.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასების ღონისძიებები (პროგრამული კოდი: 31 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

- მიმდინარეობდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით'' რეგულირებული საქმიანობებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ხოლო კოდექსით განსაზღვრული სტრატეგიული დოკუმენტებისთვის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების განხორციელება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადება, ასევე, ჰაერდაცვითი და წყალდაცვითი დოკუმენტაციის შეთანხმება.

12.3.3 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი: 31 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო

- კატარის სახელმწიფოში, ქალაქ დოჰაში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე Agriteq 2022 საქართველოს სტენდი მოეწყო. საერთაშორისო გამოფენაში 14 ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა (მათ შორის: შპს „აგროქიზიყი", შპს „აგროლეინი", შპს „ანიგოზა",შპს „ NUTS.GE", შპს „კერკი",შპს „გეო ნატურალი",შპს „გორჯი", შპს „ჯეო ორგანიკი", შპს„აუგუსტი", შპს „კამპა", შპს „სნო", შპს „კობი", შპს „ალალი",შპს „ქართული ზეთისხილი"). კომპანიების მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო: ქართული ვაშლი, კაკალი, მოცვი, მშრალი ხილი, ზეთისხილი, შეციებული ცხვრის ხორცი, თაფლი, ორგანული წვენები და სხვა.
- გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში FRUITLOGISTICA 2022 ექვსმა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა (მათ შორის: შპს აგროლეინი, შპს ლურჯი ველი, შპს გეოფრეში, შპს აგრითაჩი და შპს ალფა მიერ წარმოებული პროდუქცია) FRUIT LOGISTICA ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენაა და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გლობალურ პლატფორმას.

გამოფენას, ყოველწლიურად 70,000 ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. წელს გამოფენაში მონაწილეობა 80 ქვეყანამ და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედმა 2 000-მდე ადგილობრივმა და საერთაშორისო კომპანიამ მიიღო. FRUITLOGISTICA 2022 5 აპრილს დაიწყო და 7 აპრილს დასრულდა;

- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქალაქ ბაქოში, საერთაშორისო გამოფენაზე CASPIAN AGRO 2022 მონაწილეობა მიიღო 14-მა კომპანიამ (მათ შორის: შპს ქართული აგროპროდუქტი, შპს ინვეტი, შპს ბადაგი +, შპს რუხი ქვინი, შპს ბლუბერი ფარმი, შპს ჯეონატურალსი, შპს ხილარი, შპს ბენჯი, შპს მომავლის მეღვინეობა, შპს FOODOLIZ, შპს ჩირიფრუტი, შპს კამპა, შპს MOTION TECHNOLOGY და ნუშისა და კაკლის მწარმოებელთა ასოციაცია) კომპანიების მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული ალკოჰოლური სასმელები, კაკალი, მშრალი ხილი, ორგანული წვენები, თაფლი, სხვადასხვა სახის კონსერვები, ცხოველთა კომბინირებული საკვები და სხვა;
- ქ. გორში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, შემეცნებით-გასართობი სივრცე და გამოფენა/ბაზრობა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარების მიერ წარმოებული ქართული პროდუქცია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 14 კომპანიამ, რომელთაც წარმოადგინეს ალკოჰოლური სასმელები, მშრალი ხილი, თაფლი, ნატურალური წვენები, მშრალი ხილი, რძის ნაწარმი და სხვა.

12.3.5 ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი: 31 01 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ჩატარდა სამუშაოები სამინისტროს ცენტრალურ სასერვერო ინფრასტრუქტურაში. ახალ სასერვერო ოთახში გაიმართა ქსელური ინფრასტრუქტურა და სერვერები. გაიზარდა უწყებების თბილისის ოფისების სასერვეროსთან კავშირის სისწრაფე, მოხდა არსებული სერვისების პროგრამული განახლება, ჩატარდა სხვადასხვა ტიპის სამუშაოები ქსელებთან, მოხდა ვირტუალური სერვერების ინვენტარიზაცია;
- სამინისტროს სისტემაში შემავალ უწყებებში ჩატარდა სხვადასხვა ტიპის სამუშაოები, კერძოდ გაიმართა IT ინფრასტრუქტურა, IP ტელეფონები, ჩანაცვლდა ქსელური აპარატურა, მოხდა ვირტუალური მანქანების ჩანაცვლება/კონფიგურაცია, გაიმართა უსაფრთხოების კამერები;
- განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ტექნიკური მხარდაჭერა სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი უწყებების მასშტაბით.

12.4 სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი: 31 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

- მიმდინარეობდა მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა-განვითარებისათვის; უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სისტემის ადმინისტრირება, სისტემის მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა;
- სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია (დამისამართება; შჰპ-ფაილების დამუშავება - ანალიზი, რეგისტრაცია - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში):

- ✓ 1 114 ჰა ფართობზე - სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებით შემდგომში სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- ✓ განხორციელდა 10 679 ჰა ფართობზე - ფაქტიური მდგომარეობის შესწავლა, ადგილმდებარეობის დაზუსტება, ანალიზი სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მინერალური სარგებლობის განხორციელების მიზნით
- ✓ შესწავლილ და დამუშავებულ იქნა 30 ჰა ფართობზე - სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის მიზნით მოთხოვნილი ფართობები;

- სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მომსახურება გაეწია სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, განხორციელდა ტყის აღრიცხვის (ტყეკაფის მონიშვნის) სამუშაოები, და კარტოგრაფიული მასალების მომზადება 4 217.9 ჰა ფართობზე;
- გარემოსდაცვითი შეფასების პროექტებისთვის (გზშ, სკრინინგი, სკოპინგი, სანაყაროები/ფუჭი ქანების განთავსებისთვის) შესწავლილი იქნა მთლიანი 8 420 ჰა ფართობი, მათ შორის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ფიქსირდება 593 ჰა ფართობი;
- განხორციელდა სახელმწიფო ტყის საზღვრის კორექტირების საკითხი 1 045 ჰა ფართობისთვის;
- ტერიტორიული სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი იქნა 374 სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 2 612.543 კბმ, ჩამორთმეული რესურსის მოცულობამ - 1 330.053 კბმ, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 352.6 ათასი ლარი;
- დაპროექტდა სულ 35.5 კმ. სატყეო გზა, მ.შ. მოწყობა 3.6 კმ; რეაბილიტაცია 31.9 კმ;
- მიმდინარეობდა 2020 წელს დაწყებული საქმიანი ეზოების (ხე-ტყის დასაწყობების ბაზების) სამშენებლო სამუშაოები 9 ობიექტზე (ძეგვი, კასპი, ზღუდერი, ბობნევი, სადმელი, ყვარელი, ხაშური, ახალციხე, ბორჯომის პლატო); ადმინისტრაციული ოფისების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები - 3 ობიექტზე (ყვარელი, ხაშური, ახალციხე); დაიწყო სამუშაოები 5 ახალ ობიექტზე (ამამლო, ხოდაშენში, ბოლნისი, ჩოხატაური, შემოქმედი). მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეწყვეტილი იქნა 1 ხელშეკრულება (ყვარლის საქმიანი ეზოს მშენებლობა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი), რომლის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი გამოცხადდა განმეორებით (დაზუსტებული მონაცემებით;)
- მიმდინარეონდა ახალი ადმინისტრაციული ოფისის სამშენებლო სამუშაოები ზუგდიდში;
- სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში დამზადდა 83 895.5 კუბური მეტრი მერქნული რესურსი. აქედან, სოციალური ჭრის ფარგლებში - 33 186.1 კუბური მეტრი სააგენტოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ჭრის ფარგლებში - 48 287.3 კბმ, მოვლითი ჭრის ფარგლებში - 2 422.1 კბმ.;

12.5 გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი: 31 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

- რეგულარულად, დღეღამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები 157 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე;
- დღეღამურ რეჟიმში ხორციელდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების სტაციონალური ქსელიდან მონაცემების შეგროვება და მომხმარებლებისთვის მიწოდება. მათ შორის, 23 ერთეული მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის

მონაცემთა გაცვლის გლობალური ქსელის მეშვეობით ოპერატიულად ვრცელდებოდა საერთაშორისო დონეზე;

- ყოველდღიურად დგებოდა ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზები და საჭიროების შემთხვევაში გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. საანგარიშო პეროიდში გაიცა 107 გაფრთხილება (მათ შორის 39 სპეც-გაფრთხილება) საქართველოს სამხედრო გზაზე მოსალოდნელი ზვავსაშიშროების შესახებ). თუმცა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის სიხშირის უკმარისობის და პროგნოზების მაღალი გარჩევადობის მოდელების თვლისთვის საჭირო გამოთვლითი სიმძლავრეების უკმარისობის გამო არასაკმარისია მათი გამართლებადობა და დაბალია პროგნოზების სივრცითი და დროითი გარჩევადობა;
- რეგულარულად წარმოებდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მიმდინარე და ისტორიულ ქაღალდის მატარებელზე არსებული მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის, მონაცემთა ხარისხის კონტროლის, მონაცემთა ბაზების შევსების და ექსპედიციური ჰიდრომეტრული სამუშაოები;
- საქართველოს ძირითადი მდინარეების: ენგურის, აჭარისწყალის, რიონის, სუფსის, მტკვრის, არაგვის, ქციას, ალაზნის, ხანისწყლის და მათი შენაკადების აუზების ზემო წელში და ქვეყნის 8 უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიებზე (16 მარშუტზე) ჩატარდა თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები;
- ჰიდროლოგიური დაკვირვების სტაციონალურ პუნქტზე და ხელშეკრულებებით, მომხმარებელების მიერ მოთხოვნილ პუნქტებზე იზომებოდა წყლის ხარჯები;
- მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი;
- მიმდინარეობდა კამერალური სამუშაოები გეოლოგიური რუკების კომპლექტის და გეოლოგიური ანგარიშის შედგენის მიზნით (რაჭა -K-38-VIII და ზემო იმერეთი - K-38-XIV);
- მიმდინარეობდა გარემოს დაბინძურების დონის შეფასებისათვის ნიადაგის, ზედაპირული წყლების და ნალექების სინჯების აღება. ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების ჩატარება, ყოველთვიური ბიულეტენების „მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ“(იანვარი-მაისი) მომზადება;
- მიმდინარეობდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის განხორციელება ქალაქებში თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზესტაფონი და რუსთავი; ინდიკატორული გაზომვების ჩატარება საქართველოს 25 დასახლებულ პუნქტში;
- მიმდინარეობდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს გარემოს მდგომარეობის შეფასების მიზნით ჰიდრობიოლოგიური და მიკრობიოლოგიური მონიტორინგის განხორციელება შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს სადგურებზე. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე გამორიყული ზღვის ძუძუმწოვრების მონიტორინგი;
- მიმდინარეობდა საქართველოს საზღვაო სივრცეში სარეწაო თევზების მარაგებისა და სამრეწველო ექსპლუატაციის დასაშვები დონის (კვოტების) პროგნოზირების მიზნით 2021 წლის ნოემბერი-დეკემბრის და 2022 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში მოპოვებული ძირითადი სარეწაო თევზების ნიმუშების ანალიზი - სახეობრივი იდენტიფიკაცია, ჭერილში თითოეული სახეობის რიცხოვნობის განსაზღვრა; ინდივიდუალური გაზომვა; ინდივიდუალური აწონვა; ზომა-წონითი ვარიაციული რიგების მომზადება; ოთოლიტებისა და ქერცლის აღება ზრდა-ასაკობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისათვის. მიმდინარეობდა შავი ზღვის საქართველოს საზღვაო სივრცეში ძირითადი სარეწაო თევზების შეფასებისა და სარეწაო პროგნოზის 2022-2023 წწ სარეწაო სეზონის ანგარიშის მომზადება.

12.6 ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი: 31 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ველური ბუნების ეროვნული სააგენტო

- სააგენტოს მიერ რეალიზებულია 2 915 ცალი ნერგი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 14.3 ათსი ლარი;
- თებერვლიდან სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოში" დაიწყო საგრანტო პროექტი ,,გადავარჩინოთ ბუნება", რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელობს SIDA-სთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმით და უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.
- გრანტის დაფინანსებით განხორციელდა ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სათავო ოფისის ავეჯით უზრუნველყოფა. ასევე საპარკო მშენებლობისთვის შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის და მანქანა-დანადგარების, აგრეთვე მწვანე ნარგავების შეძენა;
- პროგრამის ინფრასტრუქტურული განვითარების კომპონენტის ფარგლებში მიმდინარეობდა კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიის კეთილმოწყობა. დაპროექტდა და განხორციელდა ცენტრალური გზის მშენებლობა, ეწყობოდა სასაწყობო მეურნეობა, დამონტაჟდა საინფორმაციო ბანერები. მომზადებულია ვოლიერისა და თევზსაშენის პროექტები;
- პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ველური ბუნების მართვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის განვითარების მიმართულებით, კერძოდ, შესაბამის დაქირავებულ ექსპერტეთან ერთად მიმდინარეობდა ,,ნადირობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განხილვა და მისი ანალიზი საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში;
- ნაკადულის კალმახის საშენში იანვრის თვეში დასრულდა ქვირითობის სამუშაოები. აღებულია 500 000-ზე მეტი ქვირითი, რომელიც წარმატებით განაყოფიერდა და შემდგომ განთავსდა საინკუბაციო მოწყობილობაში;
- მიმდინარეობდა გამოჩეკილი ლარვის გადაყვანა აკვარიუმის ტიპის პატარა აუზებში. მწარმოებელი თევზი გადაყვანილია ბეტონის აუზებში;
- ნაკადულის კალმახის საშენში საინკუბაციო შენობა სრულად გაიცალა და ჩაუტარდა დეზინფექცია, როგორც საინკუბაციო აკვარიუმის ტიპის აუზების, ასევე მთლიანი შენობის.
- მწარმოებელი კალმახი სრულად გადაყვანილია ბეტონის ტიპის აუზებში და ჩაუტარდა სამკურნალო სადეზინფექციო პროცედურები.
- ბეტონის აუზში მოხდა 110 დიამეტრის ზომის დონის რეგულატორის ჩაშენება; 2022 წლის თებერვალ-მარტში სხვადასხვა მდინარეებზე ჩალაგებულია 350 000-მდე ქვირითი თვალის სტადიაზე (მდინარეები: ფშავის არაგვი, ჭივჭავი, ალგეთი, სარახეულა, ხრამი, ნეძვისწყალი, ოცხე, სრომისხევი, ლაგოდეხისხევი, სკინტავა და ლახამი);
- ხობში სახოხბე ვოლიერის გალიებში თავშესაფრების მოსაწყობად დამზადდა ბოძები. დამონტაჟდა 56 თავშესაფარი და გალიებში შეტანილი იქნა ხრეში. მოეწყო ვოლიერიდან დაგროვილი წყლის სადრენაჟე არხი. შეკეთდა ტერიტორიის გარე პერიმეტრის ღობის დაზიანებული ადგილები;
- შეკეთდა გალიების და მთლიანად ვოლიერის დაზიანებული ადგილები. დაკომპლექტდა ხოხბის 20 ოჯახი. ინკუბატორს ჩაუტარდა სადეზინფექციო სამუშაოები და მომზადდა საინკუბაციო პროცესისთვის. გამოირეცხა და ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები ლაპების საზრდელ ოთახებში. შემოწმდა ჰაერის გამწოვი სისტემები, სანათი გამათბობელი ნათურები;
- 2022 წლის სეზონისთვის 11 ჰა-ზე ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები (ხვნა, დადისკვა, თესვა). 2021 წლის მოსავლიდან დამზადდა სათესლე მასალა;
- სართიჭალის მეურნეობაში შეკეთდა და ჩაუტარდა ტექნიკური შემოწმება ფრინველის ინკუბატორს და საჩეკს. ფრინველის გამოსაზრდელის გარშემო ტერიტორია გასუფთავდა ეკალ-ბარდებისაგან და ბუჩქებისაგან. გასუფთავდა და მომზადდა საკვების საწყობი ახალი საკვების მისაღებად; გაკეთდა ელექტრო ღობე. მიმდინარეობდა ფრინველის კვერცხის ინკუბაცია-ჩეკვა და გაზრდა;

- ჩაუტარდა დეზინფექცია ვოლიერებს და გამოსაზრდელებს. დამუშავდა მღრღნელებისა და პარაზიტების წინააღმდეგ; ღია ვოლიერები და მისი შემოგარენი გაიწმინდა სარეველა მცენარეებისაგან;
- სააგენტოს მიერ რეალიზებული იქნა 449 ფრთა ფრინველი (ხოხობი), რომლის ღირებულებამ შეადგინა 14.8 ათასი ლარი;
- საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ მცენარეთა სახეობების გარემოდან ამოღების საკომპენსაციო საფასურიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 82.7 ათასი ლარი;
- ახალი ოფისის მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა სამშენებლო ნარჩენებისგან და მარადმწვანე ნერგებისგან. მოეწყო ცოცხალი ღობე 120 გრძივ მეტრზე, სადაც ჩაირგო 670 ცალი ტუიის ნერგი. ასევე კვიპაროსის 61 ცალი ნერგით მოეწყო კვიპაროსის ხეივანი;
- ახალი დეკორატიული აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ფეხით სავალი ბილიკები 85 გრძივ მეტრზე;
- განხორციელდა წინა წლებში გაშენებული ტყის კულტურების ჩანაცვლება. ჩატარდა მოვლითი სამუშაოები (ნერგების ირგვლივ გათოხვნა გაფხვიერება, სარწყავი ჯამების მოწყობა და ნერგების მორწყვა);
- 4 ha ფართობზე ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე 60-70 წლებში გაშენებულ ტყის კულტურებში 10-15-20 მეტრიან ხეებზე შეჭრილი იქნა ხმელი და დაზიანებული ტოტები. მრგვალი დახერხილი კოტრებისაგან მოეწყო დეკორატიული ბილიკები 200 გრძივ მეტრზე. ბილიკის გასწვრის დაირგო 300-მდე სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ხე-მცენარე და მარადმწვანე ბუჩქი. ასევე წითელ ნუსხაში შემავალი ხე-მცენარეები (ძელქვა, ლაფანი, თელა, წალის მუხა და სხვა);
- ლითონის კონსტრუქციისაგან გაკეთდა დეკორატიული ღობე 150 გრძივ მეტრზე. მიმდინარეობდა სატყეპარკო სამუშაოები (ხე-მცენარეების და ბუჩქების ფორმირება, მოვლა-ჯამების ფორმირება და გაწმენდა სარეველებისაგან, მორწყვა, ფართობის გათიბვა და სხვა).

12.7 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და განათლება მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი: 31 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

- ცენტრის მიერ ჩატარებულ გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით განათლებისა და ცნობიერების დონის ასამაღლებელ ღონისძიებებში, ასევე საჯარო განხილვებში/დისკუსიებში, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 4 061-მა პირმა;
- სამინისტროს თანამშრომლებისთვის (311 თანამშრომელი): ტრენინგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება გაიარა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 13 თანამშრომელმა; გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა გაიარა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 41 თანამშრომელმა; კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები გაიარა სოფლის განვითარების სააგენტოს ექსტენციის 20 თანამშრომელმა, ტრენინგი ციფრული მარკეტინგი გაიარა სოფლის განვითარების სააგენტოს ექსტენციის 29 თანამშრომლებმა, ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის საკითხებზე გაიარა სამინისტროს 19 თანამშრომელმა, Microsoft Excel-ი საბაზისო კურსი გაიარა სამინისტროს 13 თანამშრომლემა, ტრენერთა ტრენინგი გაიარა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის 15 თანამშრომელმა, ტრენინგი სურსათში ტყვიის მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ნიმუშის აღების წესების შესახებ გაიარა სურსათის

ერვნული სააგენტოს 104 თანამშრომელმა, ტრენინგი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა გაიარა სოფლის განვითარების სააგენტოს ექსტენციის 12 თანამშრომლებმა, ტრენინგი ონლაინ ექსტევციის წარმართვის მეთოდები და საშუალებები გაიარა სოფლის განვითარების სააგენტოს ექსტენციის 31 თანამშრომლებმა, ტრენერთა ტრენინგი გაიმართა ადგილობრივი კოორდინატორებისა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლებისთვის (14 მონაწილე);

- ტრენინგი სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება გაიმართა დისტანციურად საბავშვო ბაღის აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის (154 მონაწილე). ტრენინგი გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში გაიარეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა (517 მონაწილე). ტრენინგი გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები გაიარეს ქედის, ჩოხატაურისა და გორის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა (45 მონაწილე). გარემოსდაცვითი მმართველი - 5-დღიანი კურსი წარმატებით დაასრულა 20 მონაწილემ;
- ტრენინგები გარემოსდაცვითი მიმართულებით (1 919 მონაწილე), კერძოდ: ტრენინგი სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება გაიმართა დისტანციურად საბავშვო ბაღის აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის (154 მონაწილე); ტრენინგი გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში გაიარეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა (963 მონაწილე); ტრენინგი გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები გაიარეს სასკოლო სახელმძღვანელოების პოტენციურმა ავტორებმა (5 მონაწილე); ტრენინგი საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ გაიარეს სასკოლო სახელმძღვანელოების პოტენციურმა ავტორებმა (6 მონაწილე). ტრენინგი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება გაიარეს სასკოლო სახელმძღვანელოების პოტენციურმა ავტორებმა (7 მონაწილე); ტრენინგი გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები გაიარეს ქედის, ჩოხატაურისა და გორის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა (45 მონაწილე); გარემოსდაცვითი მმართველი - 5 დღიანი კურსი წარმატებით დაასრულა 33 მონაწილემ; ტრენინგი თემაზე კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა გაიმართა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (აგრარული მიმართულების) ლექტორებისთვის (31 მონაწილე); ,,ეკოლიდერთა სკოლა" -კონკურსში მონაწილეობა 400-მდე აპლიკანტმა მიიღო. შერჩეული მონაწილეებიდან 2 თვიანი სასწავლო კურსი 58-მა მოსწავლემ წარმატებით დაასრულა; ტრენინგი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფის რისკის შემცირება ჩატარდა გორის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, სენაკის, ხობის, ქობულეთის და თბილისის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის (570 მონაწილე); ტრენინგი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება ჩატარდა რეგიონული მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის (29 მონაწილე); ტრენინგი საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების ეფექტური განხორციელება (30 მონაწილე); ტრენინგი მწვანე კრიტერიუმები ფოტოასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალებისთვის (18 მონაწილე);
- ტრენინგები აგრარული მიმართულებით (306 მონაწილე), კერძოდ: მესაქონლე კოოპერატივების წარმომადგენლებისთვის გაიმართა 2 დღიანი ტრენინგი ცხოველთა ჯანმრთელობასა და კვებაში (14 მონაწილე); ვეტერინარიის ტრენინგ კურსი გაიმართა N16 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებისთვის (2 მსჯავრდებული); მემცენარეობის ტრენინგ კურსი (ჟოლო, მარწყვი, გოგრა, პომიდორი, ლობიო, ქინძი, მწვანილები) გაიმართა N8 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებისთვის (6 მსჯავრდებული); ნუშის წარმოების აგროტექნოლოგია გაიარა 47 მონაწილემ; სიმინდის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები გაიარა 44 მონაწილემ; ლურჯი მოცვის წარმოების აგროტექნოლოგია გაიარა 56 მონაწილემ; თანამედროვე სასათბურე მეურნეობის მოწყობა გაიარა 47 მონაწილემ; ქარსაფარი ზოლების მოვლა-გაშენება გაიარა 41

მონაწილემ. მეფრინველეობა - ქათმის მოშენება, ჯიშები, კვება, დაავადებები და პრევენცია გაიარა 49 მონაწილემ;

- საანგარიშო პერიოდში დისტანციურად და პირისპირ ფორმატში გაიმართა ლექცია-სემინარები სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. ასევე ვებინარები მოისმინეს ცენტრის მოხალისეებმა (19 მოხალისე). ჯამში ლექცია-სემინარები მოისმინა 594 მოსწავლემ და მასწავლებელმა;
- გაიმართა კონკურსი „მწვანე ჯილდო“ საბავშვო ბაღის აღმზრდელებისა და სკოლის მასწავლებლებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 170 ადამიანმა. დასკვნითი ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 125 მოწვეულმა სტუმარმა;
- გარემოსდაცვითი და აგრარული დღეების აღსანიშნავად გაიმართა ვებინარები: ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი და მართვა საქართველოში). ჭარბტენიანი ტერიტორიების მსოფლიო დღე, ფუტკრის მსოფლიო დღე, ტყის საერთაშორისო დღე, მტკვრის დაცვის დღე. მეტეოროლოგიის მსოფლიო დღე, გვალვასთან და გაუდაბნოებასთან ბრძოლის მსოფლიო დღე, გეოლოგის დღე.
- მომზადდა და გავრცელდა 32 საინფორმაციო პოსტი და ბანერი.
- გამოცხადდა კონკურსები: ესსეების კონკურსი ,,გარემოსდაცვითი განათლება ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში'' , მონაწილეობა მიიღო 300-მდე მოსწავლემ. შერჩეული იქნა 10 საუკეთესო ესსეს ავტორი და გამოვლინდა სამი საპრიზო ადგილი. ფოტოკონკურსი - „ბიომრავალფეროვნება ჩემს ობიექტივში" მონაწილეობა მიიღო 200-მდე ფოტომოყვარულმა და ფოტოგრაფმა. შეირჩა 10 საუკეთესო ფოტოს ავტორი და 4 საპრიზო ადგილი;
- საინფორმაციო კამპანიები: მწვანე ჯილდოს შესახებ 3 საინფორმაციო ბანერი და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ 7 საინფორმაციო ბანერი;
- გავრცელდა საინფორმაციო ვიდეორგოლი ოზონის შრის დაცვის შესახებ, ტყის საერთაშორისო დღისა და ახალგაზრდა ეკოლიდერების შესახებ სიუჟეტი, გარემოსდაცვითი დემოკრატიის პროგრამის ფარგლებში ცნობიერების ამაღლების მიზნით გავრცელდა 8 საინფორმაციო ვიდეორგოლი;
- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრებო თემაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მონიტორინგი (87 პირი), წიგნის საერთაშორისო დღე ვაჟა-ფშაველას შვილთაშვილთან ერთად (17 პირი), ტაჯიკეთის რესპუბლიკის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში (20 პირი), გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებთან შეხვედრა, მწვანე ჯილდოს კონკურსის შესახებ შეხვედრა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან (30 მასწავლებელი). მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) რეესტრის პრეზენტაცია და მგვ პრინციპის დასანერგად მიღებული ოთხი ტექნიკური რეგლამენტის განხორციელების ვადების შესრულების საკითხების განხილვა (80 პირი). მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დანერგვის მხარდაჭერა საქართველოში (170 პირი) ესსეების კონკურსის დაჯილდოება (17 პირი), ფოტოკონკურსის დაჯილდოება (10 პირი);
- ცენტრის ელ. ფოსტის, FB და WEB გვერდის მეშვეობით საჯაროდ გავრცელდა ინფორმაცია 16 საჯარო განხილვის შესახებ.
- საანგარიშო პერიოდში სერტიფიცირება გაიარა მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების 19 ტექნიკოსმა.
- სკოლის მოსწავლეებისთვის გაიმართა მწვანე ბანაკი „კლიმატის ელჩები“ (26 მონაწილე).
- პროექტის მოხალისეებისთვის გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით ჩატარდა 8 სემინარი.
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან უნივერსიტეტებში სტიპენდიის დანერგვასთან დაკავშირებით (38 მონაწილე).
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების მერებთან, საკრებულოს თავმჯდომარეებთან და სახელმწიფო რწმუნებულებთან (62 მონაწილე).

- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სენაკის, ხობის, ლაგოდეხის, ახმეტის, ქობულეთის მუნიციპალიტეტების მერიების თანამშრომლებთან (სულ 70 მონაწილე), ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებისთვის (67 მონაწილე).
- გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია (VET ფაზა 2)" პროექტის ფარგლებში, ცენტრმა ჩაატარა 9 ტრენინგი სამინისტროს თანამშრომლებისთვის; მომზადდა პროფესიული მომზადების/გადამზადების 3 პროგრამა: ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია, გარემოსდაცვითი მმართველი, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა; ჩატარდა სოფლის მეურნეობის პროფესიული განათლების სექტორის საჭიროებათა კვლევა; შემუშავდა 15-მდე საინფორმაციო პოსტი და გავრცელდა სოციალური მედიით; შემუშავდა გრაფიკული საინფორმაციო ვიდეორგოლი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ.:
- ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით „ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის" WFD) პროგრამის „გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარება საქართველოში" ფარგლებში, შერჩეული სამი საპილოტე მუნიციპალიტეტის (ქედა, ჩოხატაური და გორი) საკრებულოების წარმომადგენლებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები (ონლაინ) და სამი ტრენინგი. ცენტრმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი დემოკრატიის შესახებ ელექტრონული სასწავლო კურსი/მოდული და გადაიღო საინფორმაციო ვიდეორგოლი.
- პროექტი „საქართველოს მხარდაჭერა მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და დამატებითი ინსტრუმენტების განვითარებაში" -SPP: პროექტის ფარგლებში გაიმართა 2 ტრენინგი შესყიდვების სპეციალისტებისთვის. ჩატარდა ორი საკონსულტაციო შეხვედრა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან: დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საჯარო შესყიდვების სპეციალისტებთან. (10 პირი)
- პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia" პროექტის ფარგლებში გაიმართა 11 საინფორმაციო შეხვედრა პროექტის შესახებ რვა სამიზნე მუნიციპალიტეტში (ახმეტა, თელავი, დედოფლისწყარო, ყვარელი, თიანეთი, ლანჩხუთი, ოზურგეთი და ჩოხატაური); ჩატარდა ვებინარი: ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვებინარი - „ურბანული მეტყეევეობის გამწვანების მნიშვნელობა და როლი ქალაქის მაცხოვრებლებისათვის" (31 პირი); ჩამოყალიბდა სასწავლო მოდულების პირველადი სტრუქტურა, ასევე IT მხარის მიერ განისაზღვრა ონლაინ სწავლის მართვისა და ტრენინგის პლატფორმის ლიმიტები და ფორმატები. დაწყებულია მონაცემთა ბაზის განვითარება; ჩატარდა ვებინარი: ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვებინარი - "ურბანული მეტყეევეობის გამწვანების მნიშვნელობა და როლი ქალაქის მაცხოვრებლებისათვის. (31 პირი).

12.8 ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (პროგრამული კოდი: 31 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

- ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს პროექტის - GEO/9/015 ფარგლებში განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავის ტერიტორიაზე დაინსტალირებული, გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროების გადაფუთვის დროებითი დანადაგარის გაუმჯობესება, კერძოდ: განახლდა სამუშაო მაგიდა და გაიზარდა მომუშავე პერსონალის დაცვა მაიონებელი გამოსხივებისგან; დამატებით დამონტაჟდა ახალი ვიდეო კამერა; დამონტაჟდა გათბობის

სისტემა; უზრუნველყოფილია ვიდეო სიგნალის ლაივ რეჟიმში მიწოდება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ოფისში; შემუშავდა სამუშაო ინსტრუქციები.

- მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე, განისაზღვრა მოსაწოდებელი რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარების მაკომპაქტირებელი და დამახარისხებელი ბოქსის ტექნიკური მონაცემები;
- გაერთიანებული კონვენციის ფარგლებში გაანალიზდა სხვადასხვა ქვეყნების მიერ საქართველოსადმი დასმული შეკითხვები (სულ 37 შეკითხვა) და მომზადდა პასუხები, რომლებიც აიტვირთა გაერთიანებული კონვეციის ოფიციალურ საიტზე. საქართველოს ანგარიშის საფუძველზე დაფიქსირდა ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც ქვეყანა დგას რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სფეროში;
- ჩატარდა ევროკავშირის პროექტის - P67 (,,ქბრბ ნარჩნების მართვის უსაფრთხოების გაუმჯობესება ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებში“) ანგარიშის ანალიზი და შეტანილია შესაბამისი შესწორებები;
- ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შტაბ-ბინაში გამართულ კონვენციის განსახილველ მეშვიდე შეხვედრაზე, საქართველოს დელეგაცია წარსდგა გაერთიანებული კონვენციის ფარგლებში (გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ) მომზადებული ეროვნული მოხსენებით;
- სააგენტოს ინიცირებით, შვედეთის რადიაციული მარეგულირებელი ორგანოს (SSM) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარადჭერით ორგანიზირებული იქნა ტრენინგი რუმინეთში (ჰორია ჰოლუბეის ფიზიკის ეროვნული ინსტიტუტი) ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტებისთვის;
- მობილური ლაბორატორიის გამოყენებით ჩატარდა გარემოს რადიაციული მონიტორინგისთვის საჭირო რადიოლოგიური გაზომვები კახეთის რეგიონში (სააგენტოს კუთვნილი მობილური ლაბორატორიის მეშვეობით და სააგენტოს თანამშრომლების ჩართულობით ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, კერძოდ დალის მთის წყალსაცავის მიმდებარედ არსებული ტახტიტეფას ტალახის ვულკანის მშრალი ქანების, წვრილდისპერსიული თიხის ტალახისა და ნავთობის ფრაქციების შერეული და მინერალიზებული წყლის ნიმუშების აღება რადიონუკლიდებზე სპექტროსკოპული ანალიზისთვის. ასევე, ადგილზე ჩატარდა მცირე ზომის ტალახის კრატერიდან ამომავალი აირების გაზომვა რადონის და თორონის შემცველობაზე. მისიის ფარგლებში ასევე ჩატარდა გამა გამოსხივების ფონური დოზის სიმძლავრის მონიტორინგი და მიღებული მონაცემების რუკაზე დატანა);
- საანგარიშო პერიოდში შემუშავდა დაბა ანასეულთან (გურია) განთავსებული ყოფილი ჩაისა და სუბტროპიკული მცენარეების ინსტიტუტის რადიოლოგიურად დაბინძურებული ტერიტორიის გამოკვლევის შემდგომი საფეხურის გეგმა;
- ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე გაიცა 29 ლიცენზია, გაუქმდა 6 ლიცენზია;
- ლიცენზიის მფლობელ 47 ობიექტს მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება;
- ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 30 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე და შეძენაზე;
- განხორციელდა 65 გეგმური ინსპექტირება, როგორც სამრეწველო, ასევე სამედიცინო პროფილის მქონე ობიექტებზე;
- 15 ორგანიზაციაში გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაზედაც შედგა 21 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი. არაგეგმური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ორი არალიცენზირებული საქმიანობის ფაქტი;
- განხორციელდა 5 რეაგირება, მათ შორის:

- ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის ტერიტორიიდან ამოღებული და რადიოაქტიური ნარჩენების საცავში გადატანილ იქნა ერთი ერთეული Рид-6М-ტიპის კვამლის დეტექტორი.
- ✓ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მერვე და მეოთხე კორპუსიდან ამოღებულ და უსაფრთხო შენახვის მიზნით გადატანილ იქნა შვიდი ერთეული რადიოაქტიური წყარო რადიოაქტიური ნარჩენების საცავში.